ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

I

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings

I

გამომცემლობა „მერიდიანი“
Meridian Publishers
თბილისი
Tbilisi
2011

უაკ(UDC)94(479.22)
ს–323

რედაქტორები:
თედო დუნდუა, მარიამ ჩხარტიშვილი, ალექსანდრე ბოშიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
მარიამ ლორთქიფანიძე
გიული ალასანია
თეიმურაზ პაპასქირი
აპოლონ თაბუაშვილი
ქეთევან გოჩიტაშვილი
ლერი თავაძე

Editors:
Tedo Dundua, Mariam Chkhartishvili, Alexander Boshishvili

Editorial Board:
Mariam Lordkipanidze
Giuli Alasania
Teimuraz Papaskiri
Apolon Tabuashvili
Ketevan Gochitashvili
Leri Tavadze

© ტექსტი – ავტორები, 2011
© შედგენა – თ. დუნდუა, მ. ჩხარტიშვილი, ა. ბოშიშვილი, 2011

ISSN 1987–9970

შინაარსი
CONTENTS

ნიკოლოზ სილაგაძე
ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის საკითხისათვის **9**

Nikoloz Silagadze
Towards the Question of the Georgian Ethnogenesis (Summary) . . **38**

ანდრო გოგოლაძე, თემურ თოდუა
ალექსანდრე მაკედონელი და კავკასია (ბერძნულ-ქართული წყაროების შედარებითი ანალიზი). **39**

Andro Gogoladze, Temur Todua
Alexander of Macedon and the Caucasus (Comparative Analysis of the Graeco-Georgian Sources) (Summary) **54**

ნათია ფიფია
ევსევი კესარიელისა და იპოლიტე რომაელის ცნობები I-II სს-ის დასავლეთ საქართველოს ეთნოპოლიტიკური ისტორიის შესახებ **55**

Natia Phiphia
Eusebius of Caesarea and Hippolytus of Rome About Ethnopolitical History of Western Georgia in the 1st - 2nd cc. (Summary) **60**

ნინო სილაგაძე
ქართულ-ირანული კულტურული ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი **61**

Nino Silagadze
Some Questions of Irano-Georgian Cultural Attitudes (Summary) . . **71**

მარიამ ჩხარტიშვილი
ქართული იდენტობის საკრალური ასპექტი. **72**

Mariam Chkhartishvili
Georgian Identity's Sacral Aspect (Summary) **91**

ლერი თავაძე
საქართველოს სამეფო ოჯახის სოციალური სტატუსი XI-XVI სს-ის ფრესკული მხატვრობის მიხედვით **92**

Leri Tavadze
Social Status of the Georgian Royal Family According to the 11th-16th cc. Wall Painting (Summary) **109**

ელენე გოგიაშვილი
ფანტასტიკური არსების („ვაც-კაცი") გამოსახულება XII ს-ის ერთ ქართულ ხელნაწერში **110**

Elene Gogiashvili
The Figure of a Demon („Goat-Man") in the 12th c. Georgian Manuscript (Summary) **117**

ჯაბა სამუშია
გარნისის ბრძოლა. **118**

Jaba Samushia
Battle of Garnisi (Summary) **138**

გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა
იჭრებოდა თუ არა გიორგაული თეთრი? **139**

Giorgi Dundua, Tedo Dundua
Money Called "Giorgauli" – Reality or a Fiction? (Summary) **165**

ირინა გველესიანი
„ანდერძისმიერი მემკვიდრეობის“ ევოლუციური გზა ქართული საისტორიო წყაროებისა და სამართლის ძეგლების მიხედვით **167**

Irina Gvelesiani
The Evolutional Way of the “Testate Succession” According to Georgian Historical Sources and Monuments of Law (Summary) . . **174**

ალექსანდრე ბოშიშვილი
გორულის წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხისათვის **176**

Alexander Boshishvili
About the Identification of the Persons Named in Goruli Inscription (Summary) **183**

ქეთევან პავლიაშვილი
საისტორიო ცნობები რუსეთის იმპერიის დამოკიდებულებაზე ასტრახან-მოზდოკის ქართული საეკლესიო ახალშენებისადმი (XVIII ს-ის პირველი ნახევარი) **184**

Ketevan Pavliashvili
Historical Chronicles on Attitude of the Russian Empire Towards Newly Established Georgian Orthodox Communities in Astrakhan-Mozdok (1st half of the 18th c.) (Summary) **195**

აპოლონ თაბუაშვილი
კრწანისის ბრძოლაში მონაწილე ქართული ჯარის შემადგენლობის საკითხისათვის **197**

Apolon Tabuashvili
About Structure of the Georgian Troops in Krtsanisi Battle (1795) (Summary) **207**

მერაბ კალანდაძე
იყო თუ არა ივანე ჯავახიშვილი რიკერტიანელი? **208**

Merab Kalandadze
Was Ivane Javakhishvili Rickert's Follower or Not? (Summary) . . . **214**

მიხეილ ბახტაძე
საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წლის თავდაცვითი ხელშეკრულება **215**

Mikheil Bakhtadze
Georgia-Azerbaijan Treaty of 16 June, 1919 (Summary) **238**

დიმიტრი სილაქაძე
ოსიაურის ბრძოლა, (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი) **239**

Dimitri Silakadze
Battle of Osiauri (1921 Russian-Georgian War) (Summary) **256**

ნიკო ჯავახიშვილი
ქართულ-ბალტიური ურთიერთობა II მსოფლიო ომის დროს (1939-1945 წწ.) **257**

Niko Javakhishvili
Georgian-Baltic Relations During World War II (Summary) **283**

ქეთევან გოჩიტაშვილი,
გიული შაბაშვილი
ქართული სოციალური რეკლამა **284**

Ketevan Gochitashvili, Giuli Shabashvili
The Georgian Social Advertisment (Summary) **296**

საერთაშორისო პრეზენტაცია
International Conferences

Teimuraz Papaskiri
Russian-Georgian August War: Causes, Results, Consequences. . . . **297**

Elene Gogiaschwili
Volksdichtung und Ideologie: Politisierung der Erzählforschung in Georgien in der zweiten Hälfte des 19 und der ersten Hälfte des 20. Jahrhunderts **305**

Mariam Chkhartishvili
Holy Men and Making of Georgian Identity **312**

Tedo Dundua
Georgian Historiography – Reality and Perspectives (View from Inside) **332**

Natia Phiphia
Historical Memory about Migration of the Kaskians in Western Georgia **335**

Кетеван Надирадзе
„Картлис цховреба" („История Грузии") и грузинские письменные источники XVIII в. для восполнения истории Азербайджана **342**

რეცენზია

ქეთევან მანია, ნატო სონღულაშვილი
რეცენზია კრებულზე – საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები IX. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი". 2008. რედ. მარიამ ჩხარტიშვილი **346**

თედო დუნდუა
რეცენზია ნაშრომზე – ბიზანტია ქართულ წყაროებში. რედაქტორები: ნ. მახარაძე, ნ. ლომოური. თბ. 2010 . . . . . **358**

ქრონიკა

ლერი თავაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია **364**

ლაშა მურადაშვილი
მონოგრაფია ქართველი პატრიოტის შესახებ **371**

მილოცვა

მარიამ ლორთქიფანიძე
გივი ჯამბურია – დაბადებიდან 85 წლის იუბილის აღსანიშნავად **376**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

ნიკოლოზ სილაგაძე

ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის საკითხისათვის

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს საკითხს წარმოადგენს. მის კვლევას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა იგი დღემდე შემდგომ შესწავლას საჭიროებს. კერძოდ, დასაზუსტებელია, თუ რომელი არქეოლოგიური კულტურის, ან არქეოლოგიური კულტურების გავრცელების არეალში მდებარეობდა ქართველურ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლო; რა მიმართებაშია ქართველური ენები სხვა ენებთან და ენობრივ ოჯახებთან. შემდგომ შესწავლას მოითხოვს, ასევე, ძველაღმოსავლურ და ანტიკურ წყაროებში ფიქსირებული ეთნიკური ჯგუფების (ქაშქების, მუშქების, სასპერების და ა.შ.) ეთნიკური ისტორიის საკითხები. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში ეთნოგენეტიკური კვლევები მეთოდოლოგიურად და თემატურად მნიშვნელოვნად გამრავალფეროვნდა. თუკი მანამდე მკვლევარები ძველი პერიოდის ეთნოგენეზის საკითხებზე მსჯელობისას შედარებითი ენათმეცნიერების მონაცემების საფუძველზე ცალკეული ისტორიული რეალობების (მაგალითად „პროტოინდოევროპულის“, „პროტოკელტურის“ და ა.შ.) პოსტულირებით და მათი შესატყვისი არქეოლოგიური არტეფაქტების, ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემებისა და რიგ შემთხვევებში ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობე-

ბის ძიებით კმაყოფილდებოდნენ, სადღეისოდ, მეტ ყურადღებას ამ თეორიული სისტემების ისტორიულ ინტერპრეტაციას უთმობენ.[1] კერძოდ, ენათმეცნიერებაში ფართოდ განიხილება საკითხი თუ რა ისტორიული რეალობა უნდა დავინახოთ „პროტოენის“ ლინგვისტური სქემის ქვეშ; იზრდება დიალექტოლოგიისა და სოციოლინგვისტიკის მნიშვნელობა; არქეოლოგიაში, ძირითადად ნეოარქეოლოგებისა და პროცესუალისტების ძალისხმევით, გაიზარდა სკეფსისი მიგრაციული კონცეფციების მიმართ; ისტორიკოსები და ეთნოლოგები სულ უფრო ნაკლებად ენდობიან ანტიკური ავტორების ეთნიკურ კონსტრუქციებს; ფიზიკურ ანთროპოლოგიაში კი შესამჩნევი ხდება მოლეკულური ბიოლოგიის პრიორიტეტი. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბოლო ხანებში გადაისინჯა ბევრი ძველებური კვლევის მეთოდი და კონცეფცია. მაგალითად, მკაცრი კრიტიკის ობიექტი გახდა გლოტოქრონოლოგიური მეთოდი; გაიზარდა ე.წ. ნოსტრატული თეორიის მომხრეების რიცხვი; გადაისინჯა „პროტოინდოევროპელების“ წინაბრძოლა, გავრცელების გზებსა და საშუალებებზე ძველი კონცეფციები. ყოველივე ეს გვაიძულებს ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემასაც ოდნავ ახალი აქცენტებით შევხედოთ. ვფიქრობთ, თანამედროვე ეტაპზე საჭიროა მისი კვლევა ორ ნაწილად გავყოთ: 1) პირველ შემთხვევაში ქართველური ენების გავრცელების თავდაპირველი არეალის გეოგრაფიული და ქრონოლოგიური კოორდინატები უნდა განვსაზღვროთ; 2) მეორე შემთხვევაში – კი ევროპული „ეთნოგენეზოლოგიის“ თანამედროვე მიღწევების ფონზე ქართველთა ეთნიკური ისტორია უნდა განვაზოგადოთ. მაგალითად, ამ მხრივ, ვფიქრობთ მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ რა

[1] ეთნოგენეტიკური კვლევებისთვის დამახასიათებელი სქემატიზმის აღმოფხვრის აუცილებლობას ბევრი მკვლევარი XX საუკუნის I ნახევარშიც გრძნობდა. თუმცა, ამ მხრივ პრობლემების დაძლევაზე სრულვას ტენდენციის სახე მხოლო XX საუკუნის II ნახევარში მიეცა.

ისტორიული რეალობა იმალება „პროტოქართველური“ ენის ლინგვისტური ცნების ქვეშ;[2] რამდენად ემთხვევა კავკასიისა და მცირე აზიის შესახებ ძველაღმოსავლური და ანტიკური ხანის ავტორების შეხედულებები აქაურ რეალურ ეთნიკურ სინამდვილეს; როგორ უნდა განვმარტოთ ისეთი ცნებები, როგორიცაა ქართველური ტომი, ხურიული ტომი და ა.შ. თუმცა, წინამდებარე სტატიაში საუბარი მხოლოდ ქართველური ენების თავდაპირველი გავრცელების არეალის პრობლემაზე გვექნება. ვფიქრობთ, კვლევის თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინება ამ მხრივ საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას მოგვცემს.

* * *

„პროტოქართველურის“ თავდაპირველი გავრცელების არეალზე მსჯელობა მისი სავარაუდო გეოგრაფიული და ქრონოლოგიური კოორდინატების განსაზღვრით უნდა დავიწყოთ. თუკი ამ მხრივ ისტორიოგრიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებს შევაჯერებთ, დავინახავთ, რომ ქართველური ენების სავარაუდო წინარესამშობლოდ, სხვადასხვა თეორიების მიხედვით, მცირე აზია, ჩრდილოეთ შუამდინარეთი, სამხრეთ ან ჩრდილოეთ კავკასია მოიაზრება. ისტორიული, ლინგვისტური, არქეოლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები ამ ჰიპოთეტური ზონის კიდევ უფრო გაფართოების საშუალებას არ იძლევა. ეს დასკვნა, ერთი შეხედვით მისი არც თუ მრავლისმეტყველი ხასიათის მიუხედავად, ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის მკვლევარებს ერთობ კომფორტულ გარემოს უქმნის. კერძოდ, იგი მათ ორი მეტად არასასიამოვნო თემის განხილვის აუცილებლობისგან

[2] ვერ ვიტყვით, რომ ეს საკითხი აქამდე არავის უკვლევია. მაგალითად გამოდგება ნაშრომები, რომლებიც „პროტოქართველთა“ თვითსახელს, მუსიკალურ ფუძე ენასა და რელიგიას ეხება. თუმცა საკითხი ასე კომპლექსურად არავის დაუსვამს.

ათავისუფლებს: 1) წარმოადგენდა თუ არა ქართველთა პირველსაცხოვრისი მეტ-ნაკლებად ლოკალურ ტერიტორიას; 2) საჭირო არის თუ არა „ლინგვისტური პალეონტოლოგიის“ მონაცემების გათვალისწინება. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ინდოევროპეისტიკაში ორივე ეს პრობლემა ფართოდ განიხილება, რაც „პროტოინდოევროპელების“ წინარესამშობლოს საკითხის მკვლევარებს ბევრ უხერხულობას უქმნის.[3] მათი წყალობით, ზოგჯერ, კვლევის ამ ობიექტის (ანუ ინდოევროპულების წინარესამშობლოს პრობლემის) აქტუალობაც კი ეჭვქვეშ დგება.

1) ქართველთა ეთნოგენეზის საკითხის კვლევისას ზემოთ ნახსენები პირველი პრობლემა (ანუ წარმოადგენდა თუ არა ქართველთა პირველსაცხოვრისი მეტ-ნაკლებად ლოკალურ ტერიტორიას) განხილვის ობიექტი ვერ იქნება. გამომდინარე იქიდან, რომ გეოგრაფიული არეალი, სადაც ქართველური ენების გენეზისი შეიძლებოდა მომხდარიყო ძალზე ვიწროა. ეს ტერიტორია კი უამრავი სხვა ენობრივი ოჯახის წარმომადგენლებისთვისაც (მაგალითად, „პროტოხეთებისთვის“, ხურიტებისთვის, ნახო-დაღესტნელებისთვის, აფხაზ-ადიღეელებისთვის, სემიტებისთვის, ინდოევროპელთა მინიმუმ ორი ჯგუფისთვის) წარმოადგენდა წინარე, თუ ისტორიული სამშობლოს;

2) „ლინგვისტური პალეონტოლოგიის“ შემთხვევაში კი მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ შემოსაზღვრული ტერიტორია ერთი გეოგრაფიული სარტყელის საზღვრებს არ სცილდება. არც აქაური ისტორიულ-კულტურული გარემოს რეკონსტრუქცია წარმოადგენს დიდად სადისკუსიო ობიექტს.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართველური ენების ძირეულ და აფიქსურ მორფემებში რეგულარული ფონემური

[3] საკითხის შესახებ იხ. C. Renfrew. Archaeology and language. The Puzzle of Indo - European Origins. 1987; J. P. Demoule. Realite des Indo-Europeens: Les Diverses Apories du Modele Arborescent.vol. 208. Paris. 1991. გვ. 169-202.

შესატყვისობების არსებობა ეჭვს არ იწვევს. ეს კი თავისთავად ნიშნავს, რომ დღის წესრიგში ვერ დადგება საკითხი ქართველური ენობრივი ოჯახის სახით ენათა გენეტიკურ, თუ არეალურ ერთობასთან გვაქვს საქმე. მაშინ, როცა ინდოევროპულ და განსაკუთრებით იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში ეს პრობლემა ძალზე მწვავედ დგას. ასე რომ ქართველური ენების თავდაპირველი გავრცელების არეალზე მსჯელობისას არც მისი სავარაუდო ადგილსამყოფელი, არც საკითხის არსი და აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ქართველური ენების ასაკის შესახებ. ამ მხრივ ისტორიოგრაფიაში მინიმუმ სამი მოსაზრება მაინც ფიგურირებს. მათ მიხედვით ქართველური ენები ჩამოყალიბდა და მათი დიფერენცირება მოხდა: 1) ძვ. წ. I; 2) ძვ. წ. III; 3) ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში.[4] ხსენებულ საკითხზე მსჯელობისას აზრთა სხვადასხვაობა ერთობ გამაღიზიანებელია, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მსგავსი პრობლემა მხოლოდ ქართველური ენების გენეზისის კვლევისას არ წარმოიქმნება. საქმე ისაა, რომ გლოტოქრონოლოგიური მეთოდი, რომლის საფუძველზეც მსგავსი მოსაზრებების არგუმენტირება წარმოებს ცალსახა დასკვნების გაკეთების საშუალებას იშვიათად იძლევა. ამიტომ, სადღეისოდ იგი ძალზე ცუდი პრესით სარგებლობს. ისტორიოგრაფიაში მისი მეთოდოლოგიური ჩანაცვლების მცდელობასაც ჰქონდა ადგილი,[5] მაგრამ გაგვიჭირდება ვთქვათ, რომ „პროტოენების“ ასაკის კვლევა ამით უფრო დამაჯერებელი გახდა. გამომდინარე აქედან ვფიქრობთ, რომ მსგავს საკითხებზე მსჯელობისას გლოტოქრონოლოგიური, თუ ფი-

[4] დ. ლოსაბერიძე. ქართველურ ენებზე მოქმედი უცხო ენობრიეი გარემოს საკითხისათვის. ქართველურ ენათა დაშლის დროის საკითხისათვის. თბ. 1992; ტ. ფუტკარაძე. ქართველები. ნაწილი I – ქრისტიანობამდელი ეპოქა. თბ. 2005, გვ. 54-58.

[5] R. Gray, Q. Atkinson. Language-tree Divergence Times Support the Anatolian Theory of Indo-European Origin. Nature. vol. 426. November. 2003, გვ. 435-438.

ლოგენეტიკური მეთოდების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები გადამწყვეტი მნიშვნელობის ვერ იქნება. ასეთ შემთხვევაში სხვა ტიპის მონაცემების მოშველიებაა საჭირო. ქართველური ენების გენეზისის პრობლემის კვლევას ასეთ არგუმენტად ქართველური და „პროტოინდოევროპული“ ენობრივი სისტემების სიახლოვე გამოდგება. „პროტოინდოევროპულის“ არსებობას კი, მიუხედავად ამ მხრივ არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, სადღეისოდ, ძვ. წ. IV ათასწლეულზე გვიანდელ პერიოდში არავინ ვარაუდობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ ქართველური ენების ასაკის შესახებ ზემოთ ხსენებულ მოსაზრებებს შორის ყველაზე უფრო მართებულად მისი ძვ. წ. V-IV ათასწლეულებამდე დაძველების ჰიპოთეზა გვესახება.

ქართველური ენების სავარაუდო ასაკისა და ფორმირების ადგილის დადგენის შემდეგ საჭიროა მის სხვა ენობრივ ოჯახებთან მიმართების საკითხსაც შევეხოთ. მის შესახებ მსჯელობა, ვფიქრობთ, ქართველურისა და მთის კავკასიური ენების (ნახურ-დაღესტნურისა და აფხაზურ-ადიღეურის) ურთიერთმიმართებაზე საუბრით უნდა დავიწყოთ. ამ მხრივ ისტორიოგრაფიაში კვლევის ორი მიმართულება ფიგურირებს. მკვლევართა ერთი ნაწილი, ივ. ჯავახიშვილისა და არნ. ჩიქობავას კვალდაკვალ, მათ გენეტიკურ ნათესაობას დადასტურებულ ფაქტად თვლის. მეორე ნაწილი კი – მათ შორის არსებული სიახლოვის სხვა მიზეზებით (მაგალითად არეალური კავშირებით) ახსნას ცდილობს. ამ დისკუსიაში ჩართვა ერთობ არასახარბიელოა, რადგან თითოეულ მხარეს თავისი საკმაოდ საინტერესო არგუმენტები აქვს. ჩვენი მხრივ, მხოლოდ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ იბერიულ-კავკასიური ენების გენეტიკური ნათესაობის კონცეფციის გაზიარების შემთხვევაში რამდენიმე შეკითხვა ჩნდება: 1) თუკი „პროტოქართველური“ მართლაც ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში არსებობდა, როდისღა არსებობდა „პროტოიბერიულ-კავკასიური“?; 2) თანამედროვე ლინგვისტიკაში ძალზე პოპულარულია ნა-

ხურ-დაღესტნურისა და ხური-ურარტულის განსაკუთრებული სიახლოვის ჰიპოთეზა. იგივეს ვერ ვიტყვით „პროტოხეთურისა“ და აფხაზურ-ადიღეურის შესახებ. თუმცა, ტრადიციულად, ერთმანეთთან ყველაზე ახლოს მდგომად სწორედ ეს ენობრივი სინამდვილეები განიხილება. არც ის უნდა დავიწყოთ, რომ ბევრი იწერება ქართველურის ერთი მხრივ ინდოევროპულთან, მეორე მხრივ კი „ნოსტრატულთან“ სიახლოვის შესახებ. მაშინ, როცა მთის კავკასიურ ენებს ამ კონტექსტში არავინ ახსენებს. ეს გარემოებები კი „პროტოიბერიულ-კავკასიურის“ არსს და ასაკს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის. ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ, არ შეცდებით თუ ვიტყვით, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის გენეტიკური ნათესაობა რომც არსებულიყო, მას იმდენად შორეულ წარსულში ჰქონდა ადგილი, რომ ქართველთა ეთნოგენეზზე საუბრისას იგი გადამწყვეტი მნიშვნელობის ვერ იქნება. ვფიქრობთ, ამ კუთხით (ე.ი. ქართველთა ეთნოგენეზზე საუბრისას) გაცილებით მნიშვნელოვანია ქართველური და ინდოევროპული ენობრივი შეხვედრების განხილვა. მის იბერიულ-კავკასიურთან, ნოსტრატულთან, მედიტერნულთან და სხვა, სავარაუდოდ ასე შორეულ წარსულში არსებულ „ენობრივ რეალობებთან“, მიმართების საკითხს კი ყურადღება მხოლოდ შემდეგ უნდა მივაპყროთ.

ქართველურ–ინდოევროპული პარალელები დიდი ხანია შესწავლის ობიექტია. მას არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნეს: გ. დეეტერსმა, თ. გამყრელიძემ, გ. მაჭავარიანმა, გ. მელიქიშვილმა, გ. კლიმოვმა, ვ. ივანოვმა, ი. დიაკონოვმა და სხვა ცნობილმა მეცნიერებმა. სადღეისოდ, დადგენილია, რომ: საერთო-ქართველური ენობრივი მოდელი უახლოეს სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ პარალელს საერთო-ინდოევროპულ ენობრივ სისტემასთან პოულობს – ფონემათა სიმრავლის დაყოფა საკუთრივ ხმოვანთა, საკუთრივ თანხმოვანთა და სონანტთა ქვეკლასებად ორივე მათგანის ფონოლოგიური სისტემისთვის

არის დამახასიათებელი. ორივე სისტემაში ტიპოლოგიურად იდენტურია სონანტთა კლასისა და საკუთრივ ხმოვანთა კლასის შემადგენლობა. სონანტურ ფონემათა მარცვლოვანი და უმარცვლო ალოფონების გადანაწილების მოდელებიც ქართულსა და ინდოევროპულში დიდ მსგავსებას ამჟღავნებს. ამასთან, მარცვლოვანი სონანტების განვითარება ქართველურში ინდოევროპულ დიალექტებში მათი განვითარების ანალოგიურ სურათს იძლევა. თვალში საცემია, აგრეთვე, ქართველურ-ინდოევროპული სტრუქტურული პარალელიზმი საკუთრივ თანხმოვანთა კლასში. კერძოდ, ხშულ ფონემათა სისტემაში.[6] უნდა ითქვას ისიც, რომ საერთო-ინდოევროპული მორფონოლოგიური სისტემა ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობების მექანიზმით აშკარა ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს მონაცვლეობათა საერთო-ქართველური ენისათვის აღდგენილ მოდელთან. ეს შესაძლებლობას იძლევა ვილაპარაკოთ ქართველურ-ინდოევროპულ მორფონოლოგიურ იზომორფიზმზე, რომლის საფუძველზეც ქართველური და ინდოევროპული საერთო სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ კლასს შეიძლება მივაკუთვნოთ[7]. მსგავსი დასკვნების საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი ამ ენებრივი სისტემების ერთ ოჯახში გაერთიანებას ცდილობს.[8] ზოგიერთი – მათი საერთო წინაპრის არსებობასაც ვარაუდობს.[9] მეცნიერთა უმეტესი ნაწილი კი ამ ენობრივი პარალელების წარმოშობის მიზეზად „პროტოქართული“ და „პროტოინდოევროპული“ ენების გავრცელების

[6] თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბ. 2003, გვ. 546-547.

[7] თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია. თეორიული ენათმეცნიერების კურსი, გვ. 547-548.

[8] ი. მელიქიშვილი. ენათა კონტაქტების თეორია და ქართველურ–ინდოევროპული გენეტიკური ნათესაობის საკითხი. ქართველი ხალხის ეთნოგენეზი. თბ. 2002, გვ. 40.

[9] И. М. Дьяконов. О прародине носителей индоевропейских диалектов. Вестник древней истории. 3. М. 1982, გვ. 20.

არეალის სიახლოვეს მიიჩნევს.[10] ალბათ, აქვე უნდა ითქვას, რომ ისტორიოგრაფიაში დისკუსიის ობიექტია ქართველურს ურთიერთობა რომელიმე ძველ ინდოევროპულ დიალექტთან ჰქონდა თუ თავად „პროტოინდოევროპულ“ ენასთან. მაგალითად, გ. მელიქიშვილი უფრო პირველი მოსაზრების მომხრე ჩანს, თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი კი – მეორესი.[11] ქართულ ისტორიოგრაფიაში იმის დამტკიცების მცდელობასაც კი აქვს ადგილი, რომ ქართულ–ინდოევროპული კავშირები ქართულ–ზანურ და არა „პროტოქართველურ“ დონეზე ხორციელდებოდა.[12]

ისტორიოგრაფიაში ქართველურ-ინდოევროპული ენობრივი კავშირების ფორმირების ისტორიული მიზეზების შესახებ საერთო აზრი არ არსებობს. ამ საკითხზე მსჯელობა, ვფიქრობთ, ქართველთა პირველსაცხოვრისის პრობლემის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების კონტექსტში უნდა განვაზოგადოთ. თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი წიგნში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“, ვარაუდობენ, რომ ისინი ძვ. წ. V-IV ათასწლეულში მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში უნდა წარმოქმნილიყვნენ, სადაც, მათი აზრით, ინდოევროპელების პირველსაცხოვრისი მდებარეობდა („პროტოქართველურის“ თავდაპირველი გავრცელების არეალად გამყრელიძე და ივანოვი მცირე კავკასიონს თვლიან).[13] გ. მაჭავარიანი ქართველურ-ინდოევროპული კონტაქტების ზონად მტკვარ-არაქსის კულტურას მიიჩნევს, რომელსაც იგი ძვ. წ. IV-III ათასწლეულში ორივე ზემოთხსენებული ლინგვისტური ჯგუფის წარ-

[10] ქართველური და ინდოევროპული ენობრივი პარალელების შემთხვევითი ფაქტორებით ახსნის შესაძლებლობა თანამედროვე ეტაპზე გამორიცხულად უნდა ჩავთვალოთ.

[11] თუმც კი ისინი ამ საკითხს პირდაპირ არ აყენებენ.

[12] Р. В. Гордезиани. Кавказ и проблемы древнейших среднеземноморсих языковых и культурных взаимоотношений. Тб. 1975, გვ. 12.

[13] Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов. Индоевропейский язык и Индоевропейцы. Тб. 1984, გვ. 881.

მომადგენლების ადგილსამყოფელად აღიქვამს.[14] განსხვავებული აზრის ჩანს გ. მელიქიშვილი. იგი მტკვარ–არაქსის კულტურას ინდოევროპელების კუთვნილებად თვლის, რომლის მოსახლეობამაც, მოგვიანებით, სამხრეთიდან მოსული ქართული ტომებისთვის სუბსტრატის როლი შეასრულა.[15] გ. კლიმოვს კონტაქტების ეს ზონა კავკასიონის მთავარი ქედის რაიონში გადააქვს.[16] დაახლოებით ასევე იქცევა ი. დიაკონოვიც. იგი ქართველური ენების გავრცელების თავდაპირველ არეალად და მაშასადამე, ქართულ-ინდოევროპული ენობრივი კონტაქტების ზონადაც, მაიკოპის კულტურას მიიჩნევს.[17] აქვე უნდა ითქვას, რომ ქართველი ხალხის თავდაპირველი გავრცელების არეალის შესახებ ისტორიოგრაფიაში ფიგურირებს ჰიპოთეზები, რომლებიც ქართულ-ინდოევროპული ენობრივი შეხვედრების ფაქტს ნაკლებად ითვალისწინებს, რაც, ალბათ, მათ ნაკლად უნდა ჩაეთვალოთ. ასეთი მოსაზრებების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ო. ჯაფარიძისა და მ. ქურდიანის კონცეფციები. ო. ჯაფარიძე თვლის, რომ ქართველთა პირველსაცხოვრისს მტკვარ-არაქსის კულტურა წარმოადგენდა. ქართველურ-ინდოევროპულ ენობრივ შეხვედრებს კი არ შეიძლებოდა ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარზე უადრეს პერიოდში ჰქონოდა ადგილი.[18] მ. ქურდიანი ქართველთა პირველსაცხოვრისში დიდი კავკასიონის სამხრეთი კალთიდან შავ ზღვამდე ტერიტორიას გულისხმობს.[19] ისე რომ მკაფიოდ

[14] Г. Мачавариани. К типологической характеристике обшекартвельского языка - основы. Вопросы языкознания. М. 1966, გვ. 9.

[15] გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ. 1965, გვ. 244.

[16] Г. А. Климов. Об ареальной конфигурации протоиндоевропейского в свете данных картвельских языков. Вестник древней истории. М. 1986, გვ. 158.

[17] И. М. Дьяконов. О прародине носителей индоевропейских диалектов. Вестник древней истории. 3. М. 1982, გვ. 20.

[18] ო. ჯაფარიძე. ქართველი ხალხის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბ. 2003, გვ. 297.

[19] მ. ქურდიანი. საერთო ქართველური თვითსახელწოდების შესახებ. კრებ. „მესხეთი“. ახალციხე. 2000.

არ ხსნის ქართველურ-ინდოევროპული ენობრივი შეხვედრების ჩამოყალიბების მიზეზებს. ქართველების გენეზისის შესახებ ისტორიოგრაფიაში სხვა მოსაზრებებიც არსებობს. ამ კუთხით არ შეიძლება მაგალითად: ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ტ. ფუტკარაძის, რ. თოფჩიშვილის, დ. მუსხელიშვილის, ო. ლორთქიფანიძის და სხვა მეცნიერების მოსაზრებების დავიწყება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მათგანი (მაგალითად ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას კონცეფციები) არქეოლოგიურ მასალას ნაკლებად ითვალისწინებს, ზოგიერთი კი – უფრო ქართველების ისტორიული განსახლების არეალსა და მათ ეთნიკურ ისტორიას ეხება ვიდრე „პროტოქართველურ“ სიძველეებს (ანუ იმ საკითხს, რომლის გაშუქებასაც მიზნად წინამდებარე სტატია ისახავს).

„პროტოქართული“ და „პროტოინდოევროპული“ ენობრივი პარალელების არსებობის ისტორიული მიზეზების შესახებ მოსაზრებების მრავალფეროვნებას და ხშირ შემთხვევაში მათ არადამაჯერებელ ხასიათის რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. საქმე ისაა, რომ ხსენებულ საკითხზე მსჯელობა მჭიდრო კავშირშია ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლოს პრობლემასთან, რომელიც, თავის მხრივ, ასევე სადისკუსიო საკითხია. თანამედროვე ეტაპზე ამ ორი პრობლემის იზოლირებულად განხილვა წარმოუდგენლად გვეჩვენება, ამიტომ ქვემოთ ინდოევროპული ენობრივი სისტემის გენეზისის საკითხსაც უნდა შევეხოთ. ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ ჩვენეული მოსაზრებების ჩამოყალიბება კი მხოლოდ ამის შემდეგ, ინდოევროპეისტიკის მონაცემების გათვალისწინებით უნდა ვცადოთ.

ინდოევროპელების წინარესამშობლოს გეოგრაფიული ლოკალიზაციის საკითხი დიდი ხანია ფართო დისკუსიის ობიექტია. ინდოევროპეისტიკაში, ამ მხრივ, დღემდე ბევრი ჰიპოთეზა ფიგურირებს. თუმცა, თანამედროვე ეტაპზე სერიოზულად მხოლოდ რამდენიმე მათგანი განიხილება. მათ რიც-

ხეში შეგვიძლია დავასახელოთ პალეოლითური უწყვეტობის თეორია (მ. ალინეი); მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც წინარესამშობლოდ ჩრდილოეთ ევროპა განიხილება (ლ. კილიანი, ა. ჰაუსლერი, მ. ზველებილი); თავისი მომხრეები ჰყავს ინდურ ჰიპოთეზასაც (მ. ვიტზელი, კ. ელსტი). ეს კონცეფციები თანამედროვე ეტაპზე დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. თუმცა, არც მთლიანად უარყოფილია. გაცილებით მეტი მომხრე ჰყავს წინარესამშობლოს ბალკანეთ-კარპატებსა (ვ. საფრონოვი, ბ. გორნუნგი, ი. დიაკონოვი, ლ. მაკკაი, გ. დევოტო) და წინა აზიაში ლოკალიზების მხარდამჭერებს. წინააზიურ ჰიპოთეზებს შორის ყველაზე მეტი პოპულარობით კ. რენფრიუს ანატოლიური თეორია სარგებლობს, რომელიც ინდოევროპელების სახელს ნეოლითური მეურნეობის გავრცელებას უკავშირებს (კ. რენფრიუ, ა. დოლგოპოლსკი). შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა ინდოხეთურ (ე. სტურევენანტი, ბ. დარდენი) და გამყრელიძე-ივანოვის კონცეფციებს. მიუხედავად ერთვარი მსგავსებისა, ეს ჰიპოთეზები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცალკეულ ნიუანსებში რენფრიუს თეორია ბალკანურ-კარპატულ ჰიპოთეზებთან ერთად უპირისპირდება პონტიურ-კასპიური თეორიას. ამ უკანასკნელის მიხედვით ინდოევროპელების წინარესამშობლოდ ვოლგა-ურალის სტეპები განიხილება, ხოლო ინდოევროპელების დასავლეთით გავრცელება ბრინჯაოს ხანის მოვლენად არის აღქმული. წინააზიურსა და ბალკანეთ-კარპატულ ბანაკებს შეიძლება მივაკუთვნოთ, აგრეთვე, ე. შერა თავისი ე. წ. „მეორადი სამეურნეო რევოლუციის“ კონცეფციით. იგი ადრე ბრინჯაოს ხანაში ინდოევროპელების ვოლგა-ურალის სტეპებიდან დასავლეთით გადანაცვლების კონცეფციას ანაქრონიზმად თვლის. პონტიურ-კასპიური თეორიის მთავარ მომხრეებად მ. გიმბუტასი, დ. ენტონი, ჯ. მელორი და დ. ადამსი გვევლინებიან. მათთან ახლოს შეიძლება დავაყენოთ ჯ. ნიკოლსიც, რომე-

ლიც თავისი ე. წ. სოგდიანური ჰიპოთეზით ინდოევროპელების აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიგრაციის თეორიის სასარგებლოდ მნიშვნელოვან ლინგვისტურ არგუმენტებს გვთავაზობს.

თუ ზემოთ აღნუსხულ თეორიებს განვაზოგადებთ დავინახავთ, რომ აქ ორ ძირითად მიმართულებასთან გვაქვს საქმე. ერთის მიხედვით „პროტოინდოევროპულის“ ფორმირება ნეოლითის (ან კიდევ უფრო ადრინდელი) ხანის ცენტრალურ-აღმოსავლურ ევროპულ არქეოლოგიურ კულტურებს უკავშირდება. მეორე მხრივ – ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ურალისპირეთის ტერიტორიას. პირველ ბანაკს შეგვიძლია მივაკუთვნოთ კ. რენფრიუს ანატოლიური ჰიპოთეზაც. მაშინ, როცა თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის, ინდო-ხეთური და სხვა წინა აზიური კონცეფციები, მათი ერთგვარი შუალედური პოზიციის მიუხედავად, ვფიქრობთ, მეტ საერთოს მეორე მიმართულებასთან ამჟღავნებენ.

თავიდანვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის საყვებით მიუღებელია კონცეფციები, რომლებიც ინდოევროპელების წინარესამშობლოს ნეოლითურ ევროპას უკავშირებენ. თუნდაც იმიტომ, რომ ქართველურ-ინდოევროპული ენობრივი შეხვედრებს ფორმირების ისტორიულ მიზეზებს ისინი, თუნდაც ნოსტრატული თეორიის ფარგლებში, ძალზე არადამაჯერებლად ხსნიან.[20] არც ენობრივი მეთოდებით „რეკონსტრუქტირებული პროტოინდოევროპული სინამდვილე“ შეესატყვისება ნეოლითური ევროპის არქეოლოგიურ კულტურებს. ამ მხრივ, თუნდაც ის გარემოება რად ღირს, რომ ეს მხარე ვერაფრით მოთავსდება ცხენისა და ბორბლიანი ტრანსპორტის გენეზისის არეალში. მაშინ, როცა კულტურის ეს ორი ელემენტი ცალსახად „პროტოინდოევროპული“ სამყაროს განუყოფელ ნაწილად ითვლება. მის მიხედვით ევროპის არაინდო-

[20] ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისად ი. დიაკონოვის მოსაზრება შეგვიძლია ჩაეთვალოთ.

ევროპელი ხალხების ეთნიკური ისტორიაც არადამაჯერებლად გამოიყურება. გამომდინარე იქიდან, რომ ინდოევროპელების ევროპის ავტოქტონებად გამოცხადება მათთვის ძალზე მცირე გეოგრაფიულ არეალს ტოვებს. ამ კონცეფციების ჩარჩოებში ანატოლიური და თოხარული ენების მერმინდელი გავრცელების არეალში მოხვედრის ისტორიული გზების ახსნაც კრიტიკას ვერ უძლებს.

ასეთი ლოგიკის გაზიარების შემთხვევაში ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის შესახებ ყორღნულ, ინდო-ხეთურ, სოგდიანურ და თ. გამყრელიძე–ვ. ივანოვის კონცეფციებს შორის მოგვიწევს არჩევანის გაკეთება.[21] ყველა მათგანი თავისებურად საინტერესოა. თუმცა, ვფიქრობთ, ისინი ბოლომდე დამაჯერებლად ვერ ხსნიან „პროტოინდოევროპელების“ გენეზისის ყველა საიდუმლოს. პონტიურ-კასპიური (იგივე ყორღანული) თეორიის შემთხვევაში ძნელი ასახსნელია თუ რამ გამოიწვია „პროტოინდოევროპული“ და წინა აზიური სინამდვილის დიდი მსგავსება. თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვის თეორიის არქეოლოგიური სარწმუნო კი ძალზე არადამაჯერებელია. სოგდიანური და ინდო-ხეთური ჰიპოთეზები ბევრ საინტერესო მიგნებას შეიცავენ, მაგრამ ისინი უფრო ლინგვისტური თეორიებია და ერთგვარ შევსება-დაზუსტებას საჭიროებენ.

* * *

„პროტოინდოევროპული“ და „პროტოქართველური“ ენების თავდაპირველი გავრცელების არეალის შესახებ მსჯელობა, ვფიქრობთ, ე. წ. ნოსტრატული თეორიის მიმართ ჩვენი პოზიციის დაფიქსირებით უნდა დავიწყოთ. ამ უკანასკნელის მიხედვით ევრაზიის კონტინენტის ბევრი ენობრივი ოჯა-

[21] ინდური ჰიპოთეზა, ჩვენი აზრით, მეტისმეტად არადამაჯერებელია.

ხი (ინდოევროპული, სემიტური, ქართველური, ურალური, ალთაური, დრავიდული) სათავეს კიდევ უფრო მსხვილი ნოსტრატული „პროტოენიდან“ იღებს,[22] რომლის არსებობასაც მეზოლითურ ეპოქაში (ძვ. წ. XII-VIII ათასწლეულები) ვარაუდობენ. ლინგვისტიკაში ნოსტრატული თეორიის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი მას დიდ ნდობას უცხადებს. მეორე ნაწილი კი – არამეცნიერულად თვლის. ვფიქრობთ, როგორც არ უნდა გადაწყდეს ლინგვისტებს შორის არსებული ეს დავა (თუ კი მისი გადაწყვეტა საერთოდ შეიძლება), ნოსტრატული თეორიის მნიშვნელობა ჩვენთვის მაინც დიდია. გამომდინარე იქიდან, რომ ამ თეორიის ფარგლებში საუბარია ევრაზიის კონტინენტის მხოლოდ ზოგიერთი და არა ყველა[23] ენობრივი ოჯახის განსაკუთრებულ სიახლოვეზე, რაც მათ „პროტოენობრივ ერთობას“ თუ არა მეზოლითის ხანაში მათი წინაპრების განსახლების არეალის ერთმანეთთან სხვა ენობრივ ოჯახებზე მეტ სიახლოვეზე მაინც მეტყველებს. ჩვენს შემთხვევაში ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველური, ინდოევროპული და ურალური ენების სიახლოვის (უფრო სწორედ ინდოევროპულის ერთი მხრივ ქართველურთან, მეორე მხრივ კი ურალურთან სიახლოვის) ფაქტს აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხს, ხშირად, არანოსტრატიკოსი ლინგვისტებიც ეხებიან. ბევრი მათგანი „პროტოინდოევროპულის“ ერთგვარ ნარევ ბუნებასაც უსვამს ხაზს. ეს კი, ალბათ, უფლებას გვაძლევს ინდოევროპელების წინარესამშობლოდ ქართველური და ურალური ენების გავრცელების არეალის შუალედურ ტერიტორიაზე ვეძებოთ.

[22] ნოსტრატული თეორიის შესახებ იხ. A. Bomhard. Indo-European and the Nostratic Hypothesis. Charleston.1996.

[23] მაგალითად ნოსტრატულ ერთობაში არ მოიაზრებიან: ენისეური, მთის კავკასიური, სინო-ტიბეტური და სხვა ენები. უფრო ხშირად აფრაზიული ენებიც დამოუკიდებლ, დაახლოებით ნოსტრატულის ხნოვანების ენობრივ რეალობად აღიქმება.

ამ კონტექსტში, ვფიქრობთ, ლოგიკას არ იქნება მოკლებული, თუ მეზოლით-ნეოლით-ენეოლითის ხანის წინა აზიის ეთნოლინგვისტურ რუკას შემდეგი სახით წარმოვიდგენთ. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ნახურ-დაღესტნური ენების გავრცელების ზონას აღმოსავლეთ კავკასია წარმოადგენდა. ენობრივად მათთან ბევრი საერთოს მქონე (თუ მათ მონათესავე) ხური-ურარტული ენებს კი სამხრეთ კავკასიის ნაწილი, დაახლოებით შულავერ-შომუთეფეს კულტურის გავრცელების არეალი ეკავათ. ისტორიული, არქეოლოგიური და ენათმეცნიერული მონაცემები, ვფიქრობთ, კარგად ადასტურებს ამ პოსტულატს. არქეოლოგიურად დასტურდება, რომ შულავერ-შომუთეფეს კულტურის შექმნაში ჩრდილო–აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში გავრცელებულმა ჩოხის ნეოლითური არქეოლოგიური კულტურის ხალხებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.[24] შულავერ–შომუთეფეს კულტურის გავრცელების ზონა ბრინჯაოს ხანაში, ძირითადად, ემთხვევა მტკვარ–არაქსის კულტურის არარატული ვარიანტის არეალს. ისტორიულ პერიოდში კი ამ მიწებზე ხური-ურარტელი ტომები ცხოვრობდნენ. ლინგვისტურად ხელს არაფერი გვიშლის იგივე ზონა ხური-ურარტული და ნახურ-დაღესტნური ენების დივერგაციისა, თუ კონვერგაციის ადგილად ჩავთვალოთ.[25]

კავკასიის დასავლეთი ნაწილში ნახურ-დაღესტნური ენების მონათესავე აფხაზურ-ადიღეური ენები ვრცელდებოდნენ. მცირე აზიაში კი, ძირითადად, „პროტოხეთურის“ ტიპის ენების არსებობა უნდა ვიგარაუდოთ.[26]

---

[24] ო. ჯაფარიძე. ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხებთან, გვ. 265.

[25] ამ კონტექსტში ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აღმ. საქართველოში მრავლად ეხვდებით ნახურ-დაღესტნურ ტოპონიმებს. მათ აქ არსებობას ბევრი ისტორიკოსი (მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი) ქართველების არაავტოქტონობის დამადასტურებელ არგუმენტად თვლის. ეს კი ავტომატურად იმასაც გულისხმობს, რომ აღმოსავლეთ საქართველოც, თავდაპირველად, ნახურ-დაღესტნური ენების გავრცელების არეალს წარმოადგენდა.

[26] აფხაზურ-ადიღეურისა და „პროტოხეთურის“ ნათესაობას თანამედროვე ეტაპზე დადასტურებულ ფაქტად ვერ ჩავთვლით.

ვფიქრობთ, რომ ე. წ. ნოსტრატული ენების ფორმირებისა, თუ გავრცელების არეალი შედარებით უფრო სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა. ლოგიკას არ იქნება მოკლებული, თუ ვივარაუდებთ, რომ ქართველურს – შუამდინარეთის ჩრდილოეთი, ინდოევროპულს კი ირანის ჩრდილოეთი და შუა აზიის სამხრეთი ნაწილი ეკავათ. ნეოლით-ენეოლითის ხანაში მათ ამუკი–მერსინი, ჰასუნა-ხალაფის (ქართველურს) და ჯეითუნ-ჰისარ კელტემინარული (ინდოევროპულს) კულტურული წრეები წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში სამხრეთ ირანი და ჩრდილოეთ ინდოეთი ბუნებრივად რჩებათ ნოსტრატული ენების სხვა წარმომადგენლებს: დრავიდებსა და ზაგროს-ელამელებს, რომლების ენობრივ სიახლოვეზეც ბევრი იწერება; ცენტრალური აზია კი – ურალელებსა და ალთაელებს; სემიტების ადგილსამყოფელი ქართველურისგან სამხრეთ-დასავლეთით, სირია-პალესტინაში უნდა ვივარაუდოთ. თუმც კი ძალზე რთულად გვეჩვენება მათი საცხოვრისის არქეოლოგიური იდენტიფიცირება, რადგან ნეოლითის ხანის აქაური კულტურული წრეები ე.წ. მედიტერანული თეორიის კონტექსტშიც დიდი მნიშვნელობას ატარებს.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე სტატიაში თავს ვარიდებთ იმის განსაზღვრას თუ რა ისტორიული რეალობა უნდა მოვიაზროთ ნოსტრატული და სხვა აღწერილი ენობრივი სანამდვილეების ქვეშ. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ აქ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ მკაფიო საზღვრების მქონე გაცნობიერებულ ლინგვისტურ ერთობებს. ზემოთ ნახსენებ ტერმინებში (მაგალითად, ქართველურში, დრავიდულში, ინდოევროპულში, ურალურში და ა.შ.) უბრალოდ გეოგრაფიული სივრცეები ივარაუდება, რომლის წიაღშიც, ალბათ უკვე მეზოლითის ხანიდან, ყალიბდებოდა ცალკეული ენობრივი ოზოგლასები, რამაც, საბოლოოდ, ჩვენთვის საინტერესო ენობრივი ოჯახების ფორმირება გამოიწვია. ვფიქ-

რობთ, ნეოლითის ხანაში ეს პროცესი მწარმოებლური მეურნეობის ფორმირებას დიდად უნდა დაეჩქარებინა. ბრინჯაოს ხანაში კი ქართველურსა და ინდოევროპულს იმდენად მკვეთრად გამოხატული სახე უნდა ჰქონოდა, რომ ცალკეულ რაიონებში უკვე მათი ინფილტრაციის შესაძლებლობაზეც შეგვიძლია ვისაუბროთ.

შემოთავაზებული მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში, ბუნებრივია, რამდენიმე საკითხი შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს. კერძოდ: 1) როდის და როგორ გავრცელდა ქართველური ენები თავიანთ ისტორიულ სამყოფელში; 2) როდის და როგორ გავრცელდნენ ევროპაში ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხები; 3) როდის და როგორ გავრცელდა წინა აზიაში ანატოლიური ენები; 4) სად და როგორ ჩამოყალიბდა „პროტოქართველურ-პროტოინდოევროპული“ ენობრივი პარალელები.

1) როდის და როგორ გავრცელდა ქართველური ენები თავიანთ ისტორიულ საცხოვრისში – ქართველური ენების ფორმირების არეალის ჩრდილოეთ შუამდინარეთთან დაკავშირების იდეა ისტორიოგრაფიაში ახალი არ არის. XX საუკუნის I ნახევარში იგი კვლევის წამყვან მიმართულებასაც კი წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში ენობრივი თვალსაზრისით მყარ არგუმენტს ქართველურის შუამდინარულ ენებთან (მაგალითად, შუმერულთან და სემიტურთან) არსებული ენობრივი შეხვედრების ფაქტი წარმოადგენდა.[27] თუმცა, ამ კუთ-

[27] ჩვენს შემთხვევაში ასევე საინტერესოა ქართველურის შუამდინარულ ენობრივ სინამდვილესთან მიმართების საკითხი. სამწუხაროდ, აქაური ტოპონიმიკის შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება, რომელსაც შეუძლია უარყოს, ან დაადასტუროს აღნიშნული ჰიპოთეზა. სამაგიეროდ, ჩვენს ხელთ არის ქართველურ და შუმერულ ენებს შორის არსებული პარალელები, რომლების არსებობასაც ჯერ კიდევ მ. წერეთელმა შენიშნა. ქართველურ და სემიტურ ენებს შორის არსებული სიახლოვე კი კარგად შეიძლება ავხსნათ როგორც ნოსტრატულ, ისე ისტორიულ კონტექსტში. კვლევის ამ მიმართულებების შესახებ არსებული თანამედროვე ტენდენციების შესახებ იხ. Г. А. Климов. Введение в кавказское языкознание. М. 1986.

ხით გამოთქმული ჰიპოთეზები საკმაოდ არადამაჯერებლად აღწერდა ქართველური ტომების კავკასიაში ინფილტრაციის პროცესს გადაჰქონდა რა იგი ძალზე გვიანდელ ისტორიულ პერიოდში. ვფიქრობთ, „პროტოქართველური“ ენის ასაკისა და მისი პროტოინდოევროპულთან კავშირების გათვალისწინებით სავსებით ლოგიკურია ეს პროცესი გვიანნეოლითურ და ადრე ბრინჯაოს ხანას დავუკავშიროთ. ამ პერიოდში (ძვ. წ. V ათასწლეულის მიწურულს და IV ათასწლეულის დასაწყისში) ჩრდილოეთ შუამდინარეთიდან და აღმოსავლეთ მცირე აზიიდან კავკასიის მიმართულებით, რომელიც აფხაზურ-ადიღური ნახურ-დაღესტნური ენების გავრცელების არეალს წარმოადგენდა[28] ხალხთა მნიშვნელოვანი მასა ინაცვლებს. არქეოლოგიურად, ყოველივე ამან გამოხატულება თეფე გაურას (მესოპოტამია), ამუკი (სირია) და განსაკუთრებით არსლან თეფე VII (ანატოლია) ტიპის ძეგლების გავრცელებაში ჰპოვა.[29] ჩანს, სამხრეთიდან ჯერ კიდევ გვიანი ენეოლითის ხანაში უნდა დაწყებულიყო მიგრაციული პროცესები კავკასიის მიმართულებით. ამის არგუმენტად, ამუკი ფაზის დროს, ადრემაიკოპური ტიპის კერამიკის სირიაში გამოჩენა გამოდგება, რომელიც, როგორც ფიქრობენ, თეფე გაურადან უნდა შემოსულიყო.[30] როგორც ჩანს, ეს მიგრაცია შულავერ–შომუთეფეს, სიონს და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებსაც მნიშვნელოვნად შეეხო. ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ და შესაძლოა ცენტრალურ ნაწილში კი მისი (ე. ი. მიგრაციის) წყალობით მაიკოპის კულტურა ჩამოყალიბდა.

[28] აფხაზურ–ადიღეური ჯგუფების განსახლების არეალი ადრებრინჯაოს ხანაში, ალბათ, ნაწილობრივ, დასავლეთ საქართველოსაც მოიცავდა. სხვაგვარად ძნელია აეხსნათ აქ აფხაზურ–ადიღეური ტოპონიმიკის არსებობა და მისი ენობრივი კავშირები პროტოხეთურთან.

[29] ო. ჯაფარიძე. ქართველი ხალხის ეთნოგენეზის სათაყვებთან, გვ. 277.

[30] ო. ჯაფარიძე. ქართველი ხალხის ეთნოგენეზის სათაყვებთან, გვ. 277–278.

აქვე შეიძლებოდა გვესაუბრა, თუ რამდენად არის შესაძლებელი ქართველთა მერმინდელ განსახლების ტერიტორიაზე მაიკოპის კულტურის კონტინიუმის დანახვა. თუმცა, ვფიქრობთ, ამის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან მაიკოპის კულტურის სიახლოვე დასავლეთ ქართულ არქეოლოგიურ სინამდვილესთან საკმაოდ დადასტურებულ ფაქტად ითვლება.

2) როდის და როგორ გავრცელდნენ ევროპაში ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხები – შემოთავაზებული მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში, ბუნებრივია, ალტერნატიულ ახსნას ევროპაში ინდოევროპული ენების გავრცელების საკითხი საჭიროებს. ამ მხრივ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, თუ ყურადღებას ურალის სტეპების „ნეოლითიზების“ (ე.ი. აქ მწარმოებლური მეურნეობის გავრცელების) პროცესზე გავამახვილებთ. ქრესტომატიული ჭეშმარიტებაა, რომ ქვეყნის ამ ნაწილში მწარმოებლური მეურნეობის გავრცელება მხოლოდ სამი შესაძლო ცენტრიდან: დუნაისპირეთ–ბალკანეთიდან, კავკასიიდან და სამხრეთ შუა აზიიდან წამოსული იმპულსების საშუალებით შეიძლებოდა მომხდარიყო[31]. ნეოლითისა და ენეოლითის ხანაში კავკასიის სტეპებთან კონტაქტები არ დასტურდება. იგივეს ვერ ვიტყვით სამხრეთ შუა აზიის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ინდოევროპეისტიკის საკითხებზე მსჯელობისას ურალისპირეთისა და სამხრეთ შუა აზიას შორის არსებულ ამ კავშირებს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ როგორც მეზოლითის, ისე ნეოლითისა და ენეოლითის პერიოდში ეს რეგიონები ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული.[32] არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სტეპების ათვი-

[31] E. Kuzmina. Origins of Pastoralism in the Eurasian Steppes. Prehistoric Steppe Adaptation and the Horse. Ed. by M. Levine, C. Renfrew, K. Boyle. 2003, გვ. 203.

[32] ამ საკითხის შესახებ იხ. В. Н. Даниленко. Неолит Украины. Киев, 1969. გვ. 181; Энеолит СССР. отв. ред. В. М. Массон, Н. Я. Мерперт. М. 1982, გვ. 327-328.

სებასა და იქ ნომადური მეურნეობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი მეცხვარეობის კულტურამ შეასრულა. ცხვარი კი, ისევე როგორც თხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ურალის სტეპებსა და მის მიმდებარე მხარეებში ბუნებრივი სახით არ ბინადრობდა.[33] ძალზე ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ იგი აქ სამხრეთ კასპიისპირეთიდან გავრცელდა, რომელიც მისი დომესტიკაციის ერთ–ერთ უძველეს კერას წარმოადგენდა.

რა თქმა უნდა, ჩვენ სრულიადაც არ გვსურს ვოლგა-ურალის სტეპების „ნეოლითიზების“ პროცესზე საუბრისას დუნაი-ბალკანეთის კერის მნიშვნელობის დაკნინება. აქ, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბება ურალისპირეთსა და მის აღმოსავლეთ ნაწილში, ძირითადად მაინც სამხრეთ შუა აზიური გავლენების შედეგად მოხდა[34]. ინდოევროპული „კილოკავების“, უფრო სწორად მისი არაანატოლიური და არათოხარული ნაწილის ევროპაში გავრცელებაც ხსენებული მიმართულებით ეთნიკური და კულტურული დიფუზიის შედეგად მიგვაჩნია. ამ მხრივ ჩვენი პოზიცია განსხვავდება პონტიურ-კასპიური თეორიების მომხრეებისგან, რომლებიც ქვეყნის ამ ნაწილის ინდოევროპიზირების პროცესს უფრო დასალეთიდან წამოსულ იმპულსებს უკავშირებენ. ვფიქრობთ, რომ საკითხისადმი ჩვენეული მიდგომა ნ. დანილენკოს შემოთავაზებული არქეოლოგიური არგუმენტებისა[35] და ჯ. ნიკოლსის ლინგვისტური დასკვნების[36] ურთიერთდა-

[33] G. Matyuishin. Problems of Inhabiting Central Eurasia. Mesolithic–Eneolithic Exploitation of the Central Eurasian Steppes Prehistoric Steppe Adaptation and the Horse, გვ. 375.

[34] განსხვაებული პოზიცია შეიძლება ეიქონიოთ ვოლგისპირეთთან მიმართებაში.

[35] В. Н. Даниленко. Энеолит Украины. Киев. 1974.

[36] J. Nichols. The Epicentre of the Indo-European Linguistic Spread. Archaeology and Language. Ed. R. Blench and M. Spriggs. London. 1997, გვ. 122-148.

კავშირების საინტერესო საშუალებას იძლევა.

აქვე გვსურს, აღვნიშნოთ, რომ პონტიურ–კასპიური თეორიები, ვფიქრობთ, სხვა შესწორებებსაც საჭიროებს. ეს, პირველ რიგში, ევროპაში მათ მიერ შემოთავაზებული ინდოევროპული ჯგუფების დისტრიბუციის სქემებს ეხება.[37] თუმცა, იმასაც გავიმეორებთ, რომ ისინი ევროპის „ინდოევროპიზირების“ საკითხზე საუბრისას ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე ევროპაში ინდოევროპელების გავრცელების ბალკანურ-კარპატული, ანატოლიური და მით უმეტეს ჩრდილოევროპული მოდელები.

3) როდის და როგორ გავრცელდნენ წინა აზიაში ანატოლიური ენები და 4) სად და როგორ ჩამოყალიბდა „პროტოქართველურ-პროტოინდოევროპული“ ენობრივი პარალელეები – მიგვაჩნია, რომ ანატოლიელების წინა აზიაში გავრცელება მტკვარ-არაქსის არქეოლოგიურ კულტურას უკავშირდება. სადღეისოდ, რა თქმა უნდა, მტკვარ-არაქსის კულტურის გენეზისში სამხრეთ შუა აზიიდან და ჩრდილოეთ ირანიდან მოსული ელემენტის მონაწილეობა დადასტურებულ ფაქტად ვერ ჩაითვლება,[38] მაგრამ, ვფიქრობთ, რამდენიმე გარემოებაზე ყურადღების გამახვილებამ, ამ თვალსაზრისით, შესაძლოა კვლევის საინტერესო პერსპექტივები გვიჩვენოს. კერძოდ:

ა) მტკვარ-არაქსის კულტურით კავკასიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანა იწყება, რასაც წინა აზიაში მნიშვნელოვანი კულტურული, სამეურნეო და, შესაძლოა, ეთნოლინგვისტური ცვლილებები მოსდევს. მათი კვალი

[37] ამ საკითხის შესახებ იხ. ნ. სილაგაძე. ჰალსტატის არქეოლოგიური კულტურის გენეზისის პრობლემა. საისტორიო ვერტიკალები. თბ. 2008, გვ. 14-19.

[38] ჩრდილოეთ ირანის ტერიტორია არქეოლოგიური თვალსაზრისით ბოლომდე შესწავლილი არ არის. იგივე შეიძლება ითქვას ქვეყნის ამ ნაწილის არქეოლოგიური ძეგლების კავკასიური მასალების კონტექსტში განზოგადების შესახებ.

აშკარად ეტყობა ძვ. წ. IV ათასწლეულის არქეოლოგიურ მასალას. კერძოდ, ხალხთა მნიშვნელოვანი ტალღა ინაცვლებს სამხრეთ შუა აზიიდან ურალისპირეთის მიმართულებით. თავის მხრივ, სამხრეთელი მიგრანტები სამხრეთ შუა აზიაში მოდიან, რაც აქ ანაუს კულტურის ფორმირების საფუძველი ხდება.[39] ამავე პერიოდში კავკასიაში ვრცელდება ლეილა თეფეს ტიპის ძეგლები და სამხრეთიდან ჩრდილოეთით ხალხთა მნიშვნელოვანი ნაკადი ინაცვლებს, რომელმაც მაიკოპის კულტურის ფორმირება გამოიწვია.[40] არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩნდებიან შუმერები სამხრეთ შუამდინარეთში. არ არის გამორიცხული, რომ მათი გადაადგილებაც რაიმე ფორმით ზემოთ ხსენებულ მოვლენებს უკავშირდებოდეს. ინდოევროპული (ანატოლიური) „კილოკავების“ დასავლეთით გავრცელებაც, ვფიქრობთ, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ხაზს ვუსვამთ, რომ ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი არაა, განვსაზღვროთ ინდოევროპული „კილოკავების“ დასავლეთით გავრცელებას მიგრაცია, თუ რომელიმე სხვა ლოგიკური კულტურულ-ისტორიულ პროცესები სდევდა თან;

ბ) ხეთების მცირე აზიაში ყოფნა მხოლოდ ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულიდან დასტურდება.[41] ამავე პერიოდს ემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის დაცემა. ჩანს, რომ მისი მოსახლეობა ნაწილობრივ ჩრდილოელი მეზობლების, ნაწილობრივ კი კლიმატური პირობების გაუარესების გამო მა-

[39] Х. Юсупов. Страницы Истории Туркменистана. С древнейших времен до арабского завоевания. М. 1997, გვ. 24-26.

[40] ო. ჯაფარიძე. ქართველი ხალხის ეთნოგენეზის სათავეებთან, გვ. 277-278.

[41] ხეთოლოგებს ძალზე უჭირთ ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში მცირე აზიაში ინდოევროპელი ხეთების გავრცელების დამადასტურებელი არქეოლოგიური მონაცემების პოვნა. ინდოევროპელების წინარესამშობლოს ცენტრალურ, ან აღმოსავლეთ ევროპაში განთავსების თეორიის პოპულარობა მათ მათი ევროპიდან ბალკანეთის, ან კავკასიის გზით მიგრაციის მარშუტის დახაზვას აიძულებს. ასეთი თეორიები, როგორც წესი, ძალზე არადამაჯერებლად გამოიყურება.

სობრივად ტოვებს განსახლების ძველ ადგილებს.[42] სწორედ ეს ხდება სირიაში კირბეთ-კერაკის კულტურის გენეზისის მიზეზი. ხომ არ უნდა ვეძებოთ ანატოლიელების მცირე აზიაში გავრცელების ისტორიული საფუძველი ამ მოვლენების კონტექსტში? საკითხის შესახებ დააახლოვებით ასეთივე ხედვას გვთავაზობენ ჯ. მელაარტი და ლ. ვული. ამდენად, მტკვარ–არაქსის კულტურის კულტურის შიდა ქართლური ვარიანტის ინდოევროპელი ხეთების კუთვნილებად ცნობის შემთხვევაში, ვფიქრობთ, მათი ანატოლიაში მიგრაციის პრობლემისაც ეფექტურად გადავჭრით.

გ) ყურადღება უნდა მივაქციოთ წინა აზიაში შინაური ცხენის გავრცელების პრობლემასაც. ცხენი და ბორბლიანი ტრანსპორტი ინდოევროპეისტიკაში „პროტოინდოევროპული“ სინამდვილის განუყოფელ ნაწილად ითვლება. ბევრი არქეოლოგი თვლის, რომ მტკვარ-არაქსის მოსახლეობა ცხენს იცნობდა[43] ჯერ კიდევ მაშინ, როცა მას არ ჰქონდა საშუალება კულტურის ეს ელემენტი სტეპებთან კავშირების შედეგად აეთვისებინა. ახალი მონაცემებით[44] ასევე იკვეთება, რომ ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე შინაური ცხენი შესაძლოა ძვ. წ. IV ათასწლეულში, ან კიდევ უფრო ადრეულ პერიოდში ვრცელდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ წინა აზიის სხვა მხარეებში ამ მხრივ განსაკუთრებულ მასალებს ვერ ვხვდებით. თუ გავიხსენებთ ზემოთ უკვე აღნიშნული შუა აზიის ტრადიციულ კავშირებს ურალის სტეპებთან, რომელიც ცხენის მოშინაურების უძველეს კერად ითვლება და გავიხსენებთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ცხენის მოშინაუ-

[42] ო. ჯაფარიძე. ქართველი ტომების ეთნო–კულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში. თბ. 1998, გვ. 170–174.

[43] ო. ჯაფარიძე. ქართველი ტომების ეთნო–კულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში. თბ. 1998. გვ. 108-109.

[44] M. Mashkour. Equids in the Northern Part of the Iranian Central Plateau from the Neolithic to Iron Age. New Zoogeographic Evidence. Prehistoric Steppe Adaptation and the Horse. Ed. by M. Levine, C. Renfrew, K. Boyle. 2003, გვ. 129-139.

რება იმ ზოლში უნდა მომხდარიყო, რომელშიც შინაური ცხვარი იყო გავრცელებული,[45] ვფიქრობთ, ჩვენს წინაშე ძვ.წ. IV ათასწლეულში შინაური ცხენის გავრცელების საინტერესო არეალი გამოიკვეთება, რომელიც ძალზე უახლოვდება ჩვენ მიერ ინდოევროპულ სივრცედ აღქმულ ტერიტორიას;

დ) ვფიქრობთ, ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა წინა აზიასთან სუსტ კავშირებს ამჟღავნებს (განსხვავებით რეგიონში მისი წინამორბედი არქეოლოგიური კულტურებისგან) მაშინ, როცა მისი ჩრდილოელი მეზობელი მაიკოპის კულტურა ამ მხრივ საკმაოდ დაწინაურებული ჩანს. ხომ არ არის ეს მტკვარ-არაქსის კულტურის შექმნაში არაადგილობრივი ელემენტის მონაწილეობის არგუმენტი?

მაშასადამე, გამოდის, რომ ქართველების პირველსაცხოვრისი შუამდინარეთის ჩრდილოეთ და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ინდოევროპელების თავდაპირველი გავრცელების არეალს კი ჩრდილოეთ ირანი და სამხრეთ შუა აზია წარმოადგენდა. ამ გეოგრაფიულ არეალებში, ჯერ კიდევ მეზოლითის ხანაში, უნდა დაწყებულიყო ქართველურისა და ინდოევროპულის დამოუკიდებელი ლინგვისტური მახასიათებლების ჩამოყალიბება. ეს პროცესი დიდად უნდა დაეჩქარებინა წინა აზიაში მწარმოებლური მეურნეობის გავრცელების პროცესს. გამომდინარე იქიდან, რომ მისი წყალობით ნეოლით-ენეოლითის ხანაში მსხვილი კულტურული წრეები ჩამოყალიბდა. ქართველური ენები ამუკიმერსინისა და ჰასუნა-ხალაფის კულტურების გავრცელების არეალში მოექცნენ. ინდოევროპელების საცხოვრისში კი ჯეითუნისა და ჰისარის არქეოლოგიური კულტურები ჩამოყალიბდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ბრინჯაოს ხანის დასაწყისში ქართველურსაც და ინდოევროპულსაც უკვე საკმაოდ მკა-

[45] Encyclopedia of Archaeology. Ed. D. M. Pearsall. Vol. 1. 2008, გვ. 441-442.

ფიოდ გამოკვეთილი სახე უნდა ჰქონოდა. ბრინჯაოს ხანაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს სოციალურ და ეკონომიკურ ძვრებს, რომლებმაც არქეოლოგიურად ასახვა ბრინჯაოს ხანის კულტურების ფორმირებაში ჰპოვეს, ვფიქრობთ, ენობრივი თვალსაზრისით ინდოევროპელების ანატოლიური ფრთის დასავლეთით გავრცელება და „ქართველების“ კავკასიაში ინფილტრაცია უნდა მოჰყოლოდა შედეგად. ჩრდილოეთით გავრცელებულმა ქართველურმა ტომებმა მაიკოპის კულტურა შექმნეს. ანატოლიელმა ინდოევროპელებმა კი – მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლურ ვარიანტს დაუდეს სათავე. მაშინ, როცა ამ არქეოლოგიური კულტურის არარატული ვარიანტი ხური-ურარტული ენების გავრცელების არეალს წარმოადგენდა.

მოვლენათა ასეთი ლოგიკის გაზიარების შემთხვევაში ქართველურ-შუმერული და ქართველურ-სემიტური ენებრივი პარალელების გენეზისისათვის ისტორიული სარჩულის მოძებნა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. „პროტოქართველურ-პროტოინდოევროპული“ პარალელების ახსნა კი ორი შესაძლო ვარიანტის ფარგლებში შეიძლება: 1) თუ ნოსტრატული, ან „პოსტნოსტრატული“ თეორიის ფარგლებში ქართველურისა და ინდოევროპულის შორეულ ნათესაობას ვირწმუნებთ; 2) შეგვიძლია ასევე ჩავთვალოთ, რომ „პროტოქართველური“ და „პროტოინდოევროპული“ ენობრივი სისტემების სიახლოვე მაიკოპისა და მტკვარ-არაქსის კულტურის პირობებში ქართველთა და ინდოევროპელთა მეზობლობამ განაპირობა.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ასეთ შემთხვევაში ქართველურ–ინდოევროპული ენობრივი შეხვედრების ისტორიის კიდევ ერთი მომენტის ახსნა შეიძლება. საქმე ისაა, რომ „პროტოქართულ“ ენას კონტაქტები უჩანს სადღეისოდ ჩვენთვის უცნობ რომელიღაც ინდოევროპულ ენასთან, რომელიც ყველაზე მეტ სიახლოვეს ინდოევროპული ოჯახის ბალ-

ტიურ–სლავურ–გერმანიკულ ფრთასთან ამყღავნებს.[46] „პროტოქართულის“ გავრცელების არეალად მაიკოპის კულტურის გამოცხადების შემთხვევაში კი ქართველთა მეზობლად ამ ჯგუფის ინდოევროპელების არსებობის შესაძლებლობაც ადვილი შესაძლებელია, რადგან ძვ. წ. III ათასწლეულში სამხრეთ რუსეთის სტეპებში და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ინდოევროპელები უკვე ფართოდ იყვნენ გავრცელებული.

დასასრულ, საჭიროა, კიდევ ორ მნიშვნელოვან საკითხს შევეხოთ. ვფიქრობთ, ახსნას საჭიროებს, თუ რატომ არ ვიყენებთ ზემოთ ფიზიკური ანთროპოლოგიისა და მოლეკულური ბიოლოგიის მონაცემებს და რა დამოკიდებულება გვაქვს ქართველურის იბერიულ-კავკასიურ, ბასკურ და მედიტერანულ ენობრივ სინამდვილეებთან მიმართების საკითხზე.

დაუფარავად გვსურს აღვნიშნოთ, რომ ეთნოგენეზის საკითხებზე საუბრისას ფიზიკური ანთროპოლოგიისა და მოლეკულური გენეტიკის[47] მონაცემებს ნაკლებ ნდობას ვუცხადებთ. მიუხედავად იმისა, რომ ლ. კავალი–სფორცას, ა. ამორიმის, დ. რანგს და სხვა მკვლევარების წყალობით, ბოლო ხანებში, ამ მხრივ, საკმაოდ საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა.[48] საქმე ისაა, რომ ძველი მსოფლიოსა და შუა საუკუნეების ისტორიის ეთნიკური პროცესების დინამიკის კანონზომიერებების თვალის მიდევნება გვარწმუნებს, რომ ამ პერიოდში არ დასტურდება რომელიმე ჯგუფის მიერ ჯგუფის X ტერიტორიაზე სრული ჩანაცვლების ფაქტი. იმ შემთხვევაშიც კი, როცა რეგიონში ლინგვისტური და პოლიტიკური ლანდშაფტი რადიკალურად იცვლებოდა, მოსული ელემენტი

[46] გ. მელიქიშვილი. ქართველები და მათი წარმომავლობის საკითხი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1970, გვ. 346-352.

[47] ამ დარგის მნიშვნელობა განსაკუთრებით XX საუკუნის II ნახევარში გაიზარდა.

[48] L. Stone, P. Lurquin. A Genetic and Cultural Odyssey. New York. 2005, გვ. 125-127.

უმეტესად „სუპერსტრატულ უმცირესობას“ წარმოადგენდა. მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება: რომის იმპერიის შემდგომი ხანის ე.წ. „ბარბაროსული სახელმწიფოების“, აღმოსავლეთ ევროპის თურქული გაერთიანებების, სპარტული და კელტური საზოგადოებების სახით. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ევრაზიის ძალიან ბევრი რეგიონი (თუ ყველა არა) არქეოლოგიური თვალსაზრისით უწყვეტი განვითარების სურათს იძლევა. ეს გარემოება ასაზრდოებს ინდოევროპელების წინარესამშობლოს შესახებ პალეოლითური უწყვეტობისა და ჩრდილო–ევროპული თეორიების მსგავსი ჰიპოთეზების მომხრეებს. ეს გარემოება, ვფიქრობთ, ფიზიკური ანთროპოლოგიისა და მოლეკულური გენეტიკის მონაცემებსაც მნიშვნელოვან კვალს დააჩენს. რა თქმა უნდა, ძნელია უარვყოთ ამ დარგების მნიშვნელობა, როცა საქმე ზედა პალეოლითურ და მეზოლითურ პერიოდებს ეხება, მაგრამ ნეოლითსა და მის შემდგომ პერიოდში ამ თვალსაზრისით უფრო თავშეკავებული მსჯელობა გვმართებს.

ქართველურისა და იბერიულ-კავკასიურის (ანუ აფხაზურ-ადიღურისა და ნახურ-დაღესტნურის) შესახებ მსჯელობისას კი, სამწუხაროდ, ღიად მოგვიწევს დავტოვოთ საკითხი: ქართველური და იბერიულ-კავკასიური ენები ოდესღაც „პროტოენას“ წარმოადგენდნენ (ქართველური შემდეგ აღმოჩნდა ენათა ნოსტრატულ წრეში), თუ ასეთ ერთობას რეალურად ადგილი არასოდეს ჰქონია. აქ საბოლოო სიტყვა ლინგვისტებს ეკუთვნით. ჩვენი მხრივ კი მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ქართველური და იბერიულ-კავკასიური ენების სიახლოვე თავისუფლად შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ მაიკოპის კულტურის გავრცელების არეალში მთის კავკასიურმა ენებმა სამხრეთიდან მოსული ქართველური „სუპერსტრატისთვის“ „სუბსტრატის“ როლი შეასრულეს.

შემოთავაზებული მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში, ვფიქრობთ, ქართველურ-მედიტერანული და ქართველურ-ბას-

კური ენობრივი სიახლოვის ჩამოყალიბების ისტორიული მიზეზების შესწავლის თვალსაზრისითაც საინტერესო დასკვნების გაკეთება შეიძლება. თუმცა, ამ საკითხზე მსჯელობა დამოუკიდებელი კვლევის ობიექტად მიგვაჩნია.

ჩამოყალიბებული თეორია, ჩვენი აზრით, ქართველთა პირველსაცხოვრისის გეოგრაფიული ლოკალიზაციის საკითხისათვის მნიშვნელოვან ყველა საკვანძო საკითხს ითვალისწინებს. ამ კუთხით შემდგომმა კვლევებმა კი, შესაძლოა, უფრო საინტერესო დასკვნებამდეც მიგვიყვანოს.

Nikoloz Silagadze

TOWARDS THE QUESTION OF THE GEORGIAN ETHNOGENESIS

Summary

The article concerns about issues of the localization of the first spread of the Georgian languages. We discuss the interrelation of the Georgian languages with the Indo-European, Ibero-Caucasian and Nostratic languages.

The article provides conclusion that in the epoch of Neolithus and Eneolithus the area of dissemination of the Georgian languages might had been the Northern Mesopotamia and the East of Asia Minor. During the Early Bronze age they (Georgian speaking population) shifted to the direction of the Northern Caucasus, towards the area of Maykop Culture.

The hypothesis which is stated in our article is generalization on the basis of the most important linguistics and archaeological issues.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

ანდრო გოგოლაძე, თემურ თოდუა

ალექსანდრე მაკედონელი და კავკასია
(ბერძნულ-ქართული წყაროების შედარებითი ანალიზი)

ქართულ ისტორიულ მწერლობაში ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის ამბავი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში და ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ გვხვდება. მეცნიერთა ნაწილს ეს ისტორია ალექსანდრეს შემდგომი ისტორიკოსების თხზულებებში გაჩენილი ამბების გამოძახილად მიაჩნია. ქართველ მემატიანეთა ეს ცნობები ასევე იდეოლოგიურ-პოლიტიკურ და საკრალურ დატვირთვას შეიცავს – ალექსანდრესთან, უკვე ლეგენდად ქცეულ „უსწორო დიდ ხელმწიფესთან“ დაეკავშირებინათ ქართული სახელმწიფოს გენეზისი, მისი მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში შობილი ქართლის სამეფოს ფორმირების პროცესი.

ალექსანდრე მაკედონელის თავგადასავალი მისმა თანამედროვე თუ მომდევნო ხანის მრავალმა ისტორიკოსმა, სახელმწიფო მოხელემ თუ თანამებრძოლმა აღწერა. მისი საგმირო საქმეები იმდენად პოპულარული იყო, რომ ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში დაიწყეს ალექსანდრეს ცხოვრების ზღაპრული ფერებით შემოსვა. ამ ლეგენდარულმა ვერსიებმა მოგვიანებით შვეს რომანი, რომელიც ისტორიაში „ალექსანდრიანის“ სახელწოდებით არის ცნობილი. მისი ავტორი უცნობია და პირობითად მას ფსევდოკალისთენეს უწოდებენ.

რომანის შექმნის დროდ II-III საუკუნეებს მიიჩნევენ. რომანის უძველესი ხელნაწერი III საუკუნის ლათინური ორიგინალია, რომელიც ეკუთვნის იულიუს ვალერიანეს.[1]

„ალექსანდრიანი" მრავალ ენაზე ითარგმნა, მათ შორის ქართულადაც, მაგრამ მის უძველეს ქართულ ვერსიას ჩვენამდე არ მოუღწევია. მეცნიერთა ვარაუდით, ქართული ვერსია IX საუკუნით თარიღდება. გვაქვს მოგვიანო ხანის თარგმანი, რომელიც XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე უთარგმნია არჩილ მეფეს, ხოლო არჩილისეული „ალექსანდრიანი" გაულექსავს პეტრე ჩხატარაიძეს. ეს ქართული თარგმანი სერბულ-რუსული ვარიანტიდან არის გადმოღებული. თვით სერბული ვარიანტის წყარო კი ბერძნული დედნის ტექსტი იყო. სავარაუდოდ, ქართული თარგმანი, რომანის ერთ-ერთ უძველეს ვერსიას ეკრდნობა. ბერძნული ორიგინალის ეს ვერსია, XIII-XIV საუკუნეების ხელნაწერი, დაკარგულია, თუმცა შემორჩენილია რომანის სხვა ხელნაწერები, რომლებიც უფრო ადრინდელ ხანას, ფაქტობრივად მისი შექმნის ახლო პერიოდს განეკუთვნება. ისინი IV-VIII საუკუნეებით თარიღდება. საერთოდ, ძველ ბერძნულ ენაზე ცნობილია ამ რომანის ექვსი ხელნაწერი.[2]

რომანი აღწერს ალექსანდრე მაკედონელის თავგადასავალს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, საფუძვლად მთავარი გმირის გარშემო შექმნილი მრავალი ისტორიული, ფოლკლორული თუ ლეგენდარული სიუჟეტით. სწორედ „ალექსანდრიანში" განვითარებულ ერთ-ერთ სიუჟეტს მიიჩნევენ მეცნიერები „მოქცევაჲს" მატიანისა და ლეონტი მროველის წყაროდ – ალექსანდრეს ლაშქრობის შესახებ ქართლში და ზოგადად

[1] ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბ. 1949, გვ. 230-231; ალექსანდრიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რ. მირიანაშვილმა. თბ. 1980, გვ. 3-5.

[2] ალექსანდრიანი, გვ. 7-9; ვ. ვაშაკიძე. მეფეთა ცხოვრება და ბერძნული ალექსანდრიანი. კრ. „ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები". თბ. 1991, გვ. 39-40.

კავკასიაში. კ. კეკელიძის აზრით, რომანში აღწერილი ამბავი, ალექსანდრეს მიერ ველურ ხალხთა განდევნისა და ჩრდილოეთის მთებში გადარეკვის, მათი იქ შემწყვდევის ისტორია საფუძვლად დაედო ქართულ წყაროებში ჩვენთვის კარგად ნაცნობ ისტორიებს, აქ ალექსანდრეს მიერ ხორცისმჭამელი და უწმინდური ხალხების დამარცხების შესახებ. ს. ყაუხჩიშვილი ვარაუდობს, რომ რომანში კავკასიის გაჩენა მოდის თვით ალექსანდრეს ავტორებისგან, რადგან მათ ინდოეთში ლაშქრობის ამბავი შეცდომით დააკავშირეს ალექსანდრეს მიერ კავკასოსის მთების გადალახვასთან. აქედან რომანის ზოგიერთ ვერსიაში გაჩნდა კავკასიის მხარეები, როგორც ალექსანდრეს დაპყრობილი ადგილები. თ. ყაუხჩიშვილი ეთანხმება ამ ვერსიებს და აღნიშნავს, რომ „ალექსანდრიანი“ დაედო წყაროდ ქართველი მემატიანეების ცნობებს.[3] ქართული და ბერძნული თხზულებების ტექსტოლოგიური შედარებების საფუძველზე ვ. ვაშაკიძე ასკვნის, რომ ლეონტი მროველი სარგებლობდა „ალექსანდრიანის“ იმ ხელნაწერით, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში J რედაქციით არის ცნობილი.[4]

უნდა აღინიშნოს, რომ „ალექსანდრიანს“ ადრეული ხანებიდანვე იცნობდა ძველი ქართული მწერლობა. რომანის ფრაგმენტების კვალი მართლაც ჩანს ქართულ წყაროებში. კერძოდ, ჩვენს მიერ დასახელებული თხზულებების გარდა, რომანს იცნობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და უამთააღმწერელი. რომანის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში ლაშქრობის მარშრუტი ზოგადად ასე-

[3] კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. I. თბ. 1951, გვ. 219; ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბ. 1949, გვ. 232-235; თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. V. თბ. 1983, გვ. 148-150; ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. VIII. თბ. 1977. გვ. 114-115.

[4] ვ. ვაშაკიძე. მეფეთა ცხოვრება და ბერძნული ალექსანდრიანი. მეცნიერებაში მიღებულია რომანის ძველი ბერძნული ტექსტის ექვსი რედაქცია და მათ აღნიშნაენ შემდეგნაირად: α, β, γ, δ, λ, ε. ვერსიები. გვ. 39, 44-45.

თია: სპარსეთი – მეფე ჰერაკლეს (ირაკლის) და სემირამიდა დედოფლის სამეფო; მაკირინიის ჭალაკნი – ბრაჰმანთა და ნეტართა სამყოფელი, მათი მბრძანებელის იოვანთეს (იოვანეს, რუსულ ვერსიაში – Ивант) სამყარო, სამოთხის კარი (იქიდან გამომავალი ოთხი მდინარით: გეონი, ფისონი, ტიგროსი და ევფრატი) – ზღაპრული ადამიანებით, ცხოველებით, უკვდაების წყლებით სავსე სამყარო. აქედან ექვსი დღის სავალზე ინდოეთის საზღვარი – მეფე პორის სამეფო, რომელსაც ამარცხებს ალექსანდრე პირისპირ შებმაში; შემდეგ მაზიანეს (ამაძონების) ქვეყანა, ამაზინის დედოფალ კლითევრას საბრძანებელი; აქედან აღმოსავლეთით მერსილონის ქვეყანა, სადაც მეფობდა ევრიმინთე. სწორედ ევრიმინთეს დამარცხების შემდეგ შეშინდნენ ურწმუნო წარმართები და ალექსანდრემ დევნა ისინი ჩრდილოეთის კიდემდე: „წარმართთა მათ ურწმუნოთა მის კიდისსაგანთა სდევნა მათ, ვიდრე მაღალთა და დიდთა მთამდე, რომელთაცა ბორცვნი ჩრდილოეთისანი ეწოდებოდიან“. როგორც რომანშია აღწერილი, ეს ტომები ალექსანდრემ შეჰყარა მთებში, ღმერთების დახმარებით ჩაკეტა ისინი იქ, გააკეთა დიდი სპილენძის კარი, წაუსვა ჯადოსნური წამალი, რომელსაც არც ცეცხლი ეკარებოდა და არც რკინა.[5]

ამ კარს არჩილისეულ თარგმანში კადსპიდნი, სერბულის უძველეს რუსულ თარგმანში, რომელიც XV საუკუნით თარიღდება Врата аспидеска[6] ეწოდება. აღნიშნულ ამბავს თან ახლავს ჩამონათვალი წარმართი ხალხებისა და ამ სიას ძველი აღთქმის, წინასწარმეტყველებების და გამოცხადებების კვალი ადევს. ისინი მოხსენიებულნი არიან გოგისა და მაგოგის ხალხებად. ქართულ ტექსტში მათი ჩამონათვალი ასე-

[5] ალექსანდრიანი, გვ. 143-144.

[6] Александрия, Роман об Александре Македонском по русской рукописи XV века. издание подготовили М. Н. Ботвинник, Я. С. Лурье и О. В. Творогов. М-Л. 1965, გვ. 55, 120.

თია: ღოღთი და მაღოღთი, ნაღოსნი, აღასიე, ზანიხი, აჳარნესი, თითიე, ანეჳი, ფარ'ხანი, კლემიადი, ზანერითი, თეინანი, მართიანი, ხომონი, კენიანეი, სალათარი.[7]

ბერძნულ ტექსტში გოგისა და მაგოგის ხალხები მონღოლებთან და გოთებთან არიან დაკავშირებულნი. ამ ჩამონათვალშია ქალდეველები. რუსულ ტექსტში ქალდეველები მოხსენიებულნი არიან, როგორც Хамони. ქართულშიც, რუსულის მიხედვით – ხომონი. დანარჩენი ქართველ მთარგმნელს მექანიკურად აქვს გადმოტანილი. როგორც ვხედავთ, ამ ხალხების იდენტიფიკაცია რეალურ ისტორიულ სამყაროში ფაქტობრივად შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ რომანის მიხედვით ალექსანდრეს ლაშქრობის გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაცია ძალიან ძნელია. ნ. ნიკოლოზიშვილი ფიქრობს, რომ რომანის სირიულ და ებრაულ ვერსიებში მოცემული ეს ხალხები მსგავსია ისტორიული ეთნოსების, ბიბლიური პერსონაჟების და ისტორიულ-გეოგრაფიული სახელების. ის ვარაუდობს, რომ ეს ფაქტი ამყარებს აზრს, ალექსანდრეს კავკასიაში ლაშქრობის შესახებ.[8]

რაც შეეხება ქართული წყაროების ცნობებს, ალექსანდრეს მიერ წარმართი ხალხების დამარცხების შესახებ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სიუჟეტით, როდესაც ალექსანდრე მოვიდა ქართლში, „იხილნა ნათესავნი ბუნ-თურქნი მსხდომარენი მდინარესა მტკუარსა... დაუკვირდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა ხორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არ იყო“, ამის შემდეგ ალექსანდრე აიყარა და წავიდა. ამ დროისათვის ქართლში მოვიდნენ ქალდეველთაგან დევნილნი ჰონნი (ჰუნები თუ ჰურიანი – ამ საკითხზე მკვლევარებში აზრთა სხვადასხვაობაა), „და შემდგო-

[7] ალექსანდრიანი, გვ. 144.

[8] ნ. ნიკოლოზიშვილი. „ქართული ელინიზმის და ქრისტიანობის სათავეებთან „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით“. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2006, გვ. 12-17.

მად რამოდენისამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე მეფე ყოვლისა ქუეყანისაჲ და დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახჳილი და მეოტ იქმნნეს“.[9]

ლეონტი მროველის ცნობით: „ალექსანდრე გამოვიდა დასავლით და შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლინა კავკასნი და მოვიდა ქართლად და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა... ყოველსა სულიერსა ჭამდეს, მკუდარსა შესჭამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყუნი... და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა იგი ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ...

შემდგომად ამისსა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ქუეყანა და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა... ხოლო სარკინელთ ბუნთურქთაგანთა აგინეს მეფესა და განიწყრა ალექსანდრე და მოიცვა ქალაქი სარკინე... ხოლო სარკინელთა შესჭირდა, რამეთუ ჰბრძოდა თერთმეტ თუე. იწყეს ფარულად კლდესა კაფა და განჴურიტეს კლდე და იგი შეილტჳოდეს კავკასიად“.[10]

როგორც ვხედავთ, გარკვეული მსგავსება ალექსანდრეს მიერ ველურ ხალხთა დამარცხების შესახებ ამ თხზულებებში მართლაც შეინიშნება. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ წყაროებში არ არის ცნობები ამ ხალხების მთებში ჩაკეტვის და იქ კარის (სიმაგრეთა სისტემის) შექმნის შესახებ. ჩრდილოეთში ლაშქრობისა და იქ ციხე-სიმაგრეთა სი-

[9] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. თბ. 1963, გვ. 81-82. ბუნ-თურქების და სხვა წარმართი ხალხების ქართლში მოსახლეობის ლეგენდის წარმოშობის შესახებ იხ. გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში. თბ. 1979, გვ. 149-155; მ. გოგოლაძე. ქართლის სოციალური და პოლიტიკური ისტორია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით. თბ. 2004, გვ. 62-73.

[10] ლეონტი მროველი. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 17-18.

სტემის შექმნის ამბებს არა ალექსანდრეს, არამედ ქართველ მეფეებს მიაწერენ ქართველი მემატიანეები. ლეონტის ცნობით, მირიანმა – საურმაგის შვილობილმა იღაშქრა დურძუკეთს: „შევიდა მირვან დურძუკეთს და მოაოხრა დურძუკეთი და ჭართალი და შეაბნა კარნი ქვიტკირითა და უწოდა სახელად დარუბალ“.[11]

ჯუანშერის გადმოცემით, ვახტანგ გორგასალმა დაამარცხა ჩრდილოეთ კავკასიაში გოგისა და მაგოგის ხალხები, ალანები და ხაზარები, შექმნა კარი დარიალის: „ხოლო დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდთ. და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი და დაადგინა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი“.[12]

ჯუანშერი მათ აგ და მაგუგის სახელწოდებით, ხოლო ქვეყანას მაგუგეთის სახელით იცნობს.[13]

მკვლევართა ვარაუდით, რომანში მოცემული ფრაგმენტი – ველურ ხალხთა ჩამონათვალის შესახებ მოდის „მეთოდე პატარელის გამოცხადებიდან“. იგი შეიქმნა VII საუკუნეში, ხოლო მისი უძველესი ხელნაწერი ლათინურია და განეკუთვნება VIII საუკუნეს. ამ მოსაზრებით ვხედავთ, რომ რომანში ამ ხალხების ამბავი მოგვიანო ჩანართია, კერძოდ, სადღაც, VII-VIII საუკუნეების. ე. ი. ძველ ორიგინალებში – II-III საუკუნის ვერსიებში ის არ გვხვდება.[14]

---

[11] ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესაეთა, გვ. 28.

[12] ჯუანშერი. „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 156.

[13] ჯუანშერი. „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, გვ. 162-163.

[14] ალექსანდრიანი, გვ. 183; Роман об Александре Македонском по русской рукописи XV века, გვ. 248; კ. კეკელიძე ვარაუდობს, რომ ლეონტი მროველის ერთ-ერთი წყარო შეიძლება ყოფილიყო ფსევდო-მეთოდე პატარელის „გამოცხადება“. კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბ. 1981, გვ. 255: ძველი ქართული ვერსია არ შემორჩენილა, არის XVII საუკუნის თარგმანი, რომელიც რუსულიდან არის შესრულებული „ხრონოღრაფი, სიტყვა მეორედ მოსვლისათვის პატარელისნი“.

აქედან გამომდინარე, თუ მეთოდი პატარელის გამოცხადებაში მოცემული სიუჟეტი – გოგისა და მაგოგის და სხვა წარმართი ხალხების ამბავი დაედო საფუძვლად ფსევდოკალისთენეს რომანის აღნიშნულ მონაკვეთს, მაშინ ძალიან საეჭვოა, რომ „ალექსანდრიანის“ ეს ფრაგმენტი გამხდარიყო საფუძველი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის ავტორისათვის და მისი თხზულებით მოსარგებლე ლეონტი მროველისათვის. ნ. ნიკოლოზიშვილის აზრით, თუ ლეონტის ცნობები მომდინარეობს ალექსანდრიანიდან, „მოქცევაჲს“ ცნობები არ არის აღებული ამ რომანიდან, რადგან იქ არ გვხვდება მსგავსი სიუჟეტები. ხოლო ალექსანდრეს ქართლში შემოსვლის ისტორიულ რეალობაზე მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებს წყაროში ალექსანდრეს ტიტულატურაზე და მისი ლაშქრობის შემდეგ ქართულში გაჩენილ ბერძნული ტერმინოლოგიაზე. მეცნიერი ვარაუდობს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობის შესახებ არ უნდა განვიხილოთ, ლეონტის მროველის ცნობებთან ერთად, როგორც ფსევდო-კალისთენეს ბერძნული ალექსანდრიანიდან მომდინარე.[15]

სავარაუდოდ, ქართულ მატიანეებში ამ ხალხთა კავკასიაში გამოჩენა, მათი ყივჩაღებად, ბუნთურქებად და ხაზარებად აღქმა, არა ფსევდოკალისთენეს რომანის გააზრებით, არამედ კიდევ უფრო ძველი, ბიბლიური მემკვიდრეობის გავლენით ხდება.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ამ ველური ხალხების დახასიათება, მათი გოგისა და მაგოგის ძეებთან შედარება აქვთ მოცემული ანტიკური სამყაროს ავტორებს ჰეროდოტეს, სტრაბონს, პლუტარქეს. ამიტომ ქართულ წყაროებში ამ ხალხების დახასიათება მხოლოდ ფსევდოკალისთენეს რომანის მიხედვით არ უნდა იყოს სწორი, მით უმეტეს, სტრაბონს

[15] ნ. ნიკოლოზიშვილი. „ალექსანდრე მაკედონელი და „ნასტაგისი“. კრებ. „კლიო“. თბ. 2003, გვ. 4-6.

და პლუტარქეს ვერ დავწამებთ, რომ ფოლკლორული „ალექსანდრიანის“ შთაბეჭდილებებით წერდნენ.[16]

საინტერესოა, ქართულ თარგმანში ალექსანდრეს კარების გეოგრაფიული დასახელება - „კადსპიდნი“, რომელიც ეტიმოლოგიურად მსგავსია დარუბანდის, კასპიის კარისა. მაგრამ კასპიის კარი ამ გადმოსასვლელის გვიანდელი ფორმაა, ქართულ წყაროებში ის სხვა სახელწოდებით გვხვდება. ლეონტი მროველთან და საერთოდ ძველ ქართულ მწერლობაში კასპიის კარს დარუბანდს, დარუბანდის კარს, დარუბანდის გზას უწოდებდნენ. რაც შეეხება დარიალს, ლეონტი მას „კარნი კავკასიანთას“ უწოდებს, საიდანაც გზა გადადიოდა ოსეთში. უნდა აღინიშნოს, რომ წყაროები ხშირად ურევდნენ ერთმანეთში დარიალის და დარუბანდის გადმოსასვლელებს და საერთო სახელი კასპიის კარი, ან ალექსანდრეს კარი ეწოდებოდა. ძველ ბერძნულ მწერლობაში კასპიის კარი, კასპიის ბჭენი – ეს ჰირკანიის მთებია – გადასასვლელი მიდიიდან პართიაში.[17]

„ალექსანდრიანის“ გოგისა და მაგოგის სამყარო აღმოსავლეთში, ინდოეთის მხარეებშია. რომანში მოცემული გეოგრაფიული ადგილები ზუსტ კონტურებს არ იძლევა. ალექსანდრემ ეს ხალხები სადღაც აღმოსავლეთში, უკიდურეს მხარეებში დაამარცხა. მაშინდელი ინდოეთი, ზოგადად, მთელ აღმოსავლეთს აღნიშნავდა. ინდოეთი, იმ დროის წარმოდგენებით, მიწიერი სამოთხის – ადამ და ევას სამყოფელს მოიცავდა, სადაც, როგორც რომანი მოგვითხრობს, უკვდავება ეძიებდა მისი მთავარი გმირი.

ქართულ წყაროებში ალექსანდრეს ლაშქრობა კონკრე-

[16] გრ. ქავთარია. ფსევდო-კალისთენეს ალექსანდრიანი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. ქართული დიპლომატია (წელიწდეული). ტ. 9. თბ. 2002, გვ. 540.

[17] ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. V. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1983. გვ. 137-138.

ტულ გეოგრაფიულ არეალშია მოქცეული, რაც რომანში ასე არ არის აღქმული. მით უმეტეს, რომ რომანის არც ბერძნულ, არც სერბულ და რუსულ და არც ქართულ ვერსიებში კავკასიაზე არაფერია ნათქვამი მაშინ, როცა სიუჟეტი ეხება ალექსანდრეს ლაშქრობას ჩრდილოეთში.

თუმცა, ერთი უნდა აღვნიშნოთ, რომანის მიხედვით, ალექსანდრე ამ ხალხების სამყოფელში ხვდება მას შემდეგ, რაც იგი გაიელის ამაზინის-ამაძონების ქვეყანას. ამაძონების სამყოფელი, ზოგადად, კოლხეთის მეზობლად, შავი ზღვის სამხრეთით იგულისხმებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამაძონების არსებობა რეალურ ისტორიულ სამყაროში საერთოდ საეჭვოა, მაშინდელი ბერძნული გეოგრაფიული წარმოდგენებით, დაახლოებით ამ რეგიონში ლოკალიზდება. არიანე, რომელიც აღწერს ალექსანდრეს ლაშქრობების ისტორიას, აღნიშნავს, რომ ამაძონები იმ დროისათვის (ალექსანდრეს ეპოქაში) უკვე აღარ იყვნენ, მაგრამ მისთვის ცნობილი იყო მათი არსებობისა და კოლხეთთან მეზობლობის შესახებ.[18]

თუ ჩვენ ამაძონებს რეალურ ისტორიულ სივრცეში განვიხილავთ, მაშინ, რომანის მიხედვით, ალექსანდრემ გამოიარა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროები და ჩრდილოეთის მაღალი მთებისაკენ შემოვიდა კავკასიაში. იქ დაამარცხა ეს ხალხები, გადარეკა მთებს იქით და შექმნა კასპიის კარი.

ამ რეკონსტრუქციით ალექსანდრეს მარშრუტი კავკასიაში ასეთია: ამაძონების ქვეყანა – სამხრეთ კავკასია, შავი ზღვის სანაპიროები. ჩრდილოეთის მხარეები – ქართლი და მისი მთიანეთი, იქ მყოფი ხალხები. კადსპიდნი – კასპიის კარი, კავკასიის გადმოსასვლელები – დარიალი და დარუბანდი.

[18] ალექსანდრიანი, გვ. 142-143; თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 124-125, 184-185: კურციუს რუფუსი გვაძლევს ცნობას, რომ „ამაძონები ჰირკანიის მეზობელი ტომი იყო. მათ ჰყავდათ დედოფალი თალესტრისი, რომელიც მბძანებლობდა კავკასიის მთებსა და მდინარე ფასისს შორის“. ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია, ტ. I. წყაროები. თბ. 2010, გვ. 494.

რაც შეეხება რომანში ჩრდილოეთის (ჩრდილოეთის კიდე, ბორცვნი ჩრდილოეთისანი) მოხსენიებას, კავკასიის გადმოსასვლელებად მის აღქმას, ეს ჯერ კიდევ ძველ წინასწარმეტყველებებსა და მწერლობაში გვხვდება. ეზეკიელის და იერემიას წინასწარმეტყველებებში ჩრდილოეთი, გოგისა და მაგოგის ხალხების სამყოფად აღიქმება. ქართულ მწერლობაში ჩრდილო, ჩრდილოეთი საზღვარი, იქ მცხოვრები ტომებით, გეოგრაფიულად მოიცავს, როგორც კავკასიის გადმა მხარეებს, ასევე საკუთრივ ქართლსაც.[19]

ჩვენი აზრით, შესაძლოა, რომანში აღწერილი ალექსანდრეს ეს მარშრუტი გახდა საფუძველი ქართულ წყაროებში ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობის ისტორიისა. თუმცა მიგვაჩნია, რომ ქართულ წყაროებში ალექსანდრეს მოსვლის ამბავს, გარდა რომანის სიუჟეტებისა, უდევს სხვა წყაროებისა და გადმოცემების კვალი, თუნდაც ისტორიული სინამდვილისგან ცოტა შორს მდგომი, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელი. ეს არის ძველი ბერძნული წყაროები, რომლებიც მოიხსენიებენ ალექსანდრეს მიერ კავკასიის დაპყრობას და ფლობას.

გარდა ფსევდოკალისთენეს რომანისა, ქართული საისტორიო მწერლობა მეტ-ნაკლებად კარგად იცნობდა ანტიკური და ელინისტური ხანის მწერალთა შემოქმედებას. ეს ჩანს კიდეც ჩვენი მემატიანეების თხზულებებში, რომელთათვისაც ცნობილი იყო არამარტო მათი სახელები (ჰეროდოტე, პლუტარქე, არისტობულე, იოსებ ფლავიოსი, კურციუს რუფუსი), არამედ მათი ნაწარმოებებიც. ალექსანდრეს მიერ კავკასიის

[19] ლეონტი მროველი ოვსებს და ლეკებს „ჩრდილოთა ნათესაებებს“ უწოდებს, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, გვ. 46; აბოს წამების ავტორი კი ხაზარებს „მაგოგის შთამომავალთ“ უწოდებს, ხაზარების ქვეყანას კი „ქუეყანასა მას ჩრდილოდსა, სადა იგი არს სადგური და ბანაკი და საბანაკე ძეთა მაგოგისთად“. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატური ძეგლები. ტ. I. (V-X სს). თბ. 1963, გვ. 46.

დაპყრობის ამბები მოთხრობილი აქვთ ასევე ისეთ ავტორებს, რომელთა შესახებაც არ არის ცნობები ქართულ წყაროებში, მაგრამ საინტერესოა მათი ინფორმაციები საკითხის გარშემო, რადგან ისინიც შეიძლება ყოფილიყვნენ ქართველ მემატიანეთა პირველწყაროები.

გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (ახ. წ. I ს.) აღნიშნავს, რომ ალექსანდრემ დაიპყრო კავკასია, „ეს არის მაკედონია, რომელიც ოდესღაც მთელი სამყაროს მპყრობელი იყო და სწვდებოდა აზიას, არმენიას, იბერიას, ალბანიას, კაპადოკიას, სირიას, ეგვიპტეს, ტავრუსს, კავკასიას“.[20]

მსგავსი ცნობა აქვს გაიუს იულიუს სოლინუსს (ახ. წ. III ს.), რომელიც იმეორებს პლინიუსის ნათქვამს „ალექსანდრე დიდმა დაიმორჩილა აზია, არმენია, ალბანია ... ტავროსი და კავკასოსი გადალახა“.[21]

იოსებ ფლავიოსის (ახ.წ. I ს.) გადმოცემით, რომაელები ვესპასიანეს დროს აპირებდნენ შეჭრილიყვნენ მიდიაში და „ამიტომ ჰირკანელთა მეფესთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. ეს იმიტომ, რომ ჰირკანელთა მეფე იყო მფლობელი გასასვლელის, რომელიც მეფე ალექსანდრემ რკინის ბჭეებით ჩაკეტა. ჰირკანელთა მეფემ მათ გზა მისცა. მრავალრიცხოვანი ალანი თავს დაესხა მიდიელებს“.[22]

კურციუს რუფუსის (ახ.წ. I ს.) აღწერილ ალექსანდრეს ლაშქრობაში მოხსენიებულია კავკასოსის მთები, სადამდეც მანძილი მაკედონელებმა 17 დღეში გაიარეს. კავკასოსი სხვა წყაროებში ინდოეთის მთებად არის წარმოჩენილი, მაგრამ ამ ავტორთან ალექსანდრეს ლაშქრობის მარშრუტი კავკასოსის მთებისაკენ მიდის ამაძონების სამეფოფელის გავლით, რაც ეჭვს ბადებს, რომ ავტორის აღწერილი ამბავი ეხება კავკა-

[20] ანტიკური კავკასია, გვ. 497.
[21] ანტიკური კავკასია, გვ. 560.
[22] ანტიკური კავკასია, გვ. 227; თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. V, გვ. 92.

სიას და არა ინდოეთის მხარეებს. კურციუს რუფუსი ამაძონების სამყოფელს კავკასიაში, კერძოდ, მდინარე ფასისის მხარეებში მოიხსენიებს.[23]

კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ. წ. II ს.) ცნობით, სარმატიის კართან სიახლოვეს იყო ალექსანდრეს სვეტები. სარმატიის კარი კი ავტორთან დარიალის გადმოსასვლელს აღნიშნავდა.[24]

სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელიც აღნიშნავს, რომ ალექსანდრემ დაიპყრო კავკასია. იგი წერს ვინმე დიდ ქართველ პიტიახშ მაჰრდატზე, რომელიც „ალექსანდრემ ივერიელთა ქვეყნიდან მოყვანილი ტყვეების ხელისუფლად დაადგინა. მაჰრდატს მიანდო ჩრდილოეთის მხარის და პონტოს ზღვის გამგებლობა“.[25]

ამ წყაროებიდან ჩანს, რომ ალექსანდრემ დაიპყრო კავკასია, მაგრამ ამის მტკიცება ძნელია, რადგან ის მემატიანეები, რომლებიც ალექსანდრეს თან ახლდნენ ლაშქრობაში, ან მისი თანამედროვენი იყვნენ, არ აღნიშნავენ ალექსანდრეს კავკასიაში მოსვლას. აქედან გამომდინარე, მკვლევრებს ეეჭვებათ ქართველ მემატიანეებთან დაცული ცნობების ისტორიული სინამდვილე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნობებს მეცნიერები პირველწყაროებს ვერ უძებნიან, ხელაღებით ვერ უარყოფენ მის ჭეშმარიტებას.

თვით არიანეც გარკვეულ მინიშნებას იძლევა ალექსანდრეს მიერ კავკასიის ფლობის შესახებ. მას აღწერილი აქვს ალექსანდრეს აღმოსავლეთში ლაშქრობა. იგი კრიტიკულად აფასებს მისი წინამორბედების ნაშრომებს ალექსანდ-

[23] ანტიკური კავკასია. გვ. 493-495.

[24] თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველო შესახებ. V, გვ. 138; ანტიკური კავკასია, გვ. 356 ბ.

[25] მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ა. აბდალაძემ. თბ. 1984, გვ. 111: თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოვსეს ხორენაცი, საეარაუდოდ, იმ წყაროებით სარგებლობს, რითაც სარგებლობდნენ ქართველი მემატიანეები.

რეს შესახებ. შესწორებებიც კი შეაქვს ძველ ცნობებში. ეს ეხება არა მარტო ისტორიულ ფაქტებს, არამედ ლაშქრობის ისტორიულ-გეოგრაფიულ საკითხებსაც. როგორც ცნობილია, არიანეს მოცემული აქვს ალექსანდრეს კავკასიონის მთებში ყოფნა, მაგრამ მემატიანე იქვე განმარტავს, რომ ეს არა ჰირკანიის ზღვასთან მდებარე კავკასიონია, არამედ ინდოეთის პარაპამისოსის (ჰინდი-ყუში) მთები. იგი ეთანხმება ერიტოსთენე კვირინელს იმ საკითხში, რომ მაკედონელებმა ალექსანდრეს კავკასიაში მოსვლა – პრომეთეს გამოქვაბულთან, მეფის საამებლად შექმნეს. ამიტომაც, მთა კავკასიონი პონტოდან დედამიწის უფრო აღმოსავლეთში გადაიტანეს.[26]

ვფიქრობთ, საყურადღებოა არიანეს ერთი ცნობა, სადაც ალექსანდრე მიმართავს ჯარს და ჩამოთვლის იმ ხალხებს და მხარეებს, რომლებიც მაკედონელებმა დაიმორჩილეს: „თუ თქვენ ყველას გინდათ წასვლა, ყველანი წადით, ხოლო შინ რომ მიხვალთ, უამბეთ [თქვენიანებს, რომ მიატოვეთ] თქვენი მეფე, ალექსანდრე, რომელმაც გაიმარჯვა სპარსელებზე, მიდიელებზე, ბაქტრიელებზე და საკებზე, დაიმორჩილა უქსიები, არახოტები, დრანგები; მფლობელი პართიელების, ხორაზმელების, ჰირკანიელების ვიდრე კასპიის ზღვამდე; ის, რომელმაც გადაიარა კავკასოსი კასპიის ბჭის ზემოთ, გადალახა მდინარე ოქსოსი და ტანაისი, ასევე მდინარე ინდოსი, რაც დიონისეს გარდა არავის გადაუვლია.[27]

ჩვენი აზრით, აქ საუბარია კავკასიის მთებზე და არა ინდოეთის ჰინდიყუშზე. თ. ყაუხჩიშვილი ეჭვობს, რომ ეს კავკასიონი იყოს, რადგან ალექსანდრეს კავკასიის მთები არ გადაულახავს, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ ეს ადგილი დამაფიქრებელია.[28]

[26] თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. V, გვ. 181-182; Арриан. Поход Александра. СПб. 1993, გვ. 132-133.
[27] თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. V, გვ. 184; Арриан. Поход Александра, გვ. 190.
[28] თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. V, გვ. 184.

არიანეს ამ ცნობას ყურადღება მიაქცია ნ. ნიკოლოზიშვილმა, რომელიც აღნიშნავს, რომ შესაძლებელია აქ საუბარია პონტოს კავკასიაზე და მასთან დაკავშირებული ამბები ხელოვნურად თუ უნებლიეთ მიაწერა ავტორმა ინდოეთის კავკასიას.[29]

კასპიის ბჭე – კასპიის კარი, ეს ჰირკანიის მთებია – მიდიიდან პართიაში გადასასვლელი. კასპიის ზღვის სამხრეთი – ჰირკანიის კარი.[30]

თუ კასპიის ბჭე ჰირკანიის მთებია, მაშინ მის ზემოთ არსებული მთების სისტემა კავკასიონის მთაგრეხილია და არა ჰინდიყუში. ჰინდიყუში ნამდვილად ვერ იქნებოდა ჰირკანიის მთებს ზემოთ.

აქ ერთი შეხედვით ჩანს, რომ ალექსანდრეს კავკასიაც დაუპერია და ეს ეხმიანება, როგორც ზემოთ დასახელებული ბერძენი ავტორების, ისე ქართველი მემატიანეების მიერ აღწერილ ამბებს.

ჩვენი აზრით, ქართველი მემატიანეების წყაროდ, ფსევდოკალისთენეს რომანის „ალექსანდრიანის“ გარდა, შეიძლება მივიჩნიოთ ზემოთ ჩამოთვლილი ბერძენი ისტორიკოსების თხზულებები, რომლებიც პირდაპირ მიგვანიშნებენ ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობის და მის მიერ კავკასიის ფლობის შესახებ. მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობის სინამდვილის მტკიცება ძნელია წყაროთა ურთიერთგამომრიცხავი ცნობების გამო, მაგრამ ვფიქრობთ, რომ გასათვალისწინებელია ამ თხზულებების ის სიუჟეტები, რომლებიც ზემოთ დასახელებულ ამბებს ასეთ ინტერპრეტაციას უკეთებენ.

[29] ნ. ნიკოლოზიშვილი. ქართული ელინისმის და ქრისტიანობის სათავეებთან „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, გვ. 36-37.

[30] პლინიუსი და დიონ კასიუსი კასპიის კარში დარიალს ან დარუბანდს გულისხმობენ.

Andro Gogoladze, Temur Todua

ALEXANDER OF MACEDON AND THE CAUCASUS
(COMPARATIVE ANALYSIS OF THE GRAECO-GEORGIAN SOURCES)

Summary

The narrative about Alexander the Great's campaign in Kartli (Eastern Georgia) is inspired by the Greek writings and literary legacy. This story is told in two principle Georgian records: "Conversion of Kartli" (Moktsevai Kartlisai) and "The Life of Kartli (Georgia)" (Kartlis Tskhovreba"). And historians think this story to be derived from Alexander's Romance by Pseudo-Callisthenes. Comparative analysis of the Greek and the Georgian sources led us to a conclusion as follows: some more Greek records had been applied to create the Georgian story for Alexander's voyage in Kartli.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

ნათია ფიფია

ევსევი კესარიელისა და იპოლიტე რომაელის ცნობები I-II საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ეთნოპოლიტიკური ისტორიის შესახებ

III-IV სს. დასავლური წყაროების ინფორმაცია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს შესახებ, ერთი შეხედვით, მხოლოდ მწიგნობრულ ტრადიციას ეყრდნობა. ჩვენს ნაშრომში განვიხილავთ ევსევი კესარიელისა და იპოლიტე რომაელის ცნობებს. მიუხედავად იმისა, რომ მათი ინფორმაცია საქართველოს შესახებ მწირია და, ერთი შეხედვით, ზედაპირულ ხასიათს ატარებს, რაც თითქოს განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ისინი დასავლურ ქართულ ეთნოპოლიტიკურ კონიუნქტურას მხოლოდ წერილობით იცნობენ, ჩვენი აზრით, მათი ცნობები მაინც ასახავს მათ თანადროულ ვითარებას და არა წინა საუკუნეებში არსებულ ვითარებას.

ევსევის ცნობით: „კაპადოკიის გადაღმა... მარცხნით არიან სკვითები, კოლხები და ბოსპორანები, აგრეთვე სანები, რომელთაც სანიგები ეწოდებათ და რომლებიც ვრცელდებიან პონტომდე, სადაც არის ბანაკი აფსაროსი, სებასტოპოლისი და მდინარე ფაზისი, ვიდრე ტრაპეზუნტამდე გადაჭიმული არიან ეს ტომები“ [Eusebius, Chronica Minora I, 216-219].[1]

[1] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. ტ. I. თბ. 1961, გვ. 32.

იპოლიტე რომაელი წერს: სავნები, ეგრეთწოდებული სანიგები... გადაჭიმული არიან პონტომდე, იმ ადგილამდე სადაც არის აფსაროსი (და სებასტოპოლი) და ჰისოს ნავსადგური და მდ. ფასისი [Hippolytus, Chronica, 233].[2]

კოლხებთან დაკავშირებით ამჯერად არ გავამახვილებთ ყურადღებას, ვახსენებთ მხოლოდ სანიგებს. სანიგები პირველად პლინიუსთან იხსენიება [Plin. NH, VI, 14].[3] პლინიუსი, როგორც მოგვიანებით არიანე, სანიგებს სებასტოპოლისის მიწაზე მცხოვრებლებად თვლის. თუმცა, შესაძლოა, პირველი მოხსენიება მემნონ ჰერაკლეელს უკავშირდებოდეს, (თავად მემნონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღი სადავოა ისტორიოგრაფიაში) მითრიდატეს ომებთან დაკავშირებით, ისტორიკოსი ერთად იხსენიებს სანეგებს და ლაზებს. ანონიმთან (V ს.) სანიგები ცხოვრობენ მდ. აქეუნტიდან მდ. აბასკამდე (ფსოუ, ბზიფი ან მძიმთა). რადგან წყაროებში ჰენიოხების ჩანაცვლება ხდება სანიგებით, შესაძლოა სანიგები წარმოადგენდნენ ჰენიოხთა ერთ-ერთ ტომთაგანს, რომელიც ქველაზე მეტად გაძლიერდა და გაბატონდა აქ მცხოვრებ დანარჩენ ჰენიოხ ტომებზე, გააერცელა რა ამ უკანასკნელებზე თავისი სატომო სახელი.

ევსევი კესარიელისთვის სანები იგივე სანიგები არიან. იპოლიტე რომაელისთვის, სავნები არიან იგივე სანიგები. ჩვენი აზრით, სანიგების იგივე სავნებად მოხსენიება არ არის საკმარისი არგუმენტი იმის სამტკიცებლად, რომ ესენი სვანები არიან, მით უმეტეს, რომ ევსევისთან, რომლის ინფორმაცია იპოლიტე რომაელის ინფორმაციას ძალიან ჰგავს, სანიგები იგივე სანები (ანუ ჭანები) არიან.[4] აღსანიშნავია, რომ ის მკვლევარები, რომლებიც სანიგებს სვანებთან აიგივებენ,

[2] გეორგიკა, ბიზანტიელი აეტორების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I, გვ. 20.

[3] В. В. Латышев, Scytica et Caucasica. Вестник Древней Истории. 1949. №2, გვ. 290.

[4] გეორგიკა, ბიზანტიელი აეტორების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I, გვ. 32.

ძირითადად ამ წყაროს ეყრდნობიან.

ამ სანების ქვეშ ევსევი გულისხმობს სამხრეთის სანებს, იგივე ჭანებს, (რადგან აფსაროსთან იხსენიებს), ოღონდ სანიგებთან მათი დაკავშირებით რეალურად ის ჩრდილოელ სანიგებს (ჰენიოხებს) ეთნიკურად უკავშირებს სამხრეთელ სანებს (ჭანებს). ჰენიოხები და სანიგები ერთი და იგივე ტომია, ამაზე ჩვენ სხვა ნაშრომში გვქონდა საუბარი.[5] საინტერესოა, რომ ჰენიოხები ორ რეგიონში იხსენიებიან, სამხრეთში და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ევსევის ცნობიდან გამოდის, რომ ის სანიგებს სამხრეთში გულისხმობს, მაშინ როდესაც სანიგები ყოველთვის მოხსენიებული არიან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში.

სანიგები, რომელთაც პირველად პლინიუსი ან მემნონი იხსენიებს, ჰენიოხთა გვერდით მოიხსენიებიან თავიდან, მაგრამ ახ. წ. II საუკუნის დამდეგისთვის მრავალი წვრილი ტომის შემცველი ჰენიოხთა გაერთიანება (ისევე, როგორც ეს სახელწოდება) ქრება წყაროებში და მათ ადგილს სანიგთა სამთავრო იკავებს, რომელიც ისევე როგორც ჰენიოხთა სატომო კავშირები, ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. არიანეს (II ს.) გადმოცემით, მათ მიწა-წყალზე მდებარეობდა ქ. სებასტოპოლისი (დღევ. სოხუმი), დასავლეთით კი იგი მდ. აქეუნტს (დღევ. შახე) აღწევდა.[6]

ევსევისთან სანები ვრცელდებიან აფსაროსამდე, ამიტომ საფიქრებელია, რომ მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო სწორედ რომ

[5] ნ. ფიფია, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ზოგიერთ ტომთა (ჰენიოხები, სანიგები) ეთნიკური კუთვნილების საკითხისთვის. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. VIII. თბ. 2008.

[6] იხ. გეორგიკა. ბიზანტიელი ავტორების ცნობების საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ. II. თბ. 1965, გვ. 159; მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სერია. № 2. 1992, გვ. 45.

აფსაროსამდე ვრცელდებოდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ შესაძლოა ძიდრიტების სახელი წყაროებიდან იმიტომ გაქრა, რომ მათზე გავრცელდა სანების ეთნონიმი, რადგან ძიდრიტების ტერიტორიაზე გაძლიერდა ჭანური ტომების გავლენა. ამრიგად, მხოლოდ ევსევის ცნობა სანების აფსაროსამდე მოსახლეობის შესახებ ვერ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ძიდრიტების ტერიტორია II საუკუნეში აფსაროსიდან იწყებოდა და ქობულეთ-აჭარის მხარეებს მოიცავდა. შესაძლოა, ძიდრიტები აფსაროსის სამხრეთ-დასავლეთით მოსახლეობდნენ და შემდგომ მათზე სანების სახელი გავრცელდა.

საინტერესოა თავად ის ფაქტი, რომ იპოლიტე რომაელი და ევსევი კესარიელი დასავლეთ საქართველოში შავი ზღვის სანაპიროს გასწვრის სებასტოპოლიდან ტრაპეზუნტამდე იხსენიებენ მხოლოდ კოლხებს და სანიგებს (იგივე სანებს ან ჰენიოხებს). საერთოდ არ იხსენიებიან არც ლაზები, არც აფშილ-აბაზგები. ეს, ერთი მხრივ, შეიძლება აიხსნას ლაზებსა და მათ დაქვემდებარებულ აფშილ-აბაზგებზე დასავლეთ საქართველოში ძველთაგანვე ბერძნული წყაროებისთვის ცნობილი კოლხების ტომის სახელის გავრცელებით მთელ დასავლურ ქართულ მოსახლეობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ცნობა ადრეული ვითარების ამსახველია და გულისხმობს აფშილ-აბაზგების და ლაზების ჩამოსახლების წინარე ხანას. ეს წყაროები თითქოს მხოლოდ მწიგნობრულ ტრადიციას ეყრდნობიან და ამდენად, არც არის მოსალოდნელი მათთან ამ ტომების მოხსენიება.

ერთი შეხედვით, ამ ორ წყაროსთან შედარებით, უფრო სანდო წყაროებად გამოიყურებიან პტოლემაიოსი და ფლავიუს არიანე. მიუხედავად იმისა, რომ ევსევი კესარიელი და იპოლიტე რომაელი უფრო მოგვიანო ხანაში წერდნენ, ის ფაქტი, რომ მათ თავისი თანადროული ვითარება აღწერეს, ერთი შეხედვით არ მტკიცდება, მართალია, არ არის საფიქრებელი ამ რეგიონში რაიმე ხელახალი ეთნიკური ცვლილე-

ბა. როგორც მოგვიანო ხანის წყაროებით (პროკოფი, აგათია სქოლასტიკოსი) დასტურდება, ის ეთნოპოლიტიკური სიტუაცია, რომელიც I-II სს-ში შეიქმნა, შემდეგ საუკუნეებშიც შენარჩუნებულა და ეთნიკური რუკა ისევე გამოიყურება, როგორც არიანეს და პტოლემაიოსის დროს. მემნონის ცნობა ჰგავს, გარკვეულწილად, ევსევის და იპოლიტეს ცნობას, თუ მემნონის ლაზების ქვეშ ვიგულისხმებთ იპოლიტეს და ევსევის კოლხებს, და ეს ასეც უნდა იყოს, მაშინ გამოდის, რომ მემნონთანაც სანიგების და ლაზების სახელი ფარავს სხვა დანარჩენების სახელს, ევსევისთან და იპოლიტესთან კი – კოლხების და სანიგების.

იპოლიტე რომაელმა და ევსევი კესარიელმა არაფერი იციან აბაზგების სანაპიროზე მოსახლეობის შესახებ აფშილებსა და სანიგებს შორის სებასტოპოლ-ცხუმამდე, გარდა ამისა, არ არსებობს რაიმე პირდაპირი წერილობითი წყარო, რომელიც პირდაპირ აღნიშნავდეს სანიგების მიწა-წყალზე აბაზგების მთლიანად და აფშილების ნაწილის გადასვლას და იქ დამკვიდრებას. არ მომხდარა არავითარი სან-სანიგების გადაადგილება თავიანთი საცხოვრისიდან. III საუკუნეშიც ისინი თავიანთ ძველ სამოსახლოზე ცხოვრობდნენ, რაზედაც თავიანთი დროისთვის მიუთითებდნენ პლინიუსი და ფლავიუს არიანე. V საუკუნის ანონიმი სებასტოპოლიდან პიტიუნტამდე არ იცნობს სხვა ეთნოსს, გარდა სანიგებისა, რომლებიც, მისივე გადმოცემით, V საუკუნეში მოქცეული უნდა იყვნენ კოლხეთის ანუ ლაზიკის სამეფოში.

ამრიგად, ის ფაქტი, რომ იპოლიტე რომაელმა და ევსევი კესარიელმა, ერთი შეხედვით, არაფერი იციან I-II სს-ის ეთნოპოლიტიკური ძვრების შესახებ, არ ნიშნავს, რომ ისინი თავის თანადროულ ვითარებას არ აღწერენ, არამედ იმას, რომ სანიგების სახელი ფარავს სხვა ტომთა სახელებს, აფშილების, აბაზგების, ასევე სხვა წვრილი ტომების, ხოლო ეთნონიმი კოლხი მათთან ფარავს ლაზებს და, შესაძლოა, სამხრეთის სანებსაც.

Natia Phiphia

EUSEBIUS OF CAESAREA AND HIPPOLYTUS OF ROME ABOUT ETHNOPOLITICAL HISTORY OF WESTERN GEORGIA IN THE 1ST - 2ND CENTURIES

Summary

The Western sources of 3rd - 4th cc. about the Black Sea eastern littoral at a glance seem to be based on literary tradition. In our work we discuss information of Eusebius of Caesarea and Hippolytus of Rome. The fact that Eusebius and Hippolytus at a glance know nothing about ethnopolitical changes that happened on the verge of eras, does not mean, that they really did not know this situation. It simply means that the name „Sanigi" covered the name of other tribes, for example „Apsiloi", „Abasgi" etc. and ethnonym „Kolkhi" covered name „Lazi" and perhaps, name „Sani" (i.e. southern Sani) too.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

ნინო სილაგაძე

ქართულ-ირანული კულტურული ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი

საუკუნეების მანძილზე, განსაკუთრებით ანტიკურსა და ადრექრისტანულ ხანაში, ქართულ სამყაროს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ისლამამდელ ირანთან. ბუნებრივია, რომ პოლიტიკური კავშირების პარალელურად ვითარდებოდა აგრეთვე ქართულ-ირანული კულტურული ურთიერთობებიც, რაც ასახულია ჩვენი ქვეყნის ისტორიის როგორც ქრისტიანობამდელ, ასევე ადრექრისტიანულ ეპოქებში. ხსენებულ ეპოქებში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია სასანიანთა იმპერიის პოლიტიკური გავლენის სფეროში შედიოდა. ზოროასტრული კულტურის გარკვეული გავლენები სახეზეა ანტიკური ხანის ქართული სახვითი ხელოვნების სხვადასხვა სფეროში – არქიტექტურაში, რელიეფის, ჭედურობის, გლიპტიკის, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებში, ხშირად ისინი რემინისცენციების სახით გვხდება ქრისტიანული ხელოვნების ევოლუციის პირველ ეტაპზეც (IV–VII სს.). ამ ფენომენის სხვადასხვა სახის გამოვლინებების შესწავლა, კლასიფიკაცია და კვალიფიცირება უძველესი ქართული კულტურის და ირანულ სამყაროსთან მისი მიმართების კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტია.

IV–VI სს-ში ქართლში (უმეტესად მცხეთაში, თბილისში და ზოგიერთ სხვა ქალაქში) ირანული, ზოროასტრული მო-

სახლეობა არსებობდა. ამის გამო ჩვენი ქვეყნის რუკა ირანული წარმოშობის მრავალი ტოპონიმით გამდიდრდა (მაგ., მოგვთაკარი, სოღდებილი და სხვ.). საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ზოროასტრული ცეცხლის ტაძრის ნიმუშები: მაგ., სამადლოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კოშკურა ტიპის ტაძარი (ძვ. წ. IV-III სს.)[1] (ნახ. 4). გავრცელებული იყო აგრეთვე სხვა ტიპის ცეცხლის ტაძრები (მაგ., ფანჩატურის ტიპის ე. წ. ჩოთრაკი, კვადრატული ფორმის, ადრეული ბაზილიკის მსგავსი ოთხსვეტიანი სამლოცველო აიადანა და სხვ.). ასეთებია ციხიაგორას, დედოფლის მინდვრის ტაძრები.

ირანული მოსახლეობის, ზოროასტრული თემების (რომელთა ეთნიკური შემადგენლობა ხშირად ჭრელი იყო – მათში, ირანელების გარდა, ქართველებიც იყვნენ ხოლმე გაერთიანებული), ცეცხლის ტაძრების, სალოცავების, საკურთხეველების არსებობა დაფიქსირებულია აგრეთვე ქართულ წერილობით წყაროებში („შუშანიკის წამება“, „ევსტათი მცხეთელის წამება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ქართლის ცხოვრება“, „რაჟდენის ცხოვრება“ და სხვ.).[2]

ადრექრისტიანული ხანის მონუმენტურ ხუროთმოძღვრებაში შესაძლებელია გამოიყოს ძეგლთა განსაკუთრებული

[1] Ю. Гагошидзе. Самадло. Каталог. Тб. 1981, გვ. 52.

[2] „ ....და დაიპყრეს ქართლი სპარსთა .. და ყოველსა შინა ეკლესიათა ქართლისაჲთა ცეცხლისმსახურთა სპარსთა აღადგინეს ცეცხლი“ (ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. ტ. I. თბ. 1955, გვ. 139). „....ამან ჰერაკლემ ტფილისს და მცხეთას და უჯარმას წარავლინა ქადაგნი, რაითა ყოველგან ქრისტეანენი ქალაქთა შინა ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ. შატბერდის კრებული. (რედ.) ე. გიუნაშვილი, ბ. გიგინეიშვილი, თბ. 1973, გვ. 326). ვახტანგ გორგასალმა და მისმა მეუღლემ რაჟდენის ნეშტი წრომიდან ნიქოზში გადაასვენეს და იქ ეკლესია ააგებინეს „საგზებელსა თანა ცეცხლისასა“ (ქართლის ცხოვრება. I, გვ. 199).

ჯგუფი, რომლების კომპოზიციაში იგრძნობა ირანული ზოროასტრული ტაძრების არქიტექტურის გავლენა. ასეთი ძეგლები რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

• ეკლესიები, რომლებიც ცეცხლის ტაძრის რეკონსტრუქციის შედეგად წარმოიქმნა. ასეთი რეკონსტრუქციის კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს უფლისციხის ე. წ. კლდოვანი ბაზილიკა. გ. ყიფიანის ვარაუდით, ეს ნაგებობა თავდაპირველად ოთხსვეტიანი კვადრატის ფორმის ცეცხლის ტაძარი იყო[3] (ი. გაგოშიძე მას მითრეუმად მიიჩნევს), რომელიც ქრისტიანულ ეკლესიად გადაკეთდა საკმაოდ მარტივი რეკონსტრუქციის შედეგად – მას აღმოსავლეთიდან აფსიდი მიუშენდა.

• მცირე ზომის აღმოსავლურქართული არქაული ეკლესიების ერთი ჯგუფი, რომლების ირანული ჩოთრაკის (კიოსკის ტიპის, ფანჩატურისებრი ოთხმხრივ გახსნილი ნაგებობა, რომელიც წმინდა ცეცხლის შესანახადაა გათვალისწინებული) პრაქტიკულ ასლებს წარმოადგენს. ასეთია, მაგ., ჭერემის ეკლესია (IV-V სს.) (ნახ. 1, შეად. ნახ. 2-ს). ამ უკანასკნელთან ახლოს დგას აგრეთვე ნეკრესის მონასტრის ძველი ბაზილიკა (IV ს.) (ნახ. 5), რომელსაც ჯერ კიდევ გ. ჩუბინაშვილმა „სათუო ბაზილიკა“ უწოდა[4] მცირე ზომის, დიდი თაღოვანი შესასვლელების გამო გვერდითა ფიქტიურ ნავებში, რომლებიც შენობას ცხაურა, ფანჩატურისმაგვარ იერს ანიჭებს,[5] და მატანის ცხრაკარა (IV–V სს.).

[3] გ. ყიფიანი. კოლხეთის და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბ. 2000, გვ. 1-12.

[4] Г.Чубинашвили. Архитектура Кахетии. Тб.1959, გვ. 44.

[5] ნეკრესის მონასტერი ჯერ კიდევ წარმართობისდროინდელ წმინდა ადგილზე აიგო. გ. ჩუბინაშვილი დამაჯერებლად საუბრობს კახეთში ასეთი ადგილების ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობაზე. უახლესი მონაცემე-

• უადრესი ქრისტიანული ძეგლები, რომლებშიც უფრო შემოქმედებითადაა გადამუშავებული ირანული არქიტექტურიდან მომდინარე მოტივები. როგორც წესი, ესაა კრიპტაზე დაშენებული მარტირიუმი, რომელიც თავის თავში გარკვეულ მემორიალურ, საკრალური ადგილის აღმნიშვნელ ფუნქციასაც აერთიანებს. ისინი ხშირად მცირე ზომის, კვადრატთან მიახლოებულ ფორმას წარმოგვიდგენს და უმეტეს შემთხვევაში ერთი ან რამდენიმე მხრიდან ღიაა – მაგ., ზედაზენი (ნახ. 3), უჯარმის ჯვარპატიოსანი და სხვ.

ქრისტიანული და ზოროასტრული სიმბოლიკის შერწყმის მაგალითებს ჩვენ ქართული ადრექრისტიანული სახვითი ხელოვნების ნიმუშებშიც ხშირად ვხედავთ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქართული და ირანული კულტურის ელემენტების შერწყმას ბევრად უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს: ქართულმა წარმართობამ ოდითგანვე შეითვისა ირანული (არიული) გავლენები. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სავარაუდოდ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში შემოსულმა არიულმა სუპერსტრატამ კვალი დაამჩნია ქართულ წარმართულ პანთეონსაც. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაიმი მითრას კულტის ერთ-ერთი სახეობის (გაიო-მარტამ – სიცოცხლის მომნიჭებლის) გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს, აინინა – ანაჰიტისა და ა.შ. მოგვიანებით აღმოსავლეთ საქართველოში ირანული მოსახლეობა გაჩნდა, რომელმაც აჰურა-მაზდას თაყვანისცემა გააერცელა იბერიაში (ქართული კერპი არმა-

ბის მიხედვით ლ. ჭილაშვილი ამ ადგილზე მითრა-მზის სალოცავის არსებობას ამტკიცებს (L. Chilaschvili. Eine Inschrift auf dem Rand eines Kwewri aus Nekresi. „Georgica“, 26, 2003, გვ. 5-12). ნეკრესის მონასტრის ტერიტორიაზე ნაპოვნი ქვევრის ნატეხზე წარწერა მითრასათვის მიძღვნა აღმოჩნდა. საერთოდ, ყოფილ წარმართულ სალოცავზე ეკლესიის აგების პრაქტიკა ფართოდ გამოიყენებოდა საქართველოში. ასეთია, მაგ., ზემო ნიქოზის ძველი ბაზილიკა, რომელიც ამჟამად მოგვიანო ხანის გუმბათიანი ტაძრის სტრუქტურაშია ჩართული.

ზი, რომლის სახელსაც უკავშირდება იბერიის სამეფოს დედაქალაქის მთავარი ციტადელის სახელწოდებაც). ამრიგად, ირანული წარმოშობის ღვთაებებმა შეადგინეს ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ტრიადა.

განსხვავებულ სურათს ვხედავთ ანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოში. ბერძნული წარმოშობის კულტების გარდა (აპოლონი, არტემიდე, არეტუზა, ჰელიოსი, ნიკე და სხვ.), რომელთა თაყვანისცემის ტრადიცია კოლხეთში ბერძენ კოლონისტებთან ერთად შემოვიდა და რომლებიც ადგილობრივმა მოსახლეობამ საკუთარ ღვთაებებთან გააიგივა, გავრცელებული იყო აგრეთვე ე. წ. ტრაპეზუნტელი მითრას კულტი. ეს უკანასკნელი ქალაქ ტრაპეზუნტის ოფიციალურ ღვთაებას წარმოადგენდა I-III სს-ში[6] – ქალაქისა, რომელშიც ორი ეთნოსი, კოლხური და ბერძნული, სახლობდა.

ირანული წარმოშობის, მზის, სინათლისა და სამართლიანობის ღვთაება მითრა ძალზე პოპულარული რომის იმპერიაში II-III სს-ში, განსაკუთრებით – სამხედრო წოდებაში, გვიანრომაულ ხანაში კი იმპერიის უმნიშვნელოვანეს ოფიციალურ კულტადაც ითვლებოდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი კულტი პროვინციებში.

მითრა-მხედრის გამოსახულება შემორჩენილია ტრაპეზუნტის საქალაქო მონეტებზე (II-III სს. ნახ. 6) – ცხენოსანი ჭაბუკი მეომარი, რომლის ცხენის ფლოქვებთან გველის გამოსახულებაა მოცემული. თვალში საცემია მისი მსგავსება წმ. გიორგის იკონოგრაფიასთან.

მსგავსი სიტუაციაა აგრეთვე დაახლოებით I-IV სს-ში რომის იმპერიის სხვა პროვინციებში: მაგალითად, გერმანიაში და სირიაში მითრა აგრეთვე ცხენოსანი ჭაბუკის სახით წარმოგვიდგება (რელიეფი ნოიენჰაიმიდან, დურა ეუროპუსის

[6] T. Dundua. Christianity and Mithraism. The Georgian Story. Tb. 1999, გვ. 3.

მოხატულობა მითრას ნადირობის სცენით), ხოლო თრაკიაში გავრცელებული იყო მითრას კულტი ე. წ. თრაკიელი მხედრის სახით, რომელიც, მრავალი ევროპელი მეცნიერის აზრით, ქრისტიანულ ხანაში გავრცელებული წმ. გიორგის იკონოგრაფიის პროტოტიპი გახდა.[7] საინტერესოა, რომ იმპერიის მეტროპოლისში მითრას გამოსახულებები მხედრის სახით თითქმის არ გვხვდება. მაგ., იტალიაში ეს ღვთაება ქვეითად გამოისახება, განსაკუთრებით პოპულარულია მითრას ბრძოლის სცენა ხართან, სადაც ეს უკანასკნელი ბუნების ბნელ ძალებს, ქაოსს განასახიერებს.

ამრიგად, ცხადია ირანული კულტურის გავლენა ქართულ წარმართულ პანთეონზე. თუმცა ეს გავლენები რემინისცენციების სახით გვხვდება აგრეთვე ქრისტიანულ ეპოქაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ადრექრისტიანული ქართული რელიეფისა და გლიპტიკის ცალკეული ნიმუშები. მათ შორისაა დმანისის რაიონში, სოფ. უკანაგორში აღმოჩენილი რელიეფური სტელის ფრაგმენტი – ბაზა (წითელი ტუფი, 75X75X67 სმ), რომელსაც ვ. ჯაფარიძე V-VI სს-ით ათარიღებს,[8] ნ. შოშიაშვილი კი – VII ს-ით. მის ერთ-ერთ წახნაგზე გამოსახულია წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი პალმეტებით, რომლის აქეთ-იქით ზოროასტრული წმინდა წასაკრავის ბოლოები მოჩანს.

მეორე ასეთი ძეგლი აღმოჩენილია სოფ. ზემო თმოგვში (ასპინძის რ-ნი, 90X67X67 სმ, VII ს.), რომელზეც მოცემულია მედალიონში ჩასმული ორი ჯვარი ზოროასტრული წასაკრავებით და მათ შორის – ფიგურული კომპოზიცია (დანიელი ლომთა ხაროში, თანაც დანიელს ფრიგიული ქუდი ახურავს).

მსგავს მაგალითებს ვხედავთ აგრეთვე V-VII სს. ეკლე-

[7] G. Kazarow. The Thracian Rider and St. George. Antiquity 12. 1938, გვ. 290-296.

[8] ვ. ჯაფარიძე. ადრეული შუა საუკუნეების ძეგლები ქვემო ქართლიდან. თბ. 1981, გვ. 75.

სიათა დეკორშიც: წილკნის ეკლესიის (ძეგლის უძველესი ფენა ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანას განეკუთვნება და იგი სამნავიან ბაზილიკას წაროადგენდა, რომელიც მოგვიანებით გუმბათიან ნაგებობად გადაკეთდა) ინტერიერში შემორჩენილია კაპიტელის მორთულობის დეტალი – ჯვრის გამოსახულება ზოროასტრულ წასაკრავთან და ფრთებთან კომბინაციაში. ჯვარი წყვილ მორკალულ ფრთას შორისაა მოქცეული. თითოეული ფრთა ოთხ-ოთხი მსხვილი ბუმბულისგან შედგება და დამახასიათებელი მორკალული, სპირალისებრად შიდა მხარეს გაღუნული ფორმა აქვს.[9] ასეთი ფრთები სასანური ირანის ხელოვნებაში სამეფო ხელისუფლების სიმბოლოდ ითვლებოდა და განსაკუთრებით პოპულარული გახდა ვარაჰრან II (276-283 წწ.) დროიდან. ხშირად ასეთი ფრთები დედამიწის ან მზის სიმბოლურ გამოსახულებასთან ერთად კომბინაციაში გვხვდება, საქართველოში კი ისინი ჯვრის სიმბოლიკასაც შეერწყა. ჯვარი ზოროასტრულ წმინდა წასაკრავთან ერთად გვხვდება აგრეთვე წილკნის ეკლესიის ტრიუმფალური თაღის დეკორში, აკვანებას ეკლესიის (VI ს-ის შუა ან ბოლო წლები) ინტერიერში სამხრეთი კარის თავზე და სხვ.[10] რაც შეეხება ადრექრისტიანული ხანის ქართული რელიეფის ზოგიერთი ნიმუშის სტილისტურ მსგავსებას სასანური ეპოქის ძეგლებთან, ეს ცალკე ნაშრომის თემაა. ჩვენ ამჯერად მხოლოდ ქრისტიანული და ზოროასტრული სიმბოლიკის შერწყმის მაგალითების განხილვით შემოვიფარგლებით.

საერთოდ, V-VI სს. მიჯნაზე ქართულ ხელოვნებაში ირანული კულტურიდან მომდინარე მოტივების გამოჩენა ლოგიკურად ჯდება პოლიტიკური ისტორიის პროცესებშიც: ამ

[9] Н. Чубинашвили. Хандиси. Тб. 1972, გვ. 70-72.

[10] Н. Чубинашвили. Хандиси, გვ. 74-75.

პერიოდიდან ძლიერდება ირანის ექსპანსია ამიერკავკასიაში. ეს ექსპანსია ძალიან საგრძნობია ქვემო ქართლში, შიდა ქართლში და კახეთის დაბლობ რეგიონებში, მაზდეანობის ინტენსიური პროპაგანდის შედეგია ამ ტერიტორიებზე ცეცხლთაყვანისცემელთა თემების არსებობა. მაზდეანობის გარდა, ირანის შაჰები ქრისტიანობის სხვა, არადიოფიზიტურ მიმდინარეობებსაც უწევდნენ მფარველობას, მაგ., ნესტორიანობას, მონოფიზიტობას, და სხვ. ირანის ხელისუფლების მფარველობით სარგებლობდნენ აგრეთვე მანიქეველებიც.


გლიპტიკის ნიმუშებიდან ამ მხრის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ე. წ. ქართულ-სასანური ვერცხლის დრაქმები – მონეტების ჯგუფი, რომელიც იჭრებოდა ქართლში ერისმთავრების მიერ VI-VII სს-ში ორმოზდ IV და ხოსრო II დრაქმების ანალოგიით. ასეთი მონეტების შუბლის მხარეს მოცემულია ირანის მმართველის გამოსახულება, ხოლო ზურგის მხარეს – ცეცხლის საკურთხეველი[11] და ორი მცველი. საკურთხეველზე რიგ შემთხვევაში წმინდა ცეცხლია მოცემული, რიგ შემთხვევაში კი მასზე აღმართული ქრისტიანობის სიმბოლო – ჯვარი (მაგ., ერისმთავარ სტეფანოზის დრაქმა, დაახლ. 591-592 წწ., ნახ. 7).[12]

ვიმედოვნებთ, წარმოდგენილი მასალა არ იქნება ინტერესმოკლებული ქართულ-ირანული უძველესი კულტურული კავშირების კვლევის ასპექტით.


[11] საკურთხეველი თავისი ფორმით ანალოგიურია აგრეთვე ანტიკური ხანის ჭედურობის ნიმუშებზე მოცემული გამოსახულებებისა: მაგ. ბორისა და არმაზის ვერცხლის თასების (I-II სს.) გამოსახულებები, სადაც საკურთხევლის წინ წმინდა ცხოველი – ცხენია წარმოდგენილი.

[12] T. Dundua. Georgia within the European Integration as Seen in Coinage. Catalogue of Georgian Coins. Tb. 1999, გვ. 11.


ილუსტრაციები:




1. ჭერემის ეკლესია, გეგმა და ჭრილი




2. ფირუზაბადის ცეცხლის ტაძარი. გეგმა



3. ზედაზენის ეკლესია. რეკონსტრუქცია



4. სამადლოს კოშკურა ცეცხლის ტაძარი. რეკონსტრუქცია



5. ნეკრესის ეკლესია



6. მითრას გამოსახულება ტრაპეზუნტის საქალაქო მონეტაზე



7. ერისმთავარ სტეფანოზის დრაქმა.

Nino Silagadze

SOME QUESTIONS OF IRANO-GEORGIAN CULTURAL ATTITUDES

Summary

An influence of the Pagan Iranian culture on the Georgian art is considered here based upon various data: architectural complexes of pagan temples in Eastern Georgia, reliefs, crafts etc. Fire-temples of the Iranian type from Eastern Georgia are most important for our discussion together with those, which were later converted to the Christian churches. This group also containes churches modeled upon the Iranian Pagan architecture.

One of the parts of the paper covers the problem of Mithra-religion in Georgia and some regions of Roman world, especially in provinces of the Empire (ex. Mithra of Trapesus, the Thracian Rider etc.).

Synthesis of Zoroastian and Christian symbols in some of the Georgian artifacts is also interesting (ex. Cross on the fire-altar; Cross and Taenia depicted together etc.).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

მარიამ ჩხარტიშვილი

ქართული იდენტობის საკრალური ასპექტი

ალბათ საკამათო არ შეიძლება იყოს აზრი იმის შესახებ, რომ თეორია, რომელსაც ირჩევს ისტორიკოსი, როგორც გამოკვლევის საფუძველს, გადამწყვეტია ნებისმიერი სამეცნიერო პრობლემის დასმისას. მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თეორია მაშინ, როცა საქმე ეხება რთულ ფენომენებს, რომელთა შეცნობა მოითხოვს მრავალრიცხოვანი ემპირიული მასალის გააზრებას და დიდი ისტორიული ნარატივის შექმნას.

ქართული ისტორიოგრაფია საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეფუძნებოდა ექსკლუზიურად მარქსისტულ სოციოლოგიას. მარქსიზმი მძლავრ ამხსნელობით სისტემას წარმოადგენს. ამიტომ ამ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას (და, აგრეთვე, მომდევნო პერიოდისას, რომელიც გარკვეულწილად წინა წლების ინერციით წარიმართებოდა) ჰქონდა თვალსაჩინო მიღწევები.

თუმც მარქსიზმსაც აქვს, ცხადია, თავის შესაძლებლობების ზღვარი და ყველა მოვლენის შესასწავლად იგი არ გამოდგება. ასეთ მოვლენათა რიგს უდავოდ განეკუთვნება იდენტობა. ნებისმიერი ტიპის იდენტობა, მათ შორის, კოლექტიური კულტურული იდენტობა, რომლის საფუძველზე არის აღმოცენებული ისტორიკოსებისათვის განსაკუთრებით საინ-

ტერესო ეთნიკური და ნაციონალური ერთობები, გულისხმობს მიმართებას ანუ სუბიექტივისტურ ფაქტორებს, მაშინ როცა მარქსიზმი არის ობიექტივისტური მიდგომა.[1] ამიტომაა, რომ ქართული იდენტობის ისტორია ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში თითქმის შეუსწავლელი იყო. ქართველი ერის კონსოლიდაციის პრობლემაზე საუბრისას ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, აღინიშნებოდა ქართველი ხალხის თვითცნობიერების არსებობის საკითხი, მაგრამ დეტალური კვლევა თვითცნობიერების ისტორიისა, არ წარმოებდა. თვითცნობიერება ეკონომიკურ ფაქტორებზე დაქვემდებარებულ მოვლენად იყო მიჩნეული და მკვლევრები მის შესახებ მხო-

[1] საჭიროდ მიმაჩნია აქვე განვმარტო ტერმინების *სუბიექტივისტური* და *ობიექტივისტური* არსი, რომ არ მოხდეს მათი აღრევა ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელებულ სუბიექტურთან და ობიექტურთან. ნაციის ობიექტივისტური განმარტებისას მხედველობაში მიიღება მარკერის რეალურობა, ანუ მისი ობიექტურად, საზოგადოებრივი აღქმებისაგან დამოუკიდებლად, არსებობის ფაქტი. მაგალითად, ერის მარქსისტულ დეფინიციაში პოსტულატი იმის შესახებ, რომ ერი - ეს არის ერთი ენის მქონე ერთობა, გაიგება როგორც მტკიცება იმის შესახებ, რომ ერთობას მართლაც აქვს ყველასაგან განსხვავებული ენა. ნაციის სუბიექტივისტური ინტერპრეტაცია კი გულისხმობს არა იმდენად რეალურად არსებულ განსხვავებას, არამედ ამ განსხვავების აღქმას ერთობის წევრების მიერ ანუ მარკერის სოციალურ შინაარსს და მნიშვნელობას. ობიექტივისტური მიდგომა დამახასიათებელი იყო საბჭოური და პოსტსაბჭოური პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიული პრაქტიკისათვის: კვლევის ფოკუსს და სამეცნიერო ინტერესის საგანსაც თითქმის ყოველთვის წარმოადგენდა თუ რა მოხდა, მაგრამ იშვიათად იყო დაკვირვების ობიექტი ის, თუ როგორ აღიქმებოდა, რაც მოხდა. ამ ფაქტის შესახებ ნათლად არის მითითებული ქართული ნაციონალიზმის და ნაციათმშენებლობის პროცესისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ გამოკვლევაში. მოვიყვან მცირე ამონარიდს. სიტყვა შეეხება იდენტობის უმნიშვნელოვანეს მარკერს – ენას: „In particular, the notion of taking seriously all the beliefs the mental universe of a group of people no matter how outrageous they might seem to serious scholars, is one which puzzles many Georgians of my acquaintance, who regard the search for the absolute truth ("What is the origin of the Georgian language?") as the only valid pursuit, and consider subjective truth ("What idea do people hold about the origin of the Georgian language?") as a futile and uninteresting" (*Myth and Nation Building in Georgia. Nation-building in the Post-Soviet Borderlands. The Politics of National Identities*. G. Smith, V. Law, A. Wilson, A. Bihr, E. Allworth, Cambridge University Press, გვ. 270-271).

ლოდ მოკლე შენიშვნებით კმაყოფილდებოდნენ. [2]

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მკვლევართა ჯგუფთან ერთად მე მოვკიდე ქართული იდენტობის ისტორიის კვლევას ხელი. სწორედ მაშინ გახდა ჩემთვის ცხადი, რომ აღნიშნული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მარქსისტული სოციოლოგიის ჩარჩოებში.[3]

გარკვეული ძიებების შემდეგ მე შევარჩიე, ჩემი აზრით, შესაფერისი თეორიული მიდგომა, რომელიც *ეთნოსიმბოლიზმის* სახელით არის ცნობილი სპეციალურ ლიტერატურაში. ამ მიდგომის დახასიათება შეიძლება მრავალი ნიშნით, მაგრამ ამჯერად მინდა ხაზი გავუსვა მხოლოდ ერთს, ამ მოხსენებისათვის მნიშვნელოვანს: ეთნიკური და ნაციონალური ერთობების წარმოქმნასა, გამძლეობას და თვითშენახვას განაპირობებს არა იმდენად ეკონომიკური ან პოლიტიკური ფაქტორები, არამედ საერთო სიმბოლოები, ღირებულებები, მახსოვრობები ანუ საზოგადოებრივი პერცეფციები (ე.ი. სუბიექტივისტური ფაქტორები). აღნიშნული ერთობები, უპირველეს ყოვლისა, არის კულტურის ფორმები და მხოლოდ ამის შემდგომ პოლიტიკური თუ ეკონომიკური წარმონაქმნები.[4] და კიდევ ერთი, ეთნოსიმბოლიზმის მთავარი პოსტულატი: კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობები თავისი არსით განსხვავებულია დანარჩენი ადამიანური ასოცია-

[2] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართული ისტორიოგრაფიის ნაწილობრივი ანალიზისათვის იხ.: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული ერთობის სოციალური „სიცოცხლის“ ორი თვე ანუ დაკვირვება ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე 1878 წლის „ივერიის“ 10 ნომრის მიხედვით. ქართული წეაროთმცოდნეობა. XII. თბ. 2010, გვ. 159-168.

[3] ამ პროექტის შესახებ მოკლე ინფორმაციისათვის იხ.: მ. ჩხარტიშვილი. ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნიერსალიები ილია ჭავჭავაძისა შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ილია ჭავჭავაძე 170 (საიუბილეო კრებული). თბ. 2007, გვ. 215-243.

[4] A. D. Smith. *Chosen Peoples*. Ethnicity. Edited by J. Hutchinson and A. D. Smith. Oxford. New York. 1996, გვ. 189.

ციებისაგან იმით, რომ მათ აქვთ საკრალური საფუძვლები. ნაციებიც კი, რომელთა წარმოშობა უკავშირდება ახალ დროს და სეკულარიზაციის ეპოქას, თავს მოაზრებენ არა მხოლოდ პოლიტიკურ ან თუნდაც კულტურულ ერთობებად, არამედ მოქალაქეთა საკრალურ თანაზიარებად. სწორედ საკრალიზმი განაპირობებს მათ არაჩვეულებრივ განგრძობადობას დროში და თვითშენახვას იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეკონომიკური საფუძვლები მოშლილია და პოლიტიკური ჩარჩო დარღვეულია.[5]

აღნიშნული თეორიული პოსტულატი ნაციონალური და ეთნიკური ერთობების საკრალური საფუძვლების შესახებ მიღებულია მრავალი კონკრეტული ისტორიული შემთხვევის ანალიზით. ჩემს მიზანს წარმოადგენს ამ პოსტულატის ქართული მაგალითით შემოწმება ანუ ქართული იდენტობის საკრალური ასპექტის წარმოჩენა. აღნიშნული საკითხის კვლევა უდავოდ არის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი გასაღები პრობლემა. როგორც აღვნიშნე, ერთობის საკრალიზაცია მისი გამძლეობისა და განგრძობადობის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია. ხალხებმა, რომლებმაც შექმნეს შესაბამისი იდეოლოგიები და სპეციალური სოციალური აგენტების მეშვეობით მისი კულტივირებაც მოახერხეს თავიანთი ერთობების შიგნით, გადარჩნენ. ფაქტი ისაა, რომ უხსოვარ დროში წარმოშობილმა ეთნიკურმა ბირთვმა ქართული ერთობის სახით შეძლო გადარჩენა. მეტიც, ის ტრანსფორმირდა ნაციონალურ ერთობად და როგორც ასეთი, განაგრძობს არსებობას. ამიტომ აპრიორი საეარაუდოა, რომ ქართულ ერთობას

[5] At such moments, we can grasp the nation as a „sacred communion of citizens" (A. D. Smith. *Nationalism. Theory, Ideology, History.* Cambridge. 2001. Reprint 2003, გვ. 35); „Yet, that the world is divided into communities of nations which posses their own territories or homelands, their own histories and their particular destinies – these are beliefs that are rarely questioned by most people. These form what one might term the 'sacred properties' of the nation or more accurately, the basic properties of the nation conceived as a sacral communion of its members" (ibid, 144).

ჰქონდა და აქვს საკრალური საფუძვლები. მაგრამ იმ იდეებზე, განებავთ, მითებზე, რომელთაც უზრუნველყვეს შიდა-ჯგუფური კონსოლიდაცია და არანაკლებ შეირაღებული ბრძოლებისა, განაპირობეს ქართული ერთობის თვითშენახვა უპრეცენდენტოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. საქართველოს ისტორიის, უფრო ზუსტად კი, ქართული ერთობის ისტორიის ამ ნაკლებად შესწავლილ ასპექტს შეეხება წინამდებარე გამოკვლევა.

იდენტობა არის ე.წ. „ხანგრძლივი დროის“ (ესაა ცნობილი ისტორიოგრაფიული მიმდინარეობის ე.წ. *ანალების სკოლის* წარმომადგენლის ბროდელის მიერ შემოტანილი ცნება) ფენომენი. ამგვარი განზომილების მქონე მოვლენის შესწავლისას, საჭიროა მასალის დაძებნა ვრცელი ქრონოლოგიური პერიოდიდან. უმჯობესია ფენომენზე დაკვირვება დავიწყოთ განვითარების იმ საფეხურიდან, როდესაც ის ყველაზე უფრო სრულყოფილად ავლენს თავს. ანუ მე მკითხველს ვთავაზობ ქართული იდენტობის საკრალურ ასპექტზე მსჯელობა დავიწყოთ ჩვენი ეპოქიდან: ჩვენი (ანუ ქართული იდენტობის მქონე პირების) და ჩვენი გარემომცველი სახოგადოების პერცეფციებზე რეფლექსიით. ბევრი ფაქტი შეიძლება დასახელდეს. ამ შემთხვევაში მე ყურადღებას შევაჩერებ მხოლოდ რამდენიმეზე.

დღევანდელი ქართული სახოგადოება აშკარად ცდილობს ჰქონდეს საკრალური ცენტრი და ჰყავდეს წმინდა ადამიანი. ეს როლი ქართველთა უმრავლესობის მიერ მიკუთვნებული აქვს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს. არსებობს ერთგვარი სახოგადოებრივი კონსესუსი: სახოგადოების უმეტესი ნაწილი გულწრფელად არის აღფრთოვანებული პატრიარქის პიროვნებით, ნაწილი კი უბრალოდ პრაგმატულად თვლის, რომ ეროვნულ ერთობას ესაჭიროება საყრდენი, რომელიც გამძლე შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის გაიაზრება,

როგორც წმინდა. უახლოესი ათწლეულების განმავლობაში პატრიარქის ფიგურამ იტვირთა მთელი რიგი ინსტიტუციების ფუნქცია და ურთულეს გარდამავალ პერიოდში ხელი შეუწყო ეროვნულ განგრძობადობას. ნიშანდობლივია, რომ პატრიარქი მარტოოდენ ქრისტიანულ ანუ ზეეროვნულ ეთიკას არ ასწავლის ქართველებს; ის მიზანმიმართულად ავითარებს ეროვნულ გრძნობებს და ანიჭებს მათ არაჩვეულებრივ პოტენციას იმით, რომ აკავშირებს ამ გრძნობებს სარწმუნოებასთან. პატრიარქი ახდენს ქველაფრის საკრალიზაციას, რასაც ეხება. მისი ამგვარი არაორდინალური სოციალური როლი მომდინარეობს არამარტო კათოლიკოს პატრიარქის, უდავოდ დადებითი, პიროვნული ღირსებებიდან, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების სურვილიდან ქართულ ეროვნულ ერთობას გააჩნდეს საკრალური საფუძველი.[6]

ჩვენი ეპოქისავე ფაქტია, მოდერნული ქართული ნაციის ჩამოყალიბების პროცესის მონაწილეთა წმინდანებად შერაცხვა.[7] „ის ვინც ქართველი ერის კოლსოლიდაციას ხელი შეუწყო, წმინდაა, ე.ი. ერად ყოფნა წმინდაა, ღვთითკურთხეულია“ – აი, აზრი, რომელიც ამგვარი აქტებით ინერგება.

მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, საჭირო არაა. დასკვნა ადვილი გამოსატანია: ქართველებისათვის საკმარისი როდია, რომ წარმოადგენდნენ მხოლოდ კონსტიტუციით რეგლამენტირებულ საზოგადოებას, ქართველობა თავს მოიაზრებს საერთო ზნეობრივი ვალდებულებების მქონე კოლექტივად: ეს ის ერთობაა, რომელიც შექმნეს წმინდანებმა, რომელიც ცენტრირებულია წმინდა ადამიანზე.

წმინდანი ქართული იდენტობის საფუძველია დღესაც.

---

[6] რამდენადმე ვრცლად პატრიარქის ამგვარი როლის შესახებ იხ. მ. ჩხარტიშვილი. ქრისტიანობა, როგორც ქართული იდენტობის მარკერი. ლოგოსი. ტ. 4. თბ. 2007, გვ. 15-24.

[7] ილია ჭავჭავაძე და ექვთიმე თაყაიშვილი ამ ტენდენციის თვალსაჩინო მაგალითებს წარმოადგენენ.

„წმინდანი იყო მუდამ იდეალი ჩვენი წინაპრების და ჩვენთვისაც უნდა დარჩეს იდეალად თუ გვსურს ჩვენი ეროვნული და კულტურული არსებობის შენარჩუნება დღეს, ოკეანის პირისპირ, რომელიც ნთქავს ყოველგვარ ეროვნულ კოლორიტსა და ნიუანსებს. ის ერი კი, რომელიც დაკაგავს რწმენას და კულტურულ უპირატესობას ვერ შეინარჩუნებს მომხდურზე, უთუოდ დამარცხდება. წმინდანი იყო და არის იდეალი განათლებული კაცობრიობისა. მას ვერც ერთი იდეალი ვერ შეცვლის მომავალში“.[8]

ეს სიტყვები ეკუთვნის გასულ საუკუნის 80-90-ანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს ზვიად გამსახურდიას. ზემოთქმულის გათვალისწინებით აშკარაა, რომ ისინი სრულიადაც არაა შემთხვევითი. ზვიად გამსახურდია, რომელიც ბევრი ქართველისათვის იყო არამარტო ეროვნული, არამედ რელიგიური გრძნობის ავტორიც (გავიხსენოთ: საბჭოური სტაგნაციის პერიოდის ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ხასიათდებოდა რელიგიური ნიჰილიზმით და პატრიოტული გრძნობების არქონით), ეროვნულ კონსოლიდაციას შედეგს განიხილავდა როგორც ქრისტიანული ზნეობით შედუღაბებული წმინდა ერთობის შექმნას. ბევრს ახსოვს ალბათ მიტინგებზე წარმოთქმული დიდი ემოციური მუხტის მქონე მისი მოწოდება, რომ ქართველ ხალხს არჩევანი გაეკეთებინა ქრისტეს გზას და ბარაბას გზას შორის. ამ მოწოდების უმთავრესი მესიჯი ისაა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო სვლა ქრისტესაკენ და ქრისტეს სახელით.

ახლა გადავიხედოთ კიდევ ერთი საუკუნის იქით: დავინახავთ, რომ ქართული მოდერნული ნაციის მშენებლნიც ცდილობდნენ ნაციონალური იდეები საკრალური გაეხადათ,

[8] ზ. გამსახურდია. „მკვახე შეძახილის“ ექო (დია წერილი აკაკი ბაქრაძისადმი). იხ. ზ. გამსახურდია. წერილები, ესსეები. თბ. 1991, გვ. 565.

ნაციონალიზმის[9] იდეოლოგია აეყვანათ რელიგიის რანგში. ამჯერად ილიას მხატვრული შემოქმედებიდან მაგალითით დავკმაყოფილდები: „აქ არვის, დიდსა თუ პატარასა, ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული / დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული/ დაჰვიწებია, რომ დიდი არის ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება,/ რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი ქვეყანასავე შეეწირება!/ წმინდაა იგი, ვისაც ელირსა მამულისათვის თავის დადება!/ ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა, ის თავის დღეში აღარ მოკვდება,/ მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა, შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,/და არა ერთხელ ჭაბუკთა ყმათა, ხმლის ტარზედ ძლიერ აურთოლებს ხელს“.

როგორც ვხედავთ, ილიასათვის ქართული ერთობა (ქართველი ერი) ღვთაებაა, რომელიც (როგორც, სხვათა შორის, ყველა ღვთაება) ითხოვს მსხვერპლშეწირვას, თავშეწირვას. სამაგიეროდ, როგორც ნამდვილი ღვთაება, უკვდავების გარანტიას იძლევა.

ამგვარად, ილიას შემოქმედების მეშვეობით ქართულ ერთობაში ინერგებოდა აზრი, რომ ქართველი დაბადებით არის მამულის მსხვერპლი, მის წინაშე ქართველს აქვს ღვთიური ვალი. ანუ მამული, იგივე ერი საკრალური განზო-

[9] აქვე ხედმეტი არ იქნება გაეაკეთოთ შენიშვნა ტერმინ *ნაციონალიზმის* შესახებაც. ნაციონალიზმი სოგჯერ ესმით უარყოფითი კონოტაციით .ეს თვალსაზრისი დამახასიათებელია თანამედროვე დასავლური დისკურსისათვის; იგი, აგრეთვე, გავრცელებულია პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიულ სივრცეში საბჭოური ისტორიოგრაფიული პრაქტიკის ინერციით, რომლის შეფასებითაც ნაციონალიზმი განიხილებოდა ბურჟუაზიულ იდეოლოგიად, ყველაფერი ბურჟუაზიული კი ცალსახად უარყოფით მოელენად ხასიათდებოდა. ბევრ მკვლევარს დღემდე ასე ანუ უარყოფითი აზრით ესმის ეს სიტყვა და ზოგი მას კიდევაც უპირისპირებს ეროვნულს. ეს არაა სწორი. ნაციონალიზმი (ქართულად მისი ფარდი სიტყვა შეიძლება იყოს ილიასეული ეროვნობა) სამეცნიერო ტერმინია, რომელიც გამოიყენება გარკვეული სოციალური ფენომენის აღსანიშნავად. როგორც კვლევის ობიექტი, იგი განხილულ უნდა იქნეს ყოველგვარი შეფასებითი მომენტის გარეშე.

მილების მოვლენაა.[10]

ახლა გადავიხედოთ საუკუნეების სიღრმეში, კერძოდ, ქართული პრე-მოდერნული ნაციის[11] ფორმირების ეპოქაში ანუ XI საუკუნეში. ვხედავთ, რომ ამ დროსაც ქართული ერთობა მოაზრება, როგორც საერთო ზნეობრივი ნორმებით (ეს ნორმები ექსკლუზიურად ქრიტიანულია) შედუღაბებულ ერთობად.[12] ძალიან ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით საზღვარგარეთ მყოფი წმიდა გიორგი მთაწმიდელის მოწვევა საქართველოში ბაგრატ მეოთხის მიერ. რატომ უნდა დასჭირვებოდა თვითმპყრობელ მეფეს ყოველგვარ ამქვეყნიურ ძალაუფლებას მოკლებული ბერის დახმარება ქვეყნის საქმეთა მოწესრიგებისას?

ამ კითხვაზე პასუხის საშუალებას გვაძლევს საქართველოში წმინდა მამის მოღვაწეობაის ანალიზი, კერძოდ, მისი ღონისძიებანი საყოველთაო განწმედისაკენ მიმართული. პუ-

[10] ვრცლად იხილია ჭაეჭაეაძის შემოქმედებაში ნაციონალიზმის უნივერსალიების გამოელინების შესახებ იხ.: მ. ჩხარტიშვილი. ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალიები ილია ჭაეჭაეაძისა შემოქმედებასა და სასოგადოებრივ მოღვაწეობაში. ილია ჭაეჭაეაძე 170 (საიუბილეო კრებული) თბ. 2007, გვ. 215-243.

[11] ფართოდ გაერცელებული თვალსაზრისის მიხედვით ნაციები ახალი დროის პროდუქტებს წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისს იზიარებენ ე.წ. მოდერნისტები, რომლებიც თვლიან, რომ ნაციები პრინციპულად ახალი დროის ფენომენებია და ახალ დროში პოლიტიკური ელიტების მიერ ინსპირირებული და მართული მობილიზაციის შედეგებს წარმოადგენენ, და ეთნოსიმბოლისტებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ, მართალია, ნაციები აღმოცენდებიან ახალ დროში, მაგრამ არსებული ეთნიკური კულტურის ჩარჩოებში და მთლიანად განპირობებულნი არიან ეთნიკური საფუძვლით. თუმც მიმართება ეთნიკურსა და ნაციონალურს შორის თავისებურია: ნაციონალური კულტურა არ არის ეთნიკურის უბრალო გამეორება, არამედ გარკვეული ფაქტების შერჩევა და რეინტერპრეტაცია. ე. სმითი თვლის, რომ გარკვეული პირობითობით შეიძლება საუბარი ნაციებზე წინა მოდერნულ ხანაშიც. ქართული შემთხვევისათვის მე სავსებით მართებულად მეჩვენება ეს ასრი.

[12] ვრცლად იხ.: მ. ჩხარტიშვილი. წმიდა მამა გიორგი მთაწმინდელი და ქართული იდენტობის სამანები XI საუკუნეში. ქართული წყაროთმცოდნეობა. ტ. 11. თბ. 2010, გვ. 87-101.

რიფიკაციის პროცესი შეხებია ყველას, განურჩევლად სოციალური სტატუსისა:

„ხოლო მიერითგან იწყეს აღსაარებად და სინანულად თჳთ მეფემან, კათოლიკოსმან, მღდელთა, დიაკონთა, მონაზონთა და მოწესეთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა...და ესრეთ განანათლა ყოველი აღმოსავლეთი კაცმან ამან განათლებულმან ღმრთისა მიერ და ყოველნივე ცხადნი და დაფარულნი უწესობანი განჰმართნა“.[13]

ამგვარად, ქართული ერთობა, ქრისტიანულ მცნებათა შემნახველი („დამმარხავი“) ერთობაა. ქართული ერთობის საკრალური განზომილების მაჩვენებელია ისიც, რომ მის სათავეში დგას ღვთისმსახური მეფე. თავად ერთობის წევრთა პერცეფციით ამ ერთობის პოლიტიკური ჩარჩო ანუ სამეფო სხვა არაფერია, თუ არა ინსტრუმენტი მეფის ხელში საღვთო გეგმის რეალიზაციისათვის.

ქართული ერთობის წმინდა საფუძვლების მქონე სოციალურ არსად გააზრება ძალიან თვალსაჩინოდ ჩანს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ბევრ მსჯელობაში. ამჯერად, გამოვყოფთ მხოლოდ ერთ მაგალითს. სიტყვა შეეხება მემატიანის კომენტარს კახეთის მეფის აღსართანის რენეგატულ მოქმედებასთან დაკავშირებით. შუა საუკუნეების ავტორის აზრით, ზნეობრივი ნორმების უგულვებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს ერთობის დესტრუქცია. ცხადია, ასეთი თვალსაზრისი შეიძლება წარმოიშვეს მხოლოდ იმ შემთვევაში თუ მიჩნეულია, რომ თავად ამ ერთობის არსებობა განპირობებულია წმინდა საფუძვლით:

„მათ ჟამთა აღსართანცა, კახთა მეფე, წარვიდა მალიქშას წინაშე, დაუტევა ქრისტეანობაჲ და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით ღონითა აღიღო სულტნისაგან კახეთი. ამათ ესევითართა ჟამთა არავე დამშჳდნა ქუეყანაჲ, არცაღა

[13] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ი. აბულაძის საერთო რედაქციით. წიგნი მეორე (XI-XV სს.), თბ. 1967, გვ. 162.

იქმნა ლხინებად კაცთა უკეთურებისთჳს მკჳდრთა მისთადსა, რამეთუ ყოველმან ჰასაკმან და ყოველმან პატივმან ყოვლითურთით შესცოდეს ღმერთსა და მიიქცეს გზათაგან წრფელთა ყოვლისა მიმართ უკეთურებისა; ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესეოდენ განარისხნეს, ვიდრემდის თჳთ მოხადეს განჩინებად რისხჳსად, ქადებული უსჯულოთათჳს ესაიას მიერ, მეტყუელისა ესრეთ: „ვაჲ ნათესავსა ცოდვილსა, ერი რომელი სავსე არს უსჯულოებითა კუალითგან ფერჴთადთ ვიდრე თავადმდე, არა არს მას შინა სიცოცხლე“.[14]

შემდგომნი: „ქუეყანად თქუენი ოჯერ, ქალაქნი ცეცხლითა მომწუარ, სოფელთა თქუენთა უცხო თესლნი მოსჭამენ, და მოოჯრებულ და დაქცეულ არს ერისა უცხო ტომთადსა“.[15]

ესე ყოველი მოიწია და თუალითა ჩუენითა ვიხილეთ, და ფრიად უფროდსი ამათ წარმოთქმულთაცა: რამეთუ ვითარმცა ვინ მისცა თხრობასა ყოველი, რომელი იქმნა, ანუ ვითარცა ვინ წარმოთქუა ყოველი, რომელი დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირი? ამას ყოველსა ზე არა დასცხრა გულისწყრომად უფლისად ჩუენ ზედა, რამეთუ არა შევინანეთ“.[16]

ამგვარად, ქართული ერთობის ერთი ნაწილი განკერძოვდა. ნაციონალურ რენეგატობას რელიგიური რენეგატობაც დაერთო. ამის შედეგებს კი იმკის მთელი ერთობა უფლის სასჯელის სახით. ისტორიკოსი აშკარად ცდილობს შემდეგი აზრის კულტივირებას: უფლისათვის მისაღები არაა ერთობის დაშლა, რადგან ერთობის საფუძველი წმინდაა. ჩანს, იგი თვლიდა, რომ ერთობა იყო საუკეთესო საშუალება უფლის მცნებათა მიღებისა და უფლის გზით სვლისათვის.

იგივე თვალსაზრისს ავითარებს თამარის პირველი ის-

[14] ქართლის ცხოვრება. რ. მეტრეველის საერთო რედაქციით. თბ. 2008, გვ. 305.

[15] ქართლის ცხოვრება. რ. მეტრეველის საერთო რედაქციით, გვ. 305.

[16] ქართლის ცხოვრება. რ. მეტრეველის საერთო რედაქციით, გვ. 306.

ტორიკოსი გიორგი რუსის განდგომილების ფაქტზე საუბრისას: „მაშინ შეკრბა კრებული ღმრთისმბრძოლი, აღიღეს მახჳლები და ჳათები, ჳარმოემართნეს პატრონსა ღმერთშემოსილსა ზედა“.[17]

მისივე აზრით, საქართველო ანუ ქართული ერთობა არის უფლის სამკვიდრებელი.[18]

კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის ჳმინდა განზომილებაზე მიუთითებს ჟამთააღმწერელიც: ჯერ იგი ციტირებს *ჳმინდა ჳერილის* სიტყვებს: „ჭამა იაკობ, განძღნა, განსუენა და დაუტევა ღმერთი, შემოქმედი თჳსი და განუდგა ღმერთსა, მაცხოვარსა თჳსსა ზედა“.

მერე ამ სიტყვებს იყენებს ქართული ერთობის, მისი სიტყვებით, „ქართველთა ნათესაჲის“ მდგომარეობის დასახასიათებლად: „ეგრეთვე იქმნა ნათესაჲსაცა ამას შინა ქართველსა, რამეთუ განძღნეს და იშუებდეს, უწესობად მიდრკეს...ამისთჳს აღმოცენდეს მიზეზნი ცოდვათა სიმრავლითა საქართველოსა მოოჴრებისანი“.[19]

ქართული იდენტობის საკრალური ასპექტი ძალიან მკაფიოდ ჩანს ქართული პრემოდერნული ნაციის ჩამოყალიბებამდე მრავალი საუკუნით ადრეც. იოანე საბანისძე კარგად აჩვენებს ამ პერიოდის ქართული ერთობის მიერ საკუთარი საკრალური მისიის პერცეფციას. ჰაგიოგრაფი ცდილობს ქართული ერთობის არსებობის კონტექსტუალიზებას ქრისტიანულ მეტანარატივში. მისი მითითებით, დგას მეშვიდე ჟამი ანუ ქვეყნიერების აღსასრულის ათასწლეული. ამგვარი იდენტიფიკაციის საშუალებას მას აძლევს *ჳმინდა ჳერილში* მოცემული დახასიათება ბოლო ჟამისა, რომელთაც ის უდარებს მის თანამედროვე ვითარებას. ამ ჟამის ნიშანია ის, რომ სოცოცხლის მოძღვრებას უარყოფენ ადამიანები და

[17] ქართლის ცხოვრება. მეტრეველის საერთო რედაქციით, გვ. 423.
[18] ქართლის ცხოვრება. მეტრეველის საერთო რედაქციით, გვ. 479.
[19] ქართლის ცხოვრება. რ. მეტრეველის საერთო რედაქციით, გვ. 527.

ზღაპრებს მოუსმენენ. და ეს ვითარებაა სწორედ *ჩუენ შორის* ანუ იმათ შორის, რომლებიც, იოანე საბანისძის აზრით, არიან ქრისტიანული ოიკუმენის განაპირას ანუ „ყურესა ამა ქუეყნისასა“. მიუხედავად იმისა, რომ აქ ქრისტიანობას ხუთი საუკუნის და მეტი ხნის ისტორია აქვს, მაინც ჭეშმარიტი სარწმუნოებისაგან მიდრეკილია ხალხი: ზოგი ძალადობით, ზოგი მოტყუებით, ზოგი ახალგაზრდობის გამო გაუთვითცნობიერებლობით.[20]

ამგვარად, იოანე საბანისძე მიმართავს *მეშვიდე ჯამის* ქრისტიანებს. ერთი შეხედვით, მისი ადრესატია ქრისტიანული რელიგიური ერთობა საზოგადოდ. მაგრამ არა. ეს ქრისტიანები განსაზღვრული არიან სივრცულად: ესაა, როგორც ითქვა, ოიკუმენას განაპირას მცხოვრები ხალხი. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესაა ამ რეგიონის ქრისტიანი მოსახლეობა განურჩევლად ეთნიკურობისა? კვლავ არა: ესაა ქვეყნიერების საზღვარზე მცხოვრები კონკრეტულად ის ქრისტიანი ხალხი, რომელსაც ქრისტიანობა ხუთასი წლის წინ და ამის უწინარესაც აქვს მიღებული. აღნიშნული უკვე კონკრეტული ხალხის ისტორიის ფაქტებია, იმ ხალხისა, რომლის მეფეებს ქრისტიანობა შეუწყნარებიათ უკვე მესამე საუკუნეში: გავიხსენოთ ქართველთა მეფე რევ მართალი, რომელსაც, მართლაც, 500 წელი აშორებს იოანე საბანისძეს და ქვეყანაში კი ქრისტიანობა ვრცელდება ამაზე უწინარეს, ანუ მოციქულთა პერიოდიდან:

„და არა ხოლო თუ ჩემდა მარტოდსა საძიებელ არს სმენად საწადელი ესე მარტჳლობად წმიდისა ამის მოწამისად, არამედ ყოველთა ჯერ არს თქუენდაცა დაკჳრვებად ჩემ თანა, რომელნი ესე შემოკლებულსა[21] ამას ჟამსა მეშჳდესა

[20] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი პირველი, გვ. 49-50.

[21] „შემოკლებული“ ნატანილია სქოლიოში, როგორც ხელნაწერთა კითხვასხვაობა, ძირითად ტექსტში კი არის „შემოკრებულსა“, რაც გამომცე-

დარსა ზედა ვდგათ, რომლისა ჟამისათჳსცა უფალი იტყჳს, ვითარმედ: „მრავალნი სცდებიან, მრავალთა აცთუნებდნენ და მოციქული პაველე მისწერს ტიმთჳსა, ვითარმედ: ”მოვალს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღურებასა არა თავს იდებდნენ, არამედ გულის-თქუმისაებრ თჳსისა თავით თჳსით შემოიკრებენ მოძღურებასა ქავილით ყურითადთა და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარემიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცნენ, რომელიცა ესე ამ ჟამსა აღესრულების ჩუენ შორის. რამეთუ რომელნი ესე ვართ ყურესა ამა ქუეყანისასა, სასტიკებისაგან და სიყერაგისა მანქანებითა მით საცთურებისადთა ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა, ზაკულებითა მოძღურებისადთა, თჳთ თავით თჳსით შჯულის დებისადთა, განდგომილთა ქრისტჱსგან მრავალნი შეაცთუნენ და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებისა ქრისტეს სახარებისა შეეცოდნეს, რომელნი ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარჱსღა სჯულდებულ არიან წმინდათა მადლითა ნათლისღებისაითა. მიერითგან ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანენეთანი გარდაგულარძნეს რომელნიმე მძლავრობით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუარებით. და სხუანი, რომელნი ესე ვართ მოწმუნენი, მძლავრებასა შინა დამონებულნი, და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშა მათსა გუემულნი და ქეჯნილნი, ძჳრძჳრად ზღუეულნი, შიშითა განილევიან და ირეევიან ვითარა-

მელთა მიერ აღნიშნული ადგილის არასწორად გაგებაზე მიუთითებს. ითვლებოდა, რომ მეშვიდე ჟამი იყო შემოკლებული ჟამი, რადგან ქრისტეს მეორედ მოსვლა ივარაუდებოდა მის დასრულებამდე. აქედან გამომდინარე სრულიად ცხადია, რომ სიტყვა „შემოკრებული“, რომელსაც უპირატესობას ანიჭებენ გამომცემელნი, აქ არაფერ შუაშია. „წმ. აბოს წამების“ ესქატოლოგიის და, კონკრეტულად, „მეშვიდე ჟამის“ ინტერპრეტაციისათვის. იხ. გ. შურღაია. ესქატოლოგიური შეხედულებები ძველი ქართული და ბიზანტიური წყაროების მიხედვით („მეშვიდე დარი“ – დაუსრულებელი განსუენება, თუ მძაფრი განსაცდელი“?). – IV ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. თბ. 2005. გვ. 172-186.

ცა ლერწამნი ქართაგან ძლიერითა, არამედ ქრისტჱსა სიყუარულითა და შიშითა ჩუელებისაებრ მამულისა[22] სელისა, ჭირთა მოთმინებითა არა განეშორებიან მხოლოდ შობილსა ძესა ღმრთისაჲსა“.[23]

ამგვარად, მეშვიდე უამის დარს, ყურესა ამა ქუეყნისასა მყოფი ქრისტიანები კონკრეტული ისტორიული მახსოვრობის ერთობაა. ანუ კოლექტიური კულტურული იდენტობის საფუძველზეა ალმოცენებული. იოანე საბანისძის წარმოდგენით (და ეს უთუოდ გარკვეულწილად არის მთელი ქართული ერთობის წარმოდგენაც, რამდენადაც, როგორც ცნობილია, ჰაგიოგრაფია ფართო „მომხმარებელზე“ გათვლილი ჟანრია), ქართული ერთობა არის საკრალური მისიის ერთობა, შესაბამისად, საკრალური ერთობა, ამიტომ მისი წიაღი წარმოშობს ახალი დროის ანუ მეშვიდე უამის მოწამეს ანუ აბოს. მოწამე, რომელიც იმარტვილებს მეორედ მოსვლის წინ იხსენიება *აპოკალიფსისში.* ქრისტიანული ეგზეგეტიკით იგი თავისი ძალმოსილებით უტოლდება ელია წინასწარმეტყველს, რომელიც არ მომკვდარა, ცოცხლივ ატაცებული იქნა უფლის მიერ და მეორედ მოსვლისას პირველი დაამოწმებს ქრისტეს მოსვლას. ამგვარად, „წმინდა აბო თბილელის მარტვილობაში“ დასტურდება ქართული ერთობის მიერ საკუთარი განსაკუთრებული (წმინდა) მისიის რწმენა და მესიანური იდეოლოგია გამსჭვალული მძაფრი ესქატოლოგიური განცდით.

ეს იდეოლოგია გარკვეულად გაგრძელებას წარმოადგენს ქართველთა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიისა, რომელიც შეიქმნა ქართველთა მოქცევის ეპოქაში და რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა უცხოთა სარწმუნოების ქრისტიანობის ანუ „ჰრომთა სჯულის“ ადგილობრივ ნიადაგ-

[22] აქ, ცხადია, არ იგულისხმება „მამული“ ილიასეული გაგებით ანუ სამშობლოს აზრით. აქ საუბარია მამაპაპური სჯულის შენარჩუნებაზე, მამათა გზით სიარულზე.

[23] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი პირველი, გვ. 49-50.

თან შეზრდა. აღნიშნული იდეოლოგია ანუ „რჩეულობის მითი“, როგორც აღნიშნავენ სპეციალურ ლიტერატურაში ამ ტიპის ნარატივებს, დაფიქსირებულია ქართული ჰაგიოგრაფიის უძველეს ძეგლში და ავთენტურ წყაროში „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“. ქართველთა ეთნიკური რჩეულობის კონცეფციის შექმნა იყო თავისებური რეაქცია იმ გამოწვევაზე, რომელსაც წარმოადგენდა ტრანსეთნიკური ქრისტიანობა ნებისმიერი ეთნიკური კულტურისათვის და, მათ შორის, ქართული კულტურისათვისაც. აღნიშნული იდეოლოგიის მიხედვით ქართველთა მიწა, რომელიც შეიცავდა ყველაზე პრესტიჟულ ქრისტიანულ რელიკვიას – უფლის კვართს, მომავალში გახდებოდა უფლის სამკვიდრებელი ანუ *ზეციური იერუსალიმი,* რაც მინიშნება იყო იმაზე, რომ ქართველები, როგორც უფლის სასუფევლის დამკვიდრების ადგილას მცხოვრებნი, უფლის რჩეული ერთობაა. ამგვარად, „არმაზის საქმო“ გადააზრებულ იქნა *ისრაელად* ანუ რჩეულ ერად.[24]

მე ვფიქრობ, რომ უფლის კვართი და მასზე დაფუძნებული ქართველთა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია არის ქართული იდენტობის შენობის „მზიდი კედელი“. მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეოლოგიის წარმოშობის ხანას მრავალი საუკუნე გვაშორებს, იგი ცოცხალია დღემდე: საქართველო ქართველთა წარმოდგენით (იდენტობისათვის მთავარია სწორედ თავად ჩვენ-ჯგუფის წევრთა წარმოდგენა და არა სხვათა დამოკიდებულება) არის უფლის კვართის ქვეყანა. ქართული ეკლესიის და მისი მრევლის ანუ ქართველი ერის ისტორია უფლის კვართით მარკირებულ ქრისტიანთა ერთობის ისტორიაა.

ტრანსეთნიკური ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურ სარწმუნოებად მიღებამ ქართული იდენტობის მარკერთა

[24] მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე: როგორ იწრთობოდა იგი. ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია. კავკასიოლოგიური ძიებანი. ტ. I. თბ. 2009, გვ. 376-385.

გამოკვეთა გამოიწვია. ამან მის არაჩვეულებრივ განგრძობადობასაც შეუწყო ხელი იმით, ერთობის არსებობას მიანიჭა საკრალური სახრისი.[25]

მაგრამ, როგორც ვიცით, ქართული იდენტობა ქრისტიანობით არ იწყება. ქრისტიანობის მიღების დროისათვის ქართული იდენტობა უკვე სრულიად ჩამოყალიბებული იყო. „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული პრექრისტიანული ეპოქების ამსახველი ცნობები ძალიან ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით: ისინი არაორაზროვნად აჩვენებს, რომ წარმართულ ხანაში *ქართველობის* ანუ ქართულ ერთობასთან თვითიდენტიფიკაციის საფუძველი იყო ლოალობა ერთობის კერპებისადმი. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქრისტიანობამ კი არ შექმნა ქართული იდენტობა ან თუნდაც მისი საკრალური განზომილება, არამედ მხოლოდ გააძლიერა იგი ამ იდენტობაზე აღმოცენებული ერთობის მთავარ ფასულობათა რესაკრალიზაციით და ქართული ნარატივის ქრისტიანული ისტორიის კონტექსტში ჩართვით.

ცხადია, ამ მოკლე პრეზენტაციისას შეუძლებელი იყო შევხებოდი საკითხთან დაკავშირებულ ყველა თემას. ჩემი მოხსენება პრობლემის დასმის ცდად მესახება და არა მისი სრულყოფილი შესწავლის ამბიციით გამსჭვალულ გამოკვლევად. ამიტომაც ამჯერად ქართული იდენტობის საკრალური განზომილების შესასწავლად ჩემს ძიებებს დავამთავრებ ამონარიდით ნაციის ინტერპრეტაციის ეთნოსიმბოლისტური მიდგომის ფუძემდებლის, ზემოთ არაერთხელ დამოწმებული ე. დ. სმითის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნაშრომიდან „რჩეული ხალხები. ნაციონალური იდენტობის საკრალური წყაროები“. ეს ნაშრომი გამოვიდა 2003 წელს, თუმც მისი ძირითადი პოსტულატები ადრეული პუბლიკაციებითაც იყო ცნობილი, რამდენადაც აღნიშნული თეორიის გასაღებს წარმო-

[25] მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში. თბ. 2009, გვ. 127-159.

ადგენს სწორედ დასკვნა საზოგადებრივი პერცეფციების გადამწყვეტი როლის შესახებ ნაციონალური (და, აგრეთვე, ეთნიკური) კონსოლიდაციის პროცესში.

„მე ვხედავდი, რომ ვნებანი, რომელთაც აღვიძებს ნაციონალიზმი, მძლავრი ერთგულება, რომელსაც განიცდის ამდენი ადამიანი საკუთარი ნაციონალური იდენტობისადმი, შეუძლებელია აიხსნას ეკონომიკური და პოლიტიკური პირობითობის ფარგლებში. მხოლოდ რელიგიას თავისი მძლავრი სიმბოლიზმით და კოლექტიური რიტუალებით შეუძლია გამოიწვიოს ასეთი ვნება. მაგრამ აქედან გამომდინარე საკმარისი როდი იქნება დავიწყოთ იმის მტკიცება, რომ ნაციონალიზმი არის უბრალოდ სხვა „პოლიტიკური“ რელიგია. საიდან აქვს ამ ვნებას არსებობის წყარო და მოწოდების ასეთი ძალა? ცხადია, მხოლოდ ღრმად ფესვგადგმული რელიგიური რწმენებისა და სენტიმენტებისაგან და საკრალურობის მძლავრი განცდისაგან. სწორედ ეს უკანასკნელი მოითხოვს აბსოლუტურ ლოიალობას. მაგრამ რომელია ის ობიექტები, რომლებიც საკრალური აზრის მატარებელნი არიან? უპირველეს ყოვლისა, ესაა თავად ერთობა, რჩეული ხალხი, რჩეულ მორწმუნეთა კრებული და მათი ოჯახები. მერე წმინდა მიწა, რომელზედაც ეს ხალხია დასახლებული, მათი მახსოვრობები, გმირული ქმედებები, ძეგლები და წინაპართა განსასვენებლები. მერე ესააა დიდებული წარსული, ოქროს ხანა, რომელიც წინ უძღოდა მომდევნო საევალალო დაცემის ხანას. დაბოლოს, ესაა ერთობის გადასარჩენად და მისი წმინდა მომავლის უზრუნველსაყოფად შეწირული ყველა მსხვერპლი. აი, ეს არის ქსოვილი ავთენტურობის იმ ახალი რელიგიისა, რომელსაც ეწოდება ნაციონალიზმი“.[26]

მსჯელობა, რომელიც ზემოთ მოვიყვანე, მოცემულია დასახელებული წიგნის შესავალში და არსებითად წარმოად-

[26] A. D. Smith. Chosen Peoples. Sacred Sources of National Identity. Oxford University Press, 2003, გვ. VII-VIII.

გენს საზოგადოდ პრობლემის დასმას. კვლევის ამოცანათა ლაკონიურ და ამგვარად ამომწურავ იდენტიფიკაციას, ვფიქრობ, შეუძლია შეასრულოს გზამკვლევის როლი კოლექტიური კულტურული იდენტობის ფენომენის საკრალური ასპექტის ქართული მაგალითის საფუძველზე შესწავლის საქმეშიც.

Mariam Chkhartishvili

GEORGIAN IDENTITY'S SACRAL ASPECT

Summary

The paper deals with widely accepted assertion concerning the sacral sources of collective cultural identities and divine foundation of the communities based on this type of identities. The goal of the present contribution is to document this theoretical finding through the Georgian case study.

While doing so, the author concerns the current situation, then she considers the epoch of Georgian modern nation shaping (19th c); after this there are facts of medieval and ancient periods displayed and analyzed.

The results of the investigation makes it evident that during many centuries Georgian cultural elite had managed to create and cultivate ideology of ethnic electivity and special national mission. Just messianic ideas and belief in Georgians' "specialness" had played decisive role in Georgian identity survival.

The conclusion above represents essential novelty in study of Georgian nation's history as the facts reflecting subjective factors were neglected completely in Georgian historiography of Soviet and also post-Soviet era. The author of the present contribution considers this practice misleading and attempts to reason necessity of study of Georgian identity's sacral dimension.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

ლერი თავაძე

საქართველოს სამეფო ოჯახის სოციალური სტატუსი XI-XVI სს. ფრესკული მხატვრობის მიხედვით

ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს მეფეთა ისტორიას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. ამ მხრივ კვლევა არაერთ საინტერესო მასალას გვთავაზობს. ამჯერად, ჩვენ არ შევეხებით საქართველოს მეფეთა ან მათი ოჯახის ცალკეულ წევრთა ბიოგრაფიების აღწერას, კვლევის მიზანი არ არის არც პოლიტიკური ისტორიის რეპრეზენტაცია, არამედ სამეფო ოჯახის, როგორც სოციალური კლასის ასახვა შუა საუკუნეების ქართულ მსოფლმხედველობაში.

საქართველოში ფრესკული მხატვრობის არაერთი ნიმუშია დაცული. ზეციურ კომპოზიციებს სამყაროს ერთგვარი პროვიდენციალური ხედვის პირობებში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა. საერო პირთა გამოსახულებებიდან ალბათ ყველაზე საპატიო ადგილი მეფისა და მისი ოჯახის წევრების ფრესკებს უკავია.[1]

საქართველო XI-XVI საუკუნეებში შექმნილი ფრესკული ნამუშევრების სიმრავლით განსაკუთრებით მდიდარია. ხშირად გვხვდება სამეფო ოჯახის წევრთა ფრესკები. ძნელი იქ-

[1] საერო პირთა ქართული ფრესკული გამოსახულებების შესახებ, იხილეთ შემდეგი მონოგრაფიები: ს. სხირტლაძე. ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში. თბ. 2000; A. Eastmond. Royal Imagery in Medieval Georgia. The Pennsylvania University Press. 1998; Г. В. Алибегашвили. Светский портрет в Грузинской средневековой монументальной живописи. Тб. 1979.

ნება სამეფო ოჯახის გამოსახულებების მქონე კედლის მხატვრობის ყველა ძეგლის გაცნობა, მით უმეტეს, რომ მათგან ბევრი „ჟამთა სიავის“ გამო დაზიანებულია.

ამჯერად, მიმოვიხილავთ მხოლოდ რამდენიმე ფრესკას. მათგან მნიშვნელოვანია ატენის სიონის ქტიტორთა გამოსახულება, რომელიც თარიღდება XI საუკუნის მეორე ნახევრით.[2] აღნიშნულ ფრესკაზე გამოსახული პირების სავარაუდო იდენტიფიკაცია შემდეგია: მარჯვნიდან მარცხნივ გამოსახულია უცნობი ბერი, რომელსაც უზის წარწერა: „*ძე დიდისა*“,[3] შემდეგ ახალგაზრდა წარჩინებული, რომელსაც აიგივებენ დავით აღმაშენებელთან, თუმცა არსებობს განსხვავებული იდენტიფიკაციაც.[4] მესამე ფიგურას უზის წარწერა „*მამა გიორგი მეფისაჲ*“ და განასახიერებს მეფე ბაგრატ IV-ს,

---

[2] თ. ჟორსალაძე. ატენის სიონის მხატვრობის დათარიღებისა და ქტიტორთა პორტრეტების იდენთიფიკაციის საკითხისათვის. ჟურნ. „ქართული ხელოვნება“, სერია-A 10. თბ. 1991, გვ. 103-142; ფრესკული წარწერები. I. ატენის სიონი. ქწკ (III). გამოსაცემად მოამზადეს გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ. თბ. 1989, გვ. 30-31.

[3] მისი იდენტიფიკაცია კამათს იწვევს: თ. ჟორსალაძე თვლის, რომ ის არის გიორგი მთაწმიდელი, გ. აბრამიშვილი და ზ. ალექსიძე თვლიან, რომ ის უნდა იყოს გიორგი ჭყონდიდელი, ხოლო ე. ისტმონდის აზრით, ბერის ტანისამოსში გამოსახულია შემონაზვნებული მეფე გიორგი II. იმავე მოსაზრებას იზიარებს ნ. სიმონიშვილი. იხ.: თ. ჟორსალაძე. ატენის სიონის მხატვრობის დათარიღებისა და ქტიტორთა პორტრეტების იდენთიფიკაციის საკითხისათვის, გვ. 128-130; ფრესკული წარწერები. I. ატენის სიონი, გვ. 30-31; A. Eastmond. Royal Imagery in Medieval Georgia, გვ. 235-237; ნ. სიმონიშვილი. ნიკოპეას ტიპის ღვთისმშობლის გამოსახულებისა და ქტიტორთა ჯგუფური პორტრეტის ურთიერთმიმართების საკითხისათვის ატენის სიონის მოხატულობაში. ჟურნ. „ხელოვნებათმცოდნეობა“. 5 – თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო შრომების კრებული. თბ. 2003, გვ. 195-209.

[4] რ. შმერლინგის აზრით მეორე ქტიტორი იყო გიორგი II. მოხატულობის თარიღად მან XI საუკუნის მესამე მეოთხედი განსაზღვრა. აღნიშნულ პორტრეტთან დაკავშირებით იმავე თვალსაზრისს იზიარებს თ. ჟორსალაძე. იხ.: რ. შმერლინგი. ატენის სიონის კედლის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის. სმამ. XVII. თბ. 1947, გვ. 261-268; თ. ჟორსალაძე. ატენის სიონის დათარიღებისა და ქტიტორთა პორტრეტების იდენტიფიკაციის საკითხები. ჟურნ. „საბჭოთა საქართველო“. №4. თბ. 1988, გვ. 129-144.

მეოთხე საქტიტორო გამოსახულება მიეკუთვნება ადგილობრივ ფეოდალს სუმბატ აშოტის ძეს, მის გვერდით მისი ვაჟია გამოსახული, *„[აშო]ტ უფ[ლი]სწ[ული ძე ს(უმ)ბატის]“*-ად სახელდებული, ხოლო ბოლო ორი ფიგურა სავარაუდოდ მიეკუთვნება მეფე გიორგი II-ს, რომლის გამოსახულება წაშლილია და მის მეუღლეს. ქალის გამოსახულებას თან ერთვის დაზიანებული მინაწერი *„ის/დუ[ხ]ტ დედოფ(ა)ლი“*.[5]

ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის კარიბჭის მოხატულობა თარიღდება 1184-1185 წლებით, სადაც ქრისტეს ცხოვრების ამსახველ სცენებთან ერთად გამოსახულია გიორგი III-ის და თამარ მეფის პორტრეტები, გიორგი III-ის გვერდით ვხვდებით წარწერას *„ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთა-მეფე გიორგი ძე დემეტრე მეფეთა-მეფისაჲ“*, თამარი კი შემდეგნაირად მოიხსენიება – *„ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთა-მეფის შვილი გიორგისა თამარ რომელი მრავალ-ჯამეულობსმცა“*.[6]

გარეჯის მრავალმთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში გამოსახულია თამარ მეფის, დავით სოსლანის და მათი ძის უფლისწულ გიორგი ლაშას პორტრეტები. ფრესკა თარიღდება XII საუკუნის 90-იანი წლების ბოლოთი.[7] იქვე ვხვდებით, დემეტრე I-ის და გიორგი III-ის, ასევე დავით

[5] ფრესკული წარწერები. I. ატენის სიონი, გვ. 26-31, 158-164; თ. ჟორსალაძე თვლის, რომ აღნიშნული ფიგურა შეიძლება ეკუთვნოდეს გურანდუხტს, ბაგრატ IV-ის დას, რაც უფრო საგულისხმო ჩანს, მით უმეტეს, რომ გიორგის მეუღლეს ელენე ერქვა. აღნიშნულის შესახებ იხ.: თ. ჟორსალაძე. ატენის სიონის მხატვრობის დათარიღებისა და ქტიტორთა პორტრეტების იდენტიფიკაციის საკითხისათვის, გვ. 125-126; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად ახსნილი და გამოცემული თედო ჟორდანიას მიერ, ტომი. I. პირველად გამოიცა 1892. თბ. 2004, გვ. 145, 234,

[6] გ. ალიბეგაშვილი. თამარ მეფის ოთხი პორტრეტი. ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, 8. თბ. 1966, გვ. 13-14; გ. გაფრინდაშვილი. ვარძია. თბ. 1976, გვ. 13-15; შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ. 1971, გვ. 266-267; ქსე. ტომი. 4. მთ. რედ. ირ. აბაშიძე. თბ. 1979, გვ. 316.

[7] A. Eastmond. Royal Imagery in Medieval Georgia, გვ. 127-128.

აღმაშენებლის და ბაგრატ IV-ის დაზიანებულ პორტრეტებს.[8]

ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის ჩრდილოეთ კედლის მოხატულობაში, გამოსახულია გიორგი III, თამარ მეფე და უფლისწული გიორგი ლაშა, აღნიშნული მოხატულობა XIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება.[9]

ბეთანიის ტაძრის ჩრდილოეთი კედლის ფრესკაზე წარმოდგენილია გიორგი III-ის, თამარ მეფის და გიორგი ლაშას პორტრეტები, აღნიშნული მხატვრობა გიორგი ლაშას თანამოსაყდრეობის პერიოდს უკავშირდება[10] და შესაბამისად 1205/7-1210 წლებით შეიძლება დათარიღდეს.

გარეჯის უდაბნოს ბერთუბნის მონასტრის მთავარი, ღმრთისმშობლის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე შესრულებულია თამარისა და გიორგი IV ლაშას პორტრეტული გამოსახულებები, განსხვავებით წინა ოთხი შემთხვევისგან, აღნიშნული ეკლესიის კედლებზე არ გვხვდება მეფე გიორგი III-ის ფრესკა. გიორგი IV ლაშა ფრესკის წარწერაზე „მეფეთა-მეფედ“ მოიხსენიება, რის გამოც ძეგლი მისი მმართველობის ხანით არის დათარიღებული.[11]

მნიშვნელოვანია, ასევე, გელათის მთავარ ტაძარში სამეფო ოჯახის ფრესკული გამოსახულებები. ფრესკებზე გვხვდება დავით VI ნარინის ორი გამოსახულება, ასევე მისი ვაჟე-

[8] ზ. სხირტლაძე. სამეფო ქტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №11. თბ. 1983, გვ. 100-110.

[9] გ. ალიბეგაშვილი. თამარ მეფის ოთხი პორტრეტი, გვ. 14-15; ო. ფირალიშვილი. ყინწვისის მოხატულობა. თბ. 1979, გვ. 14-15; ქსე. ტომი 10. თბ. 1986, გვ. 645.

[10] გ. ალიბეგაშვილი. თამარ მეფის ოთხი პორტრეტი, გვ. 14; ქსე, ტომი 2. თბ. 1977, გვ. 268.

[11] ზ. სხირტლაძე. ბერთუბნის ტაძრის მოხატულობის ფრაგმენტები საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან. ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, 65. თბ. 1984, გვ. 68; შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 336. გ. ალიბეგაშვილი მიიჩნევს, რომ ბერთუბნის ფრესკა გიორგი ლაშას მოწიფულობის ასაკში და თამარის მეფობის ბოლოს არის მოხატული. იხ.: გ. ალიბეგაშვილი. თამარ მეფის ოთხი პორტრეტი, გვ. 15.

ბის პორტრეტები. იქვეა გამოსახული იმერეთის მეფეთა არაერთი პორტრეტი ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, რაც ჩვენი კვლევისთვის ძვირფას მასალას იძლევა.[12]

XVI საუკუნის მონუმენტური ფერწერის ნიმუშები შემორჩენილია კახეთშიც და ლევან კახეთის მეფეს (1518-1574) და მის ოჯახის წევრებს უკავშირდება. აღნიშნული ფრესკები შესრულებულია რამდენიმე ეკლესიაში, მათ შორისაა: კაწარეთის წმინდა სამების, ალვანის წმინდა იოანე ნათლისმცემლის, ნეკრესის, ახალი შუამთისა და გრემის ეკლესიების ფრესკები. ლევანისა და მისი ვაჟის ალექსანდრეს პორტრეტები შემონახულია ფილოთეოსის მონასტრის კედლებზეც, ათონის მთაზე.[13]

შეგვიძლია გამოვყოთ ორი ტიპის იერარქია: ღვთაებრივი და საერო. როგორც წესი, ტაძარში ფრესკული გამოსახულებები იერარქიის მიხედვით ზემოდან ქვემოთ მიემართებოდა. გუმბათსა და კედლის ზედა მონაკვეთზე ღვთაებრივი იერარქიის გათვალისწინებით ქრისტესა და ღვთისმშობლის, ასევე ანგელოზთა და წმინდანთა დასის კომპოზიციების მოხატვა ხდებოდა. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სხვადასხვა სცენებს, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის სიუჟეტებიდან. როგორც წესი, მეფისა და მისი ოჯახის წევრები, კედლის

[12] გელათი (არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები). ფოტოალბომის ავტორები: ე. ერლემენკო, ე. გოგილაშვილი, წინას. რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე. თბ. 1982, სურ. 59-60; ქსე. ტომი 3. თბ. 1978, გვ. 37; Р. С. Меписашвили. Архитектурный ансамбль Гелати. Тбилиси. 1966, გვ. 4-16; Т. Б. Вирсаладзе. Фрагменты древней фресковой росписи главного Гелатского храма. „ქართული ხელოვნება“. 5. თბ. 1959, გვ. 163-202.

[13] მ. ვაჩნაძე. კედლის მხატვრობის ძეგლები (ლევან კახთა მეფისა და თინათინ დედოფლის პორტრეტული გამოსახულებანი). კრ. „ძეგლის მეგობარი“, 31-32. თბ. 1973, გვ. 41-49; მ. ვაჩნაძე. ლევან კახთა მეფე და პოსტბიზანტიური ქართული მონუმენტური ფერწერა XVI საუკუნის კახეთის მხატვრობის მაგალითზე. ალავერდის ეპარქიის ფურცლები, I სამეცნიერო კონფერენციის მასალები. რედ. ნ. ბურჭულაძე. თბ. 2001, გვ. 123-137; იმავე კრებულში იხ.: ნ. ბურჭულაძე. მეფეთა პორტრეტები ალავერდის ტაძრის მოხატულობაში, გვ. 53-62

ქვედა მონაკვეთზე გამოისახებოდნენ.

სამყაროს პროვიდენციალური ხედვის პირობებში, ბუნებრივად ჩანს ყველაფერი ამის ასახვა მონუმენტურ მხატვრობაში. იესო ქრისტე, ძე ღვთისა, წმინდა სამების ერთ-ერთი ჰიპოსტასი ითვლებოდა ხილული თუ უხილავი სამყაროს მბრძანებლად – ყოვლისმპყრობლად, გუმბათის თაღში ქრისტე პანტოკრატორის (ბერძ. – ყოვლისმპყრობელი) გამოსახულება სწორედ ამ იდეის ამსახველია. აღნიშნული ყველაზე ნათლად მათეს სახარებაში პოულობს ასახვას: *„მოუჴდა მათ იესუ, ეტყოდა და ჰრქუა: მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“* (მათე 28, 18).[14]

ამგვარად, ქრისტეს სამეუფეო, ზეციური სამეფოს სახით იყო წარმოდგენილი, ის მოიცავდა, როგორც ამქვეყნიურ, ასევე საიქიოს განგებას. ქრისტე, როგორც პანტოკრატორი მფლობელობდა ცაზე და დედამიწაზე, ამდენად მონარქი მასზე დაქვემდებარებულ პირად ანუ ვასალად განიხილებოდა.

შუა საუკუნეების ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით ძალაუფლებას მეფე სწორედ უფლისაგან იღებს. ამის საჩვენებლად ფრესკებზე მეფე თუ მისი ოჯახის სხვა წევრები მაცხოვრის გამოსახულებისკენ არიან მიმართული, ხოლო ქრისტე მათივე ხელდასმის ნიშნად მათ აკურთხებს.[15] ხელმწიფის ძალაუფლების ღვთისგან ბოძების იდეა არ იყო ახალი და XI-XVI საუკუნეების ფრესკებზე აღბეჭდილი რეალობის გარდა, მცხეთის ჯვრის რელიეფურ გამოსახულებაზე შემორჩენილია ქართლის ერისმთავარის სტეფანოზ I-ის მუხლმოდრეკილი პორტრეტი, მის მარჯვნივ გამოსახულია იესო ქრისტე, რომელიც ერისმთავარს მარჯვენა ხელს ადებს თავზე ძალაუფლების გადაცემის ნიშნად.

[14] ახალი აღთქმაჲ. წმ. ექვთიმე და წმ. გიორგი მთაწმიდელთა რედაქციით. თბ. 2004.

[15] იხ.: ყინწვისის ფრესკა გიორგი III-ის, თამარ მეფისა და გიორგი ლაშას გამოსახულებით. აღნიშნული ფრესკის დეტალი (გიორგი ლაშას გამოსახულების გამოკლებით) მოყვანილია ტაბ. № 8.

ღვთის მიერ ძალაუფლების დელეგირების მოტივი მრავალი ქვეყნისა და ხალხის ტრადიციაში არის დაფიქსირებული. სოციალური კონიუნქტურა დაახლოებით ამგვარად გამოიყურება: ქრისტე, რომლის წინაშეც პასუხისმებელია მონარქი და მეფე, რომლის წინაშეც პასუხს აგებს ყველა დანარჩენი. ბიზანტიაში დამკვიდრდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ფრესკაზე, მინიატურაზე, რელიეფსა თუ მონეტაზე გამოსახული იმპერატორის პორტრეტი ყოველთვის მარცხნივ იკავებს ადგილს, შესაბამისად მარჯვენა მხარე იესო ქრისტესთვის იყო განკუთვნილი, რომელსაც რიგ შემთხვევებში სხვადასხვა მთავარანგელოზის, წმინდანის, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში დედოფალის ან თანამოსაყდრის გამოსახულება ცვლიდა. აღნიშნული ერთის მხრივ იქიდან მომდინარეობდა, რომ იმპერატორის გამოსახულება ქრისტეს ფრესკული ფიგურის მარჯვნივ თავსდებოდა. თუმცა შესაძლოა არსებობდეს სხვა ფაქტორებიც, რასაც ამჯერად არ შევეხებით, რადგან ეს სცილდება ჩვენი კვლევის ძირითად თემატიკას.

საქართველოში ამ კუთხით, შემდეგ ვითარებას აქვს ადგილი. ქართულ სოციალურ გარემოში მეფე ღვთისგან ხელდასმულის სტატუსით სარგებლობდა, ხოლო მიწიერ სამყაროში მის შემცველს წარმოადგენდა. ეს გარემოება კარგად ჩანს გიორგი მერჩულეს (X ს.) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, სადაც ნეტარი მამა გრიგოლ ხანძთელი შემდეგი სიტყვებით მიმართავს მონარქს (აშოტ I კურაპალატს): „*რამეთუ, თქვენ, ხელმწიფენი, უფალ გყვნა ღმერთმან ქვეყნისა განგებისა, ვითარცა გულისხმა ჰპოფთ კეთილის ყოფასა ღმრთისასა ჩვენდა მომართ მეფობითა შენითა*“.[16]

ამდენად, ღმერთის მიერ ხელდასხმული მონარქი, რო-

[16] გიორგი მერჩულე. შრომაჲ და მოღუაწეობაჲ გრიგოლისა არქიმანდრიტისაჲ ხანცთისა და შატბერდისა აღმშენებლისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წგნ.: I (V-X სს.). რედ. ილ. აბულაძე. თბ. 1964, გვ. 262.

გორც იესო ქრისტეს „მარჯვენა ხელი“ და საერო საქმეში მისი თანაშემწე გამოისახებოდა ფრესკის მარჯვენა მხარეს და არა მარცხნივ, როგორც ამას ბიზანტიაში ჰქონდა ადგილი. ატენის სიონის, გელათის, ალავერდის, ვარძიის, ბეთანიის და სხვა ტაძრების სამეფო ფრესკები აღნიშნულ ვითარებას გვიდასტურებს.

ბიზანტიურ ფრესკულ მხატვრობაში, თუნდაც XI საუკუნიდან მოყოლებული იმპერატორისა და დედოფლის გამოსახვა ერთ სიბრტყეზე ხდებოდა, ამასთან როგორც წესი მათი გამოსახულებები ერთმანეთის თანაფარდი იყო, აღნიშნული ეხება მათ სიმაღლესაც, მხოლოდ გვირგვინით ხდებოდა მეფის პორტრეტის ოდნავ ამაღლება, რაც ისედაც ძნელი შესამჩნევია, ხშირად პროპორცია სრულად არის დაცული და მეფე-დედოფლის პორტრეტები სიმაღლის მიხედვითაც სწორფარდია. მაგალითად: იმპერატორ კონსტანტინესა და მისი დედის ელენეს გამოსახულება კონსტანტინოპოლის აია სოფიას ტაძარში, იმპერატორ იოანე II კალოიოანესა და ირინე უნგრელის ფრესკა, იმავე ეკლესიაში და ა.შ. (ტაბ. №1). თუმცა მიიჩნევა, რომ კონსტანტინე მონომახის პორტრეტი მისი მეუღლე ხოიას ფრესკასთან შედარებით აღმატებულია (ტაბ. №2).

შუა საუკუნეების ქართულ რეალობაში ბიზანტიურის მსგავსად მეფისა და დედოფლის გამოსახულება, ასევე ერთ სიბრტყეზე ხდება, თუმცა განსხვავებაც თვალშისაცემია: ბიზანტიისგან განსხვავებით მეფის პორტრეტი სიუხვეტის მარჯვენა მხარეს იყო წარმოდგენილი, ხოლო პროპორცია ხშირად არ იყო დაცული. მეფის გამოსახულება რიგ შემთხვევებში დედოფალთან შედარებით შესამჩნევად უფრო მაღალია, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ალექსანდრე II (1484-1510 წწ.) იმერეთის მეფისა და მისი მეუღლე დედოფალი თამარის გამოსახულება გელათიდან (ტაბ. №3), ასევე გიორგი II-ის მეუღლის გამოსახულება ატენის სიონიდან, თამარ მეფის

ფრესკა ვარძიიდან, სადაც მისი გამოსახულება უფრო დაბალია, ვიდრე მისივე მამის გიორგი III-ის ფიგურა (ტაბ. №4). აღნიშნული, უნდა მიუთითებდეს ქალის დაბალ სოციალურ სტატუსზე რისი ასახვაც, ამჯერად ხდება ფრესკულ მხატვრობაში. გიორგი III, როგორც მამა და მამაკაცი მეფეთა მეფე, ყოველთვის თამარზე წინ გამოისახება, მსგავს სურათს იძლევა, როგორც ვარძიის, ასევე ყინწვისისა და ბეთანიის ფრესკები (ტაბ. №4, №5, №6).

მამაკაცის სოციალური სტატუსის უპირატესობა იმ ეპოქაში ქვეყნისთვის საჭირბოროტო ყველა სფეროში ვლინდებოდა, ამდენად სრულიად ლოგიკურია მისი ასახვა სხვადასხვა ფორმით მომხდარიყო ფრესკულ მხატვრობაშიც.

მიუხედავად მამაკაცის როლის უპირატესობისა, თამარის მეფობის მიწურულს, მისივე ავტორიტეტის ზრდასთან ერთად, თანაბრდება მისი და გიორგი III-ის პორტრეტული გამოსახულების პროპორცია. ბეთანიისა და ყინწვისის ფრესკებზე ორივე მეფეთა მეფე – გიორგი და თამარი თანაბარ სიმაღლეზე არიან გამოსახულნი (ტაბ. №5, №6), ხოლო თამარის გარდაცვალების შემდეგ მოხატულ ბერთუბნის ფრესკაზე თამარი, გიორგი IV ლაშაზე წინ დგას, ხოლო ეს უკანასკნელი სამეფო გვირგვინით შემკული, დედის უკან იკავებს ადგილს.[17]

აღნიშნულიდან გამომდინარე, თამარ მეფის შემთხვევაში, აშკარაა მეფე-ქალის სოციალური სტატუსის ზრდა, საკუთარი ავტორიტეტის ამაღლებასთან ერთად. აღნიშნული თვალშისაცემია თამარ მეფის პიროვნების შემთხვევაში, თუმცა ეს ზოგადად არ ეხება ქალების სოციალური სტატუსის ამაღლებას.

ყველაფერი ეს ქართული სოციალური სისტემის ვიზუალური ასახვაა. ფრესკებზე აღნიშნულის დანახვა კარგად

[17] A. Eastmond. Royal Imagery in Medieval Georgia, გვ. 172, სურ. № 83.

შეიძლება; მსგავსი ვითარებაა ბიზანტიაშიც, თუმცა იქ ფრესკებზე საიმპერატორო ოჯახის წევრთა პორტრეტულ გამოსახულებებზე თანაფარდობას უფრო იცავენ. მიუხედავად მამაკაცის, როგორც იმპერატორისა და უმაღლესი ხელისუფლის უპირატესობისა დედოფალთან შედარებით, მათი ფრესკულ თუ რელიეფურ გამოსახულებებში თანაფარდობა, როგორც წესი დაცულია.

ბიზანტიაში დამკვიდრებული ტენდენციის გამოძახილი უნდა იყოს, იმავე გელათის მონასტრის ფრესკებზე დაცული ბაგრატ III იმერეთის მეფისა და მისი მეუღლის დედოფალ ელენეს გამოსახულება. მეფისა და დედოფლის, არამარტო სიმეტრია და სიმაღლე, არამედ საიმპერატორო ლორონიც კი თითქმის იდენტურია (ტაბ. №7).

რაც შეეხება მეფისა და დედოფლის ერთ სიმაღლეზე გამოსახვას – სოციალური მოტივების გათვალისწინების გარეშე შექმნილ ფრესკულ გამოსახულებებზე, ბიზანტიასა თუ საქართველოში მსგავსი ტიპის პორტრეტები, როგორც წესი, პროპორციული იყო და მეფის გამოსახულება უმნიშვნელოდ აღემატებოდა დედოფლისას.

სოციალურ სტატუსი ნათლად იკვეთება კიდევ ერთ, საკმაოდ მნიშვნელოვან ფრესკული მხატვრობის ძეგლში – ეს არის გარეჯის მრავალმთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში წარმოდგენილი სამეფო ოჯახის ქტიტორული გამოსახულება. იქ გამოსახული სამეფო პორტრეტები ეკუთვნით თამარ მეფეს, მის მეუღლეს დავით სოსლანს და მათ ვაჟს უფლისწულ გიორგი ლაშას (ტაბ. №8).

ფრესკას დართული ჰქონდა წარწერა, რომელიც ამჟამად წაშლილია, თუმცა თავის დროზე ის გადმოუწერია ექვთიმე თაყაიშვილს. მის მიერ გაშიფრული ტექსტი შემდეგი სახისაა: „*მეფეთა მეფე: თამარ ასული დიდისა მეფეთა მეფისა:*

გ˜სა/ ძე მათი ლ˜შა/ მეფეთა მეფე დ˜თ“.[18] აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დავით სოსლანი თამარის მსგავსად მეფეთა მეფედ არის მოხსენიებული, რაც სხვა შემთხვევებშიც ჰპოულობს ანალოგიას, კერძოდ: ანჩის სახარების მინაწერში. მიუხედავად მისი ქალი-მეუღლის, თამარის, ლეგიტიმურობისა საქართველოს სამეფო ტახტზე, დავითის მეფეთ მეფედ მოხსენიება არ შეიძლება მივიჩნიოთ შემთხვევითობად, რადგანაც დავით სოსლანის პოლიტიკური როლი XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე უკვე მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი. ამ შემთხვევაში დავით სოსლანი, როგორც მამაკაცი იწოდება მეფედ, ხოლო მისი სოციალური როლის ზრდასთან ერთად იგი აღმატებულ ხარისხში მეფეთ მეფედაც მოიხსენიება. ამ შემთხვევაში სახეზეა დავითის სოციალური სტატუსის ამაღლება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც მისი ავტორიტეტის ზრდის პარალელური პროცესია.

აღსანიშნავია, რომ დავით სოსლანი, მსგავსად თამარ მეფისა, საიმპერატორო ლოროხითაა მოსილი და სრული საიმპერატორო ნიშნებით არის წარმოდგენილი. დავითის პორტრეტის ზედა ნაწილი წაშლილია, არ არის შემორჩენილი არც მისი სხვა ჩანახატი, რომლითაც შეიძლება მისი პროპორცია დავადგინოთ თამარ მეფის ფიგურასთან მიმართებაში (ტაბ. №8). ენტონი ისტმონდი წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში გამოსახულ თამარ მეფის პორტრეტს ადარებს რა ბიზანტიის დედოფალ ზოიას გამოსახულებას (ტაბ. №2), მიდის იმ დასკვნამდე, რომ ორივე მონარქი მსგავსებას მრავალ ასპექტში ავლენენ, თუმცა განსხვავებით ზოიასგან, თამარი გამორჩეულად არის გათანაბრებული მის მეუღლესთან, ეს მაშინ, როდესაც ზოია ყველა მის ფრესკულ გამოსახულებებზე საკუთარ ქმარზე დამოკიდებულად წარ-

[18] ს. სხირტლაძე. კვლავ ნათლისმცემლის მონასტრის საქტიტორო გამოსახულებების შესახებ. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“. №3. თბ. 1987, გვ. 108-109.

მოგვიდგება.[19]

ენტონი ისტმონდის შენიშვნით, დავით სოსლანის ფიგურა გამოსახულია კომპოზიციის მარცხენა მხარეს და აღნიშნული ფრესკა შედარებით ფართოა ვიდრე თამარის, რაც თითქოს ბიზანტიურთან პოულობს პარალელს, სადაც ზოიას ფიგურა ქმართან შედარებით ყოველთვის დამცრობილადაა შესრულებული ეს მაშინ, როდესაც მსგავსად თამარისა, ზოიას ყველა მეუღლე მხოლოდ მასთან ჯვრისწერის შემდეგ ხდება ლეგიტიმური. ის ტახტის კანონიერი მემკვიდრეა, როგორც უკანასკნელი მაკედონური დინასტიის წარმომადგენელი მამაკაცი იმპერატორის, კონსტანტინე VIII-ის (1025-1028 წწ.) უფროსი ქალიშვილი. ისტმონდი იქვე შენიშნავს, რომ სხვა შემთხვევაში დავითისა და თამარის ფიგურები თვალშისაცემ თანასწორობას გვიჩვენებენო.[20]

თანასწორობა გარკვეულწილად თამარისა და დავით სოსლანის ფრესკებში მართლაც დაცულია, თუმცა აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ ქართული სამეფო ფრესკული მხატვრობის ტრადიციიდან გამომდინარე თამარის გამოსახულება კომპოზიციის მარჯვნა მხარესაა მოთავსებული, ხოლო დავით სოსლანის, როგორც ზემოთ აღინიშნა მარცხნივ (ტაბ. №8). ნაშრომში შენიშნული გვქონდა, რომ ადგილობრივი წესიდან გამომდინარე ფრესკის მარჯვნივ გამოსახული ფიგურა უპირატესი მდგომარეობით სარგებლობდა. მიუხედავად დავით სოსლანის პოლიტიკური აქტივობის შესამჩნევი ზრდისა, საქართველოს ლეგიტიმურ მონარქად თამარი რჩება. ამდენად, საქტიტორო ფრესკის საპატიო ადგილზე სიუჟეტის ავტორმა სწორედ თამარ მეფე გამოსახა, იქ კი, როგორც წესი, ის მამაკაცი მონარქები გამოისახებოდნენ, რომელთა ხელისუფლება არ იყო შეზღუდული რაიმე წინაპირობით. დავით სოსლანის შემთხვევა განსხვავებული იყო, მისი ხელისუფ-

[19] A. Eastmond. Royal Imagery in Medieval Georgia, გვ. 131-135.

[20] A. Eastmond. Royal Imagery in Medieval Georgia, გვ. 131-135.

ლება ლიმიტირებული იყო თამარის ლეგიტიმურობიდან გამომდინარე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გარეჯის მრავალმთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ქტიტორულ გამოსახულებაზე თამარი და დავით სოსლანი თანაბარ პროპორციებში არიან გამოსახული, რაც ზოგადად დამახასიათებელია სამეფო ოჯახის ფრესკული მხატვრობისათვის. თუმცა თამარის სტატუსიდან გამომდინარე (როგორც საქართველოს სამეფო ტახტის ლეგიტიმური მფლობელი) მისი პორტრეტი კომპოზიციის საპატიო მარჯვენა მხარეს იკავებს, ხოლო დავით სოსლანის გამოსახულება მარცხნივ არის მოთავსებული, შუაში შესაბამისად მათი ვაჟი გიორგი ლაშაა გამოსახული (ტაბ. №8). აღნიშნული სრულ თანხვედრაშია გელათის მთავარი ტაძრის მოხატულობასთან, სადაც იმერეთის მეფე გიორგი II (1565-1585 წწ.) სიუჟეტის მარჯვენა საპატიო მხარეს გამოსახეს, ხოლო მისი მეულლე კი მარცხნივ. მათი ვაჟი, მსგავსად უფლისწული გიორგი ლაშასი ნათლისმცემლის ეკლესიის ფრესკიდან, მეფე-დედოფლის შუაშია ჩახატული (ტაბ. №7).

ამგვარად, მიუხედავად გენდერული სხვაობისა გიორგი II იმერეთის მეფე და საქართველოს მეფე თამარი, როგორც ქვეყნის უმაღლესი საჭეთმპყრობლები ფრესკული სიუჟეტის მარჯვენა მხარეს იკავებენ ადგილს, მარცხენა მხარე შესაბამისად მათ მეულლეებს ეთმობა, რაც ნათლად ახასიათებს სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობას შუა საუკუნეების ქართულ ყოფაში.

შემოკლებანი:

სმამ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე
ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
ქწკ – ქართული წარწერების კორპუსი

ტაბულათა აღწერილობა:

1) ბიზანტიის იმპერატორი იოანე II კალოიოანე და ირინე უნგრელი. ფრესკა შესრულებულია XII საუკუნის I ნახევარში, აია სოფია, სტამბოლი.

2) ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე IX მონომახი და დედოფალი ზოია. ფრესკა შესრულებულია XI საუკუნეში, აია სოფია, სტამბოლი.

3) ალექსანდრე II იმერეთის მეფე და მისი მეუღლე დედოფალი თამარი. ფრესკა შესრულებულია XVI საუკუნეში, გელათის მონასტერი.

4) მეფე გიორგი III და თამარ მეფე. ფრესკა შესრულებულია 1184-1186 წლებში, ვარძიის მონასტერი.

5) მეფე გიორგი III, თამარ მეფე და უფლისწული გიორგი ლაშა. ფრესკა შესრულებულია 1205/7-1210 წლებში, ბეთანიის მონასტერი.

6) მეფე გიორგი III და თამარ მეფე (დეტალი). ფრესკა შესრულებულია 1205/7-1210 წლებში, ყინწვისის ტაძარი.

7) იმერეთის სამეფო ოჯახის წევრები, მარჯვნიდან მარცხნივ მათი იდენტიფიკაცია შემდეგია: ბაგრატ III იმერეთის მეფე და მისი მეუღლე, მათი ვაჟი მეფე გიორგი II და მისი მეუღლე მცირეწლოვანი უფლისწულით მათ შუაში. პორტრეტი შესრულებულია XVI საუკუნეში, გელათის მონასტერი.

8) საქართველოს სამეფო ოჯახი: მეფეები თამარი (მარჯვნივ) და მისი მეულლე დავით სოსლანი (მარცხნივ), შუაში მათი ძე უფლისწული გიორგი ლაშა. ფრესკა შესრულებულია XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, გარეჯის მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში.

ტაბულები:



ტაბულა № 1



ტაბულა № 2



ტაბულა № 3



ტაბულა № 4




ტაბულა № 5



ტაბულა № 6



ტაბულა № 7



ტაბულა № 8

Leri Tavadze

SOCIAL STATUS OF THE GEORGIAN ROYAL FAMILY ACCORDING TO THE 11TH-16TH CC. WALL PAINTING

Summary

Study of social status of Georgian royal family is very important issue as the social context and its proper representation are largely ignored in Georgian historiography. The case of royal family of Bagrationi is too attractive for their significance in Georgian history. The wall paintings are the one of the major sources for researching above stated subject. Several royal monumental paintings are preserved in Georgia, among them are frescoes of following churches: *Ateni's Sioni*, *Vardzia*, *Betania*, *Kintsvisi*, *Bertubani*, *Gelati*, *Alaverdi* and etc. The wall paintings show very essential features of social life of royal household, including the social position of female members of royal family (i.e. Queen) or political elevation of female ruler of the country and association with her royal father, husband, and son. Location, symmetry, and extent of frescoes are also very fundamental for understanding the Georgian royal imagery in the Middle Ages. Hence all those issues are partially examined in our research.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

ელენე გოგიაშვილი

დემონური არსების („ვაც-კაცი“) გამოსახულება XII საუკუნის ერთ ქართულ ხელნაწერში

ხელნაწერი H-1669[1]

წმ. იოანე სინელის ასკეტიკური ჟანრის თხზულების – „კლემაქსის“ („კიბე სათნოებათა ცათ აღმყვანებელი თქმული დანიილ მონოზონისა რაითელისა, წიგნისა ამისთვის სულთა განმანათლებელისა, რომელსა ეწოდების კლემაქსი, რომელ არს კიბე“)[2] გარეჯული ნუსხის (H-1669, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) არშიები გაფორმებულია გადამწერის, ნიკოლოზ ნიკრაძის ნახატებით. გრაფიკული გამოსახულებები შესრულებულია შავი და წითელი მელნით. სხვადასხვა ფორმის კონტურებში მოქცეულია ტექსტის გარეთ გამოტანილი შენიშვნები. ყველაზე ხშირად ხელნაწერის კიდეებზე ტაძრის გამოსახულებები გვხვდება.

ხელნაწერის არშიებზე მიხატულია სხვადასხვა ფიგურები: დოქები, თეფშები, კირჩხიბი, ირემი, ფრინველები, გვე-

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

[2] წმ. იოანე სინელის „კლემაქსი“ გადაწერილია გარეჯში 1160 წლის ახლო ხანებში. „კლემაქსის“ პირველი მთარგმნელი უცნობია. ექვთიმე ათონელმა თარგმნა „კლემაქსი“ 983 წლამდე, შემდეგ იოანე პეტრიწმა გადმოიღო იამბიკოდ. 1250 წლის ახლო ხანებში „კლემაქსი“ კვლავ ითარგმნა პეტრიწონული სკოლის წარმომადგენლის, პეტრე გელათელის მიერ გელათში, XVIII საუკუნეში კი „კლემაქსი“ ანტონ კათალიკოსმა გალექსა იამბიკოდ (კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია I. თბ. 1960, გვ. 199, 287-288, 332-334, 381).

ლეშაპები და ერთი ზებუნებრივი არსება – რქიანი და წვერიანი კაცი, რომელსაც აწერია „ვაც-კაცი“ (159 r).

გადამწერი ნიკოლოზ ნიკრაძე

„კლემაქსის“ გარდა, კალიგრაფი ნიკოლოზ ნიკრაძე ცნობილია მის მიერ 1160 წელს გადაწერილი კრებულით „სანატრელნი“, რომელიც ამჟამად ინახება ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდში ნომრით Ven.4.[3]

კალიგრაფ ნიკოლოზ ნიკრაძის ოსტატობის შესახებ პირველად ვახტანგ ბერიძემ შენიშნა: „ამ უცნაური წიგნის („კლემაქსი“ – ე. გ.) ფურცლებზე თითქოს ხალხური ხელოვნების ფანტაზია და ხალხური იუმორიც კია შემოჭრილი“.[4]

გადამწერის ნახატები H-1669 ხელნაწერის არშიებზე მართლაც შეიძლება დახასიათდეს, როგორც ქართული ხელოვნების პერსონაჟების ილუსტრაციის იშვიათი ნიმუშები.

გრაფიკული გამოსახულებები H-1669-ის არშიებზე

გრაფიკული გამოსახულებები ხელნაწერის არშიებზე არ წარმოადგენენ ტრადიციულ მინიატურებს, მათი განხილვა არც საზედაო ასოებისა და კამარების მოხატულობებთან ერთად შეიძლება. შესრულების ტექნიკის მიხედვით ისინი ხალხურ ხელოვნებას განეკუთვნებიან.

ხელოვნებათმცოდნეები „ხალხურ მიმართულებას“, „ხალხურ ხელოვნებას“ უწოდებენ არაპროფესიონალი მხატვრის ნამუშევრებს, რომლებიც ძირითადად გრაფიკულია ან

[3] თ. ჯოჯუა. წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე და 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ერთი უცნობი ხელნაწერი. კრებ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“. ტ. V. თბ. 2002, გვ. 91-147; თ. ჯოჯუა. XII საუკუნის გარეჯულ კრებულში [Ven. 4-ში] დაცული ერთი დოგმატიკურ-პოლემიკური ტრაქტატის შესახებ (წვალებისა წინამძღუართა შეხუენებაჲ). კრებ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“. ტ. VII. თბ. 2003, გვ. 54-113.
[4] ე. ბერიძე. ძველი ქართველი ოსტატები. თბ. 1967, გვ. 194.

ძალზე სადა ფერებით არის შესრულებული, არ გააჩნია სიერცობრივი ასახვა. ტერმინი „ხალხური ხელოვნება" ფაქტობრივად გამოყენებულია პროფესიული მხატვრობისგან არაპროფესიულის გასამიჯნად.[5] გრაფიკულსა და ფერწერულ მორთულობებს ვ. ბერიძე ერთმანეთისგან ისევე განასხვავებს, როგორც „პროფესიულსა" და „ხალხურს". მაგალითად, ერთ-ერთ პროფესიული მხატვრობის ნიმუშზე წერს: „შესრულების ხასიათით ესეც ფერწერული მორთულობაა და არა გრაფიკული, როგორიცაა „ხალხური" ტენდენციის ზოგი მორთულობა".[6]

გამოსახულებები H-1669-ის არშიებზე „ხალხური" ხელოვნების ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ არამარტო შესრულების ტექნიკის თვალსაზრისით, არამედ ფოლკლორული წარმოშობითაც.

„ვაც-კაცის" გამოსახულება H-1669-ის არშიაზე

ნიკოლოზ ნიკრაძს ნახატში ვაც-კაცი გამოსახულია პროფილში, აქვს თხის მსგავსი ყური, გრძელი, წითელზოლებიანი რქა, თხისებური წვერი, წითელი ცხვირი, ღია ფერის თვალი, რომელიც ჭროღას შთაბეჭდილებას ტოვებს, უკან გადაწეული და კუდად შეკრული თმა, შეჭმუხნული წარბი. ვაც-კაცს მარცხენა ხელით დოინჯი აქვს შემორტყმული, ხოლო მარჯვენათი ტექსტისკენ მიუთითებს, აცვია გრძელი სამოსი, რომლის კონტურებშიც ტექსტია ჩაწერილი და ამის გამო ერთი შეხედვით ჭრელ კაბას ჰგავს. მარჯვენა ფეხზე აცვია წითელი ჭვინტიანი ფეხსაცმელი, მარცხენა კი შიშველი აქვს და გარკვევით ჩანს მისი ჩლიქისებური ფორმა, რომელზეც მიხატული აქვს წითელი კოჭი.

[5] ვ. ბერიძე. ძველი ქართველი ოსტატები, გვ. 36, 74, 96, 130.
[6] ვ. ბერიძე. ძველი ქართველი ოსტატები, გვ. 57.

დემონური არსებების გარეგნული ნიშნები H-1669-ისა და ქართული მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით



რა კავშირი უნდა ჰქონდეს XII საუკუნეში გადაწერილ ასკეტიკური დარგის ნაწარმოებს ფოლკლორთან? უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს არშიებზე გამოსახული ფიგურების მსგავსება ქართული მითოლოგიის პერსონაჟთა გარეგნობასთან, კერძოდ, ბოროტი ძალის მქონე არსებებისა.

გადამწერის ნახატები შინაარსობრივად დაკავშირებულია ტექსტთან. არშიებზე მოხაზულ გველეშაპის კონტურებში სხვადასხვა ცოდვების შესახებ წერია. თხზულებაში გამოყენებული სიტყვები – გველი, ეშაპი, მატლი – ბოროტების, ცოდვისა და ეშმაკის სინონიმებია.

შუა საუკუნეების ევროპაშიც მსგავსი გაიგივება არსებობდა ეშმაკისა და გველისა. გავრცელებული ევროპული ლიტერატურული და ხალხური გადმოცემების მოტივების თანახმად, სხეულში დაბუდებულ გველს მოთმინება ამარცხებს ანდა დრაკონის ხილვა ადამიანს ჭეშმარიტი სარწმუნოებისკენ აბრუნებს. კათოლიკურ საეკლესიო ტრადიციაში

ერეტიკოსებიც კი ურჩხულის სახით იყვნენ წარმოდგენილი.[7]

„კლემაქსის“ გარეჯული ნუსხის არშიაზე გამოსახული თხისფეხებიანი კაცი – ვაც-კაცი ურჩხულის ერთ-ერთი სახე უნდა იყოს, რამდენადაც ის შერეული არსების სახით არის წარმოდგენილი (ნაწილობრივ – ადამიანი, ნაწილობრივ – ცხოველი) და ცოდვას, ბოროტებას განასახიერებს გველეშაპის ფიგურის მსგავსად. ამ ნახატით პერსონიფიცირებულია დემონური ძალა, რომელიც უნდა დამარცხდეს.

ვაცი შუა საუკუნეების ქრისტიანულ თეოლოგიაში ეშმაკის ერთ-ერთი სიმბოლოა. ავსულის ვაცის სახით გამოხატვას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს როგორც კათოლიკურ სამყაროში, ისე საქართველოში.

ვაცის სიმბოლიკა ძირითადად უკავშირდება მიწიერ, უწმინდურ საწყისს და უპირისპირდება წმინდა ცხოველს, ცხვარს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქართლი, კახეთი, ხევსურეთი, სვანეთი, გურია, სამეგრელო და სხვ.) ვაცთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები თავისი სპეციფიკით გამოირჩევა. ქართველ ეთნოლოგთა (ვ. ბარდაველიძე, ს. მაკალათია, მ. მაკალათია, ჯ. ონიანი, ჯ. რუხაძე, ნ. აბაკელია) საექსპედიციო მასალებისა და სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად, არსებობდა განსაკუთრებული წესები თხისა და ვაცის შეწირვისა, მათი მონაწილეობისა მაგიურ რიტუალებში, სამკურნალო დანიშნულებით გამოყენებაში და ა. შ.[8]

„კლემაქსის“ არშიაზე გადამწერის მიერ შესრულებული ვაც-კაცის გამოსახულება თავისი გარეგნული ნიშნებით ქართულ რწმენა-წარმოდგენებში არსებული ავსულის იდენტურია (ოჩოკოჩის, ალქაჯის, დევის და სხვ.), რომელსაც

[7] L. Röhrich. Drache, Drachenkampf, Drachentöter. In: „Enzyklopädie des Märchens“. B. 3. Berlin/NewYork. 1999, გვ. 787-820.

[8] ნ. აბაკელია. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ. 1997, გვ. 37-55.

ერთდროულად აქვს როგორც ზოომორფული ისე ანთროპომორფული სახე.

სამეგრელოში გავრცელებული მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, ოჩოკოჩს – ვაც-კაცს მაგარი, ჯაგრის მსგავსი გრძელი თმა აქვს, კაცს ჰგავს, ფეხშიშველი დადის, რქები და ეშვები აქვს; მისი შიშით ბავშვებს გარეთ არ უშვებენ; ოჩოკოჩი ცდილობს, გამოაჯავროს, გული მოაყვანინოს კაცს და ჭკუიდან შეშალოს.[9]

ქართულ საზღაპრო ეპოსში ეშმაკი ბანჯგვლიანი და რქებიანი კაცის სახით არის ასახული. 1930-იან წლებში გურიაში ჩაწერილ ზღაპარში „ხუცესი და ეშმაკი“ ბოროტი ძალა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „გეიხედა ხუცესმა, რაცხა მობარდღალოფს და მუაბრიალებს ცოფიან თვალებს. ახლა კი გადასწყვიტა: ბეჯითათ შემჭამს რაცხა მუავო. შეხედა და რას ხედავს, აი რაცხა სულდგმულია, პირდაპირ ამ კაცისკენ მუა. მევიდა ხესან და დეიწყო ზეით ამოსლა. ხუცესი იწერს პიუუარს, მარა შენც არ მომიკტე, რავა ეპუება იგი რაცხაა. მივა და მივა ზეით, შეშინებულ ხუცესს კაღამ წუუვიდა სული. ამასობაში აი რაცხა ქე ევიდა ხუცესთან. შეხედა ხუცესმა, მარა რას შეხედავს, შენი ტერია იმფერი შესახედავი, რაცხა ბონძღვერი, რქებიანი და უშველებელი ფრჩხილებიანი, გარედან თლა ბალნებით დაფარული აბრიალეფს თვალებს. ხუცესი ხმას ველარ იღეფს. იი მევიდა ხუცესთან და უთხრა: ნუ გეშინია, მე ეშმაკი ვარ, მარა არ გიზამ გლახასო, შენ რომ მარგალიტის თვალს ეძეფ, გასტაველი ვინცხას აქ, ოღონ შენი სული მომეციო“.[10]

დასკვნა

ვაც-კაცის გამოსახულება XII საუკუნის ასკეტიკური თხზულების ხელნაწერში შეიძლება ქართული მითოლოგიის

[9] ა. ცანავა. ქართული მითოლოგია. თბ. 1992, გვ. 95-98.
[10] ალ. ღლონტი. გურული ფოლკლორი. თბ. 1937, გვ. 178-179.

პერსონაუთა კომპლექსურ ილუსტრაციად მივიჩნიოთ, რამდენადაც ამ ნახატში გაერთიანებულია ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში არსებული დემონური არსების ანთროპომორფული და ზოომორფული ნიშნები.

ვაც-კაცის ფიგურა წმ. იოანე სინელის „კლემაქსის“ გარეჯული ნუსხის არშიაზე ბევრი თვალსაზრისით არის ღირებული. გარდა თეოლოგიური სიმბოლიკისა, იგი გადამწერის ცნობიერებაში არსებულ ხალხურ წარმოდგენებს გამოხატავს. ეს ფაქტი კი მეტად მნიშვნელოვანია მკვლევართათვის შუა საუკუნეების წყაროებში ქართული ფოლკლორული მასალის შესახებ ინფორმაციული ვაკუუმის შესავსებად.

Elene Gogiashvili

THE FIGURE OF A DEMON („GOAT-MAN") IN THE 12TH CENTURY GEORGIAN MANUSCRIPT

Summary

The dogmatic ascetic work by Saint John Climacus „Ladder of Divine Ascent, composed at the request of John, Abbot of Raithu" has been created at the monastery on Mount Sinai in the 7th Century. Several translations into Georgian have been made, including one by Gareji Monastery c. 1160 (H-1669, National Centre of Manuscripts, Tbilisi). The calligrapher of this manuscript was Nikoloz Nikray.

In the marginalia of this manuscript, the reader finds illustrations of supernatural beings: snake, eagle, deer etc. The most interesting figure is presented in a form of a man with the horns and goat's feet. This form of drawing is not commonly found in Georgian theological manuscripts. The atypical pictures in this dogmatic ascetic work are joined together with the fairy tale form. Through an examination of the Georgian sources (folktales, mythological tales, beliefs, ethnographical describes), it can be shown that the figure of the „goat-man" in the 12th century manuscript contains anthropomorphic and zoomorphic markers of the demon beings, according to the Georgian folk beliefs and tales.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

ჯაბა სამუშია

გარნისის ბრძოლა

საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანის“ დასასრულად ისტორიკოსები სრულიად სამართლიანად თვლიან ხორეზმელთა ბატონობის იმ ხუთწლიან პერიოდს, როდესაც მტერმა მოახერხა ქვეყნის დედაქალაქის და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი რეგიონების ხელთგდება. ხვარაზმელებს მონღოლები მოჰყვნენ და მთელი XIII საუკუნე ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკულ ეპოქად იქცა, რომელსაც ქართული პროზის დიდოსტატმა გრიგოლ აბაშიძემ მოსწრებულად „დიდი ღამის უკუნი სიბნელე...“ უწოდა.[1] ქართულ ისტორიოგრაფიაში კი ეს ეპოქა გამოცხადებულია „ტეხილად“, რომელმაც XIV-XV საუკუნეების „ჩიხისკენ“ გახსნა გზა.[2]

უშუალოდ ბრძოლის განხილვამდე ორიოდ სიტყვით შევეხოთ მის გამომწვევ მიზეზებს.

1218 წლის გაზაფხულის პირას ხვარაზმის სამეფოს სასღვრისპირა ქალაქ ოთრარში მონღოლეთიდან წამოსული დიდი ქარავანი შეჩერდა. იგი 450 კაცისგან და 500 დატვირთული აქლემისაგან შედგებოდა. ოთრარში მრავალი ასეთი ქარავანი შესულა, მაგრამ მათი თავგადასავალი ყოველთვის

[1] გრ. აბაშიძე. თხსულებები სამ ტომად. ტ II. თბ. 1984, გვ. 858.
[2] დაეით ნინიძე. ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია. თბ. 2004, გვ. 7.

ისტორიკოსების ყურადღების მიღმა დარჩენილა. მაშ, რითი დაიმსახურა მემატიანეთა ასეთი ინტერესი 1218 წლის ადრე გაზაფხულზე ოთრარში მოსულ მონღოლ ვაჭართა ქარავანმა? ამ პერიოდში ჩინგიზ-ხანის ლაშქარს უკვე დასრულებული ჰქონდა ჩრდილოეთ ჩინეთის დაპყრობა. 1216 წელს მონღოლეთში დაბრუნებულმა ჩინგიზ-ხანმა შუა აზიის საბოლოო დაპყრობა დაიწყო. ერთ-ერთი ყველაზე დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას შუა აზიაში ხვარაზმის სასულთნო წარმოადგენდა. ჩინგიზ-ხანი ცდილობდა დაერწმუნებინა ხვარაზმ-შაჰი მუჰამედი (1200-1220), რომ მონღოლებს არ ჰქონდათ მათ წინააღმდეგ არავითარი ცუდი განზრახვა. ამისათვის, ჩინგიზ-ხანი სამშვიდობო მოლაპარაკების საბაბით ელჩებს უგზავნიდა მუჰამედს, გარკვეულად ხელს უწყობდა ხვარაზმთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას.[3] ასეთი კეთილმეზობლური ურთიერთობების „თამაშით“, როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე მოხერხებულად ნიღბავდა რეალურ პოლიტიკურ მიზნებს. უდავოა, მზარდი მონღოლური სახელმწიფო დღეს თუ ხვალ შეეცდებოდა მდიდარი ხვარაზმის დალაშქვრას და ირანისაკენ გაჭრას. ბუნებრივია, ჩინგიზ-ხანის ამ ამბიციური გეგმის შესახებ ხვდებოდნენ ხვარაზმშიც. ასე, რომ შენიღბული მეგობრობის მიღმა, ორ სახელმწიფოს შორის არსებული მძლავრი დაპირისპირება იმალებოდა. სწორედ ასეთი პოლიტიკური კონიუნქტურა სუფევდა 1218 წლისათვის, როდესაც ქალაქ ოთრარში მონღოლეთიდან წამოსული ქარავანი შემოვიდა. მონღოლეთიდან ჩამოსულ ვაჭართა საქციელი არ მოსწონებია ქალაქის გამგებელს,[4] ისინი ჯაშუშებად მიუჩნევია და ამის შესახებ სულთანისათვის შეუტყობინებია. მუჰამედმა ვაჭრების შეპყრობა და დედაქა-

[3] В. В. Бартольд. Туркестан в эпоху монгольского нашествия. Собрание сочинений в 9 томах. Т. I. М. 1963, გვ. 460-469.

[4] ქალაქის გამგებელს რანგისა და ტიტულის მიხედვით უხმობდნენ ინალ-ჩუქად (პატარა ბატონი), ან არადა ქაიირ-ხანად (ძლევანოსილი ხანი).

ლაქში ჩაყვანა ბრძანა. 450 ადამიანში რამდენიმე მართლაც შეიძლება ყოფილიყო ჯაშუში, მაგრამ ქალაქ ოთრარის გამგებლის გადაწყვეტილება მაინც უკიდურესად რადიკალური აღმოჩნდა. მან მონღოლეთიდან ჩამოსული ვაჭრები ერთიანად ამოწყვიტა, მათი ქონება კი მიითვისა.[5] ამ ტრაგიკულმა ფაქტმა ჩინგიზ-ხანს საბაბი მისცა ხვარაზმის წინააღმდეგ დიდი სამხედრო კამპანია დაეწყო, რაც შემდგომში მონღოლთა დასავლეთით ექსპანსიის დასაწყისად იქცა.

1219 წელს ჩინგიზ-ხანმა ყურულთაი მოიწვია და ხვარაზმის წინააღმდეგ ლაშქრობის სამზადისი ბრძანა. სამხედრო მოქმედებები შემოდგომის პირას დაიწყო. მონღოლებმა პირველი დარტყმა ქალაქ ოთრარზე მიიტანეს. მისი აღების შემდეგ კი ბუხარასა და სამარყანდს შემოარტყეს ალყა. ხვარაზმ-შაჰი მუჰამედმა ვერ მოახერხა მონღოლების წინააღმდეგ სრული სამხედრო მობილიზაციის განხორციელება. მან მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, როდესაც ცალკეული ქალაქების გამაგრებას მიჰყო ხელი. ფაქტობრივად, ჩინგიზ-ხანმა ნაწილ-ნაწილ მოახერხა ხვარაზმის სამხედრო პოტენციალის განადგურება.[6] მონღოლები ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ქალაქ ბუხარის აღების შემდე, მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა თავი დაეღწია მონღოლთა ტყვეობას. ირანელი ისტორიკოსი ჯუვეინი, ერთ მეტად საინტერესო ამბავს მოგვითხრობს: ბუხარიდან გაქცეული ერთ-ერთი მცხოვრები ხორასანში ჩასულა. ბუხარელ ლტოლვილს უამრავ შეკითხვას უს-

[5] И. П. Петрушевский. Поход монгольских войск в Среднюю Азию в 1219-1224 гг. и его последствия. Татаро-монголы в Азии и Европе. Сборник статей. М. 1977, გვ. 112-114; Э. Д. Филлипс. Монголы. Основатели империи Великих ханов. Пер. с англ. О. И. Перфильева. М. 2003, გვ. 60-61; Д. Мэн. Чингисхан: Жизнь, смерть и воскрешение. М. 2007, გვ. 176-178.

[6] И. П. Петрушевский. Поход монгольских войск в Среднюю Азию… გვ. 118-132. რ. კიკნაძე. მონღოლთა შემოსევები. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ. 1957, გვ. 170-171.

ვამდნენ, იმის თაობაზე, თუ რა მოიმოქმედეს მონღოლებმა მის მშობლიურ ქალაქში. მას სამშვიდობოს მყოფს მონღოლთა შემოსევის საზარელი სურათი ჯერ კიდევ თვალწინ ედგა. მისი პასუხიც ლაკონური, მაგრამ ყოვლისმომცველი იყო: „მოვიდნენ, მოთხარეს, გადაწვეს, დახოცეს, წაიღეს და წავიდნენ“.[7] ასეთი იყო რეალური სურათი მონღოლთა თარეშისა. ხვარაზმ-შაჰი მუჰამედი და მისი ვაჟი ჯალალ ად-დინი იძულებული გახდნენ ირანში გაქცეულიყვნენ. ჩინგიზ-ხანმა ხვარაზმ-შაჰს თავისი ორი სარდალი ჯებე და სუბუდაი დაადევნა. 1220 წელს მუჰამედი გარდაიცვალა და მის დაშლილ სამეფოს სათავეში ჯალალ ად-დინი ჩაუდგა.

1221 წელს ქაბულის მახლობლად, ფერვანის რეგიონში ჯალალ ად-დინმა დაამარცხა მონღოლები და საგრძნობ წარმატებას მიაღწია (ჯალალ ად-დინი ფერვანაში შეებრძოლა მონღოლთა არმიის ერთი ნაწილს. ბრძოლა ორ დღეს გაგრძელდა. პირველი დღის დასრულების შემდეგ მონღოლი სარდალი შეეცადა ხვარაზმელთა მოტყუებას და მან საგანგებოდ დამზადებული ფიტულები გამოიყენა, ვითომდა დამხმარე ჯარი მოვიდაო, მაგრამ ამ ხერხმაც არ უშველა და სასტიკად დამარცხდა), მაგრამ ჩინგიზ ხანმა ახალი სამხედრო ექსპედიცია გააგზავნა ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ.[8] მონღოლებმა 1221 წლის 24 ნოემბერს მდ. ინდის ნაპირთან სასტიკად დაამარცხეს ხვარაზმ-შაჰი, რომელმაც მცირე რაზმთან ერთად მდ. ინდის გადაცურვა მოახერხა და ინდოეთში გაიქცა.[9] მიუხედავად წარუმატებლობისა ხვარაზმ-შაჰი წინა-

[7] იხ. რ. კიკნაძე. მონღოლთა შემოსევები, გვ. 170.

[8] Л. де Хартог. Чингисхан: Завоеватель мира (пер. с англ. Е. А. Ерохина). М. 2007, გვ. 153-155.

[9] Л. де Хартог. Чингисхан, გვ. 155-156. მონღოლთა მიერ დევნილი ჯალალ ად-დინის მიერ მდინარე ინდის გადაცურვისას ჩინგიზ-ხანს თანამებრძოლთათვის უთქვამს: „მხოლოდ ასეთი შვილი უნდა ჰყავდეს მამასო“. ხვარაზმ-შაჰის მდინარის გადაცურვის სცენა ასახულია XVI საუკუნის ხელნაწერის მინიატურაზე.

აღმდეგობას არ წყვეტდა. ინდოეთიდან მან მოახერხა ირანსა და ერაყში გაბატონება. ანტიმონღოლურ კოალიციაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული გაერთიანდა. ჩინგიზ-ხანის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებამდე ჯალალ ად-დინმა საქართველოს სამეფოს დამორჩილება გაიხადა მიზნად. იმ შემთხვევაში, თუ ხვარაზმ-შაჰი მოახერხებდა საქართველოს დაჩოქებას, კავკასიის მუსლიმური სამყარო უფრო აქტიურად ჩაერთვებოდა ანტიმონღოლურ მოძრაობაში. ჩრდილოეთ ირანიდან ჯალალ ად-დინმა საქართველოს სამხრეთისპირა ტერიტორიების დარბევა დაიწყო. ბუნებრივია, საქართველოს სამეფო კარი არ დაუშვებდა ასეთ მარბიელ ლაშქრობებს და პასუხმაც არ დააყოვნა. საქართველოს სამეფო დარბაზმა მტრის წინააღმდეგ დიდი სამხედრო კამპანიის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. 1225 წლის აგვისტოში ადარბადაგანიდან წამოსული ჯალალ ად-დინის დიდი ლაშქარი საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა და დვინის მიდამოებში დაბანაკდა. საქართველოს სამეფო კარმა მთავარსარდლად ივანე ათაბაგი განაწესა. რუსუდანმა მას უბოძა „დროშა სვიანი“.

მებრძოლ მხარეთა ლაშქრის შემადგენლობა და რაოდენობა

სომხურ ისტორიოგრაფიაში გარნისში მისული საქართველოს ლაშქარი ცალსახად გამოცხადებულია „სომეხ-ქართველთა გაერთიანებულ“ ლაშქრად. ეს დეტალი სასკოლო სახელმძღვანელოებშიცაა ასახული.

რა შემადგენლობის იყო ქართული არმია ჯალალ ად-დინთან ბრძოლაში?

თავიდანვე დავაზუსტოთ ტერმინები. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სომეხთა და ქართველთა გაერთიანებულ ლაშ-

ქარზე, ჩვენ ვაწყდებით ერთ წინააღმდეგობას. გამოდის, რომ საქმე გვაქვს კოალიციასთან. მაგრამ, როგორც ცნობილია ჩრდილოეთ სომხეთი, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი სამხედრო სისტემის ნაწილს წარმოადგენდა და რაიმე განსაკუთრებული უფლებით იგი არ სარგებლობდა. ამდენად, თავიდანვე უნდა ითქვას, რომ არანაირი კოალიცია გარნისში არ ყოფილა და იქ საქართველოს სამეფო ლაშქარი იბრძოდა, თუნდაც მასში ყოფილიყო სომხეთის თემებიდან გამომავალი სამხედრო ნაწილები. ამ რეალობას აღნიშნავს თითქმის ყველა საისტორიო წყარო. ჯუვეინი, მაგალითად დასძენს: „ჯალალ ედ-დინმა ქართველთა ბანაკს მიაღწია გარნისის ხეობაში, სადაც ისინი ღვინით მთვრალები და გალეშილები იყვნენო“.[10] ან-ნასავიც ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, თუ როგორ გაანადგურა ხვარაზმ-შაჰმა ქართველები.[11] სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკელი მოგვითხრობს: „ილაშქრა ივანემ ქართველთა ლაშქარით და განლაგდა მათ მოპირდაპირე მხარეს, ოდნავ ზევით“.[12] იბნ ალ-ასირის ცნობით კი „ჯალალ ედ-დინი ხშირად იმეორებდა „საქართველოში უნდა ვილაშქრო და ქვეყანა დავიპყრაო“.[13] ქართულ წყაროებშიც, ცალსახად, საქართველოს ერთიან არმიაზეა საუბარი.[14]

---

[10] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა. ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ. თბ. 1974, გვ. 29.

[11] Шихаб Ад-дин Мухаммад ан-Насави. Жизнеописание султана Джалал Ад-Дина Манкбурны. Пер. с арабского, предисловие, комментарий, примечания и указатели З. М. Буниятова. Баку. 1973, გვ. 151-153.

[12] Гандзакеци Киракос. История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларян. М. 1976, გვ. 149.

[13] Ибн ал-Асир. Ал-Камил фи-т-та'рих (Полный свод истории). Избранные отрывки. Пер. с араб. языка, примеч. и коммент. П. Г. Булгакова. Дополнения к пер. примеч. и коммент., введ. и указ. Ш. С. Камолиддина. Ташкент – Цюрих. 2005, გვ. 389

[14] ჯამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 169.

ქართული ლაშქრის შემადგენლობა გარნისზე მერყეობდა 60-70 ათას შორის. XIII ს. დასაწყისში საქართველოს თავისუფლად შეეძლო გამოეყვანა 80-90 ათასი მეომარი. ჩვენი აზრით, გარნისში ჩვენ ვხედავთ სრულიად საქართველოს არმიას. წინამბრძოლად დგანან სრულიად მესხნი. ფლანგებზე განლაგებული იქნებოდნენ „აფხაზნი და იმერნი (მარჯვნივ)“ და „ამერნი და ჰერ-კახნი (მარცხნივ).“ სწორედ ამ ნაწილშია საგულვებელი სომხეთიდან გამომავალი მოლაშქრეთა ყოფნაც (ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ რაღაც ნაწილი სომხური მიწებიდან გამოსული მეომრებისა მთავარსარდლის რეზერვშიც ყოფილიყვნენ). გარნისის ბრძოლისას გასათვალისწინებელია სომხეთში არსებული პოლიტიკური ვითარებაც. ჯალალ ად-დინის თარეშის ობიექტი სწორედ სომხური მიწებია. სწორედ ამიტომაც საქართველოს სამეფო კარი საგანგებოდ გაამაგრებდა ციხე-სიმაგრეთა მთელ სისტემას ჩრ. სომხეთში. ფაქტია, რომ დვინი, ბიჯნისი, ანისი საგულდაგულოდაა დაცული. ამდენად, ამ მხარეებიდან ჯარის წვევა ნაკლებადაა სავარაუდო. ეს ქალაქები და მათი შემავალი ქვეყანა უშუალოდ „ფრონტისპირა ზოლს“ წარმოადგენდა. ამდენად, მობილიზაციის შემთხვევაში ლაშქრის ძირითადი რესურსი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან გამომავალ მეომრებს უნდა შეევსოთ. ასე რომ არავითარი ქართულ-სომხური კოალიცია გარნისში არ ყოფილა.

ჯალალ ად-დინის არმია გაცილებით მრავალრიცხოვანი ჩანს. უამთააღმწერლის ცნობით, ხვარაზმ-შაჰს 140 000 მეომარი დაუძრავს საქართველოს წინააღმდეგ.[15] სომეხი ისტორიკოსის ვარდან არეველცის მითითებით, მუსლიმური კოალიცია 200 000 კაცს მოითვლიდა.[16] ამ ცნობების ანალიზისას

[15] უამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 169.

[16] Гандзакеци Киракос. История Армении. ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ. შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ. თბ. 2002, გვ. 160.

ერთი შეკითხვა იბადება: შეეძლო ხვარაზმიდან დევნილ ჯალალ ად-დინს ამ რაოდენობის არმიის მობილიზება? ამ პერიოდისათვის იგი აკონტროლებდა ირანის დიდ ნაწილს. ამასთანავე, საქართველოს წინააღმდეგ ჯალალ ად-დინის მიერ გამოცხადებულ „საღვთო ომში“ მონაწილეობდნენ ერაყის მუსლიმები. საკუთრივ ჯალალ ად-დინს დაახ. 60 ათასიანი არმიის მობილიზაცია შეეძლო. ამას ემატებოდა მოკავშირეების ძალებიც. მთლიანობაში ეს ციფრი 90-130 ათასამდე მერყეობდა.[17] ამდენად, ხვარაზმ-შაჰს მართლაც შეიძლება საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად მოეგროვებინა 140 000-მდე ლაშქარი. ჯალალ ად-დინის ბიოგრაფი ან-ნასავი იმასაც დასძენს, რომ ლაშქრის დიდი ნაწილი საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრებამდე ხვარაზმ-შაჰს უკვე სახლებში ჰყავდა გაშვებული.[18] ეს აშკარად გადაჭარბებული უნდა იყოს, რადგან კავკასიაში და საერთოს მთელს მახლობელ აღმოსავლეთში ყველაზე მთავარი მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ჯალალ ად-დინი მოუმზადებლად და ნაუცბათევად არ წამოვიდოდა. და რომ ასეთი ვარაუდი მართალია, ჩანს იმავე ანნასავის ერთი ცნობიდან, რომ ქართველების წინააღმდეგ წამოსულ ჯალალ ად-დინს გზაზე ავანგარდი შეეგება, რომლებმაც აცნობეს კიდეც მას ქართველთა ადგილსამყოფელი.[19] გამოდის, რომ ხვარაზმ-შაჰს წინასწარ განუხორციელებია ადგილისა და სიტუაციის დაზვერვა. ასეთ შემთხვევაში ლაშქრის დიდი ნაწილის სახლში გაშვება უბრალოდ წარმოუდგენელია.

---

[17] ჯალალ ად-დინის ლაშქრის რაოდენობის შესახებ იხ. ს. ბუნიატოვას შენიშვნა ან-ნასავის ტექსტისადმი დართულ კომენტარებში. Шихаб Ад-дин Мухаммад ан-насави. Жизнеописание султана Джалал Ад-Дина Манкбурны, გვ. 320. 36 თაეის 1 შენიშვნა.

[18] Шихаб Ад-дин Мухаммад ан-насави. Жизнеописание султана Джалал Ад-Дина Манкбурны, გვ. 151.

[19] Шихаб Ад-дин Мухаммад ан-насави. Жизнеописание султана Джалал Ад-Дина Манкбурны, გვ. 151.

როგორ ვითარდებოდა მოვლენები გარნისის ბრძოლამდე?

დვინის მიდამოების დარბევა ჯალალ ად-დინმა 1225 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში დაიწყო. მტერი ამ საქმით იყო დაკავებული, როდესაც გარნისში ქართველები მივიდნენ. ჯალალ ად-დინმა მთელი ლაშქრის მობილიზაცია მოახდინა და გარნისში დაბანაკებულ ივანე ათაბაგის წინააღმდეგ გაილაშქრა.

მებრძოლ მხარეთაგან რომელი მივიდა პირველი ბრძოლის ველზე ამის თაობაზე წყაროებში ერთიანი აზრი არ არსებობს.

ქართული წყაროს მიხედვით, გარნისში ჯერ ხვარაზმელები, ხოლო მოგვიანებით ქართველები დაბანაკებულან. ჯალალ ად-დინის ბიოგრაფი ან-ნასავი კი პირიქით აღნიშნავს. ქართული, სომხური და არაბული წყაროების შეჯერებით ვითარება ასე წარმოგვიდგება. დვინის ქვეყნის დარბევა ჯალალ ად-დინს 1225 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში უნდა დაიწყო. მტერი ამ საქმით იყო დაკავებული, როდესაც გარნისში ქართველები მივიდნენ. ჯალალ ად-დინმა მთელი ლაშქრის მობილიზაცია მოახდინა და გარნისში დაბანაკებულ ივანე ათაბაგის წინააღმდეგ გაილაშქრა.

ქართველთა ლაშქრის განლაგება ასეთი იყო: წინამბრძოლნი იყვნენ მესხები, რომელთაც შალვა და ივანე ახალციხელები სარდლობდნენ. მემარჯვენე ფრთაზე დასავლეთ საქართველოდან გამოსული მეომრები „იმერნი“ იდგნენ, ხოლო მარცხენა მხარეს აღმოსავლეთ საქართველოს ლაშქარი – „ამერნი“. ჯალალ ად-დინის ცენტრს მხედრობა ქმნიდა, მარცხენა ფრთას სულთანის ძმა ღიას ედ-დინი სარდლობდა. მარჯვენა ფლანგზე ჯალალ ად-დინმა მშვილდოსნები განაწესა. გარნისში მისვლისთანავე ჯალალ ად-დინი მიხვდა, რომ ქართველები რატომღაც აყოვნებდნენ ბრძოლის

დაწყებას. ამის მიზეზი შეიძლება ის ფაქტი ყოფილიყო, რომ გარნისში ქართველთა ლაშქარი ჩრდილოეთიდან ან დასავლეთიდან, იმ ვიწრო ხევებით და გადასასვლელებით ჩავიდოდა, რომელიც ძნელად გადასალახავია. სწორედ ამიტომ, როგორც ჩანს, ჯარის ერთბაშად თავმოყრა გარნისში ვერ მოხერხდა. ივანე ათაბაგი დროის გაყვანის ტაქტიკას დაადგა. მას მომგებიანი პოზიცია ეკავა. ქართველთა ძირითადი ნაწილები შემაღლებულ ადგილზე იდგნენ. მიუხედავად ამისა, ჯალალ ად-დინმა თავის მეომრებს მეორე დღეს შეტევაზე გადასვლა უბრძანა. ან-ნასავი მოგვითხრობს: „მთელი ის დღე მას (ჯალალ ედ-დინს) ეგონა, რომ ქართველები ჩამოვიდოდნენ (მთებიდან) საბრძოლველად, მაგრამ (ისინი) არ აპირებდნენ ჩამოსვლას. როდესაც მზე გადაიხარა, სულთანს პატარა კარავი გაუშალეს ცენტრის უკან და მან იქ გაატარა ღამე, ხანებსა და ამირებს კი უბრძანა რიგრიგობით შეეცვალათ ერთმანეთი განთიადამდე... როდესაც დილა დადგა, მან მოიწვია ისინი და უთხრა: „მტერმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა ბრძოლას აარიდოს თავი და შემოტევის მაგიერ ცდილობს საქმის გაჭინაურებას. ჩვენ გადავწყვიტეთ თავზე დავესხათ მათ, ყველა მხრიდან შევუტიოთ. მაგრამ თუ ისინი შემოგვიტევენ, მაშინ უნდა დავასწროთ და ისრების სეტყვით არ მივცეთ მათ ჩამოსვლის საშუალება...“ ყველაზე ადრე ბრძოლაში ჩაება სულთნის მარცხენა ფლანგი, სადაც იმყოფებოდა მისი ძმა ღიას ედ-დინი, ურ-ხანი, იღან-თაისი და სხვა ემირები“.[20]

ბრძოლის მიმდინარეობა

ჯალალ ად-დინის არმიისაგან პირველი ბრძოლა ქართველთა წინამავალმა მიიღო. როგორც ითქვა, ამ სამხედრო

[20] Шихаб Ад-дин Мухаммад ан-Насави. Жизнеописание султана Джалал Ад-Дина Манкбурны, გვ. 151-152.

ნაწილებს შალვა და ივანე ახალციხელები სარდლობდნენ. მათ ქართველთა არმიის სარდალს ივანე ათაბაგს რამდენიმეჯერ გაუგზავნეს მოციქული, რათა მას ქართველთა არმიის ძირითადი ძალები დაეძრა მტრის წინააღმდეგ. მაგრამ დახმარება არსაიდან ჩანდა. გარნისის მაღლობებზე საქართველოს არმიის სამხედრო ნაწილები გაუნძრეველად იდგნენ.

ჯალალ ად-დინის არმიამ მესხ წინამბრძოლებს ალყა შემოარტყა. ქართველები, მიუხედავად სიმცირისა, მედგრად ეკვეთნენ მტერს. არც ამ კრიტიკულ მომენტში შეუწუხებია თავი ივანე ათაბაგს ღვთის ანაბარად დარჩენილი ქართველი მეომრების მისაშველებლად. მაგრამ ყველაზე უცნაური ჯერ კიდევ წინ იყო. სწორედ ამ დროს გარნისის ველზე მოულოდნელი რამ მოხდა. ამას წინასწარ ვერავინ განჭვრეტდა. მოყოლებული 1225 წლიდან ეს ამბავი დიდი განსჯის საგნადაა ქცეული. უეცრად ივანე მხარგრძელის ბრძანებით, საქართველოს არმიამ ზურგი აქცია ბრძოლის ველზე მყოფ თანამემამულეებს და უკან დახევა დაიწყო. მთავარსარდლისგან მიტოვებულმა ქართველთა რაზმა თანდათან უკან დახევა დაიწყო. უთანასწორო ბრძოლაში შალვა და ივანე ახალციხელებს ცხენები მოუკლეს. მათ ქვეითად განაგრძეს ბრძოლა, მაგრამ მტერი ყოველმხრიდან უტევდა ქართველ მეომრებს. უამთააღმწერელი ამ ფაქტს ასე აღწერს: „ჴრმალნიცა ახალციხელთა განტყდეს ჩაბალახსა ზედაო“.[21] ამ სიტყვებში საოცარი ტრაგიზმი ჩანს. ეს ერთი წინადადება მთელი სიცხადით წარმოგვიდგენს ბრძოლის ველზე დატრიალებულ უბედურებას. ღალატით გამწარებულებს უკანდასახევი გზაც მოჭრილი ჰქონდათ.

ჯალალ ად-დინის მეომრებმა ალყა შემოარტყეს შალვა ახალციხელს და შეიპყრეს. ივანემ მოასწრო და კლდოვან მასივს შეაფარა თავი. მტრის მახვილისაგან გადარჩენილი ივანე კლდეზე ასვლისას, თავისივე თანამებრძოლის მიერ

[21] უამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 170.

შემთხვევით ხევიდან დაგორებულმა ქვამ იმსხვერპლა.

შალვა სასწრაფოდ წარუდგინეს ჯალალ ად-დინს. ამ უკანასკნელმა პატივით მიიღო ქართველი სარდალი და სათანადოდ დააჯილდოვა კიდეც. რამდენიმე თვის შემდეგ შალვა ახალციხელი ჯალალ ად-დინმა სიკვდილით დასაჯა. ქართველი მემატიანის სიტყვით, შალვა მოიკლა სულთნის მიერ „არადატევებისათვის სჯულისა“. უცხოელი ავტორები სხვა ვერსიას გვთავაზობენ – შალვას ფარულად კავშირი ჰქონია გაბმული საქართველოს სამეფო კართან და მას ხვარაზმ-შაჰის გეგმებს აწვდიდაო, რის გამოც ჯალალ ად-დინმა სიკვდილით დასაჯა.

გარნისის ბრძოლის მსვლელობაზე, მის მასშტაბებზე ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა სახის მოსაზრებაა გამოთქმული.

ივ. ჯავახიშვილი ამ მოვლენას საკმაოდ მოკლედ აღწერს: „ჯალალედინმა სამართლიანად უფრო ხელსაყრელად სცნო, დაუყოვნებლივ ბრძოლა დაწყო და მოწინააღმდეგეზე უმალ იერიში მიეტანა. მისი ანგარიში მთლიანად გამართლდა: სასტიკსა და უაღრესად სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჯალალედინმა გაიმარჯვა“.[22] დ. გვრიტიშვილი უფრო ვრცლად საუბრობს გარნისის ბრძოლაზე და ჟამთააღმწერლის კრიტიკულ ანალიზსაც იძლევა. „ჟამთააღმწერელს – დასძენს ისტორიკოსი – გარნისის ომის აღწერის დროს მხოლოდ მეწინავე ნაწილის ბრძოლები აქვს აღწერილი და ძირითადი ბირთვი თითქოს არც ღებულობდა მონაწილეობას. რა თქმა უნდა, ეს არ არის მართალი. ეს ცნობა მხოლოდ იმდენად უნდა მივიღოთ სარწმუნოდ, რამდენადაც მტრის პირველი დარტყმა მეწინავე ნაწილს უნდა მიეღო“.[23]

[22] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წიგნ. III. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III. თბ. 1982, გვ. 11

[23] დ. გვრიტიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. ტ. I. თბ. 1962, გვ. 164.

რ. კიკნაძე გარნისში ქართველთა დამარცხების მიზეზად ასახელებს ხვარაზმელთა მოულოდნელ თავდასხმას და სარდლის ივანე ათაბაგის მერყეობასა და ორჭოფულ მოქმედებას, რასაც სარდლის ხანდაზმულობით ხსნის.[24] ნოდარ ასათიანი ქართული ჯარის ძირითად ნაწილს ბრძოლაში ჩართულად მიიჩნევს (ცენტრს და მარჯვენა ფრთას).[25] სომეხი ისტორიკოსი ლ. ბაბაიანი ასეთ დახასიათებას აძლევს ამ შეტაკებას: „ბრძოლას გააფთრებული ხასიათი ჰქონდა, მხარეები საკმაოდ შეუპოვრად იბრძოდნენო".[26] ამერბაიჯანელი ისტორიკოსი ზ. ბუნიატოვი კი აღნიშნავს: „მაშინ ჯალალ-ად დინი თავად გაუძღვა ლაშქარს ქართველების წინააღმდეგ, სასტიკ ბრძოლაში დაამარცხა ქართველები, რის შემდეგ ისინი წელში ვეღარ გაიმართნენო".[27]

მსგავსი ციტატები სხვა ისტორიკოსთა ნაშრომებიდანაც შეიძლება მოვიხმოთ. ფაქტია, ყველა ისტორიკოსი ერთსულოვანია იმაში, რომ გარნისის ბრძოლისას სასტიკი შეტაკება გაიმართა ქართველებსა და ხვარაზმელებს შორის, მაგრამ, მთლიანობაში არის ორი დეტალი, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას და კამათს იწვევს: I – ქართველთა მხრიდან რა ძალები დაუპირისპირდა ჯალალ ად-დინს და II – შეიძლება კი გარნისის ბრძოლა მივიჩნიოთ ისეთი მასშტაბის შეტაკებად, რომელში დამარცხების შემდეგ „ქართველები წელში ვეღარ გაიმართნენ".

თვალი გავადევნოთ წერილობითი წყაროების მონაცემებს.

---

[24] რ. კიკნაძე. ხორეზმელები საქართველოში. წიგნ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979, გვ. 540.

[25] ნ. ასათიანი. რუსუდანის გამეფება და ჯალალ ედ-დინის შემოსევები. საქართველოს ისტორია. ტ. II. თბ. 2008, გვ. 31.

[26] Л. О. Бабаян. Социально-экономическая и политическая история Армении в XIII-XIV веках. М. 1969, გვ. 95.

[27] З. М. Буниятов. Государство Атабеков Азербайджана (1136-1225 годы). Баку. 1978, გვ. 125.

ჟამთააღმწერელმა იცის, რომ ქართველთა ძირითადი ნაწილი ბრძოლაში არ ჩაბმულა. ხვარაზმელებს გააფთრებულ წინააღმდეგობას მხოლოდ წინამავალი უწევდა შალვა და ივანე ახალციხელის სარდლობით. მემატიანე აღნიშნავს: „ივანე ათაბაგი და სპანი ქართველთანი ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთსჯულთა“[28]. ვახუშტი ბატონიშვილიც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ათაბაგი სპითა უვნოდ წარმოვიდაო“.[29] უცხოელი ავტორებიდან ამ დეტალზე ყურადღებას ამახვილებს სტეფანოზ ორბელიანი, კირაკოს განძაკელი, სტეფანოზ ეპისკოპოსი და ნაწილობრივ შიჰაბ ად-დინ მუჰამმად ან-ნასავიც.

სტეფანოს ორბელიანი მოგვითხრობს ერთ უცნაურ დეტალზე: „ათაბაგმან... დაადგინა ორნი მაუწყებელნი – შალვა და გრიგოლ(?). უკეთუ ოდეს იხილონ მცირენი ძალნი ხორასნელთა, მაშინ უჴმონ ძალთა ჩუენთა, უკეთუ: „მოვედით, მოვედით“. ხოლო მას, რომელი უფალი არს მძლეველობისა, ენება აღხოცვა...ამისთჳს შეჰსცუალა ჴმა მაუწყებელთა ყურთა მათთა შინა, უკეთუ „იქლტჳოდეთ“. მაშინ მათ დაუტევეს უნჯნი კარავნი და ამჴედრდენ მსწრაფლად ცხენსა და ვითარცა სულელნი უჴლმოდ და უმდევროდ გარდაცჳდნენ დიდსა ჭრამსა მას გარნისისა“[30]. როგორც ვხედავთ, ძირითად შტრიხებში სომეხი მემატიანე ეთანხმება ჟამთააღმწერელს. ბრძოლაში ჩართულან მხოლოდ წინამბრძოლნი, დანარჩენი კი გაქცეულან. ამასთანავე, ისტორიკოსი საინტერესო დეტალზე ამახვილებს ყურადღებას – ქართველებს არავინ არ მოსდევდა („უმდევროდო“). კირაკოს განძაკელი, მართა-

[28] ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 170.

[29] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 201.

[30] სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1978. გვ. 65-66.

ლია, ქართული არმიის სრულ კრახზე მოგვითხრობს, მაგრამ ბრძოლის ეტაპები მასაც ზუსტად აქვს აღწერილი: შალვა და ივანემ „უბრძანეს დანარჩენ მეომრებს: „თქვენ ჯერ მოიცადეთ ჩვენ წავალთ და შევებრძოლებით მათ რიგებს; და თუ რომელიმე მათგანს უკან დახევას ვაიძულებთ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, თქვენც შეუტიეთ, მაგრამ თუ მათ დაგვამარცხეს, გაიქეცით და თავს უშველეთ“. და ისინი (ქართველები) აირიენენ სულტნის ჯართან და დაიწყეს მათი განადგურება. მაგრამ (დანარჩენმა) ქართველმა მეომრებმა ამას არ მიაქციეს ყურადღება და დაიწყეს გაქცევა, ისე რომ, უკანდახევისას საკუთარ მეგობრებს ვერ ცნობდნენ“.[31] სხვათა შორის კირაკოს განძაკელიც მიუთითებს, რომ ჯალალ ად-დინს ქართველთა დევნა არ უწარმოებია.

სომეხი მემატიანე სტეფანოზ ეპისკოპოსი (ზოგი მეცნიერი მას სტეფანოზ ორბელიანად მიიჩნევს, თუმცა, დღეისთვის მიღებულია, რომ იგი XIII ს-ის მიწურულს მცხოვრები ისტორიკოსი უნდა იყოს.)[32] საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქართველებმა უბრძოლველად დატოვეს გარნისი. „დიდმა მხედართმთავარმა ივანემ გამოიყვანა (ხვარაზმელთა წინააღმდეგ) 60 ათასი მეომარი. მაგრამ ღვთის რისხვა დაატყდა მათ... არ მიუღიათ რა ბრძოლა გარნისის მიდამოებში, მტრის გაუმარჯვებლად ისინი (ქართველები) უკუიქცნენ“.[33]

გარნისის ბრძოლის თაობაზე მეტად მნიშვნელოვანია ან-ნასავის ცნობები. იგი ჯალალ ად-დინის პირადი მდივანი იყო და მოვლენების თვითმხილველი. ყველაზე მნიშვნელოვანი მის მონათხრობში არის დაღუპულ ქართველ მეომერთა რიც-

[31] Гандзакеци Киракос. История Армении, გვ. 226. იმ ფაქტს, რომ ქართველებმა ძირითადი დანაკარგი უკან დახევისას განიცადეს, სომეხი ისტორიკოსები ვარდან არეველცი და ანონიმი სებასტიელიც აღნიშნავს.

[32] ლ. მელქისეთ-ბეგი. ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია. თბ. 1941, გვ. 136; ლ. მელქისეთ-ბეგი. საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები. კატალოგი. I. თბ. 1949, გვ. 270-271.

[33] Армянские источники о монголах: извлечения из рукописей XIII-XIV вв. Пер. Г. Галстяна. М. 1962, გვ. 33.

ხვი. ისტორიკოსი მას 4 ათასით განსაზღვრავს.[34] მიუხედავად მის მიერ დახატული მასშტაბური შეტაკებისა, მსხვერპლი კატასტროფული არ ყოფილა. ნასავიმ იცის, რომ ქართველთა არმიის ძირითადი ნაწილი გადარჩა. ეს უკანასკნელი ცნობა უფრო სანდოა, ვიდრე იბნ ალ-ასირის მონაცემები, თითქოს ქართველებს გარნისში 20 ათასი კაცი დაუკარგავს ანუ მთელი არმიის მესამედი.[35] ნასავიმ შესანიშნავად იცოდა, რამდენი ქართველი მეომარი დაეცა ბრძოლის ველზე, ის ხომ ჯალალ ად-დინის უახლოეს წრეს ეკუთვნოდა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მსჯელობისას, ასევე მნიშვნელოვანია ქართული ჰეპირსიტყვიერების ცნობები. შალვა ახალციხელის ციკლის ლექსებში შემონახულია ერთი ლექსი – „შალვა შურისა მძებნელი“. იგი ასე მთავრდება:

„...კილოზე სისხლი სდიოდა,
თავის თავს არა სჯავრობდა,
თავისს სწორებსა სჩიოდა,
ორასი თურქის მომკვლელი
უომრობასა სჩიოდა...“.[36]

როგორც ვხედავთ, გამალებულ ბრძოლაში მყოფი შალვა ახალციხელი „უომრობას სჩიოდა“. ხომ არ არის ეს იმ რეალობის გამოძახილი, რაც მოხდა გარნისში, როდესაც ბედის ანაბარად მიტოვებული ქართველი წინამბრძოლნი სამართლიან, თანასწორ ბრძოლას ნატრულობდნენ, „უომრობას სჩიოდნენ“.

ამდენად, გარნისის ბრძოლაში მთავარსარდლის უგუნური საქციელის გამო, ფაქტობრივად, საქართველოს არმიას

[34] Шихаб Ад-дин Мухаммад ан-Насави. Жизнеописание султана Джалал Ад-Дина Манкбурны, გვ. 152.

[35] Шихаб Ад-дин Мухаммад ан-Насави. Жизнеописание султана Джалал Ад-Дина Манкбурны, გვ. 335; 48 თავის შენიშვნა 6.

[36] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. I. ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძის. ტ. I. თბ. 1961, გვ. 105.

მთელი თავისი შემადგენლობით მონაწილეობა არ მიუღია. მთლიანი დანაკარგი (მოკლულთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით) 10% მეტი არ უნდა ყოფილიყო. ჯალალ ად-დინს არც უცდია ქართველებზე დადევნება, ის, პირიქით, სამხრეთით წავიდა და დვინი გარემოიცვა. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ გარნისში საქართველოს სამხედრო პოტენციალის სრული განადგურება არ მომხდარა. ჯარის ძირითადი ნაწილი კვლავ ბრძოლისუნარიანი იყო, მხოლოდ გულგატეხილი და ფსიქოლოგიურად დათრგუნული. პრობლემა არსებობდა არა უშუალო ჯარისკაცების დონეზე, არამედ უმაღლეს სარდლობაში, რომელმაც ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას.

შური თუ სტრატეგიული გადაწყვეტილება?

ზუსტად არავინ იცოდა თუ რა ედო საფუძვლად ივანე მხარგრძელის ასეთ საქციელს. ქართველი მემატიანე ამას სარდლის ახალციხელებისადმი შურით ხსნის. ფაქტი ერთია, ივანემ გაწირა წინამბრძოლნი და უარი თქვა ბრძოლაზე. უცხოური წყაროების თანახმად, ქართველთა არმიამ ძირითადი დანაკლისი უკანდახევისას განიცადა, როდესაც რამდენიმე ათასი მეომარი ღრმა ხევებში ჩაიჩეხა.

საერთოდ, ივანე მხარგრძელის დიდი მხედართმთავრობა ერთგვარი მითი იყო. ამ ადამიანის ბიოგრაფია მეტად საინტერესოა. ის ყოველთავის ძმის ხაქარია მხარგრძელის ჩრდილის ქვეშ იყო მოქცეული. ერთი რამ ნამდვილად ჰქონდა ივანე მხარგრძელს, პოლიტიკოსისათვის ყველაზე მთავარი – დროის შეგრძნება. ძმისაგან განსხვავებით, ივანე მართლმადიდებლად მოინათლა, რამაც მისი პოზიციები სამეფო კარზე უფრო განამტკიცა. შამქორში ივანე ვაუკაცურად იბრძოდა, ყოველ შემთხვევაში ამას გვამცნობს მემატიანე. თამარის დროს მომხდარი ყველა დიდი ომის თანამონაწილე იყო და

კარგი სამხედრო რეპუტაციით სარგებლობდა, მაგრამ დამოუკიდებლად ჩატარებულ სამხედრო კამპანიებში, თითქმის ყველგან ფიასკო განიცადა (აქ არ იგულისხმევა თამარის დროს მთიულთა აჯანყების ჩაქრობა. დიდი სამხედრო შეტაკება ამ დროს არ მომხდარა). ქალაქი ხლათის გარემოცვისას, მაშინ როცა ხლათელები უკვე დანებებას აპირებდნენ, ივანე მხარგრძელმა ქალაქის კედლების დათვალიერება განიზრახა. შემოვლის დროს ივანეს ცხენს ფეხი თხრილში ჩაუვარდა და მხედარი გადმოაგდო. არაბი წყაროები იმასაც წერენ, რომ ამ დროს ათაბაგი კარგა გვარიანად ეოფილა ნასვამი და თანაც მხოლოდ მცირე ამალა ახლდა.[37] ხლათელებმა ივანე შეიპყრეს. ამ ინციდენტის შემდეგ ხლათის შემოერთება ვერ მოხერხდა, ივანე იძულებული იყო თავისი ქალიშვილი თამთა გაეგზავნა სულთნისთვის ცოლად. ლაშა-გიორგის დროს მონღოლთა შემოსევისას საგიმის ველზე ივანე ქართველთა ლაშქრის მარცხენა ფლანგს სარდლობდა. მტერმა მისი უკუქცევა მოახერხა, ხოლო ივანე ძლივს გადაურჩა სიკვდილს.[38] გარნისში დამარცხებაც მის კისერზეა. სწორედ ასეთი სამხედრო გამოცდილების ადამიანი სარდლობდა ქართველთა ლაშქარს ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ. მაგრამ ქართველი მემატიანე უამთააღმწერელი, რომელიც ივანეს კრიტიკას არ ერიდება, არაფერს ამბობს მის სამხედრო გამოცდილების გამო. ის რატომღაც აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ივანემ ძმები ახალციხელები შურის გამო მიატოვა ბრძოლის ველზეო. რა უნდა ეოფილიყო ივანე მხარგრძელის მხრიდან შალვასა და ივანესადმი შურის მიზეზი? იმ დროს ის მეფის შემდეგ მეორე კაცი და ქვეყნის რეალური გამგებელი იყო. მაგრამ აქ შური სხვაგვარად უნდა გავი-

[37] გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ. 1995, გვ. 168.

[38] ი. სიხარულიძე. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV საუკუნეებში. თბ. 1957, გვ. 55-58; დ. გვრიტიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. ტ. I. თბ. 1962, გვ. 150-151.

გოთ. თამარის დროინდელ მხედართმთავრებიდან მოქმედი სარდლები დარჩენილი იყვნენ შალვა და ივანე ახალციხელები. თვითონ ივანე მხარგრძელი, როგორც მემატიანე დასძენს „მას ჟამსა მიმხცოვნებულ იყო“. ივანეს შემდეგ, სრულიად ბუნებრივია, ქვეყნის სამხედრო უწყების სათავეში მხარგრძელების მაგიერ ძმები ახალციხელები მოსულიყვნენ. ძმებმა ზაქარია და ივანე მხარგრძელებმაც ერთად დაიწყეს კარიერა, შალვა და ივანეც ერთად იხსენიებიან. რაღაც შეფარვითი კონკურენცია ყოველთვის იარსებებდა ძმების ამ ორ ტანდემს შორის. მაგრამ ზაქარია სანამ ცოცხალი იყო, მხარგრძელთა პოზიციებს სამეფო კარზე არავინ ემუქრებოდა. ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ ივანე ათაბაგი ხდება, თუმცა, ამირსპასალარის და მანდატურთუხუცესის სახელოებსაც იგი აკონტროლებდა.[39]

აშკარა, ამ დროის საქართველოში პოლიტიკური კრიზისის ნიშნები უკვე ჩნდება. პოლიტიკური კრიზისი არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა მაინცდამაინც დამარცხებული უნდა იყოს, ანდა აუცილებელი რომ შინაომი მძვინვარებდეს. თვით თამარის ეპოქაშიც კი, როდესაც ქვეყანა თავის განვითარების ზენიტშია, შეიძლება დავინახოთ ის ელემენტები, რომელმაც ქვეყანა მალე მიიყვანა კრიზისამდე. თუნდაც ავიღოთ ივანეს ათაბაგად დანიშვნა. ერთი კონკრეტული ადამიანისათვის შეიქმნა თანამდებობა, რომელიც საფუძველშივე ეწინააღმდეგება ერთი საუკუნის მანძილზე საქართველოში დამკვიდრებულ ცენტრალური ხელისუფლების მოწყობას. ამასთანავე, თამარის გარდაცვალებამდე და ლაშა-გიორგის დროს, ივანე მხარგრძელი, ათაბაგობასთან ერთად ამირსპასალარიცაა. თავისი ძმიშვილის მცირეწლოვნობის დროს, როგორც ჩანს, მას შეთავსებული უნდა ჰქონოდა მანდატურთუხუცესობაც.[40] მოგვიანებით, ამირსპასალარობა მან საკუთარ შვილს ავაგ-სარ-

[39] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ. 1979, გვ. 308.
[40] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ..., გვ. 308-309.

გისს გადაულოცა.[41] მაგრამ, ეს უკანასკნელი, ნომინალურად იქნებოდა ამ სახელოს მფლობელი. რეალურად, სამხედრო უწყებას ივანე განაგებდა. როგორც ვხედავთ, მხცოვანი ვეზირის გეგმები შორსმიმავალია. იგი ფაქტობრივად ცდილობს, თავისი მემკვიდრეობის მოწყობას. მხარგრძელთა ზაქარიას შტოს მანდატურთუხუცესობა დაუმკვიდრდა. ივანეს შვილი ჯერ ამირსპასალარია, ხოლო მამის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ათაბაგობასაც მიიღებს.[42] ერთადერთი პრობლემა იყო ის, რომ როგორც შანშე ზაქარიას ძე, ასევე ავაგ-სარგისი ახალგაზრდები იყვნენ. ივანე მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ კი, როგორც ითქვა, ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა შეიძლება ახალციხელებისთვის გადაეცათ. ყველაზე მეტად სწორედ ისინი იმსახურებდნენ ამ თანამდებობებს. როგორც ჩანს, მოვლენების ასეთ განვითარებას ელოდა ივანე ათაბაგი და როგორც გამოცდილ პოლიტიკოსს შეშვენის, მან ერთი ხელის მოსმით მოიშორა მხარგრძელთა ახალგაზრდა თაობისათვის ყველაზე საშიში კონკურენტები, მაგრამ სამაგიეროდ მის მიერ დადგმულ ინტრიგას ქვეყანა გადააყოლა.

* * *

ჯალალ ად-დინმა არ იცოდა რა კრიზისში იმყოფებოდა ქართული სახელმწიფო და მისი სამხედრო ძალები. ქართველებმა გარნისის შემდეგ თავისი სამხედრო პოტენციალი „გადაარჩინეს“ და ეს აკრთობდა ხვარაზმ-შაჰს. ჩვენი აზრით, ჯალალ ედ-დინმა რამდენიმე თვე მოანდომა საქართველოში არსებული ვითარების ზედმიწევნით შესწავლას და, მოგვიანებით, სწორედ ამან გააბედვინა მას თბილისზე ლაშქრობა. მანამდე კი ხვარაზმ-შაჰი ფრთხილად მოქმედებდა და ქართულ მხარეს დიალოგსა და მოლაპარაკებას სთავაზობდა.

[41] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ..., გვ. 311.
[42] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ..., გვ. 314-315.

Jaba Samushia

BATTLE OF GARNISI

Summary

The subject of our article is Jalal ad-Din Khwarazm Shah's incursion in Georgia. Political background and hostility between those Great Powers are narrated by Georgian and foreign sources. Research is based on those materials. Detailed description is presented about composition and figure of troops deployed for this battle. Brief account of field battle that took place in 1225 at Garnisi is given here and the reason of Georgians' failure is also explored.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა.

იჭრებოდა თუ არა გიორგაული თეთრი?*

ქართულ სამეცნიერო-საისტორიო შრომებში აღნიშნულია, რომ გიორგი V ბრწყინვალემ (1318-1346 წწ.) 1330 წ. ხარკის ძლევა შეუწყვიტა მონღოლებს,[1] რაც, ფაქტობრივად, სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას ნიშნავდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე დამკვიდრებულად ითვლებოდა ის აზრი, რომ გიორგიმ ცვლილებები შეიტანა საქართველოს ფინანსებშიც და მოჭრა საკუთარი მონეტა, რომელიც „გიორგაულის“ სახელით არის ცნობილი.[2]

მეორეს მხრივ, სპარსული წყაროები და საქართველოს ზარაფხანებში ილხანების სახელით მოჭრილი მონეტები დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციაზე გვაყენებს. სპარსელი ისტორიკოსის ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობის თანახმად,

* 2006 წელს გამოვიდა გიორგი დუნდუას და თედო დუნდუას მონოგრაფია – ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი. წინამდებარე სტატია, გარკვეულწილად, მისი დამატებაა. ამასთან, ის სრულად შევა „ქართული ნუმიზმატიკის“ II ნაწილში, რომელიც გამოსაცემად მზადდება.

[1] ვ. გაბაშვილი. საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის. აღმოსავლური კრებული. თბ. 1960, გვ. 121.

[2] ი. ჯავახიშვილი. ქართული საფას-ნახომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტფ. 1925, გვ. 21; ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. III. თბ. 1949, გვ. 271; ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი. თბ. 1953, გვ. 195; ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი. თბ. 1957, გვ. 9; Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика. М. 1955, გვ. 99-100, და სხვ.

საქართველო მონღოლებს ხარკს უხდის 1336 წელსაც.[3] მეორე სპარსელი ისტორიკოსი, სახელდობრ, აბდალაჰ იბნ მოჰამედ იბნ ქია ალ მაზანდარანი, საქართველოს ხარკის გადამხდელ ქვეყნებს შორის ასახელებს 1349-1350 წწ-შიაც.[4] ჰამდალაჰ ყაზვინის თხზულება „ნოზჰათ ალ-ყოლუბ“ („გულთა სიამე“), საიდანაც აღებულია ცნობა საქართველოს მიერ მონღოლთა სასარგებლოდ ხარკის გადახდის შესახებ 1336 წ., დაწერილია 1339-1340 წწ-ში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გიორგი V-ის მეფობის უკანასკნელი წლების შესახებ არსებული ქართული წყაროები XVIII ს. განეკუთვნება, ხოლო ჰამდალაჰ ყაზვინის თხზულება დაწერილია გიორგის სიცოცხლეშივე, მაშინ ნათელი იქნება ამ უკანასკნელის განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს მონღოლებთან ურთიერთობის დასადგენად XIV ს-ის 30-იანი წწ-ის მიწურულს. ხოლო თუ ზემოთქმულს დავუმატებთ იმასაც, რომ მთელი ამიერკავკასიის სარაფხანებში, მათ შორის საქართველოს სარაფხანებშიც (თბილისი, ყარაღაჯი), ჰიჯრ. 756 წ-მდე (= 1355 წ.) მონეტები იჭრებოდა მხოლოდ და მხოლოდ ილხანების სახელით,[5] მაშინ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულების გადასინჯვის საჭიროება თვალნათლივი იქნება.

პირველი ასეთი ცდა, ხსენებული სპარსელი ისტორიკოსების ცნობების შემოტანით მეცნიერებაში, დ. ლანგს ეკუთვნის. 1960 წ. მას გამოეხმაურა ვ. გაბაშვილი. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შრომებში სათანადო გადაწყვეტა ვერ პოვა ნუმიზმატიკურმა საკითხებმა. მეტიც: დ. ლანგის ახალმა ჰიპო-

[3] D. M. Lang. Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant. BSOAS. XVII. I. 1955, გვ. 85.
[4] W. Hinz. Ein persischer Leitfaden des Staatlichen Rechnungswessens um 1363. Wiesbaden. 1952. მითითებულია ვ. გაბაშვილის დასახ. ნაშრ. მიხედვით, გვ. 122-123.
[5] Е. А. Пахомов. Борьба феодальных династий за восточное Закавказье с половины XIV в. до начала XV в. по монетным данным. КСИИМК. вып. 66. М. 1956, გვ. 47.

თეზამ „გიორგაულის“ და „კირმანეულის“ შესახებ (მათ იდენტურობას რომ გულისხმობს) უფრო გაართულა პრობლემა. იმ ფაქტის დადგენისგან კი, ჭრიდა თუ არა გიორგი ბრწყინვალე საკუთარ, ეროვნული ხასიათის მონეტას, მნიშვნელოვნად არის განპირობებული საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხის გადაწყვეტაც. ამიტომ გიორგი V-ის სამონეტო ემისიის სპეციალური შესწავლა აუცილებელია.

რას ემყარებოდა ქართული ისტორიოგრაფია, როდესაც გიორგი ბრწყინვალეს საკუთარი, ეროვნული ხასიათის მონეტის მოჭრა მიაწერა?

ივ. ჯავახიშვილი წერს – „ათაბაგ აღბუღას თავისი პაპის და თავისი სამართლის წიგნის შესავალში ნათქვამი აქვს: პაპა ჩემს ბექას ყაზანაური თეთრი დაეწესებინა სისხლის საზღაურად, მაგრამ ჩვენს დროს ამგვარი ფული უკვე აღარ არსებობდა და ჩვენ „დიდისა მეფისა გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთო“. აქ უეჭველია გიორგი ბრწყინვალე იგულისხმება. სწორედ ამ გიორგი ბრწყინვალის ვერცხლის ფულს ეძახდნენ „გიორგაულ“ თეთრს. როგორც ეტყობა, XIV ს. მეორე ნახევარშიაც ეს ფული წინანდებურად ხმარებაში იყო“.[6] ამრიგად, ივ. ჯავახიშვილისათვის, შემდეგ კი უკვე სხვებისთვისაც, ამოსავალი იყო ბექა-აღბუღას კანონთა კოდექსი. გარდა ამისა, ქართულ ისტორიოგრაფიას გააჩნდა უფრო გვიანდელი, კერძოდ, XVIII ს-ის ცნობაც. მხედველობაში გვაქვს ვახტანგ VI-ის სამართლის სიტყვები: „პირველს ჟამურს თეთრს გიორგაულს ეძახდნენ. ის თურმე საქმობდა სისხლშიაცა და ისრეცა... გიორგაული რა ერთისაც წონა ყოფილა, იმ ძველს წიგნებში სწერია და იმითი იცნობთ“ (ვახტან-

[6] ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 21.

გის სამართლის წიგნი. კარი თეთრის გარიგებისა, §15).[7]

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ს. კაკაბაძე, დასახელებული საბუთების გარდა, ეყრდნობოდა აგრეთვე სასისხლო სიგელებს[8] და ერთ ნასყიდობის საბუთს, შესრულებულს ქართლში 1508 წ.[9] ამ საბუთების კრიტიკული გარჩევის შემდეგ ვთვლით, რომ მათი გამოყენება „გიორგაული“ თეთრის ემისიის სამტკიცებლად გამორიცხულია.[10]

ამრიგად, დაგვრჩა ორი საბუთი, რის საფუძველზეც ქართული ისტორიოგრაფია „გიორგაული“ თეთრის არსებობას ადასტურებს: პირველი ეს არის ბექა-აღბუღას კანონთა კოდექსი, და მეორე – ვახტანგ VI-ის სიტყვები – „პირველს ჟამურს თეთრს გიორგაულს ეძახდნენ“. მაგრამ ვახტანგიც რომ ბექა-აღბუღას სამართალს ეყრდნობოდა, ეს სრულიად აშკარაა. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, ვახტანგ VI-ს ამ ფულის შესახებ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია, რადგან ის მას პირველ ქართულ ფულად მიაჩნდა.[11] კიდევ ერთხელ მოგვყავს ვახტანგ VI-ის სიტყვები: „ის (ე.ი. გიორგაული – გ. დ., თ. დ.) თურმე საქმობდა სისხლშიაცა და ისრეცა... **გიორგაული რა ერთისაც წონა ყოფილა, იმ ძველს წიგნებში სწერია და იმითი იცნობთ**“. ე.წ. „გიორგაულის“ წონა კი მხოლოდ აღბუღას სამართლის წიგნშია მოყვანილი: **„...ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვეცხლი.**[12] როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ბექა-აღბუღას კანონთა კოდექსია იმ

[7] ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა სახებელი დაურთო თ. ენუქიძემ. თბ. 1955., გვ. 53-54.

[8] ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე. II. თბ. 1924, გვ. 58, 66.

[9] ექვთ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. III. ტფ. 1909, გვ. 401.

[10] საკითხთან დაკავშირებით იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში. თბ. 1964, გვ. 33-39.

[11] ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 21.

[12] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 286.

აზრის სათავე, თითქოს გიორგი ბრწყინვალეს ცვლილებანი შეეტანოს საქართველოს ფინანსებში.

ეცრდნობოდა რა ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში გაბატონებულ აზრს იმის შესახებ, რომ გიორგი ბრწყინვალემ მოჭრა საკუთარი მონეტა, ე.წ. „გიორგაული“, დ. კაპანაძე შეეცადა ფაქტობრივი მასალით შეემაგრებინა ეს დებულება. „გიორგაულებად“ მან მიიჩნია ქვემოთ აღწერილი მონეტები. ყველა მათგანი ვერცხლისაა.

1. შუბლი – მონეტის ცენტრში მსხვილი წერტილია. ამ წერტილის მარჯვნივ და მარცხნივ გაუგებარი ნიშნებია, რომლებიც მოგვაგონებს გადაბრუნებულ მუსლიმურ ღვთისმსახურებით წარმონათქვამს – „უფალს“, ეს ყველაფერი ჩასმულია წვეტიან ოვალში და ამრიგად იქმნება ადამიანის გახელილი თვალის შთაბეჭდილება. მონეტის კიდეებზე წარწერა: ᲒᲒᲤᲒᲓ/ᲒᲤᲒ ᲢᲒ – „მეფეთა მეფე გიორგი“.

ზურგი – რამდენადმე დამახინჯებული არაბული წარწერა (სუნიტური რელიგიური სიმბოლო) (ტაბ. I, № 1).[13]

2. შუბლი – „ადამიანის გახელილი თვალის“ სახე. მონეტის ცენტრში მსხვილი მარჯვნივ და მარცხნივ დაწოლილი ქართული ასოებია მოთავსებული: Ⴒ და Ⴔ – მეფე. ფრჩხილისებური ჩარჩოს გარეთ ტალღისებური ხაზები და თითო წერტილი (დ. კაპანაძის აზრით, დანიღბული ხედწერილი).

ზურგი – სამსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული წარწერა (უნდა იყოს სუნიტური რელიგიური სიმბოლო) (ტაბ. I, № 2).[14]

[13] დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის. სსმმ. XI-B. თბ. 1941, გვ. 133; დ. კაპანაძე. Грузинская нумизматика, გვ. 100; დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, გვ. 117, № 133.

[14] დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 140; დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 117, № 134.

3. შუბლი – მონეტის ცენტრში მსხვილი წერტილია, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ კიდევ თითო წერტილი უსის. წერტილები ჩასმულია წვეტიან ოვალში. ზემოთ და ქვემოთ ტალღისებური ხაზები და თითო წერტილი ამკობს. ყველაფერ ამას შემოვლებული აქვს ორმაგი რკალი – ხაზიანი და წერტილიანი.

ზურგი – მონეტის ცენტრში სამსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული ზედწერილი სუნიტური რელიგიური სიმბოლოა, რომელიც ისეთივე რკალებითაა შემოვლებული, რომლებიც მონეტის შუბლზე გვაქვს (ტაბ. I, № 3).[15]

რა საბუთები მოყავს დ. კაპანაძეს ზემოთ აღწერილი მონეტების „გიორგაულებად“ მიჩნევის სასარგებლოდ?

აღწერილი მინეტების პირველი ვარიანტი, ე.ი. სრული ქართული ზედწერილიანი მონეტა, ტრაპიზონის ასპრის ქართულ მინაბაძებთან, ე.წ. კირმანეულთან ერთად, 1930 თუ 1931 წ. ერთ თბილისელ კოლექციონერს გადაუცია დ. კაპანაძისთვის და თან დაურთავს ცნობა, რომ ისინი 1904-1905 წწ. დუშეთში აღმოჩენილი განძიდან ყოფილა. დ. კაპანაძე ვარაუდობდა, რომ ეს მონეტები იმ განძიდან არის, ე. პახომოვს № 169-ის ქვეშ რომ აქვს მოხსენიებული. თუნდაც ეს ასე იყოს, ეს არაფერს ამტკიცებს. მივმართოთ თვით ე. პახომოვს, რომლის ცნობის თანახმად, 1905 წ. დუშეთის რ-ნში აღმოჩენილა 960 ვერცხლის მონეტისგან შემდგარი განძი. ეს განძი შემდეგ გაიფანტა. ე. პახომოვის განსაზღვრით, გადარჩენილი ეგზემპლარები შემდეგი მონეტები აღმოჩნდა: ერთი ცალი XIV-XV სს. უცნობი ფულია (ე.ი. ის ცალი, რომელიც დ. კაპანაძემ „გიორგაულად“ მიიჩნია), ტრაპიზონული ასპრის ერთი მინაბაძი და ორი ცალი ჯუჩიდური მონეტა, თოხთამიშის მიერ ურდოში მოჭრილი (ერთზე მოჩანს თარიღი 192 წ., უნდა

[15] დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 135; დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 118, № 135.

იყოს 792 = 1389/90 წწ.).[16] ამრიგად, კიდევაც რომ დავუშვათ, თითქოს ხსენებულ განძში უფრო გვიანდელი მონეტა არ შედიოდა, მისი დაფლობის *terminus post quem* 1389/90 წწ-ია. თუკი საერთოდ შეიძლება ამ საბუთით მსჯელობა, ის საწინააღმდეგოს უფრო დაამტკიცებს, ვიდრე საინტერესო მონეტის და „გიორგაულის“ იგივეობას. დ. კაპანაძეს რატომღაც მიაჩნდა, რომ ამ განძის შემადგენლობაში XIII ს-ის ფულის მინაბაძებს გაცილებით უფრო მეტი ადგილი ეჭირებოდა.[17] მას, ალბათ, მხედველობაში იოანე II-ის ასპრების ქართული მინაბაძები ჰქონდა. ასეთი მტკიცებისთვის საფუძველი არ არსებობს. საკითხს ჯერ თეორიულად მივუდგეთ. დუშეთის რ-ნში აღმოჩენილ განძში კირმანეულებს არ შეიძლება მეტი ადგილი ჭეროდა, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში ამ ფულს არ ჰქონია ისეთი ფართო გავრცელება, როგორც დასავლეთ საქართველოში.[18] მაგრამ აქაც ვუშვებთ, რომ კირმანეულები ამ განძის ძირითადი ნაწილი იყო. ნიშნავს ეს იმას, რომ განძი XIII ს-ის დასასრულით ან XIV ს-ის I ნახევრით უნდა დათარიღდეს? რა თქმა უნდა, არა. XIII ს-ის თვით იოანე II-ის ასპრია, ხოლო მისი მინაბაძები იჭრებოდა როგორც XIII ს-ის დასასრულს, ასევე – XIV ს-ის მთელ სიგრძეზე და XV ს-შიც კი. ეს გზა არ გამოდგება განძის დათარიღებისთვის. განძის გადარჩენილ ჯუჩიდურ მონეტებს კი, როგორც აღნიშნული გვქონდა, XIV ს-ის მიწურულში გადავყავართ. ამრიგად, თუკი პირობითად დავუშვებთ იმას, რომ თბილისელი კოლექციონერის განმარტება ჭეშმარიტებას შეეფერება, არავითარი საფუძველი არ არსებობს, მის მიერ გადმოცემული

[16] Е. А. Пахомов. Монетные клады Азербайджана и Закавказья. I. Баку. 1926, გვ. 60, № 169.

[17] დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 144-145.

[18] თ. აბრამიშვილი. XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული). თბ. 1959, გვ. 44.

ორი მონეტა XIV ს-ის I ნახევარს მივაკუთვნოთ.

საინტერესო მონეტების III ვარიანტი, ე.ი. ის მონეტები, რომელთაც არავითარი ქართული წარწერა არ აქვთ, 5 ცალის რაოდენობით აღმოჩნდა 1925 წ. ხაშურის რ-ნის სოფ. ალში ნაპოვნი სამონეტო განძის შემადგენლობაში.[19] განძი დამარხულია 1400-1401 წწ-ის ახლო ხანებში, რადგან ის დიდი რაოდენობით შეიცავს აჰმედ ჯალაირის და გიორგი VII-ის მოჭრილ ფულებს, რომლებიც თ. ლომოურმა სწორედ ამ პერიოდით დაათარიღა.[20] თუ აქედან ამოვალთ, ის 5 მონეტაც XIV ს-ის დასასრულით ან XV ს-ის დასაწყისით უნდა დავათარიღოთ. მაგრამ დ. კაპანაძე სხვა გზას დაადგა. ის წერს: „სრულებით დაუჯერებელია, რომ ეს სამიეე ფულადი ტიპი (იგულისხმება ზემოთ აღწერილი მონეტის სამი ვარიანტი – გ. დ., თ. დ.). გიორგი VI-ის (1386/87-1407 წწ.) (თანამედროვე ნუმერაციით გიორგი VII – გ. დ., თ. დ.) მეფობაში ეოფილიყო გამოშვებული. მით უმეტეს, რომ XIV ს-ის ბოლო ხანებში, როგორც ამას თვით ჩვენი განძის (იგულისხმება ალის განძი – გ. დ., თ. დ.) შემადგენლობა გვიმტკიცებს, გიორგი VI-ს სულ სხვა ტიპის, საბოლოოდ დაწვრილებული მონეტები მოუჭრია. ალის განძის შემადგენლობაში ამ დაწვრილებულ ფულს თითქმის 50%-ზე მეტი ადგილი უჭირავს... V ჯგუფის გაურკვეველი ქართული მონეტები კი, რომლებიც ამ დაწვრილებულ ფულებს წონით თითქმის ერთი ორად აღემატება, ალის განძში მხოლოდ 2%-ზე ცოტა მეტი აღმოჩნდა. ჩვენ გვგონია, რომ ეს გარემოება გასაგები გახდება, თუ გა-

[19] განძის შემადგენლობა იხ. თ. ლომოური. საქართველოს და ოქროს ურდოს შორის ურთიერთობის საკითხისათვის XIV ს. (ალის განძის ჯუჩიდური ფულები). კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2005, გვ. 118-135; აგრეთვე, გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 26.

[20] თ. ლომოური. აჰმედ ჯალაირის და გიორგი VII-ის მონეტები. კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 140.

ვიხსენებთ, რომ განძის მეორე უმთავრესი ნაწილი ოქროს ურდოს მეტწილად XIV ს-ის I ნახევრით დათარიღებული 204 ვერცხლის მონეტისაგან შედგება, რომლებიც ზომით და წონით უახლოვდება ჩვენს „გაურკვეველებს“... ადვილი დასაშვებია, რომ ორივე კატეგორიის ფულადი ნიმუშები ერთსა და იმავე დროს ყოფილიყო მიმოქცევაში“. და შემდეგ: „წონით გიორგი VI-ის და აჰმედ ჯალაირის მონეტები XV ს-ის ქართულ ფულს უახლოვდება, იმ დროს, როდესაც განძის დანარჩენი მონეტები, „გაურკვეველი“ ქართული მონეტების ჩათვლით, წონითაც და მთელი თავისი გარეგნობით უფრო XIV ს-ის I ნახევრის ტიპს“.[21] „ყოველი მიმბაძველობა – განაგრძობს დ. კაპანაძე – თავის პირვანდელ ტიპს (ამ შემთხვევაში პირვანდელ ტიპად მას მიაჩნია სრული ქართული ზედწერილიანი მონეტა, ხოლო მეორე და მესამე ვარიანტი კი – მინაბაძებად – გ. დ., თ. დ.) სულ უკანასკნელი 10 წლით მაინც უნდა იყოს დაშორებული და ჩვენს განძში მეორე ან და, შესაძლებელია, მესამე წყების მიმბაძველობების აღმოჩენა, სრულ უფლებას გვაძლევს ეს ვადები სათანადოდ გავადიდოთ. გიორგიმ ტახტი დაიკავა 1386 ან 1387 წ-ს და, ამრიგად, გიორგის ტახტზე ასვლის დღიდან მისი და აჰმედის სახელით აღბეჭდილი ფულადი ნიშნების გამოშვებამდე 10-12 წელიწადზე მეტი არ უნდა გასულიყო. სრულებით დაუჯერებელია, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში პირვანდელ ფულად ტიპს გარკვეული ქართული ზედწერილებით ამგვარი მნიშვნელოვანი და მრავალნაირი ცვლილება-დამახინჯების პროცესი და ტიპის სქემატიზაცია გამოეწვლოს“.[22] და ბოლოს, ყოველი ახალი ფულადი ტიპის შექმნის დროს, ჩვეულებრივ

[21] დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 141, 143.

[22] დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 143.

ნიმუშად იმ ფულის ნიშნებს იღებენ, რომლებიც იმ დროს არსებობს. ასეთ სანიმუშო მონეტად დ. კაპანაძეს ილხან სულეიმანის (1339-1344 წწ.) დირჰემი მიაჩნია.[23] ზემოთ მოყვანილის საფუძველზე, დ. კაპანაძე ფიქრობდა, რომ ეს მონეტა გიორგი VII-ის წინამორბედის მიერ უნდა იყოს მოჭრილი, რომელსაც აგრეთვე გიორგი რქმევია და ასეთი მხოლოდ გიორგი ბრწყინვალე შეიძლება ყოფილიყო.[24] თავისი აზრის გასამტკიცებლად, დასასრულს, დ. კაპანაძეს მოყავს ივ. ჯავახიშვილის სიტყვები, რომელიც, თავის მხრივ, ალბუღას სამართალს ეყრდნობოდა.[25] ასეთია დ. კაპანაძის თვალსაზრისი საინტერესო მონეტებთან დაკავშირებით.

ზემოთ აღწერილ სამივე მონეტას ჩვენ გიორგი VII-ს ვაკუთვნებთ.[26] პირველი საბუთი ასეთი ატრიბუციის სასარგებლოდ იმ განძების დაფლობის ხანაა, რომელთა შემადგენლობაშიც ეს მონეტები შედიოდა. დუშეთის განძი 1389/90 წწ-ის შემდეგ არის ჩამარხული, ხოლო ალის განძი კი – 1400-1401 წწ-ში.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, დ. კაპანაძეს ე.წ. „გიორგაულის“ სანიმუშო მონეტად ილხან სულეიმანის ფული მიაჩნია, მაგრამ, როგორც თვითონაც სამართლიანად აღნიშნავს, ეს ტიპი 1339 წ-ზე ადრე ვერ გაჩნდებოდა. ე.ი. თუკი დავუშვებთ, რომ გიორგი ბრწყინვალემ იმავე 1339 წ. მოჭრა თავისი მონეტა, რაც ნაკლებად სავარაუდოა, რადგან პრო-

[23] დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, ტაბ. 9.

[24] დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 143.

[25] დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 145.

[26] ეს პოზიცია დაფიქსირებულია ჯერ კიდევ 1964 წ. იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 29-30 და სხვ.

ტოტიპი იმდენად დაცილებულია ორიგინალს, რომ დავაც კი შეიძლება იმ საკითხის ირგვლივ, საერთოდ, ილხან სულეიმანის მონეტის მიხედვით თუ არის მოჭრილი ე.წ. „გიორგაული“, ქრონოლოგიური ჩარჩოები ამ მონეტის ემისიისა 6-7 წელიწადს არ აღემატება. აქედან დასკვნა: თუკი 10-12 წელიწადში არ შეიძლებოდა ამ სამონეტო ტიპს დამახინჯების მსგავსი პროცესი გაევლო, მით უმეტეს, ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო 6-7 წელიწადში. გიორგი VII-ის მეფობის პერიოდი ამისთვის უფრო შესაფერისი ხანაა, როგორც დროის ხანგრძლივობის, ასევე ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის მხრივაც. როგორც ცნობილია, გიორგი VII 1393 წ. გამეფდა. შესაძლებელია, გამეფებასთან დაკავშირებით მან მოაჭრევინა ის მონეტები, რომელთაც სრული ქართული ზედწერილი „მეფეთა მეფე გიორგი“ ამშვენებს. 1394 წ. საქართველოს თემურ-ლენგი შემოესია. ამით თემურის ვოიაჟი არ დამთავრებულა. 1403 წ-მდე მან კიდევ რამდენჯერმე ილაშქრა საქართველოში. ერთი სიტყვით, გიორგი VII მთელი თავისი მეფობის განმავლობაში თავგანწირვით ებრძოდა დამპყრობელს. ამ მონეტების მინაბაძების გაჩენა სწორედ ასეთ სიტუაციაშია უფრო დამაჯერებელი, ვიდრე გიორგი ბრწინვალის ხანაში. გაუგებარია, რაში დასჭირდებოდა გიორგი ბრწყინვალეს საკუთარი მონეტების „მინაბაძები“ მოეჭრა. ამასთან დაკავშირებით, გაოცებას იწვევს ერთი დეტალიც: საქართველოს ზარაფხანებში, კერძოდ, თბილისში, ჰიჯრ. 741, 742 და 743 წწ-ში (= 1340/1, 1341/2, 1342/3 წწ.) სულეიმანის სახელით იჭრება საერთო ჰულაგუიდური ტიპის კლასიკური დირჰემები (ისინი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური უჯრედის განძების და ქართული მონეტების ძირითად ფონდებში). ეს მასალა, გარდა მოჭრის ადგილის აღმნიშვნელი სიტყვისა, არაფრით განსხვავდება ჰულაგუიდების სხვა ზარაფხანების პროდუქციისგან. ნორმალურია მათი წო-

ნა და ლიგატურა, მაღალია მათი მოჭრის ტექნიკა და მხატვრული გაფორმების დონე. ლეგენდებში, არა თუ არაბული, უიღურულიც კი დაზღვეულია რაიმე ენობრივი, თუ გრამატიკული ხასიათის შეცდომისგან. როგორც ჩანს, თბილისში, და საერთოდ, საქართველოს ზარაფხანებში კარგი ხელოსნები ისხდნენ. მაშ, ვის უნდა გამოეშვა ერთი და იმავე ზარაფხანაში სინქრონულად სულეიმანის კლასიკური დირჰემები და დ. კაპანაძის მიერ „გიორგაულად“ მიჩნეული მონეტები, რომელთა არაბული ხედწერილები საშინლადაა დამახინჯებული?!

შევეხოთ მონეტის წონასაც. ის საკმაოდ ნორმალურია XIV ს-ის 80-იანი წლების მიწურულისთვის და XV ს-ის I ნახევრისთვის. გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის სახელით მოჭრილი მონეტების წონითი რემედიუმი 0.57-0.80 გრამებში მერყეობს. „გიორგაულად“ მიჩნეული მონეტების საშუალო წონა კი ერთ გრამსაც არ აღწევს. მეტი დამაჯერებლობისთვის აქვე მოგვყავს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ზოგიერთი ცალის წონა: 0.99 გრ., 0.85 გრ. (ქართული მონეტების ძირითადი ფონდი, შემდეგში: ქმძფ., №№ 2961, 3230), 0.99, 0.90 (გფ. №№ 1198, 1202) და აშ. სრულებით აშკარაა, რომ მათ შორის დიდი სხვაობა არ არის. მით უმეტეს, რომ გიორგის და აჰმედის სახელით მოჭრილი მონეტა XV ს-ის დასაწყისს ეკუთვნის და ე.წ „გიორგაულები“ მათზე ათიოდე წლით მაინც უფრო ადრეული უნდა იყოს.

რაც შეეხება ამ მონეტების მცირერიცხოვნებას XIV ს-ის მიწურულის განძებში და ამის საფუძველზე მათი XIV ს-ის I ნახევარში გადატანას, არ არის მართებული, რადგან სჯულმდებელი აღბუღა **გიორგის ჟამის თეთრს** XIV ს-ის 80-იან წწ-ში აწესებს სისხლის სახღაურად[27], თანაც ათასების

[27] ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 9.

ფარგლებში, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ამ ხანებში ეს ფული ცოცხალი და ჯანსაღი ერთეულია. აქედან გამომდინარეობს, რომ, თუკი ზემოაღწერილი მონეტები გიორგაულებია, ისინი გაცილებით მეტი რაოდენობით უნდა ყოფილიყო XIV ს-ის II ნახევრის განძებში, ვიდრე ეს სინამდვილეშია.

დასასრულს, თუკი ბექა-აღბუღას სამართლის შესავალში ნამდვილად გიორგი ბრწყინვალის მიერ მოჭრილი თეთრი იგულისხმება, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, და საიდანაც ამოდის თვით დ. კაპანაძე[28], მაშინ ჩვენთვის საინტერესო მონეტის „გიორგაულად“ ჩათვლის მოსაზრებას უკანასკნელი საყრდენი გამოეცლება. მივმართოთ თვით ბექა-აღბუღას სამართლის ტექსტს.

აღბუღა შესავალში აღნიშნავს, რომ სისხლის დასაურვებლად „პატრონის პაპისჩემისაგან განაჩენი ყაზანაური თეთრი იყო. **ამა ჟამსა შინა ყაზანაურობა არღარა იყო, დიდისა მეფისა გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ: ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვეცხლი და, როგორცა თეთრი იყოს ანგარიშად იმა წესითა აიღებოდეს**; ხაზი ჩვენია – გ. დ., თ. დ.).[29] როგორც ვხედავთ, აღბუღა პირდაპირ ამბობს, რომ მის მიერ სისხლის საზღაურად დაწესებული თეთრი ხუთდანგიანი მონეტა იყო. გრამებში გადაყვანილი ის 3.50 გრ. აღემატება. „გიორგაულად“ მიჩნეული მონეტის საშუალო წონა კი ერთ გრამსაც არ აღწევს და, ამდენად, არ შეესიტყვება ტექსტში ნაგულისხმევ ფულად ერთეულს.

ინგლისელმა მეცნიერმა დ. ლანგმა სხვა გზით სვლა აირჩია.[30] მან „გიორგაული“ კირმანეულთან გააიდენტურა.[31]

---

[28] დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 145.

[29] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 286.

[30] D. M. Lang. Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant; უფრო დაწვრილებით,

თავისი მსჯელობის ამოსავლად ის იღებს იმ ფაქტს, რომ გიორგი მეფის დროინდელი კირმანეულის ორი ნიმუშის ღირებულება უდრიდა სუფთა ვერცხლის ხუთ დანგს. მისი დაკვირვებით, კირმანეულის წონა მერყეობდა 1.7 და 2.2 გრ. შორის. ასე რომ, კირმანეულის საშუალო წონა უდრიდა 1.9 გრ. მისივე გამოანგარიშებით, კირმანეულის ორი ნიმუშის წონა (3.8 გრ.) მჭიდროდ უახლოვდება ბექა-აღბუღას სამართალში ნავარაუდევ მონეტის წონას – ხუთ დანგს. მეორე საბუთად დ. ლანგს მოჰყავს ქართულ ხელნაწერილიანი კირმანეულის ნიმუში, რომელიც სულ ორ ცალად არის ცნობილი. ერთი მათგანი საქართველოს ეროვნული მუზეუმის კუთვნილებაა (გფ. № 6213), ხოლო მეორე (მ. ბარათაშვილის კოლექციის ცალი) – ბერლინში იყო დაცული.[32]

ამ მონეტის შუბლზე ქართული მთავრული ასოებით შესრულებულია ხელნაწერილი – ⴗⴀ, „გიორგი“, ზურგზე ასევე მთავრული ასოებით – ⴔ ⴒ, „მეფე“. ამ ხელნაწერილებთან დაკავშირებით, დ. კაპანაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ, ვინაიდან წარწერა ⴗⴀ მეფის (კეისრის) გამოსახულებასთან კი არ არის მოთავსებული, არამედ მონეტის შუბლზე – წმინდანის გამოსახულებასთან, ის ამ უკანასკნელს ეკუთვნისო.[33]

დ. ლანგმა სწორედ დ. კაპანაძის ამ მოსაზრებას ჩასჭიდა ხელი. ის თვლის, რომ წარწერა წმინდანს ეკუთვნის, რითაც საქართველოში ქართველთათვის უცხო წმინდანი ეგეგნიოსი „გააქართველეს“ და წმინდა გიორგად აქციეს. ეს მკვლევარს საფუძველს აძლევს თქვას, რომ ამ მონეტებს ეწო-

D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. New York. 1955, გვ. 81-87.

[31] D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, გვ. 87.

[32] ამ მონეტასთან დაკავშირებით იხ. მაგ. გ. ლუნდუა, თ. ლუნდუა. XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ემისიები. თბ. 2010, გვ. 26-29.

[33] დ. კაპანაძე. ზოგიერთი ტერმინის შესახებ ქართულ ნუმიზმატიკაში, გვ. 11.

დებოდა კირმანეულიც, კეისარ მანუილის სახელის მიხედვით, და გიორგაულიც – წმინდანის მიხედვით.[34]

დ. ლანგის პოზიცია მართებული არ არის. „გიორგაული“ და „კირმანეული“ რომ ერთი და იმავე სამონეტო ერთეულს არ აღნიშნავდა, ამის დასამტკიცებლად მარტო ვახტანგ VI-ის სიტყვებიც კმარა: „პირველს ჟამურს თეთრს გიორგაულს ეძახდნენ. ის თურმე საქმობდა სისხლშიაცა და ისრეცა... გიორგაული რა ერთისაც წონა ყოფილა, იმ ძველს წიგნებში სწერია და იმითი იცნობთ. **კიდევ ერთი რიგი სხვა თეთრიც ყოფილა, კირმანეულს ეძახდენ**“ (ვახტანგის სამართლის წიგნი. კარი თეთრის გარიგებისა, §15). აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ კირმანეული **სხვა თეთრი** იყო. გარდა ამისა, არსებობს სხვა საბუთებიც. აღბუღას სამართლის შესავალში ნახმარია სიტყვა „**ორიანი**“ და არა „**ორი**“. კონტექსტიდან ცხადად ჩანს, რომ აქ ნაგულისხმევია ორნომინალიანი ერთი მონეტის წონა („**დიდისა მეფისა გიორგის ჟამისა თეთრი... ორიანი ხუთი დანგი**) და არა ორი ნიმუშის წონა, როგორც ამას დ. ლანგი ფიქრობდა. კირმანეული ცალკე სამონეტო ჯგუფია, რომელიც იჭრებოდა და მიმოქცევაში იყო გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე და მის შემდეგაც. ცხადია, საესებით შესაძლებელია, გიორგი ბრწყინვალის ხანაში მოჭრილიყო კირმანეულის გარკვეული ნაწილი, მაგრამ ეს არ მიუთითებს დ. ლანგის ჰიპოთეზის სასარგებლოდ. ხომ არ შეიძლება, მაგალითად, XIII ს-ში მოჭრილ კირმანეულებს „გიორგაული“ ვუწოდოთ? არც ის მოსაზრებაა დამაჯერებელი, რომ თითქოს წარწერა წმინდანს ეკუთვნის. კირმანეულების აბსოლუტური უმრავლესობა წმინდანის ვინაობის მსგავს განმარტებას არ შეიცავს. ცხადია, ის არავის სჭირდებოდა. სრულიად აშკარაა, რომ ზედწერილი ᒪᒣ მეფის

[34] D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, გვ. 87-88.

სახელს აღნიშნავს, რომელსაც გიორგი რქმევია, მით უმეტეს, რომ წმინდანის გვერდით მოთავსებულია წმინდა ევგენის სახელის აღმნიშვნელი ასოები (ΓΕ-Ο...). ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ნაკლებად სავარაუდოა, ამ მონეტის მოჭრა გიორგი ბრწყინვალეს მიეწეროთ, რადგან მისი წონა (1.5 გრ.) XIV ს-ის I ნახევრისთვის მეტად დაბალია, ის უფრო XIV ს-ის მიწურულით და XV ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს.[35]

ამრიგად, არც დ. კაპანაძის მიერ „გიორგაულად" მიჩნეული ფული და არც კირმანეულები არ უნდა იყოს ნაგულისხმევი აღბუღას სამართალში.

ამ საკითხს, ჩვენი აზრით, ყველაზე მართებულად მიუდგა თ. ლომოური თავის მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომში „უკანასკნელი ილხანების ფული საქართველოში.[36] თ. ლომოურის ამ შესანიშნავ შრომას ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორი გაეცნო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ხელნაწერის სახით, რაც აისახა კიდეც მის წიგნში.[37] მაშინაც და ახლაც ჩვენ ვეყრდნობით იმ სახელმძღვანელო დებულებებს, რომლებიც გამოთქმულია თ. ლომოურის გამოკვლევაში.

თ. ლომოური წერს: „არც გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებაში" და არც აღბუღას სამართალში ფულის აღმნიშვნელ ტერმინად „გიორგაული" არ ჩანს. ორივე სჯულმდებელი ვერცხლის ფულის აღმნიშვნელ ტერმინად ხმარობენ „თეთრს". „გიორგაული", როგორც ჯერჯერობით ცნობილი წყაროებიდან ირკვევა, მოხსენიებულია XVIII ს-ის პირველ ნახევარში შედგენილ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნ-

[35] Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика, გვ. 97.

[36] თ. ლომოური. უკანასკნელი ილხანების ფული საქართველოში. კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 95-108.

[37] იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 47-49.

ში („პირველს ჟამურს თეთრს გიორგაულს ეძახდნენ“)“. XVIII ს-ში ვახტანგის მიერ შემოღებულ ტერმინად მიაჩნია „გიორგაული“ ვ. გაბაშვილსაც.[38] „ძნელი წარმოსადგენია – განაგრძობს თ. ლომოური – რომ აღბუღას სამართლის წიგნის ისეთ პასუხსაგებ დებულებებში, როგორიც სისხლის სამართლის განსაზღვრა იყო, რაიმე ორაზროვანი გამოთქმა ეხმარა და ამით გაუგებრობა გამოეწვია. იმ შემთხვევაში, თუ მას გიორგი ბრწყინვალის ფულზე ექნებოდა ლაპარაკი, ის, აშკარაა, არ დაარქმევდა ამ ფულს გიორგი მეფის დროის (ჟამის), არამედ გარკვეულად გიორგი მეფის თეთრს უწოდებდა“. ეს მოსაზრება სავსებით მისაღებია. მართლაც და აღბუღას ხომ არ უხმარია ტერმინი **ყაზანის დროის თეთრი**, არამედ პირდაპირ ფულის სახელწოდება დაასახელა – „ყაზანაური“. ხომ შეეძლო მას „ყაზანაურის“ გვერდით „გიორგაულიც“ ეხმარა, ეს ფულადი ერთეული რომ არსებულიყო? მან კი სხვაგვარი ფორმულირება მოგვცა: „დიდისა მეფისა **გიორგის ჟამისა** თეთრი გავაჩინეთ“. თ. ლომოურის ინტერპრეტაციით, ეს ნიშნავს იმას, რომ აღბუღას სისხლის სამართლის სანქციაში შემოუღია **გიორგის დროინდელი** (ჟამის) თეთრი. თ. ლომოურის აზრით, გიორგის დროინდელ თეთრში უნდა იგულისხმებოდეს ილხანების სახელით მოჭრილი ფული, რომელიც დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე.

წყაროს თ. ლომოურისეულ ინტერპრეტაციას სავსებით უჭერს მხარს ფაქტობრივი მასალის ანალიზიც. როგორც ცნობილია, სისხლის დაურვების ფასი, აღბუღას სამართლის მიხედვით, ათასების ფარგლებში იანგარიშება. დ. კაპანაძის მიერ „გიორგაულად“ მიჩნეული მონეტები სულ რამდენიმე ცალად არის ცნობილი, ისინი არ მოჩანს ისე ფართოდ გავრცელებული, როგორც ილხანების ფული. საერთოდ, ძნელი

[38] ვ. გაბაშვილი. საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის, გვ. 131.

წარმოსადგენია, რომ ამ მონეტებს, თუნდაც ისინი ნამდვილად გიორგი ბრწყინვალეს ეკუთვნოდეს, XIV ს-ის 80-იან წწ-ში, ათაბაგ აღბუღას ხანაში, ასეთი მნიშვნელობა ჰქონოდა. ამის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს არც მათი სინჯი, არც მათი წონა და არც მათი გავრცელების ხასიათი. ილხანების ფულის გავრცელების მასშტაბი ჩვენს ტერიტორიაზე და მათი სრულფასოვნება ამაგრებს თ. ლომოურის აზრს.

შემდეგ თ. ლომოური შეეცადა აეხსნა, რას ნიშნავს აღბუღას სამართლის სიტყვები: „ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვერცხლი“. მან მიუთითა, რომ აქ მოცემულია: 1) წონა იმ ერთეულისა, რომელიც თეთრად იყო წოდებული და 2) მისი ლითონური შემადგენლობა; მაგრამ ეს ცდა ბოლომდე ვერ მიიყვანა.

ჩვენი აზრით, ფორმულირება „ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვეცხლი“ უნდა აღნიშნავდეს **ორ ნომინალიან ხუთი დანგის წონის მქონე წმინდა ვერცხლის მონეტას**. არის თუ არა ილხანების ჩვენამდე მოღწეულ მონეტებში იდენტური ერთეული? რა თქმა უნდა, არის. ესაა ილხანების სახელით მოჭრილი ორდირჰემიანები (ქართ. ორთეთრიანი). გიორგი ბრწყინვალის მეფობის სინქრონული ილხანების ორდირჰემიანების წონა 3.50 გრ-ია[39], კონკრეტულად, აბუ-საიდის (1316-1333 წწ.) ორდირჰემიანი სწორედ ამ სტანდარტებით იჭრებოდა, მჭიდროდ უახლოვდება ხუთ დანგს. ივ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით, 4 ცერცვის მარცვალი = 1 დანგს, 1 ცერცვის მარცვალი = 1 კერატს, 1 კერატი = 0.178 გრ-ს. აქედან 1 დანგი = 0.178 გრ. X 4 = 0.712, რის მიხედვითაც ხუთდანგიანი მონეტის წონა 3.55 გრ-ია.[40] მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი: კანონმდებელმა ძალიან კარგად იცის, რომ დროთა გან-

[39] Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика, გვ. 88.

[40] ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 31, 97-98.

მაყლობაში ილხანების ფულის წონა და სინჯი ეცემა, ამიტომ ის ეტალონად აწესებს 3.50 გრ-იან, ე.ი. აბუ-საიდის სახელით მოჭრილ ორდირჰემიანს (ორთეთრიანს) და იქვე დასძენს: „როგორცა თეთრი იყოს ანგარიშად იმა წესითა აიღებოდეს“. ეს არის ბედნიერი შემთხვევა, როდესაც წყაროში ყველაფერი განმარტებულია.

დასკვნის სახით ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი: 1. ბექა-აღბუღას სამართლის შესავალში იგულისხმება არა გიორგი ბრწყინვალის მიერ მოჭრილი ეროვნული მონეტა, არამედ ფულის ის ნიშნები, რომლებიც საქართველოში ბრუნავდა მისი მეფობის პერიოდში, სახელდობრ უკანასკნელი ილხანების სახელით მოჭრილი მონეტები. 2. აღბუღას მიერ სისხლის სამღაურად დაწესებული **ორიანი ხუთი დანგის წონის** წმინდა ვერცხლის მონეტა შეიძლება შევუპირისპიროთ ილხანების ორდირჰემიანებს. 3. სპეციალურ ლიტერატურაში „გიორგაულად“ მიჩნეული მონეტების მოჭრა გიორგი ბრწყინვალის მიერ სრულებით არ არის გამორიცხული, მაგრამ თუ ამოსავალად აღბუღას სამართლის ცნობებს მივიღებთ, ამ მონეტების „გიორგაულად“ მიჩნევის საკითხი თავისთავად მოიხსნება, რადგან იქ აშკარად სხვა ფულია ნავარაუდევი. 4. დღესდღეობით ამ მონეტების მიკუთვნება გიორგი VII-ის მეფობის პირველი წლებისთვის, ე.ი გიორგის და აჰმედის სახელით აღბეჭდილი მონეტის მოჭრამდე (1400-1401 წწ.), უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

რამდენად მისაღებია ეს დასკვნები? როგორც ცნობილია, გიორგი ბრწყინვალის მეფობის ხანაში საქართველოს ზარაფხანებში არც ერთი წელი არ შეწყვეტილა ილხანების სახელით მოჭრილი საერთო ჰულაგუიდური ტიპის მონეტების გამოშვება. მსოფლიოს მეტად თუ ნაკლებად დიდ საცავში (ბრიტანეთის მუზეუმი, ერმიტაჟი, ნიუ-იორკის მუზეუმი, მოსკოვის ისტორიული და საქართველოს ეროვნული მუზეუმები)

ეს ნუმიზმატიკური ნიშნები დიდ რაოდენობით არის დაცული.[41] დიდი რაოდენობითაა ისინი ცნობილი ლიტერატურიდანაც.[42] მათი შესწავლა ამტკიცებს, რომ საქართველოს სარაფხანებში გიორგი ბრწყინვალის თანამედროვე ყველა ყაენის სახელით (მარიონეტების სახელითაც კი) მოჭრილია ვერცხლის ფულები. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია აბუ-საიდის სახელით თბილისში მოჭრილი სპილენძის მონეტები (ქმძფ. №№ 523, 2379, 3368, 3369). ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. როგორც ჩანს, ამ დროს საქართველოში არათუ ვერცხლის, არამედ სპილენძის მონეტებიც კი ილხანთა სახელით იჭრება. სამწუხაროდ, თარიღი არც ერთ მათგანზე არ იკითხება, და ამდენად გაუგებარია აბუ-საიდის ილხანობის რომელ პერიოდს ეკუთვნის სპილენძის მონეტების ემისია თბილისის სარაფხანაში, რასაც საკითხისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

რით ავხსნათ ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტი? ვთქვათ, საქართველოს ერთიანობის აღდგენამდე გიორგი ბრწყინვალეს აბუ-საიდის სახელით რომ მოეჭრა მონეტა, ამაში არაფერია გასაკვირი. მაგრამ რატომ ჭრის გაერთიანებული ძლიერი ქვეყნის მეფე მონეტებს მარიონეტების სახელით?

დავუშვათ, რომ გიორგი ბრწყინვალე პარალელურად საკუთარ მონეტასაც ჭრის, რომლის წონა, აღბუღას მიხედვით, 3.5 გრ-ს აღემატება. მაშინ გამოდის, რომ ერთსა და იმავე ხანებში საქართველოს სარაფხანებში ორი სრულფასოვანი მონეტა იჭრება, ორდირჰემიანი (ქართ. ორთეთრიანი) მონეტა ილხანის სახელით და ორთეთრიანი წმინდა ვერცხლის მონეტა გიორგი ბრწყინვალის სახელით. და ეს ხდება XIV ს-ის 30-იან წწ-ში, როდესაც თვით ჰულაგუიდური მონეტების

[41] მათი საინვენტარო ნომრები იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში, გვ. 50-51.
[42] ბიბლიოგრაფია იხ. იქვე.

წონა საგრძნობლად კნინდება.[43] ვერცხლის რამხელა მარაგი იქნებოდა ამისთვის საჭირო? როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, საქართველოში ილხანთა სახელით მოჭრილი მონეტები დიდი რაოდენობით არის ცნობილი. თუ ამოვალთ აღბუღას სიტყვებიდან, გიორგი ბრწყინვალესაც კოლოსალური რაოდენობით უნდა მოეჭრა თავისი სრულფასოვანი ფულადი ერთეული, რადგან აღბუღა XIV ს-ის 80-იან წლებშიც კი მას სისხლის სამღაურად აწესებს, თანაც 6000 და 12000 ფარგლებში.[44] ნუმიზმატიკური მეცნიერება არ იცნობს ასეთ პარალელურ ემისიებს, მით უმეტეს, ერთი და იმავე ლითონზე დაფუძნებულს.

დასასრულს, ერთი მეტად სიმპტომატური ფაქტიც. საქართველოს ტერიტორიაზე XIV ს-ის მონეტათა განძების აღმოჩენის ოცდაშვიდი შემთხვევა არის აღრიცხული.[45] უმეტესობა ამ განძებისა რამდენიმე ასეულ მონეტას ითვლიდა. მათ შემადგენლობაში დიდი რაოდენობით არის მოხვედრილი გიორგი ბრწყინვალის თანამედროვე ყველა ილხანის სახელით მოჭრილი მონეტა, ისეთისაც კი, რომელიც მხოლოდ ერთი წლით იყო ტახტზე (მაგ. სათი ბეგი. იხ. გფ. № 7494) და მეტად ხანმოკლე დროის განმავლობაში აწარმოებდა სამონეტო ემისიას. ბუნებრივია, დაისვას კითხვა: რატომ არ მოხვდა ამ განძების შემადგენლობაში გიორგი V-ის თუნდაც ერთადერთი **ხუთდანგიანი** მონეტა, რომელიც სინქრონულად უნდა ყოფილიყო მიმოქცევაში, და რომელსაც, თუ ვიმსჯელებთ აღბუღას სამართლის მიხედვით, XIV ს-ის 80-იან წლებამდეც კი უნდა ეცოცხლა?! არ გვგონია, რომ ეს ფაქტი შემ-

[43] Г. А. Федоров-Давыдов. К вопросу о денежном курсе золота в Иране и Средней Азии в XIV в. КСИИМК. вып. 66. М. 1956.

[44] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 333 და სხვ.

[45] საკითხის შესახებ და ბიბლიოგრაფია იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 52.

თხვევით ხასიათს ატარებდეს. მაშ, რა ახსნა უნდა მოეძებნოს მას?

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ აღმოსავლური წყაროები აღნიშნავს საქართველოს მიერ მონღოლთა სასარგებლოდ ხარკის გადახდის ფაქტს ქვეყნის გაერთიანების შემდეგაც. ეს იმის მანიშნებელია, რომ საქართველო რაღაც ფორმით მაინც დამოკიდებულია მონღოლებზე. ეს საკითხის პოლიტიკური ასპექტია, მაგრამ აუცილებელია გავითვალისწინოთ **ეკონომიკური** მომენტიც. ეხებოდა რა მონღოლთა მბრძანებლის ყაზან ყაენის (1295-1304 წწ.) მიერ სამონეტო საქმის უნიფიკაციას, მისი თანამედროვე რაშიდ-ად-დინი აღნიშნავდა: „даже в Грузии, где никогда не чеканили монету во имя бога и посланника (его), **стали по необходимости (ее) чеканить, ибо (другие монеты) помимо нее не имели (нигде) хождения,** так что тем местам тоже пришлось чеканить эту монету, хотя они (грузины) и не признают власти (Газан-хана), а **иначе их деньги нигде не принимали**“.[46]

მართალია, რაშიდ-ად-დინის ეს სიტყვები უშუალოდ გიორგი ბრწყინვალის მეფობის ხანას არ ეკუთვნის, მაგრამ მისგან დროის არც თუ ისე დიდი მონაკვეთით არის დაშორებული და ამდენად მათ შეუძლია გარკვეული დახმარების გაწევა. მოტანილ ფრაგმენტში გარკვევითაა ნათქვამი ქართველების მიერ საერთო ჰულაგუიდური ტიპის მონეტის მოჭრის შესახებ. იმის გამო, რომ საქართველო არ მოქცეულიყო ეკონომიკურ ბლოკადაში, არ მოწყვეტილიყო მაშინდელ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებს, მისი მესვეურები იძულებულნი იყვნენ გადაედგათ ეს ნაბიჯი. გიორგი ბრწყინვალე, როგორც თავისი დროის შესანიშნავი პოლიტიკოსი, მით უმეტეს, არ

[46] Рашид-ад-дин. Джами-ат-Таврих. Т. Ш. Составитель научно-критического текста на персидском языке Абдул-Керим Али Оглы Али-Заде. Баку. 1957, გვ. 280.

დაადგებოდა საქართველოს მახლობელ აღმოსავლეთისგან ეკონომიკურად მოწყვეტის გზას. ალბათ, ამიტომაც არის, რომ მის დროს საქართველოს ზარაფხანებში არც ერთი წელი არ შეწყვეტილა ილხანების სახელით მოჭრილი მონეტების ემისია.

რაშიდ ად-დინის ზემომოყვანილ ციტატაზე დაყრდნობით, საქართველოს ზარაფხანებში XIV ს-ის I ნახევარში ილხანების სახელით მოჭრილი ნუმიზმატიკური მემკვიდრეობა დ. კაპანაძემ ქართულად გამოაცხადა.[47] ჩვენ უფრო მეტსაც ვიტყვით: სწორედ ეს ფულადი ნიშნები უნდა ივარაუდებოდეს ბექა-აღბუღას სამართალში, და თუ ტერმინი „გიორგაული“ ჯერ კიდევ XIV ს-ში ჩაისახა, მის ქვეშ მაინცდამაინც საქართველოს ზარაფხანებში ილხანების სახელით მოჭრილი მონეტები იგულისხმება. მაგრამ ავტორს უნდა გაეთვალისწინებია ისიც, რომ ასეთი მტკიცება თავისთავად გამორიცხავს გიორგი ბრწყინვალის მიერ საკუთარი, ეროვნული ხასიათის **ხუთდანგიანი მონეტის** მოჭრის შესაძლებლობას. განსხვავებული ერთეულის „გიორგაულად“ გაიდენტურების უფლება კი ჩვენ არ გვაქვს იმდენად, რამდენადაც ქართული ისტორიოგრაფიის ამოსავალი ამ საკითხში ბექა-აღბუღას კანონთა კოდექსია, სადაც პირდაპირ არის მითითებული მონეტის ნომინალი და წონა. დღესდღეობით კი ბექა-აღბუღას სამართალში ნაგარაუდევ ერთეულს ილხანების სახელით მოჭრილი ორდირჰემიანების (ორთეთრიანის) გარდა სხვა არც ერთი მონეტა არ შეესიტყვება.

1969 წ. გამოიცა დ. კაპანაძის წიგნი „ქართული ნუმიზმატიკა“. აქ მისი პოზიციაა ადრე მის მიერ „გიორგაულად“ მიჩნეულ მონეტებთან დაკავშირებით უკვე კატეგორიული აღარ არის, თუმცა ის ბოლომდე უარს არ ამბობს თავის მოსაზრე-

[47] Д. Г. Капанадзе. Продолжительность и характер монгольского владычества в Грузии по нумизматическим данным. Советская археология. М. 1964. № 2, გვ. 63-78.

ბაზე. ის წერს: „არ უნდა გამოირიცხოს შესაძლებლობა... რომ უნიფიცირებულ მონეტასთან ერთად სახელოვან მეფეს ტიპოლოგიურად მსგავსი, მაგრამ ეროვნული ხასიათის მონეტა გაეჩინა. ზემოთ აღნიშნულის გამო, მიუღებელი არ იქნებოდა, რომ აღწერილი მონეტა სწორედ „გიორგაულის“ ერთერთ სახეობად გამოშვებულიყო.[48] დ. კაპანაძის ამ ვარაუდს ჩვენ უკომენტაროდ ვტოვებთ.

დაბოლოს, კიდევ ერთი უტყუარი ისტორიული ფაქტი, რომელიც აშკარად მიუთითებს, რომ გიორგი ბრწყინვალეს არასდროს მოუჭრია ეროვნული ხასიათის მონეტა. ეს ფაქტი ამ კუთხით, ჯერჯერობით, არავის განუხილავს.

ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, ალაგირსა და ყარჯინში, პირველში 1338-1339 წწ-ში, ხოლო მეორეში – 1348-1350 წწ-ში, იჭრება საერთო ჰულაგუიდური ტიპის მონეტები.[49] ერთი შეხედვით, ეს პარადოქსული ფაქტია, რადგან აღნიშნული ტერიტორია ოქროს ურდოს გავლენის სფეროა. რატომ მოიჭრა აქ მონეტები ჯუჩიდების მოსისხლე მტრის – ჰულაგუიდების სახელით?! ეს ფაქტი დამაჯერებლად ახსნა ც. ღვაბერიძემ.[50]

როგორც ცნობილია, ოვსთა განდევნა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან გიორგი ბრწყინვალის ერთ-ერთი კარდინალური ამოცანა იყო, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი. გიორგი V-მ არა თუ „განსხნა“ ოვსნი ქართლიდან, არამედ საკუთრივ ოსეთიც დაიმორჩილა. ამას ადგილი 1337-1338 წწ-ში უნდა ჰქონოდა.[51] ც. ღვაბერიძის აზრით, „...ოსეთის

[48] დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 117.

[49] ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან. თბ. 1986, გვ. 99.

[50] ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 90-100.

[51] ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 97.

საქართველოს სამეფოსთან შემოერთების პირდაპირი შედეგია ჯერ ალაგირში 1338-1339 წწ-ში და შემდეგ ყარჯინში 1348-1350 წწ-ში ზარაფხანის ამოქმედება... ვინაიდან საქართველო გიორგი ბრწყინვალის დროს ნომინალურად ითვლებოდა ილხანთა ვასალად და თბილისის ზარაფხანაში მათი სახელით იჭრებოდა მონეტები, კანონზომიერია, რომ ოსეთშიაც გიორგი ბრწყინვალის და შემდეგ მისი მემკვიდრის დავით IX (1346-1360 წწ.) დროს საერთო ჰულაგუიდური ტიპის მონეტები მოჭრილიყო. ეს გიორგი V დიპლომატიური ნაბიჯის შედეგი იყო".[52]

ქართველი მეფეების ამ აქციას, როგორც ჩანს, მოჰყვა ჯუჩიდების სარევანშო ლაშქრობა. მათი ჯარი საქართველოში შემოსულა.

დაბოლოს, კიდევ ერთი ფაქტი: ცნობილია ილხან აბუსაიდის სახელით თბილისში მოჭრილი სპილენძის 2 მონეტა სტანდარტული არაბული ზედწერილით, რომლის შუბლის არეზე თითქოს მოთავსებულია ქართული მხედრული ასო – გ, რასაც გიორგი ბრწყინვალეს უკავშირებენ (ტაბ. I, № 4).[53] თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, რომ არა თუ ვერცხლის, არამედ სპილენძის მონეტებზეც კი ქართველ მეფეს სრულად თავისი სახელის მოთავსების უფლება არ ჰქონია.[54]

[52] ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 99.


[53] ც. ღვაბერიძე. ილხანთა ირანის სპილენძის ფულის კატალოგი. თბ. 1994, გვ. 17, 134-135.

[54] გ. დუნდუა, ირ. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009, გვ. 39.

ტაბულა I



1



2



3



4

Giorgi Dundua, Tedo Dundua

MONEY CALLED "GIORGAULI" – REALITY OR A FICTION?

Summary

There were several attempts to unify Georgia after the events of the midst of the 13th c. Georgian king Giorgi the Brilliant (1318-1346) almost succeeded in it towards the 30-ieth of the 14th c. Georgian records and historiography also claim for him to liberate the country from the Mongol overlordship, i.e. from the Il-Khans residing in Persia.

Still, the Muslim sources record about tribute paid by the Georgians even now, and money used to be struck at Tbilisi mint on behalf of the Il-Khans.

The best academic solution of the problem is to harmonize all the data, stating both – unification of Georgia, commence of restoring the economic links between Western and Eastern Georgia, disintegration of the Il-Khan state and weakening of the Mongols' real power over the country; and also, still formal suzerainty of the Mongols over Georgia, expressed in annual tribute and through issues of Tbilisi mint with the names of the Il-Khans. That could be normal.

Instead, some specialists decided to strengthen the Georgian records by claiming the small group of the Georgian silver coins with "eye-type" and the Georgian legend – "King of the Kings Giorgi", for Giorgi the Brilliant. They call this group "Giorgauli".

Analysis of the money hoards, coin weights and the Georgian documents led us to a conclusion as follows: small silver pieces described above could had been struck only towards the end of the 14th c.

And there was no national silver issue for Giorgi the Brilliant but, maybe, only copper pieces, having name of Il-Khan Abu Said put on them together with Georgian initial for Giorgi.

Still, this king did much unifying and strengthening the country, thus weakening Asiatic control over it.

შემოკლებათა განმარტება

სსმმ – აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.

КСИИМК – Краткие сообщения Института истории материальной культуры.

BSOAS – Bulletin of the School of Oriental and African Studies University of London.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

ირინა გველესიანი

ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ევოლუციური გზა ქართული საისტორიო წყაროებისა და სამართლის ძეგლების მიხედვით

საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის ძირითად უფლებად მემკვიდრეობის უფლებას აღიარებს[1]. ამ უფლების პრაქტიკული განხორციელების კერძო სამართლებრივ მექანიზმს განამტკიცებს მემკვიდრეობის სამართალი – „იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლითაც მოწესრიგებულია გარდაცვლილი პირის ქონების იურიდიული ბედი“[2].

მემკვიდრეობის სამართალი არ არის განყენებულად არსებული სოგადსამართლებრივი ინსტიტუტი. ის მჭიდრო კავშირშია სამართლის სხვა დარგებთან. ამასთანავე, მასზე დიდ ზეგავლენას ახდენს მოცემული დროის მონაკვეთში მოცემული სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება, ეკონომიკური განვითარების დონე და საზოგადოებრივი ცხოვრების წესი.

სადღეისოდ, საქართველოს კანონმდებლობა განასხვავებს მემკვიდრეობის ორ ძირითად სახეს – **„კანონისმიერ მემ-**

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. სამართალი. თბ. 2000, გვ. 4.
[2] ბ. სოიძე. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. უფლება. თბ. 2000, გვ. 15.

კვიდრეობასა“ და **„ანდერძისმიერ მემკვიდრეობას“**. კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს გარდაცვლილის ქონება გადადის კანონში მითითებულ პირებზე – გარდაცვლილის ნათესავებზე რიგითობის მიხედვით (გამოიყოფა ხუთი ძირითადი რიგი). ანდერძისმიერი მემკვიდრეობისას კი სამკვიდროს ეუფლებიან ანდერძში მითითებული ფიზიკური ან იურიდიული პირები.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ევოლუციური გზის შესწავლის ცდა ქართული საისტორიო წყაროებისა და სამართლის ძეგლების მონაცემების საფუძველზე.

მემკვიდრეობის სამართალს განვითარების საკმაოდ რთული და ხანგრძლივი ისტორია აქვს. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა „მემკვიდრეობის სამართალი შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ გაჩენილიყო, როცა კერძო საკუთრება გაჩნდა, ესე იგი, მას შემდეგ, რაც საგვარეულო სახლი პატარ-პატარა სახლობებად დაიყო“[3]. თუმცა, მემკვიდრეობის ინსტიტუტის ევოლუციის საწყისები უნდა ვეძიოთ უფრო ადრეულ ხანაში, კერძოდ, პირველყოფილი–თემური წყობილების პერიოდში. სწორედ ამაზე მეტყველებს ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ადასტურებს ცნება „მემკვიდრის“ არსებობას ძველ ქართულ თემში. მთის ხალხებში მემკვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ თემის წევრი. „აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეებში, კერძოდ, ფშავ-ხევსურეთში, თემის წევრად ითვლებოდა მხოლოდ თემის მფარველი ღვთაების (ჯვარის, ხატის) „ყმა“. ხევსურეთის ზოგიერთ თემში მეთემენი დაბადებით ითვლებოდნენ თემის მფარველი ჯვარის „ყმებად“ და ზოგიერთში კი ასეთებად ხდებოდნენ „საწულე“-ს

[3] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. თბ. 1984, გვ. 272.

წესის შესრულების შემდეგ“[4]. „საწულე“ გულისხმობდა გარკვეული რიტუალის აღსრულებას (ერთ წლამდე შიშველი ვაჟის ჯვრის დროშის ქვეშ „შეგორება“). რის შემდეგაც ვაჟი თემის სრულუფლებიანი წევრი–წული, **„მკუდრი“** (resp. **„მემკუდრე“**) ხდებოდა. თვით ჯვარ-ხატი კი ერთდროულად მამკვიდრებელიც იყო და მემკვიდრეც (ბეითალმანზე უფლების მიხედვით).

ქართული მემკვიდრეობითი სამართლის ჩამოყალიბებისათვის თვალის გადევნებას დიდად უწყობს ხელს არა მარტო ეთნოგრაფიული მასალის მონაცემები, არამედ ჰაგიოგრაფიული თხზულებებიც. მაგალითად, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ მიხედვით, V საუკუნეში ძმებს ერთ სახლად აღარ უცხოვრიათ, ე.ი. საქართველოში უკვე ცნობილი იყო კერძო საკუთრების ინსტიტუტი. ბასილი ზარზმელის თხზულებიდან „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“ კი ვგებულობთ, რომ უშვილო გიორგი ჩორჩანელმა „ყოველივე, რაჲცა აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთჳსა“[5]. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, **„საკუთრებით განუთჳსა“** განუსაზღვრელ პირად კუთვნილებად გადაქცევას ნიშნავს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ტერმინ **„განუთჳსას“ („განთჳსება“)** სემანტიკური ბირთვი – **„თჳსი“**-ც, რომელიც მემკვიდრის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინია. შესაბამისად, გამონათქვამი **„საკუთრებით განუთჳსა“** უნდა გვესმოდეს, როგორც **მემკვიდრეობით მიასაკუთრა**, ხოლო გიორგი ჩორჩანელის ანდერძისმიერ მემკვიდრეებად უნდა მივიჩნიოთ მისი გვერდითი ხაზის ნათესავები – და და

[4] ბ. ჯოიძე. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. უფლება. თბ. 2000, გვ. 92.

[5] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I. თბ. 1983. გვ. 263.

დის შვილები.

ანდერძისმიერი მემკვიდრეობის სუბიექტების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ჩვენამდე მოღწეული არაერთი ისტორიული საბუთი. მათ შორის აღსანიშნავია დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი, რომელიც 1123 წელს არის შედგენილი. ამ ანდერძის მიხედვით, დავით მეფე შიომღვიმის მონასტერს უმტკიცებს მამულებს და განსაზღვრავს მის იმუნიტეტს. მნიშვნელოვანია, კახა თორელის მიერ 1252 წელს შედგენილი შეწირულობის სიგელიც, რომლის თანახმად, მან სოფელი ხოვლე იყიდა და შესწირა რკონის მონასტერს. როგორც თავად წერს: „შესაწირავი იმიტომ ვიყიდე, რომ კანონით მემკვიდრეებისაგან შეუდავებელი იყოსო“[6]. მაშასადამე, მსგავსი სიგელ-გუჯრების არსებობა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მამულების შეწირვა–ანდერძება წესად ჰქონდა ქართულ საზოგადოებას და ანდერძისმიერ მემკვიდრეთა წრეს შეადგენდნენ არა მარტო ფიზიკური, არამედ, იურიდიული პირებიც.

ფაქტობრივად, პირველ ცნობებს ანდერძისმიერი მემკვიდრეობისა და მისი სუბიექტების შესახებ არაპირდაპირი (არაიურიდიული) წყაროებიდან ვგებულობთ. რაც შეეხება ქართულ სამართლს, როგორც ჩვენს ხელთ არსებული განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების საკანონმდებლო ძეგლების (იგულისხმება: გიორგი V-ის „ძეგლის დება“, „სამართალი ბექასი და აღბუღასი“, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნთა კრებული“, „სამოქალაქოს ჰსჯულვილება“ და დავით ბაგრატიონის „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“) შესწავლამ ცხადყო, რომ საქართველოში უპირატესობა კანონისმიერ მემკვიდრეობას ენიჭებოდა. შესაბამისად, კარგად იყო გამოკვეთილი კანონისმიერ მემკვიდ-

[6] იხ. სურგულაძე. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები. თბ. 2002, გვ. 50.

რეთა წრე და ქონების დამკვიდრების აღნიშნული წესი. რაც შეეხება ანდერძისმიერ მემკვიდრეობას, ამ მხრივ მწირ, მაგრამ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის „ვახტანგ VI-ის სამართალი“ და „ჩვეულებითი სჯული“.

ვახტანგის სამართლის 233-ე მუხლის თანახმად:

„თუ კაცმან, მოკუდავმა, თავის ალალი საქონელი თავის სულს დააკლო და ვისაც უანდერძა, მიეცემის.

მამული და ნასყიდი აქუს, ისიც მიეცემის სხვა მამული მის პატრონზე ჰკიდია“.[7]

მოცემული მუხლის მიხედვით, მოანდერძეს შეუძლია თავისი ქონება ნებისმიერ პირს უანდერძოს. თუმცა, აქ საუბარია **ალალ საქონელზე**, რომელიც ალალი შრომით შეძენილ უსულო მოძრავ ქონებას უნდა აღნიშნავდეს. სულ სხვა მდგომარეობაა **მამულთან** დაკავშირებით. მისი ანდერძით გადაცემა პატრონის ნება-სურვილზე არის დამოკიდებული - **„პატრონზე ჰკიდია“**.

აქვე განვიხილავთ „ჩვეულებითი სჯულის“ 52-ე მუხლს, რომელიც ქვრივი ქალის ანდერძს ეხება:

„და თუ არ გათხოვდებოდა, სარჩოსაც მისცემდენ და სამარხსაც რაოდენსამე რიცხვს დაუნიშნავდნენ შეძლებისამებრ. და იმ მიცემულს მზითევს და ნიშანს, თუ სახელდობრ რომელსამე შვილს განსაკუთრებით არ უანდერძა, შემდგომ იმის სიკვდილისა შვილნი თანასწორ დაიმკვიდრებდენ; არამედ ღირებულსა ნივთს გარეშეს კაცს ვერ უანდერძებდა“.[8]

როგორც მოცემული მუხლიდან ირკვევა, გარდაცვლილის ანდერძისმიერი მემკვიდრეები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ შვილებიც და გარეშენიც. შესაბამისად, „ჩვეულებით სჯულში“, ისევე, როგორც „ვახტანგ VI-ის სამართალში“, ანდერძის თავისუფლების პრინციპი გამოიკვეთა. თუმცა, აღ-

[7] ქართული სამართლის ძეგლები. თბ. 2000, გვ. 541.

[8] ი. დოლიძე. საქართველოს ჩვეულებითი სჯული. თბ. 1960, გვ. 68.

ნიშნული პრინციპი გარკვეულ შეზღუდვებთანაც იყო დაკავშირებული. მაგალითად, „გარეშეს კაცისთვის“ ძვირფასი ნივთების ანდერძით დატოვება არ შეიძლებოდა.

XX ს. 20-იანი წლებიდან საქართველოში მოქმედებას იწყებს საბჭოთა კავშირის კანონმდებლობა. შესაბამისად, მემკვიდრეობის სამართალი იღებს ცალკეული ნორმებისაგან შემდგარი მკაცრად განსაზღვრული სისტემის სახეს. ანდერძისმიერ მემკვიდრეებად სახელდებიან როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები (სახელმწიფო ან ცალკეული სახელმწიფოებრივი, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები). ანდერძის თავისუფლებას კი ზღუდავს „**სავალდებულო წილის**“ არსებობა. შედეგად გამოიყოფა მემკვიდრეთა „ახალი“ წრე ე.წ. „**სავალდებულო მემკვიდრეები**“ (მამკვიდრებლის არასრულწლოვანი შვილები (მათ შორის ნაშვილებიც), მეუღლე, მშობლები (მშვილებლები) და გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირები). ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ისინი იღებენ ქონების არანაკლებ 2/3-ისა იმ წილიდან, რომელიც თითოეულ მათგანს კანონისმიერი მემკვიდრეობის წესით უნდა რგებოდა.

საბჭოთა კანონმდებლობამ ასახვა ჰპოვა თანამედროვე ქართულ სამართალშიც. სადღეისოდ, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია თავად განკარგოს საკუთარი ქონების ბედი. თუმცა, ამავდროულად, იგი ვალდებულია „**სავალდებულო წილით**“ უზრუნველყოს მეუღლე, მშობლები და შვილები (იგულისხმება, როგორც ღვიძლი შვილები, ასევე ნაშვილები). „**სავალდებულო მემკვიდრეთა**“ ჯგუფთან ერთად შესაძლებელი ხდება „**ძირითად**“ და „**სათადარიგო მემკვიდრეთა**“ ჯგუფების გამოყოფაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1370-ე მუხლის თანახმად:

„1. მოანდერძეს უფლება აქვს დაასახელოს ანდერძში სხვა მემკვიდრე (სათადარიგო მემკვიდრე) იმ შემთხვევისათ-

ვის, თუ მის მიერ დანიშნული მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება, სამკვიდროს არ მიიღებს ან მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთმევა...“.[9] **„სათადარიგო მემკვიდრე“** შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია ანდერძისმიერი მემკვიდრეობის წარმოშობის ზუსტი თარიღის დადგენა. სავარაუდოდ, ანდერძის ზეპირი ფორმა ჯერ კიდევ უძველეს დროში არსებობდა. მოანდერძის ნების წერილობით დაფიქსირება კი მხოლოდ და მხოლოდ დამწერლობის წარმოშობის შემდეგ გახდა შესაძლებელი. თუმცა, უდავოა ის გარემოებაც, რომ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ევოლუციური გზა დასაბამიდანვე ასახავდა ანდერძის თავისუფლების პრინციპს. რაც, საბოლოო ჯამში, თითოეული ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატულებასთან ასოცირდებოდა.

[9] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბ. 2002, გე. 314.

Irina Gvelesiani

THE EVOLUTIONAL WAY OF THE „TESTATE SUCCESSION" ACCORDING TO GEORGIAN HISTORICAL SOURCES AND MONUMENTS OF LAW

Summary

Inheritance plays an extremely important role in human societies. It is the practice of passing on property, titles, debts and obligations upon the death of an individual. According to current Georgian Law of Succession the property can be transferred through the laws of intestacy (if there are no legal documents concerning the disposition of the property) or it can be bequeathed through a **„will"**. Therefore, a **„will"** (also termed **„testament"**) is defined as the most commonly used legal instrument for the distribution of the property of the deceased person. Moreover, two main types of succession (**„testate succession"** and **„intestate succession"**) are distinguished.

It is difficult to determine the exact date of the origin of a **„testate succession"** in Georgian law, but the study of historical sources and old Georgian literary monuments depicts the development of the law of succession. For example, according to the ethnological material the concept of **„heir"** existed in old Georgian community. Moreover, Old Georgian Hagiographic writings show the existence of the private property in the 5th century AD, that presupposes the existence of the law of succession at that period of time. The investigation of Georgian historical documents and monuments of law („The Law Code of King Vakhtang VI", „Georgian Habitual Law", „The Civil Code of Georgia") reveals that the devolution of the property by the will has always been

customary for Georgian society throughout the history of law. The estate has been devised to physical persons or legal entities (churches or the state treasury or the state itself). Supposedly, the first form of a will was a **„nuncupative will“** (or an **„oral will“**) which was replaced by a **„handwritten will“** (a written form of a will) after the appearance of the written language.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

ალექსანდრე ბოშიშვილი

გორულის წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხისათვის

გორული[1] მდებარეობს მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოფრეთის ახლოს. მდ. შულავერის ზემო წელზე. გორული ნასოფლარია, ადგილობრივი მოსახლეობა (სოფელ წოფაში ან ჯანხოში მცხოვრები ბერძნები) მას აი–ნიკოლას ანუ წმინდა ნიკოლოზის სახელით იცნობს.

აქ, მთის დამრეც კალთაზე ფეოდალური ანსამბლია – კოშკი, კოშკის გარშემო სამოქალაქო შენობათა ნანგრევები, ხოლო სამხრეთ დასავლეთით და ჩრდილო დასავლეთით 250–300 მ. მანძილზე, ორი ერთნავიანი ეკლესიაა. ერთია ნატეხი ქვით ნაშენი ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია (ახლანდელი წმ. ნიკოლოზი). შიგნით აღმოსავლეთის მხარეს ნახევარწრიული აფსიდი აქვს. სამხრეთ დასავლეთით და ჩრდილოეთის კედლები ჩამონგრეულია. შესაძლებელია ჰქონდა ეგვტერები და კარიბჭე.[2] პროფ. ვახტანგ ბერიძე ვარაუდობს, რომ ეს ძეგლები XVII საუკუნის უნდა იყოს.[3]

[1] გორულში მისასვლელად მარნეული, სოფლები – შულაევრი, სადახლო, წოფა და ჯანხოში უნდა გაიარო.

[2] ვ. ბერიძე. XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება. I ტომი. თბ. 1983, გვ. 176; ვ. ბერიძე. გორული. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. III. თბ. 1978, გვ. 234; ვ. ბერიძე. XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება. თბ. 1994, გვ. 68–69.

[3] ვ. ბერიძე. XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება. I ტომი. თბ. 1983, გვ. 180.

1956-1958 წლების ქვემო ქართლის ექსპედიციის დროს აკად. დავით მუსხელიშვილმა სომხურ ენაზე შესრულებულ წარწერას მიაგნო. მეცნიერი ვარაუდობს, რომ ეს სამშენებლო წარწერაა, თუმცა არის მოსაზრება, რომ იგი სხვა ადგილიდან არის გადმოტანილი. პირველად დავით მუსხელიშვილმა წაიკითხა ეს წარწერა და წარწერიდან გამომდინარე ივარაუდა, რომ იგი იოსებ თბილელის დიდმოურავიანიდან ცნობილ სომხითის მელიქ ათაბეკს ეკუთვნოდა.

1. *წელსა 1615. მე ბატონმა – ? –*
2. *აღვაშენე წმინდა ეკლესია*
3. *ხსნისათვის სულისა ჩემისა*
4. *მყავდა 6 შვილი: დიდი ბატონი ათ*
5. *აბეკი, რომელიც ამ ქვეყნის მელიქი იყო, მირი*
6. *მანი, ?, ?, ასლანი*
7. *ელიკუმი ? ბატონი მანთაში – ? –* [4]

წარწერა დაზუსტდა და 2009 წელს ხელმეორედ გამოიცა გიორგი გაგოშიძის და ნათია ჩანტლაძის მიერ. ახალ გამოცემაში ავტორები აზუსტებენ რამდენიმე ადგილს, მათ შორის ექვსი ძმის მამის სახელს (მაექოსი) და ერთ-ერთი ძმის მირიმანის სახელოს (ბაღტატ ხანი), თუმცა არც ამჯერად არის დაზუსტებული წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობა. გამომცემლები აღნიშნავენ, რომ „ასეთი ოჯახის კვალი არათუ წარწერის დღევანდელი მდებარეობის ადგილას, არამედ საერთოდ, სომხეთის ტერიტორიაზეც, არც ამ და არც სხვა პერიოდში არ დასტურდება“. შესაბამისად, ავტორებს ეს წარწერა ნაყალბევად მიაჩნიათ.[5]

[4] დ. მუსხელიშვილი. ქვემო ქართლის ისტორიულ გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956-1958 წწ.) შედეგები. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“. ტ. I. თბ. 1960, გვ. 52-53.

[5] გ. გაგოშიძე, ნ. ჩანტლაძე. მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში.

წელსა 1064 (1615) მე ბატონმა მავქოსმა
ავაშენე ეს წმინდა ეკლესია
ჩემი სულის ხსნისათვის
მყავდა ექვსი შვილი დიდი ბატონი
ათაბეკი, რომელიც ამ ქვეყნის მელიქი იყო, მირიმანი
ბაღტატ ხანი იყო, ასლანი
[..ე]ლგუმი ბატონი მანთაში ქანა[...]
[...][6]

ჩვენი ვარაუდით წარწერაში მოხსენიებული პირები ადგილობრივი მფლობელები, მირიმანიძეები ანუ სომხითის მელიქის შვილები (თავადი მელიქიშვილები) უნდა იყვნენ.

როგორც ცნობილია, XVII საუკუნის დასაწყისში, როდესაც 1604 წელს შაჰ აბას I-მა (1587-1629 წწ.) ქართლის მეფე გიორგი X-მ (1600-1606 წწ.) და კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ (1574-1605 წწ.) ერევანთან ომში ოსმალები დაამარცხეს, ომში მონაწილეობის და წარმატების გამო შაჰმა ქართველი მეფეები „უხვად“ დააჯილდოვა. გიორგი მეფეს ირანში მისცა სოფლები და 300 თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა. სამაგიეროდ, ლორე და მდინარე დებედას ხეობა გამოსთხოვა.[7] „და შეუძნდა ფრიად და რამეთუ არა ეძლო უარი შააბაზისა და დაანება ლორე და დაიპყრა ციხე ლორისა შააბაზ“.[8] ლორეში ლორის სახანო შეიქმნა, ხოლო მდ. დებედის ხეობაში თურქმანული ტომი ბორჩალუ ჩამოასახლეს. იოანე ბატონიშვილის ცნობის მიხედვით, როდესაც შაჰმა ლორეში თავისი ჯარი დააყენა „მუნებური მელიქი მიეიდა წინაშე შააბაზისა და მი-

თბ. 2009, გვ. 97.

[6] გ. გაგოშიძე, ნ. ჩანტლაძე. მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში, გვ. 96.

[7] გ. ჯამბურია. ირან-ოსმალეთის ახალი ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 247.

[8] ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 537.

იღო მამადიანობა, რომლისათვის ჯილდოდ შააბაზმან გააოთავადა და მისცა გვარად მელიქობაჲ და მამული ლორის ხეობასა შინა სახასოთაგან მეფისა“.[9] ვახუშტიც ხაზს უსვამს, მელიქიშვილთა შაჰ-აბასის პერიოდიდან დაწინაურებას და მათ სომხურ წარმომავლობას და აღნიშნავს – მელიქიშვილი „არა არის გუარი, არამედ სომეხსა ვისმე პატივსცა შააბაზ გამოჰმადიანებისათვის“.[10] მიიჩნევა, რომ სომხითის მელიქი და ლორის მელიქი ნათესავები და ერთი ოჯახის ორი შტოს წარმომადგენლები არიან.[11]

XVII საუკუნეში ჩამოყალიბებული მირიმანიძეების საგვარეულოს სამფლობელო, ანუ სომხითის მელიქის მამული, სათავადოს სახით ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა შაჰის მხარდაჭერით სარგებლობდა და სხვა ქართული სათავადოებისაგან განსხვავებულ და უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. მელიქები შაჰისადმი ერთგულებით გამოირჩეოდნენ და ცხადია, შაჰიც შესაფერისად აფასებდა მათ ერთგულებას და ცდას არ აკლებდა ეს მხარე ჩამოეშორებინა საქართველოსთვის და დამოუკიდებელ სახანოდ ექცია. „მელიქის სულღარი“ (სპარსულად სეიორღალი – მამული) „დაუწერელი“ იყო. ქართველი მეფე მის მამულს გადასახადებს ვერ აწერდა, მელიქის მეფისადმი მორჩილება

[9] იოანე ბატონიშვილი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. მასალა ისტორიისათვის. რედაქტორი და გამომცემელი ს. კაცელაშვილი. თბ. 1997, გვ. 34.

[10] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 34-35

[11] იოანე ბატონიშვილი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. მასალა ისტორიისათვის. რედაქტორი და გამომცემელი ს. კაცელაშვილი. თბ. 1997, გვ. 34; R. I. Ermerin. Annuaire de la Noblesse de Russie, contenant les prince de l`Empire, augmenté d`un grand nombre de notices sur les familles alliées. SPb. 1899, გვ. 215; Jacques Ferrand. Familles Princières de Géorgie. Montreuil. 1983, გვ. 128.

ნომინალური იყო და დასტურლამალის მიხედვითაც უმნიშვნელო ვალდებულებები ჰქონდა.

მირიმანიძეები, როგორც სომხითის მელიქები, საუკუნეთა განმავლობაში წარმატებით მოღვაწეობდნენ ამ ტერიტორიაზე. ეთნიკური წარმომავლობით, როგორც აღინიშნა, ალბათ სომხები იყვნენ, რასაც გორულის წარწერაც ადასტურებს, მაგრამ ქართლის სამეფო კარზე ქართველ თავადთა რიცხვში ითვლებოდნენ.

მირიმანიძეთა ფეოდალური სახლის წარმატება შაჰის ერთგულ სამსახურზე იყო დამოკიდებული. ირანში მათი საგვარეულოს არაერთმა წარმომადგენელმა მიაღწია სხვადასხვა მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობას.

წარწერაში მოხსენიებული არიან:

ათაბეკი, რომელიც ამ ქვეყნის მელიქი იყო – მელიქი ათაბეგი სომხითის მელიქად – 1619-1659 წლების საისტორიო საბუთებში მოიხსენიება. იგი შაჰ აბასის საქართველოზე ლაშქრობების აქტიური მონაწილე იყო. შაჰ აბასის ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის მიხედვით – 1616 წელს, კახეთიდან თბილისში მოსული შაჰი „გაემართა სომხითისაკენ და რამდენიმე დღე ილხენდა მელიქ მირმან სომხითარის შვილიშვილის ათაბეგის სამყოფელს, რომელიც (ირანის შაჰის) წმინდა გვარეულობის ერთგულთა რიცხვს ეკუთვნოდა“.[12] როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს, შაჰის ერთგულების გამო, მელიქ ათაბეგს და მის ძმას ხაქუმს 1625 წელს (მარტყოფის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ) გიორგი სააკაძე თავს დაესხა და ქართლიდან გააძევა. „მიუვდა ამათ მოურავი, ხოლო იგინი იქცეოდნენ და წაგუარნა დედაწულნი და ქონებანი“.[13]

[12] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ. თბ. 1969, გვ. 111.

[13] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის

ათაბეგი ძმებთან ერთად ირანში გაიქცა და მხოლოდ XVII საუკუნის 30-იან წლებში დაბრუნდა როსტომ ხანის (1633-1658 წწ.) დახმარებით.[14]

წარწერაში მოხსენიებული ***მირიმანი ბალტაღ ხანი,*** მელიქ ათაბეგის ძმა, იგივე სეფიყული ხანია. იგი ჯერ ყოლმაარის და ალაშქერის ბეგლარბეგი იყო, შემდეგ – ჰამადანის, ბოლოს, როგორც ბაღდადის დამპყრობელი (1623 წ.) ერაყის მმართველად იჯდა 1633 წლამდე.[15] სპარსელი ისტორიკოსი ფაზლი ხუზანი ესფაჰანი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ 1618/1619 წელს (ჰიჯრით 1028 წ.) „ისფაჰანში ჯულფას სომეხთა ტარუღას პოსტზე განამწესეს მირმან ბეგი, მალექ ყორხმაზ ქართლელის ვაჟი, ღულამის თამაზყული ბეგის ძმისშვილი“. მომდევნო 1619/1620 წწ. (ჰიჯრით 1029 წ.) „ყალამრუს (ჰამადანის) მმართველობა მირმან ბეგ გურჯის ერგო, რომელიც იყო ისფაჰანის ჯულფა სომხების ტარუღა (...) და დაარქვეს სეფიყული ხანი“.[16] სპარსი ისტორიკოსები (ფაზლი ხუზანი ესფაჰანი, ისკანდერ ბეგი) მას ქართველად და ირანში მეტად პატივცემულ კაცად თვლიან. ამ ცნობებიდან ვიგებთ, რომ სეფიყულის ნამდვილი სახელი მირიმანი ყოფილა და რომ ის იყო სომხითის პროვინციიდან, მისი მამა და პაპა ფლობდნენ მალიქის წოდებას.[17]

ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ექვსა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 434.

[14] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. სარგის კაკაბაძის გამოცემა. „საისტორიო მოამბე“. ტ. II. თბ. 1925, გვ. 239-240; ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბ. 1980, გვ. 92.

[15] ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა). თბ. 1958, გვ. 194.

[16] ფაზლი ხუზანი ესფაჰანი. აფზალ ალ-თავარიხი. წგნ.: ჰ. მაყდა. ქართველები სეფიანთა ირანში. ღულამთა ოთხი ოჯახის ეთნოსოციალური წარმომავლობა. თბ. 2008, გვ. 43.

[17] ჰ. მაყდა. ქართველები სეფიანთა ირანში. ღულამთა ოთხი ოჯახის ეთ-

[..ე]ლგუმი/ელიკუმი – შეიძლება გავაიგივოთ ათაბეგის კიდევ ერთ ძმასთან, რომელიც ქართული საისტორიო საბუთებიდან ცნობილია, როგორც ზაქუმი.

ზაქუმი/ზაქუმბეგი XVII საუკუნის II ნახევრის საბუთებში მოიხსენიება, იგი შაჰის ერთგულია და ამის გამო ძმასთან ერთად, 1625 წელს გიორგი სააკაძისგან დევნილი გახდა. თუმცა მალე დაბრუნდა ქართლში და ახალ საგვარეულოს ზაქუმიშვილებს დაუდო სათავე. ზაქუმის გარდაცვალების შემდეგ, მისი შვილები და შთამომავლები ზაქუმიშვილებად მოიხსენიებიან.[18]

ასლანისა და ***ბატონი მანთაშის*** შესახებ საისტორიო საბუთებში ჯერჯერობით არაფერი არ ჩანს.

კითხვის ნიშანი ჩნდება მათი მამის მაქოსის გამო. როგორც ცნობილია ათაბეგის, მირიმანის და ზაქუმის მამას სახელად ყორხმაზი ერქვა. მაქოსი რას შეიძლება აღნიშნავდეს უცნობია ჩვენთვის, თუმცა აკად. დავით მუსხელიშვილი სახელს ვერ კითხულობს და შესაძლებელია მაქოსიც ყორხმაზის ვარიანტი იყოს (?).

აქედან გამომდინარე გორულის წარწერაში მოხსენიებულ პირთა საგარაუდო გენეალოგია ასე გამოიყურება.



ნოსოციალური წარმომავლობა, გვ. 42-44.

[18] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით. გამოსაცემად მოამზადეს: დარეჯან კლდიაშვილმა და მზია სურგულაძემ. ტ. II. თბ. 1993, გვ. 218-219; საქართველოს სიძველენი. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტ. III. ტფ. 1910, გვ. 410.

Alexander Boshishvili

ABOUT THE IDENTIFICATION OF THE PERSONS NAMED IN GORULI INSCRIPTION

Summary

In Marneuli municipality (Eastern Georgia) near Goruli an Armenian inscription of 1615 has been erected where some unknown people are named. Chief person named in this inscription was Mavkos, others are proposed to be his sons. Their names and identification are the case of study of our research. Atabek who was *Malik* of this region is among them, also Miriman Baghdad *Khan* who was the governor (*Khan*) of Baghdad, Aslan, Elicum, Mantash, and one more brother of theirs whose name is badly damaged and is impossible to read. In article we have shown the fact that those folks listed in Goruli inscription were the local lords from Mirimanidze noble family, they also held the office of *Melik of Somkhiti* (later their descendants were known as Melikishvili family).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

ქეთევან პავლიაშვილი

საისტორიო ცნობები რუსეთის იმპერიის დამოკიდებულებაზე ასტრახან-მოზდოკის ქართული საეკლესიო ახალშენებისადმი (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი)

XVIII საუკუნის მიწურულიდან საქართველოს რუსეთთან ახლო ურთიერთობის დამყარებისათვის სათანადო ნიადაგი მომზადდა. საქართველოს საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ისლამური სამყაროსაგან თავის დაღწევის საშუალება ძლიერ სახელმწიფოსთან – რუსეთთან კავშირის მეშვეობით იყო შესაძლებელი. აღნიშნული დროისათვის, რუსეთის იმპერია თავად იჩენდა დაინტერესებას ამიერკავკასიით და, კერძოდ, საქართველოთი. XVII საუკუნესთან შედარებით, XVIII საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთის პოლიტიკა საქართველოსადმი უფრო თამამი და შეუნიღბავია.[1]

კავკასიის გეოსტრატეგიული ფუნქციის თავისებურება განსაზღვრავდა მის განსაკუთრებულ დანიშნულებას საერთაშორისო ურთიერთობებში, რის გამოც კავკასია მოიაზრებოდა როგორც აღმოსავლეთ ევროპული პოლიტიკის, ისე ისლამური პოლიტიკის ნაწილად. ორივე ზემოაღნიშნული ინტერესი ეჯაჭვებოდა საერთაშორისო ასპარეზზე ახლად გამო-

[1] მ. დარჩია. გაიოზ რექტორი (ცხოვრება და პედაგოგიური მოღვაწეობა). თბ. 1987, გვ. 5-6.

სული რუსეთის იმპერიის ამბიციებს კავკასიისადმი. აგრესორ ქვეყანათა მხრიდან დარტყმის ობიექტი საქართველო იყო, რომელზე ძალაუფლების მოპოვებაც სრულიად კავკასიაზე ბატონობას მოასწავებდა. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო სახელმწიფოს – რუსეთის ფართო მასშტაბების პოლიტიკაში კავკასია ერთ სივრცედ მოიაზრებოდა, რომლის ცენტრიც საქართველო იყო. ასეთ ვითარებაში, გასაკვირი არ არის რუსეთის ხელისუფლების ე.წ. ზრუნვა კავკასიაზე და განსაკუთრებით კი საქართველოზე. ეს უკანასკნელი გამოკვეთილი ორიენტირი იყო იმპერიის კოლონიზატორული, შორს გამიზნული პოლიტიკისათვის სრულიად კავკასიაში.[2]

მსოფლიო ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ XVIII საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებით გაძლიერდა ისლამური სამყაროს პოლიტიკურ-რელიგიური გავლენა ჩრდილო კავკასიაში. თავის მხრივ, რუსეთიც აქტიურად იღწვოდა კავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცებისათვის. თუ XVII საუკუნეში, რუსეთი თავს იკავებდა საქართველოს ე.წ. „დაცვისაგან“ ისლამური სახელმწიფოებისაგან და თურქეთთან დაპირისპირებას ერიდებოდა, მისი ჩარევა საქართველოს შიდა საქმეებში შემოიფარგლებოდა მხოლოდ მაჰმადიანობის არდაშვებით მართლმადიდებლურ ქვეყანაში. პეტრე I-ის დროიდან, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ამ დროიდან, ამიერკავკასიისადმი პოლიტიკურ-რელიგიურ ინტერესს შეემატა ვაჭრობაც და საქართველოს საკითხი რუსეთის სახელმწიფო საქმედ იქცა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო რუსეთის თავისუფალი მოძრაობა კასპიის ზღვაზე. ამ უკანასკნელის მოპოვებისათვის ერთნაირად იბრძოდა როგორც რუსეთი, ისე სპარსეთი, განსხვავება მხოლოდ მათ მოქმედებაში იყო; თუ რუსეთი ამ საქმეში დიპლომატიურ მეთოდს იყენებდა, ირანი

[2] ქ. პაქლიაშვილი. საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში. თბ. 2008, გვ. 411-414.

შეიარაღებული ძალით მოქმედებდა.[3]

ზემოაღნიშნული გარემოება რუსეთის სასარგებლოდ ვითარდებოდა: რუსეთმა წარმატებით დაასრულა ე.წ. „ჩრდილოეთის ომი“, ხოლო სპარსეთი დაშლის ზღვარზე იდგა და ბუნებრივად წინააღმდეგობას ვერ უწევდა აღმავლობის გზაზე მდგომ რუსეთის იმპერიის მიზანსწრაფულობას. ირან-რუსეთის დაპირისპირების საბაბად იქცა შემახაში რუსი ვაჭრების ძარცვა-დარბევის ფაქტი და რუსეთმაც ასტრახანის გავლით 1722 წელს სპარსეთთან ომი დაიწყო.[4] ირანთან ომში რუსეთმა საქართველოს გამოყენება სცადა, ხოლო ვახტანგ VI-ს კი სთხოვა სამშვიდობო მოლაპარაკებებით შაჰის დაყოლიება კასპიის სანაპიროების დათმობაზე. თავის მხრივ, შაჰისათვის ცნობილი გახდა რუსეთ-საქართველოს კავშირი და ამ უკანასკნელის დასასჯელად ქართლის ტახტი კახეთის მეფე კონსტანტინეს გადასცა.[5] მიმდინარე გარემოებით ისარგებლა თურქეთმა და აღმოსავლეთ საქართველოს მიადგა; ამრიგად, საქართველო სამი იმპერიის დაპირისპირების პოლიგონად იქცა.

უკიდურესად მძიმე ვითარებაში ჩავარდნილმა ქართველებმა რუსეთს შეაფარეს თავი. საქართველოდან რუსეთისაკენ მიმავალ გზაზე პირველი პუნქტი ქ. ასტრახანი და მისი ეპარქია იყო. ასტრახანის ეპარქია, აღნიშნულ პერიოდში მოიცავდა წინაკავკასიის ყველა ქალაქსა და დასახლებულ ადგილს. ქართველი დევნილებისათვის ასტრახანის ეპარქია გამავალი გზა გახდა მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგისაკენ; ზოგიერთისათვის კი ეს ადგილი სამუდამო ნავსაყუდლად იქცა, რომ არაფერი ითქვას მათ დროებით საცხოვრისზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასტრახანის ეპარქიას ქართველ-

[3] ქ. პაველიაშვილი. საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში, გვ. 402-404.

[4] მ. დარჩია. გაითს რექტორი (ცხოვრება და პედაგოგიური მოღვაწეობა). გვ. 11-13.

[5] მ. ხუციშვილი. საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX სს. თბ. 1987. გვ. 37-40.

თა დიდძალი კოლონია მიაწყდა, რამაც ამ ქალაქს ადმინისტრაციული დატვირთვა შესძინა შემოსული ქართველების მიმართ ნაირგვარი ღონისძიებების გატარებისათვის; როგორც საისტორიო წყაროები იუწყებიან: „ქართველები 80 წლის მანძილზე სარგებლობდნენ რუსეთის სტუმართმოყვარეობით და მათ საქართველოს მშვიდობიანი გზით დაპყრობაში დიდი როლი შეასრულეს, განსაკუთრებით კი ქართველმა მღვდელმთავრებმა“.[6]

რუსეთის ე.წ. „მწყალობლური“ პოლიტიკა XVIII საუკუნის 60-იან წლებამდე გაგრძელდა, შემდგომ ხანაში იმპერიის ცვალებადი საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, იცვლება რუსეთში მყოფ ქართველებისადმი დამოკიდებულებაც. ეს უკანასკნელი ვლინდებოდა საგანგებო ბრძანებულებების შემუშავებაში, რომლებიც უკიდურესად ზღუდავდნენ ქართველთა დინებას რუსეთისაკენ.[7]

სათანადო წყაროების თანახმად,[8] ვახტანგ VI ასტრახანში 1724 წელს ჩასულა საერო და სასულიერო დასის თანხლებით. სასულიეროთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე სამთავნელი, რომლის ჯგუფშიც შედიოდნენ: მიტროპოლიტი პავლე თბილელი და 4 ეპისკოპოსი (რუის-ურბნისის ეპისკოპოსი ნიკოლოზი, არსენ მანგლელი და ეპისკოპოსი იოანე), არქიმანდრიტები, იღუმენნი, მღვდლები და დიაკვნები. აღნიშნულ პერიოდში, ასტრახანის სამღვდელმთავრო კათედრა ეკავა მთავარეპისკოპოს ლავრენტის, რომელმაც ქართველი სამღვდელოება პატივით მიიღო; მიუჩინა სახცოვრებელი და სამღვდელმსახუროდ დაუთმო ასტრახანის ღვთისმშობლის დაბადების სახელობის ეკლესია.[9]

---

[6] А. Муравьев. Грузия и Армения. соч. т. I. СПб. 1898, გვ. 241.

[7] Жур. Духовный Вестник Грузинского Экзархата. Тиф. 1898. №12, გვ. 5-7.

[8] სცსა (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი) ფონდი 1458. საქმეები: 12. 35, 51, 80. გვ. 37-44.

[9] А. Муравьев. Грузия и Армения, გვ. 312.

ქართველი სამღვდელოება აქტიურად ჩაერთო ასტრახანის ეპარქიალურ ცხოვრებაში; მღვდელმთავრების რაოდენობა დღითი-დღე იზრდებოდა, რაც ადგილობრივი რუსი სამღვდელოების შეშფოთებას იწვევდა, რამეთუ ქართველები მოსახლეობაში განსაკუთრებული ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ნიშანდობლივია, რომ სამღვდელოების სიმრავლე ბუნებრივად აყენებდა საკითხს მათი მატერიალური და საეკლესიო უზრუნველყოფისათვის. ქართველმა მღვდელმთავრებმა ასტრახანის საეკლესიო მმართველობისაგან ექვსი ეკლესიის გადაცემა მოითხოვეს. აღნიშნულის ირგვლივ მეუფე ლავრენტი 1725 წლის 14 აპრილის[10] მიმართვით ატყობინებდა უწმინდეს სინოდს, რაზეც იმავე წლის 25 ივნისის თარიღით მიიღო შეტყობინება: „...ასტრახანის ქართველ არქიელებს ნება დაერთოთ სადაც მოისურვებენ იქ ჩაატარონ მღვდელმსახურება და წინააღმდეგობა არავინ გაუწიოს... ადგილობრივ სამღვდელოებას აეკრძალოს მათ შიდა საქმეებში ჩარევა...“.[11]

მიუხედავად ზემოაღნიშნული ბრძანებულებისა, ქართველი სამღვდელოება ადგილობრივი სასულიერო უწყებისგან შევიწროებას განიცდიდა, რასაც ერთოდა მძიმე საყოფაცხოვრებო და კლიმატური პირობები. 1725 წლის ზაფხულში ასტრახანიდან მოსკოვს სამი ქართველი არქიელი გაემგზავრა, ეპისკოპოსები: ქრისტეფორე, პავლე და ნიკოლოზი. მათ მოსკოვში საღვთისმსახუროდ გამოუყვეს ბოგოიავლენსკის, ზნამენსკის და იოანე ოქროპირის სახელობის მონასტრები, მაგრამ სამღვდელოთა აღსაყდრების უფლებით შეზღუდეს სასულიერო დიკასტერიასთან შეთანხმების გარეშე. ეს უკანასკნელი შუამავლის ფუნქციას ასრულებდა ქართველებსა და უწმინდეს სინოდს შორის.[12]

[10] Полное собрание постановлений и распоряжений по ведомостям правительственного исповедания. 1725. №1331.

[11] Полное собрание постановлений и распоряжений по ведомостям правительственного исповедания. №1596.

[12] Полное собрание постановлений и распоряжений по ведомостям.., №1780.

მოსკოვს დაბინავებულმა სამღვდელოებამ სასულიერო უწყების წინაშე მათი შემოსავლების (ფულადი, პურის, ტრანსპორტის) საკითხი დააყენა.[13] უწმინდეს სინოდში აქტიურად დაიწყო ქართველების ფინანსური საკითხის განხილვა, რომელსაც უძღვებოდა ეკონომიკის კოლეგიის წევრი ა. ბასკაკოვი. მან სინოდს შესთავაზა ქართველების დაფინანსება პალესტინიდან ჩამოსული სასულიერო კრებულისათვის განკუთვნილი ფონდიდან. უმაღლესი საიდუმლო საბჭოს თანხმობით ქართველი სამღვდელოებისათვის გამოიყო 2000 მანეთი;[14] ხოლო სინოდმა ითავა მათი მატერიალური და ასტრანსპორტით საჭიროებით უზრუნველყოფა.[15] გამოყოფილი თანხები შემდეგნაირად გადანაწილდა: არქიელებს – 150 მან.; არქიმანდრიტებს – 70 მან.; იღუმენებს – 50 მან.; მღვდლებს – 40 მან.; დიაკვნებს – 15 მან.; ბერებს – 12 მან.[16] საარქივო მონაცემების თანახმად, 1728 წლისათვის ასტრახანის ეპარქიაში 8 ქართველი სამღვდელო პირი დარჩა: ერთი მთავარეპისკოპოსი, 4 იღუმენი: ნიკოლოზი, ათანასე, იოსები, გრიგოლი და 3 დიაკვანი. ვახტანგ VI-ის შუამდგომლობით პოდპოლკოვნიკ აქსაკოვთან, ქართველებს ჯამაგირის სახით დაენიშნათ 570 მანეთი.[17]

XVIII საუკუნის 20-იანი წლების მიწურულიდან ქართველი დევნილების ასტრახანში გადასვლამ იმატა. სასულიერო პირები ვარლამ ასტრახანელისგან ითხოვდნენ შემწეობის აკრეფის ნებართვას ასტრახანის, სულაკის, დერბენტის, ბაქოს, გილიანის და სხვათა ეკლესია-მონასტრებსა და მრევლში, რათა ლეკთა მიერ დატყვევებული ოჯახის წევრები გამოეხსნათ. მეუფე ვარლაამი მათ შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა.

[13] Полное собрание постановлений и распоряжений по ведомостям.., №1780.
[14] Дела консистории арх.., №1392.
[15] Дела консистории арх.., №1392.
[16] Жур. Духовный Вестник Грузинского Экзархата. Тиф. 1898. №12, გვ. 17-19.
[17] Указы Св. Синода (იხ. სცსა. ფონდი – 488). 1734г. №1530.

ახლადჩასული ქართველები ჩასახლდნენ წმ. ჯვრის ციხე-სიმაგრეში, დააარსეს ქართველთა კოლონარია და აამოქმედეს მიტოვებული წმ. კონსტანტინესა და ელენეს სახელობის ეკლესია, რომლის წინამძღვრადაც უწმ. სინოდმა ეპისკოპოსი იოსებ სამებელ-წილკნელის რეკომენდაციით განაწესა მღვდელი გიორგი მათეშვილი.[18]

ქართველთა საეკლესიო კოლონიის დაფუძნება ასტრახანის ეპარქიაში უკავშირდება მთავარეპისკოპოსის იოანე მანგლელის სახელს. სარგებლობდა რა ქართველი სამღვდელოება იმპერიის ინტერესებით – ჩრდილო კავკასიაში მათი სამისიონერო საქმეში ჩართვით, ისინი მიზანმიმართულად იღწვოდნენ ადგილზე ქართული ეპარქიის დაარსებისათვის, რაც, ბუნებრივად, ადგილობრივი სასულიერო უწყების მხრიდან წინააღმდეგობრიობას იწვევდა.[19]

ეპისკოპოსი იოანე ასტრახანში დერბენტიდან ჩავიდა რუსეთის უწმინდესი სინოდის 1730 წლის 20 დეკემბერის ბრძანებულებით.[20] მას ნება მიეცა სასულიერო კრებულთან ერთად ასტრახანის სამების მონასტერში დაბინავებულიყო. ილარიონ ასტრახანელის ნებართვით ეპისკოპოსმა იოანემ ქალაქგარეთ შეისყიდა მიწის ნაკვეთი, სადაც ააგო ხის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. 1744 წელს 2 ივლისის მიმართვით[21] სინოდისადმი ეპისკოპოსმა ტაძრის იურიდიული გაფორმება ითხოვა. უწმ. სინოდმა ეკლესიის კურთხევის განკარგულება გასცა, მაგრამ მის მონასტრად წოდებაზე განმარტება მოითხოვა ილარიონ ასტრახანელისაგან. ამ უკანასკნელმა სინოდის უწყებას დადებითად უპასუხა, რის საფუძველზეც ეკლესია მონასტრად გადაკეთდა. ის დამოუკიდებლობით სარგებლობდა ასტრახანის ეპარქიალური უწყებისა-

[18] Указы Св. Синода (იხ. სცსა. ფონდი – 488). 1743г. №1976.

[19] Указы Св. Синода (იხ. სცსა. ფონდი – 488). 1734. №1530.

[20] Жур. Духовный Вестник Грузинского Экзархата. Тиф. 1898. №12, გვ. 7-9.

[21] Указы Св. Синода (იხ. სცსა. ფონდი – 488). 1744 г.

გან.[22] 1747 წლის 23 იულისს ასტრახანში გაჩენილ ხანძარს ემსხვერპლა ქართველთ მონასტერიც, რომლის ხელმეორედ აგების ნებართვა ადგილობრივმა საგუბერნიო კანტორამ აღარ მისცა. სავანეს მოკლებული ეპისკოპოსი იოანე იძულებული გახდა სამოღვაწეოდ ქ. ყიზლარში გადასულიყო და ჯვართამაღლების მონასტერში დაბინავებულიყო საძმოსთან ერთად.[23]

1748 წელს იოანე მანგლელმა თხოვნით მიმართა უწმ. სინოდს, რათა ასტრახანში დამწვარი მონასტრის ნაცვლად ნება დაერთოთ ყიზლარში აეგო მონასტერი და მის ირგვლივ გამოეყოთ სახნავ-სათესი საკარგული. დაგვიანებით, ეპისკოპოსმა სინოდისგან მონასტრის აგებაზე უარყოფითი პასუხი მიიღო და მას ურჩევდა დაკმაყოფილებულიყო ჯვართამაღლების ეკლესიით. ასეთ შემთხვევაში, საქმეში ჩაერთო მოსკოვში მოღვაწე მთავარეპისკოპოსი იოსებ სამებელ-წილკნელი, რომელიც ეპისკოპოს იოანეს შუამდგომლობდა სინოდის წინაშე, რათა მათ თავისი ხარჯით აეგოთ ეკლესია ყიზლარში. ეპისკოპოსმა იოსებმა დასახულ მიზანს მიაღწია, მაგრამ ვერ მოასწრო იოანესათვის სინოდის დადებითი გადაწყვეტილების შეტყობინება, რამეთუ ის მოსკოვიდან ყიზლარში მოგზაურობისას ქ. სარატოვში გარდაიცვალა 1750 წლის 1 სექტემბერს; მისი ცხედარი ასტრახანში გადაასვენეს და 28 სექტემბერს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაკრძალეს. ამის შემდგომ, იოანე ეპისკოპოსიც 1751 წლის 28 მარტს ყიზლარში გარდაიცვალა.

გარდაცვალებულმა იოანემ ანდერძი დატოვა, რომლის თანახმად მისი ძმა, საქართველოს ჰუსართა პოლკის პორუჩიკი, თავადი ნიკოლოზ სააკაძე ითხოვდა ილარიონ ასტრახანელისაგან ნებართვას ძმის გადასვენებაზე საქართველოში, იოანე ღვთისმეტყველის უდაბნოში დასაკრძალად. ეპისკოპოსის ცხედარი გადმოასვენეს სამშობლოში და ნათლისმცემ-

[22] Указы Св. Синода (იხ. სცსა. ფონდი – 488). №1854.

[23] Указы Св. Синода (იხ. სცსა. ფონდი – 488). 1747. 19.III.

ლის ტაძრის გაუდაბურების გამო თბილისის სიონის ტაძარში დაკრძალეს. რუსი ჩინოვნიკი მურავიოვი იუწყება, რომ მის საფლავზე სისტემატიურად დაიარებოდა მეფე გიორგი თავისი შვილების ჯანმრთელობის საოხად. პრობლემატურ საკითხად იქცა ეპისკოპოს იოანეს ქონებაც. რუსეთის სასულიერო რეგლამენტის 61-ე პუნქტის თანახმად მეუფე ილარიონს დაევალა ქონების აღწერა. ილარიონი გაეცნო იოანეს ანდერძს, სადაც ფიქსირდებოდა, რომ მისი კუთვნილი 300 მანეთი გადასცემოდა მის დას, ხოლო საეკლესიო ინვენტარი და სასულიერო ლიტერატურა გაგზავნილიყო, შემწეობის გარეშე დარჩენილი საქართველოს ეკლესია-მონასტრებისათვის. 1755 წელს სინოდის განჩინებით ანდერძი სისრულეში იქნა მოყვანილი.[24]

ეპისკოპოსების იოსებისა და იოანეს მზრუნველობას მოკლებული, დაობლებული სასულიერო კრებული მატერიალური შემწეობის გარეშე დარჩა და უკიდურეს გაჭირვებაში აღმოჩენილნი სხვადასხვა ადგილებში მიმოიფანტა.[25] XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის ჩრდილოეთ კავკასიის მთელ სივრცეზე დიდი რაოდენობით ქართველმა სამღვდელოებამ მოიყარა თავი. ასტრახანის ეპარქიაში მოღვაწე ქართველ და ადგილობრივ სამღვდელოებას შორის ურთიერთობები სულ უფრო იძაბებოდა. სისტემატიური ხასიათი შეიძინა რუსი სამღვდელოების საჩივართა წერილებმა უწმ. სინოდში; გახმაურებულ საქმეებად ითვლებოდა: „არქიმანდრიტ დანიელის საქმე“, „მღვდელ ივანიშვილის საქმე“, „მღვდელ აბრაამის საქმე“ და სხვ.[26]

რუსეთის პოლიტიკა კავკასიისა და კონკრეტულად საქართველოს მიმართ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვეთრად შეიცვალა, რამაც ასახვა ჰპოვა ქართველ სამღვ-

[24] Указы Св. Синода (იხ. სცსა. ფონდი – 488). 1755. № 2019.

[25] Жур. Духовный Вестник Грузинского Экзархата. Тиф. 1898. №12, გე. 12.

[26] Указы Св. Синода (იხ. სცსა. ფონდი – 488). №489.

დელო კოლონისტთა მიმართადაც. ამ დროიდან, რუსეთი აღარ ერიდებოდა თურქეთ-სპარსეთის „განაწყენებას“, იმაგრებდა პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე და უფრო გაბედულად იწყებდა კავკასიის მორჩილებისათვის ბრძოლას როგორც იარაღით, ისე კულტურულ-სარწმუნოებრივი საშუალებებით.[27] თავის მხრივ, ქართველი სამღვდელოებისადმი კომპრომისმაც ამოწურა თავისი მისია და მათდამი ლოიალურმა დამოკიდებულებამ თანდათანობით იწყო გაუჩინარება. რუსეთის ხელისუფლებას ხელს აღარ აძლევდა ქართველთა ავტორიტეტის ზრდა კავკასიაში და იწყებოდა მათი უკიდურესად შევიწროვების პროცესი.[28] აღნიშნულის დასტურია 1760 წელს უწმინდესი სინოდის საგანგებო ბრძანებულება ყიზლარსა და ასტრახანში შემოსული ქართველი სამღვდელოების მეთვალყურეობაზე;[29] ადგილობრივი არქიელის და ქალაქის მმართველობისაგან საგანგებო ნებართვის გარეშე მათი რუსეთში შემოღწევის აკრძალვაზე და ა.შ. მიუხედავად აღნიშნული ბრძანებულებისა საქართველოდან ასტრახანის გავლით მოსკოვისაკენ 1759-1761 წლებში მოგზაურობდნენ კახეთ-ალავერდის მიტროპოლიტი ნიკოლოზი და არქიმანდრიტი გრიგოლი 12 კაციანი საელჩოთი: არქიმანდრიტი იოანე, იღუმენი გრიგოლი, არქიდიაკვანი თომა, მღვდელი კირილე დავითოვი და სხვ.[30] 1761 წელს ასტრახანში შესვლას ცდილობდნენ მიტროპოლიტი ქრისტეფორე წილკნელი, არქიმანდრიტი ფილიპე ბოჭორმელი, მაგრამ უშედეგოდ.[31] მათ სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა რუსეთის სასულიერო უწყება;

[27] ქ. პაქლიაშვილი. ქართველი სამღვდელოების კულტურულ-საგანმანათლებლო მისია ჩრდილო-კავკასიაში (XVIII ს.). „კულტურის ისტორიის საკითხები“. II. 1996, გვ. 14-15.

[28] ქ. პაქლიაშვილი. ქართველი სამღვდელოების კულტურულ-საგანმანათლებლო მისია ჩრდილო-კავკასიაში (XVIII ს.), გვ. 66.

[29] Указы Св. Синода (იხ. სცსა. ფონდი – 488). 1760. №489.

[30] Указы Св. Синода (იხ. სცსა. ფონდი – 488). 1760. №489. №490.

[31] Указы Св. Синода (იხ. სცსა. ფონდი – 488). 1761. № 47.

დაიწყო ქართველი სამღვდელოების დევნის პროცესი; თანდათანობით რუსეთის საეკლესიო უწყებამ ასტრახან – ყიზლარში რუსული ელემენტის მომძლავრება დაიწყო; რუსი სამღვდელოება ქართულ საეკლესიო ახალშენებს დაეუფლა და მკაცრი მეთოდებით დაიწყო ადგილზე რუსული კოლონიზაციის პროცესი.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრით დასრულდა რუსეთის იმპერიის ე.წ. ლოიალური პოლიტიკა კავკასიისადმი და 60-იანი წლების დასაწყისიდან აღნიშნულმა პოლიტიკამ აშკარად აგრესიულ განზომილებაში გადაინაცვლა.

Ketevan Pavliashvili

HISTORICAL CHRONICLES ON ATTITUDE OF THE RUSSIAN EMPIRE TOWARDS NEWLY ESTABLISHED GEORGIAN ORTHODOX COMMUNITIES IN ASTRAKHAN-MOZDOK (1ST HALF OF THE 18TH CENTURY)

Summary

In the beginning of 18th century three external forces struggled for domination over the Caucasus and particularly over Georgia: Islamic, Western Europe and Russia. Political ambitions of the latter were becoming more obvious and more daring. Georgia was established to be an evident reference point in the purposeful, colonialistic policy of the Russian Empire towards the Caucasus.

Russian Empire tried her best to eliminate Islamic World, which was her opponent in domination over the Caucasus using Georgia in this case. Exactly the abovestated was a reason of political alliance of Vakhtang VI of Kartli and Russian Emperor Peter I; but the event failed and resulted in punishment of Georgia by Iran and the Ottoman Empire. . The Ottoman occupation ("Osmaloba") started in Eastern Georgia.

Current unbearable processes made Georgian progressive ecclesiastics and ordinary society to leave the country. They took refuge in Orthodox Russia. And this served as basis for Astrakhan-Mozdok new Georgian communities. The region was located on the road leading to Moscow and St. Petersburg, accordingly, each new wave of the Georgians faced this settlement.

Russian policy towards Georgian refugees can be divided into two stages: 1. including 50-ies of 18th century and 2. Since 60-ies, till the

beginning of 19th century (till the Georgia was conquered by Russia). The first stage was characterized with so called "gentle", loyal policy of Russia towards Georgian colonists, while the second one was radically aggressive.

The work, invoking the appropriate archive data, reveals struggle of the Georgian clergy for establishment of Georgian Eparchy in Astrakhan-Mozdok. The above mentioned process is connected with activities of two great church figures – John Mangleli and Joseph Samebel-Tsilkneli.

Big authority of Georgian clergy among local population served as great alarm for Russian Church. Retaliatory action of Empire was revealed in repressive measures against Georgian clergy in Astrakhan-Kizlar and strengthening of the Russian elements.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

აპოლონ თაბუაშვილი

კრწანისის ბრძოლაში მონაწილე ქართული ჯარის შემადგენლობის საკითხისათვის

1795 წლის აპრილ-მაისში ირანის ჩრდილოეთით, ქალაქ არდებილში, აღა-მაჰმად ხანმა დაიწყო ჯარების შეკრება, რომლის მიზანი ქართლ-კახეთის სამეფოს დამორჩილება იყო. ივნისში მან თავისი არმია სამი მიმართულებით დაძრა. ჯარის ერთი ნაწილი ერევნისაკენ, ნაწილი შირვანისაკენ გაგზავნა, ხოლო ძირითადი ძალებით შუშის ციხეს შემოარტყა ალყა. დაახლოებით ორი თვის წარუმატებელი იერიშის შემდეგ კი უკან დაიხია მდინარე არაქსისაკენ. უკან დახევამ ქართველ სარდლობას აფიქრებინა, რომ იმ ეტაპზე სპარსელთა საქართველოში შემოჭრა შეუძლებელი იყო. ამიტომ აგვისტოში ერეკლე II-ს არმიის მობილიზაცია არ მოუხდენია. იმ დროს მის განკარგულებაში იყო ქართლ-კახეთის ჯარის ერთ ნაწილი და ივნის-ივლისში იმერეთის სამეფოდან მოსული დამხმარე ჯარი 2000 კაცის ოდენობით. სულ დაახლოებით 5 ათასი კაცი. არმიის ეს რაოდენობა ერეკლე II-ს ერევნის გასათავისუფლებლად ესაჭიროებოდა, რომელიც ივლისიდან სპარსული ჯარის ნაწილებით იყო გარემოცული. აგვისტოს მეორე ნახევარში ქართული არმია, არტილერიის თანხლებით, ერევნისაკენ გაემართა. მეფემ 29 აგვისტოს ყაზახში შეიტყო სპარსელების საქართველოსაკენ ლაშქრობის შესახებ[1] და თავადაც უკან, თბილისისაკენ გამოემართა.

[1] Грамоты и другіе историческіе документы относящіеся до Грузіи. Томъ II. Выпускъ II. Подъ редакціей А. А. Цагарели. СПб. 1902, გვ. 96-97.

ცნობილია ასევე ის ფაქტიც, რომ ერეკლე II-ის თანმხლებ ჯარს კრწანისის ბრძოლის დაწყებამდე უკანასკნელ მომენტში, შეუერთდა თბილისელთა ერთი ნაწილი. სწორედ ჩვენს მიერ ნაჩვენებ საჯარისო ფორმირებებს მოუხდათ კრწანისის ველზე აღა-მაჰმად ხანის არმიასთან დაპირისპირება.

ბრძოლის წინ თეიმურაზ ბატონიშვილი ერეკლე II-ის განკარგულებაში მყოფ ჯარს ასე ახასიათებს: „ჰყვეს მეფესა სოლომონს თანა მხედარნი იმერთანი კაცნი ვითარ ორიათასიოდენ და მეფე ირაკლის თანა იყვნეს მაშინ ორი ათას შვიდასამდე მხედრობა თჳსი: ცხენოსანნი და ქვეითნი“[2]. სხვა ადგილას თეიმურაზ ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ თბილისის მცხოვრებნიც ჩაერთვნენ ბრძოლაში კომედიანტ მაჩაბელას წინამძღოლობით.[3]

ამ ცნობების მიხედვით ქართული არმია სამ უმთავრეს ნაწილად შეიძლება დაიყოს: I. იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის მიერ მოყვანილი დამხმარე ჯარი; II. თბილისის მოქალაქეთა, შედარებით მცირერიცხოვანი, სახელდახელოდ შედგენილი დანაყოფი და III. ერეკლე II-ის ხელქვეითი 2700 კაციანი ძირითადი სამხედრო ძალები.

ვინაიდან ნათელია იმერეთისა და თბილისელთა დანაყოფების კონცენტრაციის დრო და პირობები, ყურადღებას გავამახვილებთ იმ 2700 კაციან კონტიგენტზე, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოდან იყო შეკრებილი.

ტრადიციულად, გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოში ძირითად სამხედრო ძალას ფეოდალური ლაშქარი წარმოადგენდა. ეს იყო დროებითი სამხედრო ძალა, რომელიც მოსახლეობისგან კონკრეტული ბრძოლის წინ იკრიბებოდა. ასეთი ტიპის ჯარი იყო იმერეთის ლაშქარი. ერეკლე

[2] თეიმურაზ ბაგრატიონი. დავით ბაგრატიონის ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბ. 1972, გვ. 32-33.

[3] თეიმურაზ ბაგრატიონი. დავით ბაგრატიონის ისტორია, გვ. 35.

II-ის სამხედრო რეფორმის შედეგად კი XVIII საუკუნის 70-90-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოში შეიქმნა მცირერიცხოვანი მუდმივი სამხედრო დანაყოფები: საარტილერიო ბატარეა, დაახლოებით 400-500 ჯარისკაცისაგან შემდგარი და 200-300 კაციანი მეფის მცველი რაზმები – „ქეშიკები“. ეს სამხედრო დანაყოფები პროფესიონალი მეომრებისაგან შედგებოდა. ისინი გადიოდნენ სამხედრო წვრთნებს და მუდმივ შეკრებაზე იმყოფებოდნენ. სახელმწიფო სამსახურის სანაცვლოდ მათ ჯამაგირი სამეფო ხაზინიდან ეძლეოდათ.[4] ცხადია, კრწანისის ბრძოლაში მონაწილე ქართლ-კახეთის სამეფოს 2700 მეომარში ისინიც იგულისხმებოდნენ.

კრწანისის ბრძოლის თვითმხილველი სომეხი ავტორი სეროპ გრიჩი ბრძოლის ველზე გაქცანილ არტილერისტთა რაოდენობას 300 მეზარბაზნით, 12 მეთაურით და 2 მთავარსარდალით (მაიორი გაბრიელი და მაიორი გიორგი გურამიშვილი) განსაზღვრავს[5]. სხვა ცნობით არტილერისტთა ერთი ნაწილი თბილისის ციხეებში იდგნენ და ბრძოლის დამამთავრებელ მონაკვეთში სეიდაბადის ბაღებიდან გამოსულ სპარსელთა ჯარს ბომბავდნენ. მათი მეთაური კი ვინმე აღალუა ყოფილა.[6] ერთი სიტყვით კრწანისის ბრძოლაში საარტილერიო ბატარეა სრულად ყოფილა წარმოდგენილი. მათ რიცხვს თუ დავუმატებთ 200-300 „ქეშიკს“, გამოდის, რომ ერეკლე II-ის დაქვემდებარებაში მყოფი 2700 მეომრიდან 700 მუდმივი არმიის წარმომადგენელი ყოფილა.

საინტერესოა დარჩენილი 2000 კაციანი ჯარის სახეობის გარკვევა. ამ საკითხის ახსნისათვის უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე გარემოება: I. იმდროინდელ საისტორიო საბუთებ-

[4] იხ. ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ. 2010, გვ. 146-158.

[5] სეროპ გრიჩი. აღა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს დედაქალაქ თბილისის (ფაიტაკარანის) გადაწვის მოკლე ისტორია. ჟურნ.: „მაცნე“. ენისა და ლიტერატურის სერია. 1991. №3, გვ. 120.

[6] თეიმურაზ ბაგრატიონი. დავით ბაგრატიონის ისტორია, გვ. 37.

ში არ ფიქსირდება 1795 წლის არც აგვისტოში და არც სექტემბრის დასაწყისში რაიმე სახის მობილიზაცია. უფრო მეტიც, ერეკლე II-ის 8 სექტემბერს, დაგვიანებით, გაცემული სამობილიზაციო წერილი თუშეთის მოურავისადმი[7] ცხადყოფს, რომ სექტემბრის დასაწყისში, გარდა თბილისელ მოქალაქეებისა, ახალი გაწვევა არ მომხდარა; II. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა წყარო კრწანისის ბრძოლის მონაწილედ ქართლ-კახეთის სამეფოს თითქმის ყველა კუთხიდან წარმოდგენილ ჯარის ნაწილებს ასახელებს. თეიმურაზ ბაგრატიონი ვახტანგ ერეკლეს ძის მეთაურობით მებრძოლ დანაყოფში არაგვისხეველთა, ქიზიყელთა და ფშავ-ხევსურთა არსებობაზე მიუთითებს[8]. იმერეთის ჯარის წარმომადგენელი, მელვინეთუხუცესის სვიმონ წერეთლის მოგონებიდან, რომელიც აკაკი წერეთელმა გამოაქვეყნა, ჩანს, რომ 10 სექტემბერს იმერლებთან ერთად, ბრძოლის ერთიერთ უბანზე, „ორასამდე თათარი და კანტიკუნტად ქართლ-კახელები“ იყვნენ განწესებულნი[9]. „თათრებში“, ცხადია, ყაზახ-ბორჩალოსა და ბამბაკის მოსახლეობა იგულისხმება. ომში მემარჯვენე და მემარცხენე სარდლების ოთარ ამილახვრისა და იოანე მუხრანბატონის, ასევე თავადების – ბორჩალოს მოურავის ჯანდიერ ჯანდიერიშვილის, იოანე აბაშიძის და სხვათა მონაწილეობა მიუთითებს, რომ ომში მცირე მასშტაბით აღმოსავლეთ საქართველოს მთის თუ ბარის ყველა კუთხის მოსახლეობა იყო ჩართული.

ყოველივე აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვა – ერევანში ლაშქრობის წინ, ცნობების არარსებობის მიუხედავად თუ დავუშვებთ, რომ ქვეყანაში ჩატარდა მოსახლეობის მობილიზაცია, მაშინ რატომ არ მოხერხდა მოლაშქრეთა სრული გაწვევა? 2000-მდე მეომარის მობილიზაცია ერეკლე

[7] იასე ციცვაძე. აღა-მაჰმად ხანის თავდასხმა საქართველოზე. თბ. 1969, გვ. 184.
[8] თეიმურაზ ბაგრატიონი. დავით ბაგრატიონის ისტორია, გვ. 35.
[9] სარგის კაკაბაძე. კრწანისის ომი. თბ. 1991, გვ. 11.

II-ს მხოლოდ ქიზიყიდან, ანდაც ამილახვრის სადროშოდან შეეძლო, რასაც საჭიროების შემთხვევაში, მეფე ყოველთვის წარმატებით ახორციელებდა. ნაკლებ სარწმუნო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ მოლაშქრეთა გაწვევა ჩაიშალა. ამ შემთხვევაში არც არსებული ძალები იქნებოდნენ ერეკლე II-ის განკარგულებაში. ამიტომ საფუძველს მოკლებულია მოსაზრება, რომ თითქოს რომელიმე სარდალმა, მაგალითად, ოთარ ამილახვარმა, რომელიც თვითონ მონაწილეობდა ომში და მძიმედაც დაიჭრა, არ შეასრულა თავისი მოვალეობა და თავის სასარდლო ტერიტორიიდან მოლაშქრეები „დამალა“.

ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ აღნიშნულ წინააღმდეგობას ახსნა მოეძებნოს და გავარკვიოთ თუ რატომ იყო კრწანისის ომში ქვეყნის ყველა კუთხიდან წარმოდგენილი მცირე რაოდენობის მოლაშქრეები, ამისათვის საჭიროა თვალი გავადევნოთ 1795 წლის ახლო ხანებში „მორიგე ლაშქრის“ ორგანიზების საკითხს.

გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე რუსეთის ჯარის ქართლ-კახეთის სამეფოში შემოსვლის შემდეგ აღდგა სურსათის გადასახადი, რომელიც ერეკლე II-ის ბრძანებით „მორიგე ჯარში“ გასვლის სანაცვლოდ გაუქმებული იყო. ამ პერიოდში ქვეყანაში მუდმივი ჯარის ფუნქციას რუსული დანაყოფები ასრულებდნენ. „მორიგე ჯარში“ მოსახლეობის გაწვევის ნაცვლად დაწესდა ფულადი გადასახადი „მორიგის საბადლო“, რომელიც ჯამაგირად ეძლეოდა ახლადშექმნილ „მორიგე ყარაულს“. ასეთ ვითარებაში, 1786 წელს ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსული ჯარის ნაწილების მეთაური, პოლკოვნიკი ბურნაშოვი ადასტურებს „მორიგე ჯარის“ გაუქმების ფაქტს. ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ამის შესახებ აღნიშნულია, რომ თითქოს „მორიგე ჯარის“ გაუქმება თავადების წინააღმდეგობამ გამოიწვია.[10] სინამდვი-

[10] ნ. ბერძენიშვილი, იე. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. I. სახელმძღვანელო. თბ. 1946, გვ. 397-398.

ლეში მისი დაშლა სამეფო კარის მიერ იყო სანქცირებული. მდგომარეობა შეიცვალა XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. 1791 წელს ერეკლე II-ს „მორიგე ჯარის“ გამოყვანა კვლავ სავალდებულოდ ჩაუთვლია და შესაბამისი ბრძანებებიც გაუცია: 1791 წლის 14 მაისის ერეკლე II-ის წერილში ენისელის მოურავ დიმიტრისადმი აღნიშნულია: „ქ. ჩვენ მაგიერად ენისელთ მოურავს დიმიტრის ასე უამბეთ. მერე ახლა რომ ისევ მორიგის გამოყვანა დავამტკიცეთ ჩვენ ასე გვეუბნებიან სამღვდელონი, თავადნნი, აზნაურნი და გლეხნი კაცი თქვენი და თქვენს შვილებსა გვავსთო, თქვენ რომ გამოიყვანთ ჩვენ როგორ დაგაკლდებითო. ახლა ჩვენ ყველგან მოხელეებსა წიგნები მივსწერეთ და თავთავისი სახელოების გამოყვანა დავადევით. შენთვისაც ასე გვიბრძანებია: ენისელი შენი სახელო არის, რაც ამ თვის მორიგე არის ახლავ საჩქაროდ უნდა გამოიყვანო და სადაც ჩვენ ვიყვნეთ იქ შემოგვეყარო და სხვას თვეებისასაც თავის ვადაზე უნდა გამოიყვანდე და შემოგვეყრებოდე. თუ ამ საქმეზედ ბეჯითად არ მოიქცით და შენი სახელო კაცი დაგვაკლდა შევიტყობთ რომ ამ საქმის მოშლა გდომია, ქვეყნისაც მუხანათობა იქნება, შენის მამულისაც და შენთვისაცა და როგორც რიგი არის ისეც გარდაგახდევინებთ. დიდად ბეჯითად უნდა მოიქცეთ და კაცი არ დააკლო, თორემ თუ კაცი დაგვაკელ ქვეყნისაც დიდი წინააღმდეგობა არის და პასუხსაც ვეღარავის მისცემ. ყველა მოურავებისათვის და მოხელეებისათვისაც ასე მიგვიწერია და ესეც იცოდნენ. მაისის იდ, ქ.კ.ს უოთ.

ქ. ჩვენი შვილევისათვისაც ასე მიგვიწერია.

ბეჭედი: ქნარს მიცემს დავით მიჴმობს მჴნედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე“.[11]

ამის შემდეგ „მორიგე ჯარის“ სრულფასოვანი ფუნქციონირება დოკუმენტურად დასტურდება. ამას ცხადყოფს აკ. კლიმიაშვილის მიერ მოძიებული შემდეგი საარქივო მასალა:

[11] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ფ. ქ. საბ. 594.

1) 1791 წ. ივნისის ნუსხა ქვემო ქართლიდან გამოსაყვანი მორიგისა.[12] 2) 1791 წლის 8 ივლისის ერეკლე II-ის მიწერილობა ბეჟან ამილახვარიშვილისადმი მორიგის გამოყვანის შესახებ.[13] 3) 1792 წლის 13 სექტემბრის ერეკლე II-ის მიწერილობა თუშთ მოურავ დურმიშხანისადმი მორიგის გამოყვანის შესახებ.[14] 4) 1792 წლის 14 ნოემბრის თხოვნა ოსეფა ფეიქარისა იულონ ბატონიშვილისადმი მისი მორიგედან განთავისუფლების შესახებ.[15] 5) 1793 წლის 20 აგვისტოს მიწერილობა ერეკლე II-ისა ერასტი ჩოლოყაშვილისადმი ვეფხვის ციხიდან გრემის ციხეში მორიგის გაგზავნის შესახებ.[16] 6) 1794 წლის 27 აპრილის მიწერილობა ერეკლე II-ისა მინბაშ ბეჟან ამილახვრიშვილისადმი მორიგის გამოყვანის შესახებ.[17] 7) 1795 წლის 11 მაისის იულონ ბატონიშვილის მიწერილობა ოთარ ამილახვრისადმი მორიგის გამოყვანის შესახებ.[18] 8) 1795 წლის 4 ივლისის მიწერილობა დარეჯან დედოფლისა დავით ყულიაშვილისადმი გრემის ციხეში ოთხი ვეფხვის ციხელი მორიგე კაცის დაყენების შესახებ.[19] 9) 1795 წლის 28 ივლისის მიწერილობა ერეკლე II-ისა გლახა გურგენიძისადმი მორიგის თაბუნით შუშის ციხეში გაგზავნის შესახებ.[20] 10) 1799 წლის 27 სექტემბრის არზა შნოღელ არუთინა ქევხისა ზედმეტი მორიგის მოთხოვნის თაობაზე, გიორგი XII-ის ოქმით.[21] 11) 1800 წლის 13 დეკემბრის მიწერილობა გიორგი მეფისა მე-

[12] აკ. კლიმიაშვილი. მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის. /მორიგე ლაშქარი/ დოკუმენტები (დისერტაციის დანართი). თბილისი 1966, 68-69.
[13] აკ. კლიმიაშვილი. მასალები.., გვ. 306.
[14] აკ. კლიმიაშვილი. მასალები.., გვ. 315.
[15] აკ. კლიმიაშვილი. მასალები.., გვ. 251.
[16] აკ. კლიმიაშვილი. მასალები.., გვ. 330-331.
[17] აკ. კლიმიაშვილი. მასალები.., გვ. 306.
[18] აკ. კლიმიაშვილი. მასალები.., გვ. 307-308.
[19] აკ. კლიმიაშვილი. მასალები.., გვ. 331.
[20] აკ. კლიმიაშვილი. მასალები.., გვ. 345-346.
[21] აკ. კლიმიაშვილი. მასალები.., გვ. 347.

რაბ აღასადმი მორიგის პატიების თაობაზე.[22]

„მორიგე ჯარის“ გამოყვანა საყოველთაო მობილიზაციის დროსაც ხდებოდა. ასეთი შემთხვევების დროს ერეკლე II შემდეგი სახის დავალებას იძლეოდა: „ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენგან პატივცემულს ამილახვრიშვილს მინბაშს, სურამის მოურავს ბეჟანს მოკითხვა ეუწყოს... რასაც წამს ეს ჩემი ოქმი მოგივიდეს ამ მაისის და მკათათვის მორიგე რაც იყოს უკლებლად უნდა გამოიყვანო და არც დაკლება იქნება, შენ უნდა შემოიყარო და მზათ ამ ორის თვის მორიგეს გარდა სხვა რაც კომლის კაცია დაკლება არ იქნება. ყველას უნდა შეატყობინო და მზათ იყვნენ. ამ ერთს კვირას უკან საცა მოვიკითხოთ მორიგეც და კომლის კაციც უკლებლად იქ შემოგვეყარნენ...“ (1795 წლის 27 აპრილი).[23]

როგორც ვხედავთ, 1795 წლის ახლო ხანებში „მორიგე ჯარი“ სრულყოფილად ფუნქციონირებდა. ყოველივე აქედან გამომდინარე კრწანისის ბრძოლაში მონაწილე ქართლ-კახეთის მოსახლეობისაგან შეკრებილი 2000 ჯარისკაცი „მორიგე ჯარის“ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. რადგან ცნობილია, რომ „მორიგე ჯარში“ იკრიბებოდნენ ქვეყნის ყველა კუთხის წარმომადგენლები, აქედან ნათელი ხდება საგანგებო მობილიზაციის გარეშე თუ რატომ მონაწილეობდნენ კრწანისის ბრძოლაში ქვეყნის ყველა რეგიონის მოსახლეობა.

კრწანისის ბრძოლაში „მორიგე ჯარის“ მონაწილეობის კონკრეტულ ცნობად უნდა მივიჩნიოთ მარი ბროსეს მიერ ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი საბუთი, სადაც აღნიშნულია, რომ „1795 წლის 1 აგვისტოს, ოთხშაბათს, „კახელთა დაჯგუფებები ჩამოვიდნენ (თბილისში) და იწყებოდა მათი დათვალიერება (გადარჩევა)“.[24] „მორიგე ჯარის“ დებუ-

[22] აკ. კლიმიაშვილი. მასალები.., გვ. 348.

[23] აკ. კლიმიაშვილი. მასალები.., გვ. 306.

[24] M. Brosset. Histoire de la Georgie depuis l’ antiquite jusqu au XIX siècle. P 2. Histoire modern. I-II Livr. SPb. 1857, გვ. 550.

ლება სწორედ თვის დასაწყისისათვის ითვალისწინებდა ანგარიშვალდებული მოლაშქრის პაემანის ადგილზე გამოცხადებას – „თვის პირველს დამდეგზედ ახლის მოსულის მორიგის სანს ნახევდეთ“[25]. მორიგის დათვალიერება და აღნუსხვა სწორედ შეკრების დასაწყისში ხდებოდა: „ქ. ღუთით როდესაც ეს ჯარი შემოგვეყრება, იმ პირველს დღესაც და გასტუმრების დღესაც ჩვენ უნახავთ სანსა და ამათ გარდა თავისი სარქარდა და მინბაში უნახავდეს ყოველს კვირას სანსა იმ მორიგეში მოსულს კაცს იმ ერთის თვის სამყოფი ტყვია და წამალი სრულად უნდა ჰქონდეს რომელიც არ მოიტანს იარაღს გაუჩხრეკთ სანს რომ უნახავთ და ავად მოვეპყრიბით“.[26] ამდენად, ცნობაში დაცულია კახეთიდან აგვისტოს თვის „მორიგის“ შეკრების ფაქტი. ცხადია ამგვარი წესითვე გამოვიდოდა სხვა კუთხეთა წარმომადგენლებიც.

სწორედ აგვისტოს გაწვევის „მორიგეებს“ უნდა მიეღოთ კრწანისის ბრძოლაში მონაწილეობა, რადგან აგვისტოს მეორე ნახევარში ეს ჯარი ერევნისკენ გაემართა. ქართველმა სარდლობამ ყახახში შეიტყო აღა-მაჰმად ხანის საქართველოზე გამოლაშქრების ამბავი და საგარაუდოა, რომ ქვეყანაში დაწყებული პანიკისა და დროის სიმცირის გამო მათი სექტემბრის თვის „მორიგით“ ჩანაცვლება ვერ მოესწრებოდა.

ზოგადად იმ დროისათვის „მორიგე ჯარი“, როგორც წესი, 2000-ზე გაცილებით დიდი რაოდენობით იკრიბებოდა. მათი ნაწილი, ცხადია, სხვადასხვა პოზიციებზე იქნენ განაწილებულნი – ჩვენთვის ცნობილია, რომ გატეხილ ხიდთან რამდენიმე ასეული მებრძოლი იცავდა სახღვრებს, რომელთაც მძიმე შეტაკება მოუხდათ სპარსელთა ავანგარდთან. „მორიგეთა“ გარკვეული ნაწილი კონცენტრირებული იქნებოდა კახეთში, ლეკთა თარეშის აღსაკვეთად. ერეკლე II-ს 29

[25] აკ. კლიმიაშვილი. მასალები.., გვ. 78-79.

[26] საქართველოს სიძველენი. რედ. ე. თაყაიშვილი. ტ. I. ტფ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. I. 1920, გვ. 180.

აგვისტოს მსტოვრებმა მიართვეს წერილი სადაც აღნიშნული იყო, რომ დაღესტნელები მზადყოფნას გამოთქვამდნენ აღამაჰმად ხანის წინადადებაზე და კახეთში სალაშქროდ ემზადებოდნენ.[27] (საფიქრებელია, რომ კახეთში მყოფი „მორიგე ჯარის“ ნაწილების არსებობა უნდა იყოს შემდგომში იმ ინტერპრეტაციის საფუძველი, რაც გიორგი ბატონიშვილის მიერ კახეთის ჯარის ნაწილების არდახმარებაში გამოიხატა). რაც შეეხება „მორიგე ჯარის“ დიდ ნაწილს, 2000 კაცს, ისინი უშუალოდ მონაწილეობდნენ ბრძოლაში.

[27] Грамоты и другіе историческіе документы относящіеся до Грузіи. Томъ II. Выпускъ II, გვ. 97.

Apolon Tabuashvili

ABOUT STRUCTURE OF THE GEORGIAN TROOPS IN KRTSANISI BATTLE (1795)

Summary

Paper deals with structure of the Georgian troops in Krtsnisi battle (1795). Source study had revealed that in this battle there were engaged 2000 men-in-arms from Imereti Kingdom (Western Georgia), population of Tbilisi, and 2700 warriors of Kartl-Kakheti Royal army. One part among them approx. 700 consisted of members of regular troops, which included artillery group and royal guard; remaining 2000 were the members of so-called "*Morige Jari*" (military obliged). Numerous material provided in this paper confirm suggestions in 1795 "*Morige Jari*" was still fully engaged.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

მერაბ კალანდაძე

იყო თუ არა ივანე ჯავახიშვილი რიკერტიანელი?

აკად. ივანე ჯავახიშვილის თეორიული შეხედულებებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, რომელიც იგრძნობოდა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, დამაჯერებელი არ უნდა იყოს. ეს არის კიდევ ერთი მარქსისტული შტამპი, რომელიც დღეს უკვე მოძველებულია, ქაღალდი გაუვიდა და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ასეთი მიდგომა აკნინებს ამ სფეროში აკად. ივანე ჯავახიშვილის ნაღვაწის მნიშვნელობას და ისტორიული მეცნიერების წინაშე მის დამსახურებაზე ამომწურავ, სრულყოფილ, წარმოდგენას როდი გვიქმნის.

უახლოეს ქართულ ისტორიოგრაფიაში მკვეთრად შეიცვალა ვითარება, რაც პოლიტიკური კატაკლიზმების ლოგიკური შედეგი იყო. საბჭოთა კავშირი დაიშალა. ერთი მარქსისტული იდეოლოგიის დიქტატი, მონოპოლია, გასრულდა. ქართულმა ისტორიოგრაფიამ შვებით ამოისუნთქა. ახლა მას თავისუფლად შეეძლო საკუთარი არჩევანი გაეკეთებინა. თანდათან ჯეროვანი ყურადღება მიექცა აკად. ივანე ჯავახიშვილის თეორიული შეხედულებების უფრო სიღრმისეულად გააზრებას. წინა პლანზე წამოიწია მისმა ისტორიის ფილოსოფიურმა, ისტორიის მეთოდოლოგიურმა, სოციოლოგიურმა ძიებებმა. ასეთი ძვრები, რა თქმა უნდა, მისასალმებელი იყო და საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. აქ უწინარე-

სად, ცხადია, ვგულისხმობთ პროფ. ედ. კოდუას[1] და პროფ. გ. ყორანაშვილის წიგნებს.[2] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შრომების მეცნიერული ღირებულება სხვადასხვაგვარია.

ჩვენ გვაინტერესებს ივანე ჯავახიშვილის შეხედულებები ისტორიის ფილოსოფიის და ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებზე. განსაკუთრებით გამოვყოფდით ორ თემას, რომლის შესწავლა საინტერესოდ და აქტუალურად მიგვაჩნია: 1. ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება ისტორიის ეპისტემოლოგიის, შემეცნების, საკითხებისადმი. 2. ივ. ჯავახიშვილის მიერ ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევების შეფასება. ეს თემა კი არც ედ. კოდუას და არც გ. ყორანაშვილის წიგნში ჯეროვნად არ ყოფილა გაშუქებული.

როგორც, საარქივო მასალებიდან ჩანს, აკად. ივ. ჯავახიშვილს ჩაფიქრებული ჰქონია ამ თემაზე სპეციალური ნაშრომის დაწერა, განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მან ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწრო და ამ ხასიათის ნაშრომი მას არ დაუწერია. ეს ქართული ისტორიოგრაფიის აუნაზღაურებელი დანაკლისია. „ივანე ჯავახიშვილს, როგორც ჩანს, ჩაფიქრებული ჰქონდა, „ისტორიის მეთოდოლოგიის და ფილოსოფიის“ დაწერა, რისთვისაც საგანგებოდ განკუთვნილ ყდაში აგროვებდა ამ საკითხებთან დაკავშირებულ მასალას. დაწერილი დარჩა მხოლოდ „ზოგადი შესავალი“ და „შედარებითი მეთოდის შესახებ“.[3]

ამჯერად შევეხებით ერთ კონკრეტულ საკითხს. ნეოკანტიანელების გავლენა აკად. ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. თემა არის საინტერესო და აქტუალური. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხში ერთ-

[1] ედ. კოდუა, ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიულ ფილოსოფიური ძიებანი, თბ. 1997.

[2] გ. ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ. 1999.

[3] ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა, შეადგინეს ა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა, თბ. 1976.

სულოვნება არასოდეს ყოფილა და გამოთქმულია ერთმანეთის საპირისპირო აზრები. წინამდებარე ნაშრომს ამ საკითხის გადაწვეტის პრეტენზია არ გააჩნია და მხოლოდ მისი დასმით შემოვიფარგლებით.

ერთნი აკად. ივ. ჯავახიშვილს რიკერტიანელად მიიჩნევდნენ და მას ნეოკანტიანელებს მიაკუთვნებენ, მეორენი, პირიქით, თავს იკავებდნენ ამისგან და აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელს სულ სხვა ისტორიოგრაფიულ სკოლებს უკავშირებდნენ.

ივ. ჯავახიშვილის რიკერტიანელად გამოცხადების იდეა პრიველად 30-იანი წლების შუა ხანებში, იმ ავადსახსენებელი დისკუსიის დროს, გაიჟღერა. მის მთავარ ტონის მიმცემად იურისტი პროფ. ილარიონ ტალახაძე მოგვევლინა. იგი ამბობდა „მე მოგახსენებთ, რომ მისი (ე. ი. ივ. ჯავახიშვილის – მ. კ.) მეთოდოლოგია არის იდეალისტური სუბიექტური ნეოკანტიანისტური მეთოდოლოგია“.[4] ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს პროფ. გრ. ნათაძე: „პირველი თავი იწყება (ე. ი. „საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საკითხები“ – მ. კ.) რიკერტიანიზმის წინააღმდეგ. მერე მომყავს მაგალითები და მათ შორის, პროფესორი ჯავახიშვილი, როგორც რიკერტიანიზმის მაგალითი“.[5]

ამ ორი მეცნიერის მიდგომას შორის პრინციპული განსხვავება არსებობს და ამის გვერდის ავლა, ვფიქრობთ, უმართებულო იქნებოდა. პროფ. ი. ტალახაძის გამოსვლა კონიუნქტურულ ხასიათს ატარებდა და ძლიერ პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. ნეოკანტიანელებთან ივ. ჯავახიშვილის სახელის დაკავშირება იყო პოლიტიკური ბრალ-

[4] ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯაროს წინაშე. გამოსაცემად მოამზადეს შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მ. ვაჩნაძემ და პროფ. ჯ. გურულმა. თბ. 2004.

[5] „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ“ – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 471, აღწერა 19. საქმე 4.

დება, რომელიც მისნად ისახავდა დიდი ქართველი მეცნიერის და მამულიშვილის ძირფესვიანად მოთხრას, მისთან გასწორებას. მისთვის ბურჟუაზიული ისტორიკოსის იარლიყის მიწერას, იმ დროისათვის ეს მეტად მძიმე პოლიტიკური ბრალდება იყო.

გრ. ნათაძის მეცნიერული პოლემიკა ჰქონდა ივანე ჯავახიშვილთან, მაგრამ, ეტყობა, ხელსაყრელი მომენტი ვერ შეარჩია, ჰქონდა კი მას დიდი არჩევანი? ესეც გასათვალისწინებელია. ოჰ, ეს „კოჭლი დროება“. გრ. ნათაძის მსჯელობა ბოლშევიკების წისქვილზე ასხამდა წყალს. წმინდა მეცნიერულად რამდენადაც სწორი იქნება ივ. ჯავახიშვილი მივიჩნიოთ ნეოკანტიანელთა მიმდევრად საკმაოდ ძნელი სათქმელია და სერიოზულ კვლევას საჭიროებს. მათ შორის შეხების წერტილების არსებობას არ გამოვრიცხავთ, მაგრამ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ივ. ჯავახიშვილი რიკერტიანელი იყო? ამას გამორკვევა უნდა.

ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ ორ საკითხს: იცნობდა თუ არა აკად. ივანე ჯავახიშვილი ნეოკანტიანელების მოძღვრებას და თუ იცნობდა რა გავლენა მოახდინა მან მისი მსოფლმხედველობის ფორმირების პროცესზე. ვფიქრობთ, ეს საინტერესოა. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ამ თემაზე მეტად მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია და იძულებული ვართ ჰიპოთეზის სფეროთი შემოვიფარგლოთ.

აკად. ივ. ჯავახიშვილი ევროპული ისტორიული აზროვნების კონტექსტში საინტერესო თემაა და ქართულ ისტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი.

ეს საკითხი საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში უპირატესად უარყოფით კონტექსტში მოიაზრებოდა და მას ივ. ჯავახიშვილს ბრალდებად უყენებდნენ. ასეთი იყო პოლიტიკური დაკვეთა, კონიუქტურა. ეს იყო ერთ-ერთი მარქსისტული სტერეოტიპი, შტამპი. უნდა ითქვას, რომ ასე-

თი მიდგომა ქველაფერს თავდაყირა აყენებს, რაც იმით გამოიხატება, რომ, ივ. ჯავახიშვილის შეხედულებების ძლიერი მხარე მის სისუსტედ იქნა გამოცხადებული. დღეს ამ თემას სულ სხვაგვარად უნდა მიუდგეთ. თუ ნეოკანტიენელებმა მოახდინეს რაიმე გავლენა ივ. ჯავახიშვილის შეხედულებების ფორმირებაზე ეს – ცხადია, ძალიან კარგია, მისასალმებელია და ქართულ ისტორიოგრაფიას ევროპულ დონეზე ამაღლებს.

ამ კუთხით ეს თემა არც ა. ტალახაძეს და არც გრ. ნათაძეს არ დაუსვამთ. აქ ისინი ალბათ, გულისხმობდნენ, რომ ივ. ჯავახიშვილი იცნობდა ნეოკანტიანელების შეხედულებებს. ეს საკვებით სწორი იყო ან ივ. ჯავახიშვილის შეხედულებები, მათი აზრით, ყველაზე უფრო კარგად მიესადაგებოდა ნეოკანტიანელების კონცეფციას.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილი, უეჭველად, კურსში იქნებოდა იმ სიახლეებისა, რომელიც ისტორიულ მეცნიერებაში ხდებოდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ივ. ჯავახიშვილს უნდა ცოდნოდა ნეოკანტიანელების შეხედულებები. იმ რანგის ისტორიკოსს როგორიცაა ივ. ჯავახიშვილი ყოვლად წარმოუდგენელია არ ცოდნოდა ნეოკანტიანელთა შრომები. ძნელი საფიქრალია, რომ გერმანიაში სამეცნიერო მივლინების დროს ის არ გაეცნობოდა ნეოკანტიანელების შეხედულებებს. ამ დროს ნეოკანტიანელები პოპულარობის ზენიტში იყვნენ. მათი სახელი ყველას პირზე ეკერა. მას ინფორმაცია შეიძლება მიეღო თავისი მასწავლებლებისაგან, თუნდაც კარლ ლამპრეხტისაგან, რომელთანაც ნეოკანტიანელებს პოლემიკა ჰქონდათ გაჩაღებული. ასეც რომ არ ყოფილიყო, მას შეეძლო მათ შრომებს გაცნობოდა გერმანულად ანდა რუსულად. თუ იცნობდა ის ნეოკანტიანელების შრომებს, რა გავლენა მოახდინა მან აკად. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებების ჩამოყალიბებაზე? თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ აკად. ივანე ჯავახიშვილი ფართოდ იყენებდა

ინდივიდუალიზაციის მეთოდს. ეს, ცხადია, საინტერესოა. ამ თემისადმი უახლესი ქართული ისტორიოგრაფიის მიდგომა, ჩვენი აზრით, ცოტა სწორხაზოვანი შეიძლება იყოს და უმთავრესად ყურადღებას ამახვილებს ისტორიაში პიროვნების მნიშვნელობაზე. თუ ამ საკითხს ცოტა სხვა კუთხით შევხედავთ ეს საინტერესო იქნებოდა. აი, რა გვაქვს მხედველობაში. ნეოკანტიანელები ისტორიაში უპირატესად ხედავდნენ ინდივიდუალურს, განუმეორებელს, ერთჯერადს. აი, რას წერდა გერმანელი ისტორიკოსი ედ. მაიერი თავის წიგნში „ისტორიის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები“, ისტორიული მეცნიერების საგანია „განუმეორებელი, ერთეული ფაქტების შესწავლა. ის რასაც აღნიშნავენ ტერმინით „ინდივიდუალური“.[6] ვფიქრობთ, საინტერესოა ამ კუთხით თუ უყურებდა ივ. ჯავახიშვილი აღნიშნულ საკითხს. ეს თემა საგულდაგულო შესწავლას საჭიროებს.

ამრიგად, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ივ. ჯავახიშვილს უნდა ცოდნოდა ნეოკანტიანელების მოძღვრება. რა გავლენა მოახდინეს მათ ივ. ჯავახიშვილის შეხედულებების ფორმირებაზე, ძნელი სათქმელია. ნეოკანტიანელების და ივანე ჯავახიშვილის შეხედულებებს შორის შეხების წერტილების არსებობა გამორიცხული არ უნდა იყოს, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის გამოცხადება ნეოკანტიანელების მიმდევრად, როგორც ამას ხაზს უსვამს პროფ. გრ. ნათაძე, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. იმისათვის, რომ ამ თემას უფრო მეტი შუქი მოვფინოთ აუცილებლად საჭიროა კარგად შევისწავლოთ ივ. ჯავახიშვილის შეხედულებები ისტორიის ეპისტემოლოგიის, შემეცნების, საკითხზე. მიუხედავად მწირი ინფორმაციისა ამ კუთხით საკითხის დანახვა პერსპექტიული უნდა იყოს.

[6] Э. Меиер, Теоретические и методологические вопросы истории, М., 1904.

Merab Kalandadze

WAS IVANE JAVAKHISHVILI RICKERT'S FOLLOWER OR NOT?

Summary

The issue whether famous Georgian historian, academician Ivane Javakhishvili was a follower of Heinrich Rickert, one of the leading Neo-Kantians, is a subject of the historiographical debate. More caution is needed when declaring him as Rickertian, as it was done by Prof. Grigol Natadze. It is probable that Ivane Javakhishvili knew about the views of Neo-Kantians, but it is difficult to say whether they had any impact on his outlook. This question needs to be studied thoroughly. First, the history philosophy of Ivane Javakhishvili has to be determined. Unfortunately, it should be mentioned that the information on this subject is insufficient, and it complicates the matter a lot.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

მიხეილ ბახტაძე

საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წლის 16 ივნისის ხელშეკრულება

1919 წლის 16 ივნისს, თბილისში ხელი მოეწერა საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-თავდაცვით ხელშეკრულებას. მხარეები თანხმდებოდნენ, რომ სამხედრო აგრესიის შემთხვევაში ერთობლივი ძალებით დაიცავდნენ თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას.

„საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა: საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნ გეგეჭკორმა[1], შინაგან საქმეთა მინისტრმა ბ-ნ რამიშვილმა[2], სამხედრო მინისტრის თანაშემწემ გენ. გედევანიშვილმა[3], სამხედრო საბჭოს წევრმა გენ. ოდიშელიძემ[4] – ერთის მხრივ და ადერბეიჯანის რესპუბლი-

[1] ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი, ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე. 1918-1921 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

[2] ნოე ბესარიონის ძე რამიშვილი, ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, 1918-1921 წლებში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

[3] ალექსანდრე გედევანიშვილი, გენერალ-მაიორი. რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომების მონაწილე. 1918 წელს საქართველო-სომხეთის ომის დროს მთავარსარდლის პოსტი ეკავა.

[4] ილია ზურაბის ძე ოდიშელიძე, გენერალ-ლეიტენანტი. რუსეთ-იაპონიის

კის წარმომადგენლებმა: საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნ ჯაფაროვმა[5], სამხედრო მინისტრმა გენ. მეხმანდაროვმა[6] და გენერალური შტაბის უფროსმა გენ. სულკევიჩმა[7] მეორეს მხრივ, გაეცნენ რა რწმუნებულობის საკითხს და სცნეს იგი წესიერ და ნამდვილ დონეზე, დასდეს ხელშეკრულება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის მოსალოდნელ სერიოზულ მუქარის გამო შემდეგ საფუძველზე:

1) შეთანხმებული სახელმწიფონი მოვალეთ რაცხენ თავის თავს გაილაშქრონ ერთად მთელი თავისი შეიარაღებული ძალებით და სამხედრო საშუალებებით ყოველივე თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება დამოუკიდებლობას ან ტერიტორიულ ხელშეუხებლობას ერთსა ან ორივე შეთანხმებულ რესპუბლიკას.

შენიშვნა: ეს პარაგრაფი არ ვრცელდება სასაზღვრო კონფლიქტებზე, რომელიც აღმოცენდება კავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიულ ჯერ კიდევ განუსაზღვრელ ნიადაგზე.

2) თუ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო, თანახმათ

ომის მონაწილე. 1914-1916 წლებში 1-ლი არმიის შტაბის უფროსია, 1917 წელს XV კორპუსის მეთაური, იმავე წლის 2/X კავკასიის არმიის მთავარსარდლად დაინიშნა. 1920 13/XII – 1921 16/II საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო.

[5] ჯაფაროვი მამედ-იუსუფი, ცნობილი აზერბაიჯანელი პოლიტიკოსი. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. ამიერკავკასიის კომისარიატის წევრი. 1918 წელს იყო აზერბაიჯანის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი.

[6] მეხმანდაროვი სამედ ბეგ, არტილერიის გენერალი. რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. 1914 წლის დეკემბერში დაინიშნა მე-11 კავკასიური საარმიო კორპუსის მეთაურად. პირველი მსოფლიო ომის დროს მისი კორპუსი ერთ-ერთი საუკეთესო იყო. 1917 წელს დაბრუნდა ბაქოში.

[7] სულკევიჩი მაჰომედ სულეიმანის ძე, გენერალ-ლეიტენანტი. რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. პირველ მსოფლიო ომში მუსლიმური ცხენოსანი კორპუსის მეთაური იყო. 1918 წლის იენის-ნოემბერში ყირიმის სამხარეო მთავრობის პრემიერ-მინისტრია. საფრანგეთ-ინგლისის ჯარების გადმოსხდომის შემდეგ, გერმანოფილური პოზიციის გამო, იძულებული გახდა გადამდგარიყო და დაბრუნდა ბაქოში.

პირველი მუხლისა მტერზე გალაშქრების დროს დაეცემა ერთ რომელიმე მოკავშირეთაგანს, იმ მიზნით, რომ იარაღით გადასწყვიტოს სამოსაზღვრო დავანი, მაშინ ეს სახელმწიფო ალიარებული იქნება მებრძოლ მხარედ.

3) ეს ხელშეკრულება მტკიცე მოგერიებითი ხასიათისაა და თუ რომელიმე მათგანი ერთი მეორის დაუკითხავად და შეუთანხმებლივ საკუთარ ინიციატივით უცხადებს ომს ან იწყებს საომარ მოქმედებას, მაშინ მეორე შეთანხმებული მხარე მოვალეთ არ რაცხს მონაწილეობა მიიღოს ამ საომარ მოქმედებაში.

4) შეთანხმებული მხარეები მოვალენი პირობას სდებენ, რომ ყოველივე მოსალოდნელი დავა საზღვრების შესახებ გადასწყვიტონ ან შეთანხმებით ან არბიტრაჟით, რომლის გადაწყვეტილება სავალდებულოა ორივე მხარისათვის.

5) ეს ხელშეკრულება იდება 3 წლის ვადით. ერთი წლის წინათ ვადის გასვლამდე ყოველი შეთანხმებულ მხარეს უფლება ეძლევა განაცხადოს თავისი სურვილი ამ ვადის გაგრძელების შესახებ ახალ ვადაზე ან უარი განაცხადოს შეთანხმებაზე. უკანასკნელ შემთხვევაში შეთანხმება ჰკარგავს ძალას დადებული პირობით ვადის გასვლის შემდეგ.

6) შეთანხმებული მხარეები პირობას სდებენ სოლიდარულათ გამოვიდნენ და აწარმოონ დიპლომატიური მოლაპარაკებანი, მიმართულნი დამოუკიდებლობის და ორივე სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების დასაცავად.

7) იმ პირობის დადების შემდეგ, რომელიც აღნიშნულია პირველ და მეორე პარაგრაფებში შეთანხმებული სახელმწიფონი მოვალეთ რაცხნ არ შეკრან სეპარატული ზავი.

8) შეთანხმებული მხარენი მოვალეთ რაცხნ არ შეკრან სამხედრო კონვენციები სხვა სახელმწიფოებთან მოკავშირის წინასწარი თანხმობის განუცხადებლად.

9) თუ იმ ვადის გასვლამდე, რომელიც მეხუთე პარაგ-

რაფშია აღნიშნული, შეიქმნება ხალხთა ლიგა, რომელიც გარანტიას მისცემს დამოუკიდებლობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ ყველა სახელმწიფოებს, რომელნიც კი მის შემადგენლობაში შევა, მაშინ იმ დღიდან, როდესაც შეთანხმებული რესპუბლიკანი შევლენ ამ ლიგაში, აღნიშნული ხელშეკრულება ჰკარგავს თავის ძალას.

10) ამიერკავკასიის მესამე რესპუბლიკას სომხეთს ენიჭება უფლება 2 კვირის განმავლობაში დღიდან ამ ხელშეკრულების ოფიციალურად გამოცხადებისა, განაცხადოს თავის თანხმობა ამ შეთანხმებულ რესპუბლიკებთან შეერთების შესახებ.

11) რატიფიკაციათა გაცვლა-გამოცვლა ხდება ბაქოში ორის კვირის განმავლობაში დღიდან ხელის მოწერისა.

12) ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ დედნით.

საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი

სამხედრო მინისტრი რამიშვილი

სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენერალ-მაიორი გედევანიშვილი

გენერალი ოდიშელიძე.

საგარეო საქმეთა მინისტრი ადერბეიჯანის რესპუბლიკისა მ. ი. ჯაფაროვი სამხედრო მინისტრი მეხმანდაროვი.

გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სულკევიჩი.

ქ. ტფილისი 1919 წლის 16 ივნისი“[8]

შეთანხმება აშკარად თავდაცვითი ხასიათისაა. ამაზე ხელშეკრულების რამდენიმე მუხლი მეტყველებს.

[8] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. №133. 20/VI. 1919 წელი.

პირველ რიგში ეს ეხება მე-3 მუხლს, სადაც პირდაპირ წერია, რომ თუ ერთი მოკავშირეთაგანი მეორის უკითხავად დაიწყებს საომარ ოპერაციებს, მოკავშირე არაა ვალდებული თავადაც ჩაებას ომში.

გარდა ამისა, პირველი მუხლის შენიშვნაში ნათლად არის ნათქვამი, რომ ხელშეკრულება ფაქტობრივად „არ ვრცელდება სასაზღვრო კონფლიქტებზე, რომელიც აღმოცენდება კავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიულ ჯერ კიდევ განუსაზღვრელ ნიადაგზე“. სამხრეთ კავკასიის სამ ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოს შორის საომარი ოპერაციები, ყველაზე მეტად, სწორედ გადაუწყვეტელი სასაზღვრო საკითხების საფუძველზე შეიძლებოდა დაწყებულიყო. ჩვენი აზრით, 1-ლი მუხლის შენიშვნა იმაზეც მიუთითებს, რომ საქართველო და აზერბაიჯანი თავიდანვე გამორიცხავდნენ სომხეთთან სასაზღვრო დავების ძალით გადაჭრის შესაძლებლობას. საგანგებოდ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ სწორედაც სომხეთი უნდა ვიგულისხმოთ ამ შემთხვევაში, რადგან უშუალოდ საქართველო-აზერბაიჯანის შესაძლო დავების გადაწყვეტის მექანიზმი მე-4 მუხლშია ჩადებული. ასეთი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მესამე სამხრეთ კავკასიური რესპუბლიკისადმი მეტად საგულისხმო რამ არის. მით უმეტეს, თუ თუნდაც მხოლოდ სომხეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელებულ აგრესიას გავიხსენებთ. სხვათა შორის ანალოგიური მეთოდით ცდილობდა სომხეთი სადავო ტერიტორიების პრობლემის გადაჭრას აზერბაიჯანთანაც.

ძალიან მნიშვნელოვანია მე-10 მუხლი, რომელიც ამ ხელშეკრულებასთან შემოერთების საშუალებას აძლევდა სომხეთის რესპუბლიკას. ეს ხომ უკვე თავისთავად ნიშნავს, რომ საქართველო და აზერბაიჯანი სომხეთთან არა მარტო მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრეები იყვნენ, არამედ მას პოტენციურ მოკავშირედაც განიხილავდნენ.

თავად ხელშეკრულების ტექსტში ნათლად წერია, რომ ის დაიდო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის მოსალოდნელი სერიოზული მუქარისაგან თავის დასაცავად. იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ თუ რა მუქარაზეა საუბარი, საჭიროა იმ დროს არსებული პოლიტიკური ვითარების განხილვა.

1918 წლის 26 მაისს დილით ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა გამოცხადდა. მალე სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა – საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. ყველა საღად მოაზროვნე პოლიტიკოსისათვის ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოების ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი იყო არა მარტო ერთმანეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება, არამედ მთელი რიგი პრობლემების გადასაჭრელად (მაგ. საერთაშორისო აღიარების მოპოვება, დამუკიდებლობის დაცვა) გაერთიანება და საერთო პოზიციით გამოსვლა. რა თქმა უნდა, ეს რთული საკითხი იყო. მით უმეტეს მაშინ, როცა მეზობლებს შორის მთელი რიგი გადაუწყვეტელი პრობლემები არსებობდა. აქ პირველ რიგში, ალბათ, ტერიტორიული საკითხები უნდა დავასახელოთ.

მიუხედავად ამოცანის სირთულისა, ქართველი პოლიტიკოსები თავიდანვე შეეცადნენ, გარკვეული საკითხების ირგვლივ, კავკასიური რესპუბლიკების გაერთიანებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საუბარი იყო არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების გაერთიანებაზე, არამედ მთელი კავკასიის ერთიანობაზე.

უკვე 1918 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობა საერთო კავკასიური კონფერენციის მოწვევის ინიციატივით გამოვიდა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართვაში ნათქვამი იყო – „Полагаем, что наступил момент, чтобы правительства государств Закавказия и Кавказа, проникнувшись

духом взаимного доверия и готовностью прийти на помощь друг-другу, признавая взаимную независимость, приступили бы к практическому осуществлению солидарного взаимоподдержанного выступления на будущем всемирном конгрессе“. მართალია, ამ შემთხვევაში საუბარი იყო მხოლოდ მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე ერთობლივი პოზიციით გამოსვლის შესახებ, მაგრამ ეს იქნებოდა მომავალი ერთობისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი.

იმავე წლის 10 ნოემბერს კონფერენციაზე დასასწრებად აზერბაიჯანელი და ჩრდილოეთ კავკასიელი დელეგატები ჩამოვიდნენ. არ მოვიდნენ სომხეთის წარმომადგენლები, რამაც საერთო კავკასიური კონფერენციის ჩატარება შეუძლებელი გახადა. თუმცა ქართულ მხარეს ამ მიმართულებით მუშაობა არ შეუწყვეტია და 1919 წლის გაზაფხულზე საერთო კავკასიური კონფერენცია თბილისში გაიხსნა.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ კავკასიის გაერთიანების მიმართულებით აქტიურად მუშაობდნენ აზერბაიჯანელი პოლიტიკოსებიც. პარტია მუსავატის მეორე ყრილობაზე მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება – „Признать объединение кавказских республик в свободный союз кавказской конфедерации желательным и призвать всю кавказскую демократию, а также правительства соседних республик способствовать осуществлению этой идеи“.[9]

1919 წლის თებერვალში უაღრესად დაიძაბა ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში. დაიწყო მორიგი დაპირისპირება გენერალ დენიკინსა და მთიელთა რესპუბლიკას შორის. ბოლშევიკთა დამარცხებისა და იმპერიის აღდგენისათვის მებრძოლი გენერლის მტრული დამოკიდებულება მთიელთა რესპუბლიკისადმი სრულიად გასაგებია. თუმცა რაღაც ეტაპზე მათ შორის შეთანხმების მიღწევა მოხერხდა. მას შემდეგ, რაც 1918 წლის შემოდგომაზე ჩრდილოეთ კავკასიელთა სამხედრო

[9] М. Э. Расул-заде. О Пантуранизме в связи с кавказской проблемой. Париж. 1930.

ნაწილებმა თითქმის მთლიანად განდევნეს ბოლშევიკები დაღესტნიდან, თერგის ოლქიდან და ჩეჩნეთის რაიონებიდან, ქალაქ გროზნოს გარდა, მთიელთა რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და გენერალ დენიკინის წარმომადგენელ, გენერალ ერდელს შორის დაიდო შეთანხმება. ამ შეთანხმების საფუძველზე, 1919 წლის თებერვალში დაიწყო ერთობლივი მოქმედება ბოლშევიკების წინააღმდეგ. უნდა გათავისუფლებულიყო ინგუშეთი, ოსეთი და ყაბარდო. დენიკინის დაქვემდებარებაში მყოფი შენაერთები მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე შევიდნენ. ერთობლივი ძალებით დაკავებული იქნა ქალაქები: ვლადიკავკაზი, გროზნო, ნალჩიკი და სხვ. მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორიის დაკავებისთანავე, „თეთრებმა“ იქ თავისი მმართველობის დამყარება დაიწყეს. თერგისა და დაღესტნის გენერალ-გუბერნატორად გენერალი ლიახოვი დაინიშნა[10]. ამან, ცხადია, მთიელთა რესპუბლიკის პროტესტი გამოიწვია. შექმნილი ვითარების გამო მთიელთა რესპუბლიკის სამოკავშირეო საბჭომ 22 თებერვალს დაადგინა: „Просить Правительство вступить в спешном порядке в переговоры с Азербайджаном и Грузинской республикой для совместного разрешения назревших политических вопросов, а равно выяснить окончательную позицию союзников по настоящему вопросу“.

ჩრდილოეთ კავკასია ის ფორპოსტი იყო, რომლის დაკავების შემდეგაც როგორც „თეთრები“, ასევე „წითლები“ ადვილად შეძლებდნენ სამხრეთ კავკასიაზე იერიშის მიტანას. ყოველივე ამას კარგად ხვდებოდნენ ქართველი და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები.

საქართველოს მთავრობის მიერ აზერბაიჯანის მთავრობისადმი გაგზავნილ მიმართვაში ეწერა: „По полученным нами от Горского правительства официальным сведениям, главным командованием Добровольческой армии предъявлено правительству

[10] მთელი ჩრდილოეთ კავკასია კი დენიკინმა გენერალ ერდელს დაუქვემდებარა.

Республики Союза Горцев Северного Кавказа требование сдать власть этому командованию, а всем горским народам предъявлено требование о сформировании воинских частей для пополнения Добровольческой армии.

Правительство Грузинской Республики считает, что согласно заявлениям самой Добровольческой армии, основной задачей ее вообще и в частности на Северном Кавказе является борьба с большевизмом и что предъявленное Горскому правительству требование является нарушением принципа самоопределения народов и покушением на независимость Горской Республики, признание или непризнание которого всецело зависит от решения Всемирного Конгресса.

Солидарность народов Закавказья, основанная на взаимном признании и доверии Кавказских республик, тесно связанных между собою узами исторического и экономического характера, обязывает правительство Грузинской Республики самым категорическим образом протестовать против подобных и насильственных требований командования Добровольческой армии, которые, будучи направлены в ущерб интересам населения Горской Республики, толкают горские народы на путь большевистских выступлений и тем самым представляют угрозу спокойному течению жизни всех народов Кавказа.

Об изложенном считаю долгом по поручению моего правительства довести до сведения Вашего Превосходительства и заявить, что Грузинское правительство выражает полное сочувствие и солидарность горским народам в деле отстаивания их независимости".

სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში, 1919 წლის აპრილ-მაისში, თბილისში კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენცია მიმდინარეობდა, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი სიტუაციაც განიხილებოდა. კონფერენციას ესწრებოდნენ დელეგატები საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და მთიელთა რესპუბლიკიდან. იმისთვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეიქმნას, თუ რა სახის

მსჯელობა მიმდინარეობდა კონფერენციაზე ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, მოგვყავს ცალკეულ დელეგატთა გამოსვლების ფრაგმენტები 30 მაისს მიმდინარე სხდომის ოქმიდან.

„Н. В. Рамишвили. Деникин будет наступать, так как не добился соглашения с Грузией. Я должен заявить, что мы со своей стороны, необходимые к обороне приготовления уже сделали, так как ясно, что вопрос идет не только о пограничных спорах. Одновременно с операциями в сочинском направлении, Деникин вел наступление на горцев. Ясно, что так как на Парижской конференции разбирается Русский вопрос, Деникин добивается захватом Кавказа и Закавказья поставить Парижскую конференцию перед совершившимся фактом ... Мое правительство полагает, что мы должны отстаивать независимость, иначе у нас будет то же, что и в Горской Республике... Мы полагаем, что при создавшемся положении мы должны с оружием в руках защищать свою независимость и поэтому, одобряя действия азербайджанского правительства в смысле продвижения войск к северным границам, мы и в дальнейшем намерены всеми силами поддерживать азербайджанское правительство в действиях против Добровольческой армии. Мы надеемся, что и Азербайджан нас будет поддерживать.

А. Х. Кантемир. Вопрос один – вопрос Кавказский. Нас хотят ликвидировать. Ликвидировать все четыре республики. Одна из них уже ликвидирована и это мы – горцы. Мы считаем, что наступление идет через нас на вас, на вас идет Деникин. И спрашиваем мы вас, будете ли вы с ним воевать. Может быть, вы думаете, что он с вами не борется, что он не идет на вас, но я заявляю, что фронт для вас открыт. Открыт фронт для того удара, который в продолжение трех месяцев задерживали мы, принимая его на себя. И мы должны знать потому, что в связи с этим вашим отношением, мы перестраиваем нашу политическую карту. Для нас безразлично, что вы сделаете в смысле помощи. Мы погибли уже. В свое время мы обращались к вам за помощью и вы нам не помогли. Я не буду теперь заниматься

упреками, может быть вы имели свои причины так поступать. Я не обвиняю вас, может быть, вы не могли нам помочь. Нас побили без вас. Но я не хочу, чтобы и вас били порознь. Я знаю, Деникин пойдет на вас не сейчас. Деникин подождет, создав базу в Петровске, но я заверяю вас, что через неделю он пойдет на вас.

С. Г. Мамиконян. Мы первый раз затрагиваем эти грандиозные вопросы о внешнем наступательном и оборонительном союзе. Как мы можем его заключить, когда не решены важные внутренние вопросы.

Ф. Х. Хойский. Вопрос разделяется на две части: первый, – частный о Горской Республике, о вторжении деникинской армии в Дагестан и вообще, о нашем отношении к событиям на Северном Кавказе; второй же, – о защите независимости Закавказских республик.

Х. Б. Хас-Мамедов. Аннулирование горского правительства и занятие Дагестана не может быть обойдено молчанием. Мы являемся горячими сторонниками солидарной защиты независимости Кавказских республик.

С. С. Арутюнян. Я уже заявлял в политической комиссии, что вопрос о политических выступлениях мы должны решать не иначе, как снесясь с правительством. Нам эти директивы навязываются. Нам были даны директивы сначала решить территориальный вопрос, а потом уже приступить к вопросу о совместных выступлениях.

Н. В. Рамишвили. Вы хотите выжидать события, выжидайте. Но возможно, что мы окажемся в положении обсуждающих территориальные вопросы, а кругом, Бог знает, что будет делаться.

А. Х. Кантемир. Каковы бы ни были внешние условия, какова бы ни была европейская реакция – отношение кавказских народов одинаково: черное – всегда черное, истина – всегда истина. Деникинская реакция угрожает равно всем кавказским народам и такая Россия, если возродится, поглотит все в границах 1914 года (голос «и больше»). И я считаю, что мы должны высказаться. Я это говорю не потому, что мы горцы, а потому, что я становлюсь на вашу точку

зрения, тем более имею не это право, что был членом Закавказского сейма. События могут пройти мимо правительства. Речь идет об интересах армянского народа, это наш общий интерес. С другой стороны, Кавказский вопрос не грузинский, не армянский, а вопрос в целом и если на конференции не будет поставлен вопрос ребром, то получится впечатление, что кавказские народы не солидарны и не могут жить самостоятельно".[11]

საფრთხე სერიოზული იყო. ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იმპერიის აღდგენისათვის მებრძოლი გენერალ დენიკინის არმიას ჩრდილოეთ კავკასია თითქმის დაკავებული ჰქონდა და საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებთან იდგა. სომხეთის პოზიცია, ჩვენი აზრით, გაუმართლებელი იყო. მართალია დენიკინი უშუალოდ სომხეთის საზღვართან არ იდგა, მაგრამ დიდი ნათელმხილველობა არ სჭირდებოდა იმის განსაზღვრას თუ რა ბედი ელოდა სომხეთს საქართველოსა და აზერბაიჯანის შესაძლო დაპყრობის შემდეგ.

სწორედ 1919 წლის მაის-ივნისში საქართველოსა და აზერბაიჯანის ჩრდილოეთ საზღვრებთან შექმნილმა ვითარებამ მისცა ბიძგი ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების დადებას.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო კავკასიაში დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალების გაერთიანებისაკენ გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი. სწორედ ასე აფასებდნენ ამ ფაქტს ქართველი და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები 1919 წელსაც და შემდგომშიც.

აი, რა განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა 1919 წლის 22 ივნისს, დამფუძნებელი კრების მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს – „ამ ტრიბუნიდან არა ერთხელ თქმულა მთავრობის სახელით,

[11] მ. ბახტაძე, გ. მამულია. მასალები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან (1917-1921 წლები). თბ. 2005.

რომ უმთავრესი გეზი, არამც თუ საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში, არამედ, მთელ ჩვენ მოღვაწეობაში, რომლის ირგვლივ ტრიალებს მთელი ჩვენი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ენერგია, ეს გახლავთ კეთილმეზობლური განწყობილება ამიერკავკასიაში მობინადრე ერებთან... ჩვენის ინიციატივით, ჩვენის დაუინებით, 26 აპრილს, თავი მოიყარეს კავკასიის კონფერენციაზე ოთხი ერის[12] წარმომადგენლებმა. პირველი ჩვენი შეხვედრა იმედის მომცემი იყო... მიუხედავად იმ სხვადასხვა საკითხისა, რომლის ირგვლივ დღეს დღეობით ტრიალებს ჩვენ შორის უთანხმოება და არევდარევა, არის ერთი რამ, რომელიც ჩვენ მჭიდროდ უნდა გვაკავშირებდეს: ეს საერთო ძალით ამიერკავკასიის ფარგლებში ჩვენი დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობის დაცვაა... აი ის საერთო ნიადაგი, რომელიც უნდა გვაერთიანებდეს ჩვენ და რომელიც უნდა ქმნიდეს ამ მეზობელ ერებიდან ერთეულს ... ვერც ერთი ასეთი საკითხი ამიერკავკასიის კონფერენციამ არ გადაჭრა... მე არ შევუდგები ეხლა თქვენს წინაშე იმის მტკიცებას თუ ვის უდევს ამაში ბრალი, პირუთვნელი ისტორია ბოლოს და ბოლოს იტყვის... თუ ვინ ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უშლიდა ამ ჩვენს საერთო საკეთილდღეო საკითხის გადაჭრას... ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. აქ შეერთდა საერთო მტრის წინააღმდეგ მხოლოდ ორი ხალხი... ეს ხელშეკრულება არის მიმართული მხოლოდ მათ წინააღმდეგ, ვინც მოისურვებს ამიერკავკასიის აი ამ ორ რესპუბლიკათა და მათი დემოკრატიის განადგურებას, ეს ხელშეკრულება არის მიმართული იმ ძალის წინააღმდეგ, რომელიც მოისურვებს თავის ნებასურვილი ჩვენ ხალხს მოახვიოს. არავითარი აგრესიული ხასიათი ამ ხელშეკრულებას არ აქვს. ეს არის თავდაცვითი აქტი და ეს ნათელ ზოლით თავიდან ბოლომდის გატარებული არის ჩვენ ხელშეკრულებაში... ეს კავშირი

[12] იგულისხმება საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლები.

არის მიმართული გარეშე ძალების წინააღმდეგ, რომელნიც მოისურვებენ ჩვენი რესპუბლიკების დამხობას და რასაკვირველია, ერთი მუხლი, სადაც არის ნათქვამი მესამე, მხოლოდ მაშინ, თუ რომელიმე ჩვენი მეზობელი, რაც მე არ მინდა დავუშვა, მოინდომებს გამოიყენოს ეს ჩვენი საერთო მდგომარეობის გართულება, თავისი მიზნების განსახორციელებლად და შინაურ საქმეების გადასაწყვეტად, თავის თავად ცხადია, ეს იყო ჩვენი მოვალეობაც, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვეთქვა, რომ აქ ჩვენ გვაქვს საქმე, საუბედუროდ, მტრულ განწყობილებასთან. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ჩვენ უნდა ისე მოვიმოქმედოთ, როგორც ამას ჩვენი ინტერესი და დემოკრატიის ინტერესი გვავალებს... საქართველოს მთავრობა გამოიყენებს ამ ხელშეკრულებას მხოლოდ იმისთვის, რომ დაიცვას თავისი ინტერესები, ააცდინოს ხალხს ყოველნაირი საშიშროება, საიდანაც არ უნდა მოეველინებოდეს ეს მას.“[13]

მინისტრის სიტყვაში მოკლედ, მაგრამ ზუსტად არის ახსნილი ხელშეკრულების დადების მიზეზიცა და მიზანიც. თავისი გამოსვლის ბოლო ნაწილში, ეხება რა ხელშეკრულების მე-2 მუხლის შინაარსს, ევგენი გეგეჭკორი ძალიან ფრთხილად, დიდ ტაქტით ხსნის ამ მუხლის არსებობის აუცილებლობას ისე რომ პირდაპირ არ ასახელებს სომხეთს.

ის, რასაც დიპლომატურად ხაზს უსვამდა და პირდაპირ არ ამბობდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ცხადად ითქვა აზერბაიჯანულ პრესაში. აი, რას წერდა გაზეთი „აზერბაიჯანი“ – „იწყება ახალი პერიოდი ამიერკავკასის დემოკრატიის ცხოვრებაში. დიფერენციის პერიოდი ადგილს უთმობს ფედერაციას... ამ ხელშეკრულების შინაარსიდან მკითხველი დაინახავს, რომ მიზანი ამ კავშირისა მტკიცე თავდაცვითია. საჭიროებას ამნაირი კავშირისას უკანასკნელი ამბები გვიკარნახებს, როდესაც დენიკინმა სრულიად გადაჭ-

[13] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 24/VI. 1919 წელი.

რით დაუწყო მუქარა ამ ორ რესპუბლიკას... თუ ამ საფრთხის წინაშე ყველაზე უწინ მოასწრეს ერთმანეთის გაგება და ბრძოლის საერთო ენის გამოძებნა მხოლოდ ორმა რესპუბლიკამ, ეს იმით აიხსნება, რომ ჯერ ეს ერთი: ეს ორი ნაცია პირდაპირ საფრთხის ქვეშ იმყოფებიან და მეორეც ის, რომ მიუხედავად ზოგიერთი უთანხმოებისა, თურქებსა და ქართველებს შორის სულ მუდამ სუფევდა ტრადიციული მეგობრობა, ვიდრე სიძულვილი... შეთანხმებულმა რესპუბლიკებმა დიდი ენერგია დახარჯეს იმის შესახებ, ამიერკავკასიის მესამე ეროვნებასაც, სომხეთის მთავრობის სახით, მიეღო მონაწილეობა ამ კავშირში. მაგრამ ამ სურვილმა ამაოთ ჩაიარა. მოგვიხდა ხელშეკრულებისათვის მოგვეწერა ხელი მხოლოდ აზერბაიჯანსა და საქართველოს წარმომადგენლებს, რაშიც, ეჭვგარეშეა ჩვენ დამნაშავენი არა ვართ. რომ ჩვენ სომხეთის იზოლაცია არ გვსურდა ეს იქიდანაც ჩანს, რომ ხელშეკრულებაში შევიტანეთ პუნქტი, რომელიც შეძლებას აძლევს სომხეთს, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც შეუერთდეს ჩვენ კავშირს... ეს ისტორიული აქტი უფრო იმითაა ძვირფასი, რომ განამტკიცებს ტრადიციულ მეგობრობას ორ მეზობელ ერთა შორის და წინ წასწევს მეტ და მუდმივ თანამშრომლობისაკენ ამიერკავკასიის ერებს".[14] სრულიად მართებულად შენიშნავდა ცნობილი აზერბაიჯანელი პოლიტიკოსი, პარტია მუსავატის ერთ-ერთი ლიდერი რასულ-ზადე – „Сепаратный образ действия отдельных кавазских народов навлекал бедствия не только на данный народ, но и на все остальные народы Кавказа".[15]

1919 წელს ამ ხელშეკრულების ამოქმედება საჭირო აღარ გახდა. დენიკინის პირველი და მთავარი მიზანი ბოლშევიკური ხელისუფლების დამხობა იყო. იმ მომენტში ძირითადი დარტყმა კიევისა და ცარიცინის მიმართულებით ხორ-

[14] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 24/VI. 1919 წელი.

[15] М. Э. Расул-заде. О Пантуранизме в связи с кавказской проблемой. Париж. 1930.

ციელდებოდა[16]. შექმნილ სიტუაციაში „თეთრებისათვის“ სრულიად მიუღებელი იყო საქართველოსა და აზერბაიჯანთან სერიოზული სამხედრო დაპირისპირება. ამიტომ მათმა სამხედრო ნაწილებმა სამხრეთ კავკასიის მიმართულებით მოძრაობა შეწყვიტა. „თეთრების“ წინააღმდეგ საქართველო-აზერბაიჯანის ერთობლივი გამოსვლა საჭირო აღარ გახდა.

რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის გამო, რაღაც პერიოდის მანძილზე სამხრეთ კავკასიისათვის არც ერთ მებრძოლ მხარეს არ ეცალა. ვითარება კიდევ ერთხელ 1920 წლის გაზაფხულზე დაიძაბა. აზერბაიჯანის საზღვრებს ამჯერად „წითელი“ რუსეთის ძალები მოადგნენ.

27 აპრილს, საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა აზერბაიჯანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაიწყეს. წითლების ავანგარდს ჯავშანმატარებლები შეადგენდნენ. ქართული პრესა იუწყებოდა, „27 აპრილს დილის 4 საათზე ბაქოდან მოვიდა ცნობა, რომ ბოლშევიკებმა გადმოლახეს აზერბაიჯანის საზღვრები. აზერბაიჯანი მოითხოვდა შველას საქართველოს რესპუბლიკისაგან... აზერბაიჯანის ჯარს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ბოლშევიკებს წინ მოუძღოდათ ჯავშნიანი მატარებლები. როგორც ჩანს აზერბაიჯანის ჯარს არც გზა გაუფუჭებია არც ხიდი აუფეთქებია... აზერბაიჯანის მთავარი ძალები ამ დროს იყო ყარაბაღში და განჯის რაიონში.“[17]

აზერბაიჯანის მთავრობამ დახმარებისთვის საქართველოს მიმართა და ხელშეკრულების თანახმად საქართველოს ხელისუფლებას სასწრაფოდ სამხედრო დახმარება უნდა აღმოეჩინა მეზობელი მოკავშირე სახელმწიფოსათვის. სამწუხაროდ საქართველოს ხელისუფლებამ არაფერი იღონა აზერბაიჯანის დასახმარებლად. შედეგად მოხდა ის, რომ აზერ-

[16] დენიკინმა შეტევა კიევის მიმართულებით 19/V დაიწყო. მისმა ჯარებმა 24/VI დაიკავეს ხარკოვი, 30/VI – ცარიცინი, 31/VIII – კიევი.

[17] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 29/IV. 1920 წელი.

ბაიჯანის დაპყრობის შემდეგ „წითლები“ საქართველოს საზღვრებში შემოიჭრნენ. იმ ეტაპზე საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა.

რამ განაპირობა, რომ საქართველოს მთავრობამ თავისი სამოკავშირეო ვალდებულება არ შეასრულა? ამ კითხვას პასუხი თავის დროზე მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ გასცა. მოგვყავს ვრცელი ნაწყვეტი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის 30 აპრილის გამოსვლიდან, დამფუძნებელი კრების წევრების წინაშე – „27 ამ თვეს დილით, ადერბაიჯანის მთავრობამ გვამცნო ბოლშევიკების ჯარი მოადგა ჩვენს საზღვრებსო, ჩვენი ჯარები მათ ებრძვიან და სამხედრო დახმარება აღმოგვიჩინეთო. მაშინვე შეიკრიბნენ მინისტრები და ჩვენ დავსვით ასეთი წინასწარი კითხვა: სურს ადერბაიჯანის ხალხს შეებრძოლოს ბოლშევიკებს? მიიღებენ ამ ბრძოლაში ისინი მთავარ სიმძიმეს? ამ შემთხვევაში ჩვენ მოვალე ვიქნებით არა მარტო ხელშეკრულების ძალით, არამედ პოლიტიკურად და მორალურადაც ... ჩვენ ვთქვით, თუ გარეშე ძალა ადერბაიჯანის ერის თვითგამორკვევას ემუქრება, თუ ის მის საზღვრებში ძალით შემოდის, ეს არის აღმაშფოთებელი დარღვევა ერის უფლებისა და ჩვენც მასთან ვიქნებით. მაგრამ თუ ეს ასე არ არის, თუ თვით ერი, ხალხია მომხრე უცხო ძალის შემოყვანისა მაშინ ამ ძალის წინააღმდეგ გალაშქრება ერის უფლების შელახვა იქნება ჩვენის მხრით და იმავე დროს გაგზავნილი ჯარის დაღუპვაც. აი ეს ჩვენი აზრი დაუყოვნებლივ ვაცნობეთ ბაქოში და შეუდექით გამორკვევას იქაური პოლიტიკური ატმოსფეროსი. მაგრამ საათის პირველზე უკვე მივიღეთ ცნობები, რომ ბოლშევიკები უკვე ხაჩმაზში მოვიდნენ, ხოლო საღამოს შვიდ საათზე სადგურ სანგაითში, ბალაჯარის ახლო ე.ი. ექვსი საათის განმავლობაში განვლეს ასი ვერსი. მაშინ კი გავიგეთ რაშიც იყო საქმე და ვთქვით, ბოლშევიკები შედიან სწრაფი მატარებლით, სრულიად უბრძოლველად და მაშასადამე ადერბაიჯა-

ნის თანხმობით მოვიდნენ სრულიად უმნიშვნელო ძალებით, ორი ჯავშნიანი მატარებლით, მათი უკან გარეკა და მატარებელთა დატყვევება მცირე ძალას შეეძლო, მაგრამ ვინაიდან ამის სურვილი არ იყო, ბოლშევიკების შემოსვლა უბრალო გასეირნებად გადაიქცა. ჩვენი ეჭვები, როგორც ხედავთ სავსებით გამართლდა. რაზე იყო დაფუძნებული ჩვენი ეჭვები? ეს იყო დაფუძნებული ორ გარემოებაზე: იქ სადაც არ არის დემოკრატია, დემოკრატიული ორგანოები, მაშასადამე ხალხი თავის თავს არ მართავს, არ არის ჩაბმული პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აი აქ ხალხი თავის მხსნელს და მართველს მოელის ზევიდან გარეშედან, აღჭურვილი მაგარი ხელით და მტკიცე ნებისყოფით და თუ კიდევ ამას მიუმატებთ იმას, რომ ადერბაიჯანში რევოლუციის არც ერთი დიდი მონაპოვარი არ განხორციელებულა, იქ ჯერაც არ ჩამოურთმევიათ ხანებისთვის მიწები და მთელი აგრარული ურთიერთობები სავსებით შენახულია, ადვილად წარმოიდგენთ ხალხის უკმაყოფილებას არსებული რეჟიმით და მის სურვილს ამ რეჟიმის გამოცვლისა თუნდაც ავანტიურაში გადავარდნით. აი ამ გარემოებამ მოამზადა სოციალური ნიადაგი ადერბაიჯანში ბოლშევიკური გადატრიალებისა. მარა ამას ზედ დაერთო მეორე არანაკლებ საყურადღებო მომენტი. ეს არის მომენტი ნაციონალური და ამას აშკარად აღიარებს ბაქოს დღევანდელი მთავრობა თავის უკანასკნელ მოწოდებაში. ისინი ადერბაიჯანის წინანდელ მთავრობას აცხადებენ ერის მოღალატეთ იმიტომ, რომ მას კავშირი ჰქონდა ანტანტასთან, ხოლო ანტანტამ დაამარცხა ოსმალეთი, დაჰყო ის და მაშასადამე ბაქოს კომუნისტების თვალში ეს ანტანტა ადერბაიჯანის მტერიც არის. ხოლო ვინაიდან მოსკოვის ბოლშევიკებიც ანტანტის წინააღმდეგია, რადგან ისინი ჯერ კიდევ არ იცნო ევროპამ, აქ შეერთდა ინტერესები მოსკოვარსრუმისა და გაიბა ქსელი რუსის კომუნისტების და ანატოლიის ნაციონალისტებს შორის. შეიძლება გადაჭრით ითქ-

ვას, რომ ადერბაიჯანის კომუნისტურ გადატრიალებაში ეს ნაციონალური მომენტიც თამაშობდა უაღრეს როლს... როგორც ხედავთ ადერბაიჯანის ბედი დღეს შეერთებულია ბოლშევიკურ რუსეთთან და ქიამალ-ფაშა ოსმალებთან. 1918 წელს ჩვენ გადავრჩით იმით, რომ ადერბაიჯანს დროზე გამოვეთიშეთ ე.ი. მაშინ მარტოობამ გვიხსნა ოსმალეთის უღლისაგან და დღესაც იგივე ადრბაიჯანისაგან გამოთიშვა, ჩვენი საკუთარი გზის, საკუთარი პოლიტიკის შენარჩუნება და წარმოება ერთადერთი მხსნელია ჩვენი რესპუბლიკისა, ჩვენი დემოკრატიის.“[18]

ნოე ჟორდანია, ერთი შეხედვით, საკმაოდ ლოგიკურად ხსნის მთავრობის მოქმედებისა თუ უმოქმედობის მიზეზს. მაგრამ მისი სიტყვის ღრმა და დეტალური ანალიზის შედეგად შესაძლებელია სულ სხვა რამ დავინახოთ.

საინტერესოა, როდესაც საქართველოს მთავრობამ ბაქოს თავისი აზრი აცნობა, რა პასუხს ელოდა იქიდან? აზერბაიჯანის ხელისუფლება მოიწერებოდა, რომ ჩვენი ხალხი უცხო ძალის მომხრეაო? ანდა საერთოდ შეიძლება ხალხი საკუთარ სამშობლოში უცხო ძალის შემოსვლის მომხრე იყოს?

საერთოდ ხელშეკრულებები იმიტომ იდება, რომ ისინი უნდა შესრულდეს. საქართველო-აზერბაიჯანის თავდაცვითი სამხედრო ხელშეკრულების პირველივე პუნქტში ნათლად ეწერა, რომ „შეთანხმებული სახელმწიფონი მოვალეთ რაცხენ თავის თავს გაილაშქრონ ერთად მთელი თავისი შეიარაღებული ძალებით და სამხედრო საშუალებებით ყოველივე თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება დამოუკიდებლობას ან ტერიტორიულ ხელშეუხებლობას ერთსა ან ორივე შეთანხმებულ რესპუბლიკას“. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას აზერბაიჯანის საშინაო ვითარებაში გარკვევა კი არ უნდა დაეწყო – „შეუდექით გამორკვევას იქაური

[18] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. I/V. 1920 წელი.

პოლიტიკური ატმოსფეროსიო“ – (რაც თუ მაინცდამაინც აწუხებდათ მანამდე უნდა გაეკეთებინათ), არამედ შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობისათვის (რეგულარული არმია და სახალხო გვარდია) აზერბაიჯანისათვის სასწრაფო დახმარების აღმოჩენა დაევალებინა. რეალურად, აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების უდიდესი ნაწილი მართლაც ყარაბაღში და განჯასთან იყო განლაგებული და ბაქოს მიმართულება ფაქტობრივად დაუცველი აღმოჩნდა. ისიც სიმართლეს შეესაბამება, რომ არ იქნა აფეთქებული რკინიგზის ლიანდაგები და ხიდები, რათა ბოლშევიკთა ჯავშანმატარებლების მოძრაობა შეჩერებულიყო.[19] მაგრამ ეს მიზეზები სრულიადაც არ ათავისუფლებდნენ საქართველოს მთავრობას სამოკავშირეო მოვალეობებისაგან. შეკრების მომენტში მთავრობის წევრებს არ შეიძლება სცოდნოდათ რამდენად სწრაფად მოახერხებდნენ ბოლშევიკები ბაქოს დაკავებას. შეძლებდნენ ამას 24 საათში, თუ 24 დღეში. ჩვენი აზრით, მთავრობის წევრების თათბირის დროს თავიდანვე არასწორად დაისვა საკითხი. უნდა განეხილათ არა მეზობელი რესპუბლიკის საშინაო ვითარება, არამედ აზერბაიჯანის სასწრაფო სამხედრო დახმარების კონკრეტული გზები.

ისტორიაში რთულია (თუ კი საერთოდ შესაძლებელია) საუბარი იმის შესახებ, რა შეიძლება მომხდარიყო მოვლენების სხვანაირად განვითარების შემთხვევაში. თუმცა თავს უფლებას მივცემთ გარკვეული მოსაზრება გამოვთქვათ.

ბოლშევიკებმა მართლაც ძალიან სწრაფად დაიკავეს ბაქო და იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადეს. საქართველოს მთავრობას რაც არ უნდა სწრაფი გადაწყვეტილება მიეღო, ქართულ შეიარაღებულ ნაწილებს რაც არ უნდა ოპერატიულად ემოქმედათ, ისინი ქალაქ ბაქოს ვერ გა-

[19] აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების ჯავშანმატარებელს, რომელმაც რკინიგზის ლიანდაგის მწობრიდან გამოყვანა სცადა, შტაბს-კაპიტანი ლორთქიფანიძე მეთაურობდა.

დაარჩენდნენ. სამაგიეროდ „წითლების“ შეჩერებას მინიმუმ განჯასთან მაინც შეძლებდნენ. ეს რადიკალურად შეცვლიდა მდგომარეობას. გენერალი კვინიტაძე, რომელიც 1920 წლის მაისში საქართველოს საზღვრებში შემოჭრილი ბოლშევიკური ძალების განდევნას მეთაურობდა, თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ იმ მომენტში მისთვის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადასვლისა და „წითლების“ დევნის უფლება რომ მიეცათ, თავისუფლად შეძლებდა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთგული შეიარაღებული ძალების დახმარებით ბოლშევიკთა განდევნას მეზობელი რესპუბლიკიდანაც.[20] 1920 წლის მაისში არსებული ვითარების გათვალისწინებით, მართლაც, საფასებით შესაძლებელი იყო კვინიტაძის გეგმის განხორციელება. ცხადია, გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა ბოლშევიკების დამარცხება თუ კი ქართული შეიარაღებული ძალები მოწინააღმდეგეს მოკავშირის ტერიტორიაზე შეეგებებოდნენ და აზერბაიჯანის არმიის შენაერთებს დაეხმარებოდნენ.

ნოე ჟორდანიას არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, თუ რამ შეუწყო ხელი აზერბაიჯანში ბოლშევიკური ხელისუფლების სწრაფ დამყარებას, შესაძლოა გარკვეულ სიმართლეს შეიცავდა კიდეც[21], მაგრამ ამას არაფერი არ ქონდა საერთო იმასთან, თუ რატომ არ აღმოუჩინა საქართველომ სასწრაფო სამხედრო დახმარება მოკავშირეს. პირადად ჩვენ, მთავრობის თავმჯდომარის არგუმენტები უფრო post faqtum საკუთარი პოზიციის გამართლებისათვის მოყვანილი გვგონია.

ასევე არა სწორად მიგვაჩნია ის ანალოგია, რომელიც მთავრობის თავმჯდომარემ მოიყვანა და 1920 წლის აპრილ-

[20] გ. კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921 წწ. თბ. 1999.

[21] საინტერესოა, რომ თითქმის ანალოგიურ ბრალდებას (ე.წ. იმპერიალისტების მხარდაჭერა და მშრომელთა უფლებების უგულებელყოფა) უყენებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კომუნისტები.

მაისის ვითარება 1918 წლის მაისის მდგომარეობას შეადარა. 1918 წელს ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაშლამ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ[22] და რაც მთავარია გერმანიის პოზიციამ, მართლაც იხსნა ჩვენი ქვეყანა. 1920 წელს ვითარება სრულიად განსხვავებული იყო. არ არსებობდა ძალა, რომელიც საქართველოს რეალურად დაეხმარებოდა და საბჭოთა რუსეთის აგრესიისაგან დაიცავდა. საერთაშორისო ვითარება ჩვენთვის საზიანო იყო. ერთა ლიგაში მიღებაზე უარის თქმამ ნათლად აჩვენა, რომ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნები არ იყვნენ საქართველოთა და კავკასიით სისხლ-ხორცეულად დაინტერესებული. ასეთ შემთხვევაში ერთადერთი იმედი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყველა კავკასიური ძალის გაერთიანება შეიძლება ყოფილიყო. საქართველოს მთავრობამ კი ამის საპირისპირო ნაბიჯი გადადგა და საკუთარი მოკავშირე გაწირა. განა ძნელი ამოსაცნობი იყო საბჭოთა რუსეთის ზრახვები? ხომ ცხადი იყო, რომ აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ ჯერი საქართველოსა და სომხეთზეც მიდგებოდა.[23] აკი ასეც მოხდა და აზერბაიჯანის დაკავების შემდეგ, წარმატებით გახარებულმა ბოლშევიკებმა საქართველოში შემოჭრა სცადეს. თუმცა მათი ეს მცდელობა ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა საკმაოდ ადვილად აღკვეთეს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ კატასტრუფული შეცდომა დაუშვა, მარტო დატოვა რა თავის მოკავშირე.

ძნელი სათქმელია, რა იყო საქართველოს მთავრობის

[22] საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ ამ გადაწყვეტილების მიღებაში დიდი, თუ არა გადამწყვეტი, როლი გერმანიის პოზიციამ ითამაშა.

[23] თუმცა რა გასაკვირია, რომ საქართველოს მთავრობას ასე არ ეჯიქრა. მით უმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ 1921 წლის 15 თებერვალსაც კი, დამფუძნებელ კრებაში გამოსვლისას, ნოე ჟორდანია აცხადებდა – საბჭოთა რუსეთი არანაირ კავშირში არაა იმასთან რაც საქართველო-სომხეთის სასაზღვრო რაიონებში ხდებაო.

უმოქმედობის რეალური მიზეზი – შიში თუ ილუზია იმისა, რომ ეგებ ჩვენ გადავრჩეთო? ალბათ მაინც არსებული ვითარების არასწორი ანალიზი და შესაბამისად, მოვლენათა სავარაუდო განვითარების მცდარი გათვლები.

მართალია, საქართველო-აზერბაიჯანის თავდაცვითმა ხელშეკრულებამ რეალურად არ იმუშავა, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რასულ-ხადე წერდა, „Азербайджанский народ пришёл к идее защиты своего национального бытия, вполне поняв, что вне политической комбинации Независимого Конфедеративного Кавказа ему нет спасения! Этот принцип частично реализовался в виде военно-оборонительного союза, заключенного между Грузией и Азербайджаном“.[24]

1919 წლის 16 ივნისის საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-თავდაცვითი ხელშეკრულება კავკასიის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალების გაერთიანებისკენ გადადგმული პირველი რეალური ნაბიჯი იყო. სამწუხაროდ, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ვერც საქართველომ და ვერც აზერბაიჯანმა მაშინ დამოუკიდებლობის შენარჩუნება ვერ შეძლეს. მიუხედავად ამისა 16 ივნისის ხელშეკრულება საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობათა ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია.

[24] М. Э. Расул-заде. О Пантуранизме в связи с кавказской проблемой. Париж. 1930.

Mikheil Bakhtadze

GEORGIA-AZERBAIJAN TREATY OF 16 JUNE, 1919

Summary

On the 16th June of 1919 treaty was signed between Georgia and Azerbaijan. Both sides agreed that during the military aggression they should protect jointly their independence and territorial unity.

Treaty was distinctively defensive as third clause of this treaty directly points it out. The text of this treaty expresses fully that it was made for the protection of Southern Caucasian newly emerged republics from possible threats.

For the different subjective and objective reasons, none of them, Georgians or Azeriis managed to keep their independence. In spite of this, Georgia-Azerbaijan treaty of 1919, 16 June, is important page in history of these two neighboring countries.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

დიმიტრი სილაქაძე

ოსიაურის ბრძოლა
(რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი)

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენაა. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ამ ომის პოლიტიკური პერიპეტიები, რასაც ვერ ვიტყვით ომის წმინდა სამხედრო ხასიათის პრობლემატიკის კვლევის ხარისხსა თუ ნაშრომების რაოდენობაზე. მართალია, ომი და პოლიტიკა ერთმანეთზე მჭიდროდაა გადაჯაჭვული და ომი სწორედაც რომ პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს, მაინც სასურველია საქართველოს ისტორიით დაინტერესებული პირები და არა მხოლოდ ისინი, კარგად იცნობდნენ ამ ომის წმინდა სამხედრო ხასიათის დეტალებს. დღესდღეობით, ამ მხრივ საუკეთესო ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს 2009 წელს გამოცემული, ისტორიკოს მიხეილ ბახტაძის ნაშრომი – „ბრძოლა თბილისის თავდაცვისათვის 1921 წლის საქართველო-რუსეთის ომი დროს“. თუმცა, ისტორიკოსი, ნაშრომის სათაურიდან გამომდინარე, შემოიფარგლება 25 თებერვლამდე განვითარებული მოვლენების კვლევა-ძიებით. რაც შეეხება ოსიაურის ბრძოლას, რომელიც გაიმართა ხაშურის აღმოსავლეთით (ბრძოლა დაიწყო ქართველთა იერიშით 4 მარტის დილას, ხოლო დასრულდა 6 მარტს ქართველთა მარცხით) და წარმოადგენდა ქართული არმიის პირველ კონტრშეტევას დედაქალაქის დატოვების შემდეგ მე-11 წითელი არმიის ავანგარდ-

ზე, სრულიად შეუსწავლელია ქართული ისტორიოგრაფიის მიერ. რაც შეეხება საბჭოთა და თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიას, ძალიან ბევრიც რომ ვეძებოთ მასში „რუსეთ-საქართველოს“ ომის შესახებ ვერანაირ ინფორმაციას ვერ ვიპოვით, რადგან ის საერთოდ არ ცნობს რუსულ-ქართული ომის არსებობას და ამ სამხედრო დაპირისპირებას რუსეთის სამოქალაქო ომის ჭრილში განიხილავს. ამასთანავე, საბრძოლო მოქმედებათა აღწერას დიდი ყურადღება არ ექცევა, კავკასიის ფრონტის ძალების მიერ ჩატარებული ოპერაცია კი განიხილება ქართველი ხალხისადმი ძმურ დახმარებად.[1] ხოლო, მკვლევართა ნაწილი სამხედრო ოპერაციის მიზანს „მენშევიკთა რეჟიმის“ ხელისუფლების სათავიდან ჩამოგდებად მიიჩნევს.[2] ტენდენციურობის მიუხედავად სამხედრო მოქმედებების აღწერის და ანალიზის მხრივ, გამოირჩევა ა. კადიშევის ნაშრომი – „ინტერვენცია და სამოქალაქო ომი კავკასიაში“, სადაც აღწერილი და განხილულია ჩვენთვის საინტერესო ბრძოლის დეტალები, თუმცა სულ სხვა სათაურით – „ბრძოლა სურამის უღელტეხილისათვის“.[3] ასეთი დასათაურება ბუნებრივიცაა, რადგანაც ქართული არმიის მიერ ლიხის ქედზე და უღელტეხილებზე გამართული თავდაცვითი ბრძოლა, ოსიაურის ველზე დაწყებული ბრძოლის უშუალო გაგრძელება და შემადგენელი ნაწილია. ჩვენ ბრძოლის დასათაურებისას ვამჯობინეთ ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურაში დამკვიდრებული დასახელება აგვერჩია.

ქართულ მემუარულ ლიტერატურაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობები – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის მიერ ოსიაურთან გამართული ბრძოლის შე-

[1] М. Траскунов. Героический боевой путь 11-ой армии на фронтах Гражданской войны. Тб. 1958, გვ. 221.

[2] А. Б. Широкорад. Кавказский капкан. Цхинвал – Тбилиси – Москва. М. 2009, გვ. 110.

[3] А. Б. Кадышев. Интервенция и гражданская война в Закавказье. М. 1960, გვ. 401-404.

სახებ მოიპოვება ქართული არმიის მთავარსარდლის გენერალ გიორგი კვინიტაძის[4] და ამ ბრძოლის დროს შუა საბრძოლო უბნის სარდლის გენ. გიორგი მაზნიაშვილის[5] მოგონებებში. საკუთარ მოგონებებში ასევე ამ ბრძოლის გარკვეულ მომენტებს ეხებიან: საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, დამფუძნებელი კრების წევრი და რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომში მოხალისედ ნაბრძოლი რევაზ გაბაშვილი, ასევე გენშტაბის და ემიგრაციაში წასვლის შემდეგ პოლონეთის არმიის ოფიცერი პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე.

ჩვენ ხელთ არსებული მასალებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მთავარსარდალ გიორგი კვინიტაძის მიერ 1 და 3 მარტს გაცემული ბრძანებები სამხედრო ნაწილების მიმართ. ამ ბრძანებებში დეტალურად არის აღწერილი თითოეული შენაერთის განლაგების და შეტევაზე გადასვლის მიმართულებები, მათ წინაშე დასახული ამოცანები. აღნიშნული დოკუმენტები პარიზში გამომაყალ ქართველ მხედართა ორგანოს – „მხედარს“ გადასცა ქართული არმიის პოლკოვნიკმა და შემდგომში პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალმა (1926 წლიდან[6]) ალექსანდრე ჩხეიძემ. დოკუმენტები 1934 წელს ჟურნალის მეცხრამეტე ნომერში დაიბეჭდა.[7] ჩვენ ხელთ გვაქვს საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივის 1969 ფონდში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს არქივში, მიკვლეული საქმე № 287, სადაც ინახება საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელ არმიაში შემა-

[4] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. წ. 2. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები. რუსულიდან თარგმნეს ნონა გოგიჩაიშვილმა და ნინო ქაჯაიამ. თბ. 1999, გვ. 100-106.

[5] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი. თბ. 1927, გვ. 180-187.

[6] ლევან დოლიძე. გენერალისიმუსი, მარშლები, გენერლები, ადმირალები, ჩვენი თანამემამულენი. თბ. 2000, გვ. 149.

[7] თსუ-ს ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გ. შარაძის კერძო კოლექცია. ჟურნალი მხედარი. ქართველ მხედართა ორგანო. პარიზი 1934, №17 გვ. 78-83.

ვალი მე-12 ცხენოსანი და მე-20 მსროლელი დივიზიის საბრძოლო მოქმედებათა ჟურნალები, ამავე საქმეში დაცული „კომანდარმ“ (მე-11 არმიის სარდალი) ანატოლი ჰეკერისა და არმიის შტაბის უფროსის რემეზოვის ზოგიერთი დირექტივა.[8] სწორედ ამ დოკუმენტურ და მემუარული ხასიათის მასალებზე დაყრდნობით, შევეცდებით აღვადგინოთ ოსიაურის ბრძოლის საერთო სურათი და გავწიოთ მოწინააღმდეგეების მოქმედებათა ანალიზი.

თბილისიდან უკანდახევის შემდეგ, ქართულმა არმიამ ვერ შეძლო პოზიციების მოწყობა ვერც მცხეთისა და ვერც გორის ხაზზე და მცირე არიერგარდული ბრძოლებით ხაშურისა და სურამისაკენ დაიხია. ძალების სიმცირის გამო განსაკუთრებით რთული გორის პოზიციებზე გამაგრება გახლდათ შესაძლო ფრონტის ხაზის სიგრძის გათვალისწინებით. ამას ემატებოდა დეზერტირობა, რადგანაც ჯარის გარკვეულ ნაწილებში დედაქალაქის დატოვებამ დემორალიზაცია გამოიწვია. საბჭოთა მონაცემებით 1921 წლის 1 მარტისათვის „მენშევიკურ არმიაში“ დარჩენილი იყო 5 000 ქვეითი და 300 კავალერისტი.[9] ოსიაურის ბრძოლის დროს მებრძოლთა თითქმის იგივე რიცხოვნობაზე საუბრობს გენერალი კვინიტაძე – 6 000 ჯარისკაცი.[10]

ქართული არმიის სარდლობამ გადაწყვიტა ხაშურისა და სურამის პოზიციებზე მოწინააღმდეგისათვის გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა, რაც ძალიან ხელსაყრელი იყო მთაგორიანი ადგილმდებარეობის გამო – გაბატონებული სიმაღლეების ფლობა და ფრონტის ხაზის მცირე სიგრძე მოწინააღმდეგის შეჩერების კარგ საშუალებას იძლეოდა. პოზიციების

[8] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა) ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287. საქმე ადრე ინახებოდა იმელის პარტარქივში. ფონდი 8, აღწერა 5. საქმე 286.

[9] Гражданская война в СССР. т. 2. გვ. 350.

[10] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. წ. 2. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები. თბ. 1999, გვ. 100.

გამაგრება, „საინჟინრო-სატეხნიკო“ ჯარების სარდალს გენერალ თაყაიშვილს დაევალა. როგორც გიორგი მაზნიაშვილი დასძენს, გენერალ თაყაიშვილის მიერ ვერ მოესწრო თავდაცვითი ნაგებობების მოწყობა უღელტეხილზე. ამასვე ადასტურებს ნოე ჟორდანია, რომელსაც ცხენით დაუთვალიერებია პოზიციები და არაფითარი „სიმაგრე“ იქ არ უნახავს.[11] კვინიტაძე კი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ მთებზე პოზიციები ამორჩეული და გამაგრებული იყო თაყაიშვილის მიერ.[12] საერთო ჯამში, ადგილმდებარეობა დამცველი მხარისათვის გაცილებით მომგებიანი იყო. ოპტიმისტურად იყო განწყობილი პოლიტიკური ელიტაც. 28 თებერვალს ქუთაისში გამართული დამფუძნებელი კრების სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე აცხადებდა: „ლიხის მთაგრეხილის ბუნებრივ ზღუდეს დაემატება ჩვენი მხედრობის ცოცხალი გალავანი. აქ მიეცემა მტერს უკანასკნელი მოგერიებითი ბრძოლა, აქედან დაიწყება ჩვენი მხედრობის წინსვლა. აქ ამ პოზიციებზე იქნებიან არა მარტო დასაველეთ საქართველოს მცხოვრებნი, არამედ ის ქართლკახელნი, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის ლაშქარში არიან. აქ იწარმოებს არა იმერეთის დაცვის ბრძოლა, არამედ მთელი საქართველოს განთავისუფლების საქმე“.[13] ქართული არმიის მდგომარეობას ართულებდა სხვადასხვა მიმართულებიდან დაძრული რუსული არმიების შენაერთები: აფხაზეთის ფრონტზე შეტევას ახორციელებდა მე-9 წითელი არმიის 31-ე დივიზია, თუმცა მარტის დასაწყისში, მისი შეჩერება მოხერხ-

[11] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი. თბ. 1927, გვ. 181; ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული. თბ. 1990, გვ. 125. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მთავრობის თავმჯდომარემ, ეს ადგილები მინიმუმ 5 დღით ადრე გაიარა. 5 დღე მართალია არ არის დიდი დრო, მაგრამ გარკვეული ტიპის გამაგრებითი სამუშაოების ჩასატარებლად საკმარისია.

[12] გიორგი კვინიტაძე. ჩემი პასუხი. თბ. 1990, გვ. 23.

[13] ჩვენი საქმე მართალი საქმეა და მან უნდა გაიმარჯვოს. დამფუძნებელი კრების სხდომა ქუთაისში, 1921 წლის 28თებერვალი. რედ. მალხაზ მაცაბერიძე. თბ. 2009, გვ. 18.

და ახალი ათონის პოზიციებზე.[14] ჩრდილოეთიდან მამისონის უღელტეხილის გავლით მოიწევდა თერგ-დაღესტანის მე-10 არმიის 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადა, რომელიც გაძლიერებული იყო თერგის ცხენოსანი პოლკისა და ოსთა პარტიზანული შენაერთით. მიუხედავად იმისა, რომ მათ შეძლეს 2 მარტს ონის დაკავება, ქართულმა რაზმებმა გზები შეკრეს რაჭიდან იმერეთისაკენ მომავალ სამივე მიმართულებაზე: ონი-ქვაგატეხილა-შქმერი-საჩხერე-ქუთაისი, ონი-ამბროლაური-ტყიბული-ქუთაისი, ონი-ამბროლაური-ქუთაისი. საშიშროებას ქმნიდა დარიალის ხეობიდან, თრუსოს და როკის უღელტეხილიდან გადმოსული ოსთა პარტიზანული შენაერთები. თუმცა, ქართულ არმიას მთავარი ბრძოლა თბილისიდან დაძრულ მე-11 არმიის ნაწილებთან უნდა გადაეხადა და წარმატების შემთხვევაში მეორეხარისხოვან მიმართულებებზე ბრძოლა გაადვილდებოდა. ამ აზრის სისწორე განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურეს. ხაშურთან მარცხმა დააჩქარა სხვა მიმართულებებზე ქართული ნაწილების დამარცხება.

გენერალი კვინიტაძე მიიჩნევდა, რომ: „პირველ რიგში შეტევა უნდა განგვეხორციელებინა იმ მოწინააღმდეგეზე, რომელიც ამ წუთას ჩვენთვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენდა; ასეთი გახლდათ უახლოესი თბილისის მხრიდან მოახლოებული მოწინააღმდეგე. მამისონის უღელტეხილიდან და შავი ზღვის სანაპიროდან მომავალ მტერს თავისი მოქმედებები ჯერ იმდენად არ გაეშალა. რომ ხაშურში შეკრებილ ცოცხალი ძალის ბირთვს უშუალოდ დამუქრებოდა. ამიტომაც გადავწყვიტე უპირველეს ყოვლისა შეტევა თბილისის მხრიდან მოახლოებულ მტერზე განმეხორციელებინა და უკუმეგდო, ხოლო მისი მოწინავე რიგები სრულიად გამენადგურებინა“.[15] ქვეყანას, რომლის ტერიტორიასაც ოპერატიული

[14] ნოდარ დარსანია. მე-9 წითელი არმია და 1921 წლის მოვლენები აფხაზეთში. საისტორიო ძიებანი, წელიწდეული. I, თბ. 1998, გვ. 139.

[15] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. წ. 2. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები. თბ. 1999, გვ. 100.

სიღრმე არ გააჩნია, დროის მოგება აძლევს საშუალებას რეზერვებით ზურგი გაიმაგროს. სწორედ ამგვარი მოქმედებითაა შესაძლებელი მოწინააღმდეგის შეკავება და განადგურება. კვინიტაძეც ჩასატარებელი ოპერაციის მთავარ მიზნად დროის მოგებას და მთავარ მიმართულებაზე მოქმედი მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის დასუსტებას და შემდეგ განადგურებას მიიჩნევდა.

მას შემდეგ, რაც რუსებმა თბილისი აიღეს, 26 თებერვალს შეიქმნეს ბათუმის მიმართულების ჯგუფი. ჯგუფს მეთაურობდა მეცხრე მსროლელი დივიზიის მეთაური კუიბიშევი. ჯგუფში შედიოდა: მეცხრე დივიზიის: 25-ე და 26-ე მსროლელი ბრიგადები, ასევე მეთვრამეტე დივიზიის 52-ე მსროლელი ბრიგადა და მე-12 და მე-18 ცხენოსანი დივიზიების ორ-ორი ბრიგადა. ჯგუფს დაევალა მოწინააღმდეგის დევნა მცხეთა-გორი-სურამის მიმართულებით და სურამის უღელტეხილის დაკავება.[16] მოგვიანებით, სამი მარტის ბრძანებით ჯგუფს დაემატა 32-ე დივიზიის 96-ე მსროლელი ბრიგადა,[17] ასევე მეცხრე დივიზიის ცხენოსანი პოლკი.[18] 4 მარტს, როდესაც ქართული არმია შეტევაზე გადავიდა და საკმაოდ დიდ წარმატებასაც მიაღწია, კომანდარმა ჰეკერმა გასცა ბრძანება მაქსიმალურად სწრაფად გადაესროლათ მატარებლით კასპისაკენ და შემდეგში გორისაკენ ფეხით სომხური ნაწილები: ლორეს ცალკეული პოლკი, ლაზიანის შენაერთი და სომხური ცხენოსანი პოლკი.[19] სომხურ შენაერთებს 4-5-6 მარტის ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგანაც 5 მარტიდან ბრძოლის სასწორი რუსების სასარგებლოდ გადაიხარა და მათი გამოყენების საჭიროებაც მოიხსნა.

საინტერესოა ზემოთ ჩამოთვლილი რუსული შენაერთების რიცხოვნობის დადგენა. პირდაპირი მონაცემების უქონ-

[16] სცსა ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287. ფ. 126.
[17] სცსა ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287. ფ. 125.
[18] А. Б. Кадышев. Интервенция и гражданская война в Закавказье, გვ. 401.
[19] სცსსა ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287. ფ. 51.

ლობის გამო ზუსტი რიცხვის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ ხელთ გვაქვს საქართველოში შემოსული შენაერთების პირად შემადგენლობების მებრძოლთა რიცხვი, 1920 წლის 15 ოქტომბრისა და 1 ნოემბრის მდგომარეობით, მართალია, ეს მონაცემები ასი პროცენტით ზუსტი ვერ იქნება, მაგრამ ახლოს იქნება ნამდვილ რიცხვებთან. ზოგიერთი სამხედრო შენაერთის შემთხვევაში კი ხელი მიგვიწვდება 1921 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებზე. საქართველოსთან ომის დაწყების წინ ბათუმის საბრძოლო ჯგუფში შემავალ შენაერთთა პირადი საბრძოლო შემადგენლობა შემდეგნაირად განვსაზღვრეთ:

მე-9 დივიზიის – 25-ე და 26-ე ბრიგადა – 8500 – 9000 ჯარისკაცი, მეცხრე ცხენოსანი პოლკი – 500 კავალერისტი.[20]

[20] Директивы командования фронтов Красной Армии (1917-1922). Сборник документов в 4 Томах. Т. IV. М. 1978, გვ. 207-208, 222. მე-9 მსროლელი დივიზია 1920 წლის 15 ოქტომბრის მონაცემებით, ირიცხება სამხრეთის ფრონტის მე-13 არმიაში და მის მებრძოლთა რიცხვი განისაზღვრება 6961 ჯარისკაცით, საიდანაც 215 კავალერისტია, ხოლო მთლიანი პირადი შემადგენლობა 14 702 კაცი (როგორც წესი, მებრძოლთა რიცხვი პირადი შემადგენლობის გარკვეულ პროცენტს შეადგენდა ხშირ შემთხვევაში – ნახევარზე ნაკლებსაც კი ჩვენ ნაშრომში განვსაზღვრავთ მხოლოდ საბრძოლო შემადგენლობის რიცხვს). ხოლო, 1 ნოემბრისათვის დივიზია გადაყვანილია ამავე ფრონტის მეოთხე არმიაში, 1 ნოემბრის მონაცემებში არ არის ნაჩვენები დივიზიების მიხედვით სამხედრო ნაწილების რიცხოვნობა, მოყვანილია მხოლოდ არმიის საერთო რიცხვი და მასში შემავალი ნაწილების ნუმერაცია, მეოთხე არმიის საბრძოლო შემადგენლობის მთლიანი რიცხვი განისაზღვრება 80 173 ჯარისკაცით, და მასში შედის 23-ე, 30-ე; მე-9; 46-ე მსროლელი დივიზიები, ასევე კურსანტთა დივიზია, მე-5, მე-7; მე-9 ცხენოსანი დივიზიები, ინტერნაციონალური ცხენოსანი ბრიგადა. თითოეული ამ დანაყოფის შემადგენლობა ზუსტადაა ცნობილი 15 ოქტომბრის მონაცემებით; ამის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია მიახლოებით განვსაზღვროთ მე-9 დივიზიის რიცხოვნების ცვლილება. ბუნებრივია, ვითვალისწინებთ არა მხოლოდ მე-9 დივიზიის, არამედ თითოეული ამ შენაერთის მებრძოლთა რიცხვის ზრდას. უხეში გათვლებით მე-9 დივიზიის საბრძოლო შემადგენლობა მინიმუმ 14 000-15 000 მებრძოლამდე უნდა გაზრდილიყო, ეს დივიზია 1921 წლის თებერვლის დასაწყისში გადაირიცხა მე-11 წითელ არმიაში და საეარაუდოდ მისი მრავალრიცხოვნობის გამო. მე-9 დივიზიის ძალები რუსეთ-საქართველოს ომის დროს შემ-

ხაშურთან ბრძოლის დროს თითოეულ ბრიგადა დაახლოებით 4 000 კაციანი უნდა ყოფილიყო, ხოლო ცხენოსანი პოლკი დაახლოებით 400 ცხენოსანი.

მე-18 დივიზიის 52 ბრიგადა – 2700 ჯარისკაცი.[21] 52-ე ბრიგადა მხოლოდ 24 თებერვალს ჩაერთო თბილისთან ბრძოლაში და მისი დანაკარგი დიდი არ უნდა ყოფილიყო, ჩვენი აზრით, ბრიგადა ხაშურთან დაახლოებით 2500 მებრძოლს ითვლიდა.

32-ე დივიზიის 96 ბრიგადა – 2000 ჯარისკაცი.[22] ბრიგადამ თბილისთან დიდი დანაკარგი განიცადა, იგი იბრძოდა კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებაზე. მარტის დასაწყისისათვის შენაერთში 1200-1300 ჯარისკაცამდე უნდა ყოფილიყო. ბრიგადა გომში[23] მხოლოდ 6 მარტს მივიდა და ბრძოლებში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია. მეთორმეტე და მეთვრამეტე ცხენოსანი დივიზიების საბრძოლო შემადგენლობის რიცხოვნობა – ომის დასაწყისისათვის შეადგენდა – 3000-3200 კავალერისტს.[24] თბილისთან ბრძოლის შემდეგ ცხენოსა-

დეგნაირად განვსაზღვრეთ: ორი მსროლელი ბრიგადა (სულ დივიზიებში იყო სამი მსროლელი ბრიგადა და ცხენოსანი პოლკი, ასევე სხვა საბრძოლო უზრუნველყოფის ნაწილები) 25-ე და 26-ე დაახლოებით 8500-9000 ჯარისკაცი, ცხენოსანი პოლკი – 500 მდე ხმალი.

[21] Директивы командования фронтов Красной Армии (1917-1922). Т. IV, გვ. 201, 223. მე-18 მსროლელი დივიზია 15 ოქტომბრის მონაცემებით შედიოდა დასავლეთის ფრონტის 15 არმიის დაქვემდებარებაში და მისი საბრძოლო შემადგენლობა განისაზღვრებოდა 7156 მებრძოლით, აქედან 195 კავალერისტი. ხოლო 1 ნოემბრისათვის კავკასიის ფრონტის მე-9 არმიაში, უხეში გათვლებით, დივიზიის საბრძოლო შემადგენლობა შეადგებოდა 9-10 000 მებრძოლისაგან.

[22] Директивы командования фронтов Красной Армии (1917-1922). Т. IV, გვ. 213, 223. ოცდამეთორმეტე მსროლელი დივიზია 15 ოქტომბრისათვის შედიოდა კავკასიის ფრონტის მე-11 არმიაში, მისი შემადგენლობა განისაზღვრებოდა 7091 მებრძოლისაგან, მათ შორის 270 კავალერისტი. პირველი ნოემბრის მონაცემებით, არმიის ფარგლებში დივიზიის ძალების განხილვისას ცვლილებები ფაქტიურად არ არის (დივიზია რუსეთ-საქართველოს ომში წარმოდგენილი იყო ერთი 96-ე ბრიგადით დაახლოებით 2 000 ჯარისკაცი.

[23] სოფ. გომი ხაშურის აღმოსავლეთით 15 კილომეტრზე მდებარეობს.

[24] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287. ფურცელი 3.

ნი დივიზიების პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა 2800-3000 კაცამდე იქნებოდა. მე-18 დივიზიას 4-5-6 მარტის ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო მეთორმეტე დივიზიის მხოლოდ ასი ცხენოსანი მონაწილეობდა ოთხი მარტის ბრძოლებში, ხოლო დივიზია ოთხივე პოლკით ბრძოლაში ჩაება 5 მარტს 22 საათიდან.[25]

მთლიანობაში ბათუმის მიმართულების მეთერთმეტე არმიის ჯგუფში უხეში გათვლებით შედიოდა – 12 000 ქვეითი და 3000 კავალერისტი. თუმცა ჯგუფის კოლონები გადაჭიმული იყო ქარელიდან თბილისამდე და მათ ნაწილს 4-5-6 მარტის ბრძოლებში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია. მეწინავე ნაწილებს ჩამორჩა არტილერია და ფურაჟი. გენერალმა კვინიტაძემ გადაწყვიტა ესარგებლა ამ სიტუაციით, თავს დასხმოდა კოლონის ავანგარდს და გაენადგურებინა. მთავარსარდლის პირველი მარტის ბრძანებით, ქართული არმია ხაშურთან დაეწყო შემდეგი წყობით – შეიქმნა ორი წინამავალი ჯგუფი: მარჯვენა წინამავალი – გენ. მაზნიაშვილის მეთაურობით, რომელშიც შედიოდა: მეცხრე, მეათე, მეთორმეტე პოლკები (ბატალიონები)[26] და თბილისის საქარაულო ბა-

Директивы командования фронтов Красной Армии (1917-1922). Сборник документов в 4 Томах. т. IV. М. 1978, გვ. 213, 223. საქართველოში შემოჭრილი მე-12 ცხენოსანი დივიზია შედგებოდა დაახლებით 1500-1600 კავალერისტისაგან, 1921 წლის იანვრის მონაცემებით დივიზიის ერთ-ერთ პოლკში ირიცხებოდა 416 კავალერისტი. რუსეთ-საქართველოს ომის დროს დივიზია წარმოდგენილი იყო ოთხი პოლკით, ანუ მთელი საბრძოლო შემადგენლობის 2/3. მე-18 ცხენოსანი დივიზიაც საბრძოლო შემადგენლობის 2/3-ით იყო ომში წარმოდგენილი. 15 ოქტომბრისა და 1 ნოემბრის მონაცემთა შეჯერებით, დივიზიის საქართველოში შემოჭრილი ნაწილების რაოდენობაც 1500-1600 ცხენოსნით განისაზღვრება.

[25] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287, ფურცელი 9.

[26] კვინიტაძის მიერ გაცემულ დირექტივებში, შენაერთებს ეწოდებათ პოლკები, ისევე როგორც მის მოგონებებში, ხოლო მაზნიაშვილი საკუთარ მოგონებებში შენაერთებს უწოდებს ლეგიონებს, რაც ამ შემთხვევაში პოლკის ქართული შესატყვისია. თუმცა ორივე სარდალი ადასტურებს, რომ ეს შენაერთები იყვნენ ჩვეულებრივი ბატალიონები მშვიდობიანი დროის შტატით და არა ომის დროის სამ ბატალიონიანი პოლკები. გა-

ტალიონი, მსუბუქი არტილერიის ერთი ბატარეა. ჯგუფი უნდა დაწყობილიყო სოფელ ოსიაურის რაიონში რკინიგზის ორივე მხარეს. მარცხენა წინმავალი – გენ. კონიაშვილის მეთაურობით: სამი გვარდიის ათასეული (ბატალიონი), ერთი ბატარეა, გვარდიის ცხენოსანი პოლკი თათრების ასეულით, ოსიაურის ჩრდილოეთით აზარმა-კლდისწყაროს რაიონში უნდა განლაგებულიყო. შეიქმნა სამი სარეზერვო ჯგუფი. მარჯვენა გენ. სუმბათაშვილის, შუა გენ. ანდრონიკაშვილის და მარცხენა გენ. ჯიჯიხიას ხელმძღვანელობით, მათ განკარგულებაში იყო: 1, 4, 5, 7, 8 პოლკები (ბატალიონები), სანაპირო რაზმი, სამთო არტილერიის ერთი ბატარეა, საარმიო არტილერიის ერთი ბატარეა, სამხედრო სკოლა, არმიის ცხენოსანი პოლკი და გვარდიის დანარჩენი ნაწილები. მოწინააღმდეგე სადგურ ქარელამდე აღმოჩენილი არ იყო და როდესაც გამოჩნდებოდა, ქართული ნაწილები შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ. სამ ჯავშნოსან მატარებელს უნდა ემოძრავა ქარელის ხიდამდე და თუ შესაძლებელი იქნებოდა მის გაღმაც, გენ. თაყაიშვილს უნდა გაეგრძელებინა სურამის უღელტეხილზე პოზიციების გამაგრება. მესამე ქვეით ბრიგადას უნდა ემოძრავა ახალციხიდან ბორჯომისკენ წინ წამოწეით (მე-11 პოლკი დ.ს), მთავარსარდლის ბრძანება შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „სამშობლოს გადარჩენისათვის მოვითხოვ ყველა უფროსებისაგან ძალების უმაღლეს დაჭიმვას და უსაზღვრო სამსახურს, რათა რაც კი არ დაგვიჯდეს მოპირდაპირის დამარცხებას მივაღწიოთ“.[27] შეტევაზე გადასვ-

მონაკლისს წარმოადგენდა მე-11 ბატალიონი, რომელიც 5 მარტს ჩამოვიდა ბორჯომიდან 1 500 კაცის შემადგენლობით. ამიტომ ჩვენ, როდესაც ცხრირებას მოვახდენთ, მოვიხსენიებთ როგორც პოლკს (იქვე ფრჩხილებში მიეუთითებთ ბატალიონს), ხოლო საკუთარ მსჯელობისას როგორც ბატალიონს. ომის პერიოდში მშიდობიანობის დროის შტატის მქონე ბრიგადები, რომელიც შედგებოდნენ 4 ბატალიონისაგან, ომის დროს უნდა გადაქცეულიყვნენ 4 პოლკიან დივიზიებად. რაც არ მომხდარა.

[27] თსუ-ს ქართული ემიგრაციის მუზეუმი. გ. შარაძის კერძო კოლექცია. ჟურნალი „მხედარი“. ქართველ მხედართა ორგანო. პარიზი. 1934. №17, გვ. 78-79.

ლის მართებულობა შემდეგნაირად შეიძლება დავასაბუთოთ: ა) მოწინააღმდეგის არიერგარდის განადგურება სავსებით რეალური იყო ბრძოლის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც კვინიტაძე მიიჩნევდა, შეიძლებოდა დახევა სურამისაკენ. ბ) გამარჯვების შემთხვევაში ამაღლდებოდა ჯარის სულიერი განწყობა. გ) გამარჯვების შემთხვევაში არმია მამისონისა და გაგრის მიმართულებით მოძრავი მტრის ნაწილების წინააღმდეგ სამოქმედოდ საკმარის დროს მოიგებდა. მოწინააღმდეგის მოახლოებასთან ერთად 3 მარტს მთავარსარდალმა ჯარები გადააჯგუფა და გასცა ბრძანება: 4 მარტს დილის შვიდ საათზე არმია შეტევაზე უნდა გადასულიყო: მარჯვენა საბრძოლო უბანს გენერალ სუმბათაშვილის მეთაურობით უნდა ეწარმოებინა შეტევა მდინარე მტკვრის გასწვრივ ფრონტით რკინიგზამდე, სოფელ აღარაზე (იგულისხმება დღევანდელი ხაშურის რაიონის სოფელი აგარები და არა ქარელის რაიონის სოფელი აგარა, რადგანაც ამის შემდეგ სუმბათაშვილს უნდა შეეტია გომზე რომელიც აგარების აღმოსავლეთით და აგარის დასავლეთითაა, ქართველების შეტევა კი ვითარდებოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ) შემდეგ კი სოფელ ზემო გომზე. გენერალ მაზნიაშვილს, რომელიც მეთაურობდა შუა საბრძოლო უბანს, უნდა შეეტია მდინარე სურამულას გასწვრივ, მას უნდა აეღო სოფელი სატივე და შემდეგ სიმაღლე 332. მარცხენა საბრძოლო უბანს, რომელიც შედგებოდა გვარდიის ნაწილებისაგან, უნდა ეწარმოებინა შეტევა სოფელ აზარმიდან მდინარე ბენეულამდე, მარჯვენა ფრთით სიმაღლე 332-ზე, ხოლო მარცხენა ფრთით ნაბახტევზე. გვარდიის ცხენოსანი რაზმი შეტევას იწყებდა სოფელ ალიდან, ახალუბანზე გავლით. მარცხენა ჯგუფის რეზერვს გენ. ჯიჯიხიას მეთაურობით ებრძანა შეეტია სოფელ ქემფერზე, შემდეგ სიმაღლე 83-ზე სოფელ კლდისყაროს ჩრდილოეთით. მარჯვენა ჯგუფის რეზერვი პოლკოვნიკ ჩხეიძის მეთაურობით უნდა დარჩენილიყო სარდლის განკარგულებაში. მარჯვენა ფრთის

უზრუნველყოფა უნდა განეხორციელებინა მტკვრის მარჯვენა მხარეს გადასროლილ 1 პოლკის (ბატალიონის) ორ ასეულს, მას უნდა შეეტია სოფელ მიწობზე და ცრომზე.[28] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქართული ნაწილები 4 მარტისათვის 6 000 ჯარისკაცს აერთიანებდა, აქედან 3 000 სახალხო გვარდიელი იყო. გვარდიელებს გენერალ კონიაშვილის მეთაურობით, ჩრდილო-დასავლეთიდან გაბატონებული სიმაღლეებიდან უნდა შეეტიათ და ოსიაურის ველზე შეტევაზე გადასული არმიის წინ მდგარი მოწინააღმდეგეს ფლანგსა და ზურგში უნდა მოქცეოდნენ, რის განხორციელებას, მომგებიან პოზიციასთან ერთად, ის ფაქტორიც აადვილებდა, რომ რუსული ნაწილები არ იყვნენ გაშლილნი რკინიგზის ჩრდილოეთ მიმართულებაზე და გვარდია დიდი წინააღმდეგობის გარეშე უნდა მოქცეულიყო მოწინააღმდეგის ზურგში, რაც რუსული არმიის ალყაში ჩავარდნას და უეჭველ განადგურებას გამოიწვევდა. მე-11 წითელი არმიის ნაწილები ბრძოლის ველზე 4 მარტისათვის შემდეგი შემადგენლობით და დისპოზიციით იყვნენ განლაგებული – მარცხენა ფლანგიდან ქართველთა მარჯვენა ფლანგისაკენ გზის გაყოლებით მოიწევდა მეცხრე დივიზიის 25-ე ბრიგადა, ხოლო მარჯვენა ფლანგით ქართველთა მარცხენა ფლანგისაკენ სოფლების: აზარმის, ქემფერის, ნაბახტევის მიმართულებით – 52-ე ბრიგადის 154-ე პოლკი, მე-9 ცხენოსანი პოლკი და 12-ე ცხენოსანი დივიზიის შენაერთი.[29] ეს შენაერთი 2 მარტს გადავიდა 52-ე ბრიგადის დაქვემდებარებაში 100 ცხენოსნის შემადგენლობით.[30] რუსული დაჯგუფება დაახლოებით 5000-5200 მებრძოლს ითვლიდა. აქედან 4000-მდე ჯარისკაცი იბრძოდა ქართველების მარჯვენა ფლანგის წინააღმდეგ, ხოლო 1000-1200 მარცხენას წინააღმდეგ. როგორც ვხედავთ სრულიად შესაძლებელი იყო მტრის ამ

[28] ჟურნალი „მხედარი“. ქართველ მხედართა ორგანო. პარიზი 1934. №17, გვ. 80-83.

[29] А. Б. Кадышев. Интервенция и гражданская война в Закавказье, გვ. 401-402.

[30] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287. ფურცელი 9.

ნაწილის განადგურება, სანამ დამატებითი ძალები ჩაერთვებოდა ბრძოლაში. რაც შეეხება დამატებით ძალებს – რუსების უახლოეს რეზერვს შეადგენდა 26-ე მსროლელი ბრიგადა, რომელიც 5 მარტს ჩაება ბრძოლაში და მე-12 ცხენოსანი დივიზია ბრძოლაში ჩაება 5 მარტის 22 საათიდან, 6 მარტს დილით ბრძოლაში ჩაება 52-ე ბრიგადის კიდევ ერთი – 155-ე პოლკი.[31] ქართველების უახლოეს რეზერვს წარმოადგენდა ახალციხიდან მომავალი მე-11 პოლკი 1500 ჯარისკაცის შემადგენლობით. რომელიც ბრძოლაში ხუთ მარტს ჩაება.[32] გარდა ამისა ქართული ნაწილების იერიშს ხელს უწყობდა სამი ჯავშანმატარებლის მოქმედება, მოწინააღმდეგეს კი მისი გამოყენება არ შეეძლო, რადგანაც უკანდახევის დროს ქართულმა არმიამ რკინიგზის ლიანდაგები და ხიდები დააზიანა. 4 მარტს დილით ქართველთა შეტევა წარმატებით განვითარდა, მოწინააღმდეგის ნაწილები რომლებიც გამოჩნდნენ ვაყას, ვაკესა და სატივეში, საარტილერიო ცეცხლის დახმარებით უკუაგდო მაზნიაშვილის ცენტრალურმა ჯგუფებამ, ხოლო მეცხრე ლეგიონმა (პოლკის შესატყვისი, ამ დროს რიცხოვნობით ბატალიონის ტოლფასი) დაიკავა სატივე.[33] წარმატებით ვითარდებოდა მოვლენები, სუმბათაშვილისა და კონიაშვილის საბრძოლო უბნებზე. როგორც მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე იხსენებს: „იერიში ფრონტზეც და ფლანგზეც წარმატებით წარიმართა. მეთაურები თავის მოხსენებებში შეტევის წარმატებაზე მიუთითებდნენ. მოგვინებით ეს მეთაურები ამბობდნენ, არ ვიცოდით, რომ გაშლილ ადგილზე, თოვლში მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ ჯარი ასე მამაცურად შეუტევდაო“.[34] მარცხენა ფლანგზე წარმატებული გამოდგა გვარდიელების შეტევა, მათ ფლანგიდან შემოუარეს

[31] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287. ფურცელი 9.

[32] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 184; გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. წ. 2. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები. თბ. 1999. გვ. 104-105.

[33] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 181.

[34] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. წ. 2. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები, გვ. 102-103.

მოწინააღმდეგეს, რომელიც უკვე ზარბაზნებს ტოვებდა ბრძოლის ველზე და გარბოდა, თუმცა დაბინდებამდე მტრის ზურგში გასვლა ვერ მოხერხდა. ამაში კვინიტაძე ბრალს გვარდიას დებს, რადგანაც მათ იერიში დათქმულ დროზე საათნახევრით გვიან დაიწყეს.[35] გვარდიელთა მიერ მტრის ზურგში დროულად გასვლის შემთხვევაში, ალყაში ექცეოდა მტრის ავანგარდი, ამასთანავე, მტკვარზე გადასასვლელი ხიდის დაკავების შემთხვევაში შესაძლებელი გახდებოდა რუსთა დამხმარე ნაწილების შეფერხება. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჰეკერმა ოთხ მარტს თავის დაქვემდებარებაში მყოფ სომხურ ნაწილებს უბრძანა სასწრაფოდ დაძრულიყვნენ გორისაკენ და შესულიყვნენ კუიბიშევის დაჯგუფების შემადგენლობაში, როგორც ჩანს ქართველთა წარმატება იმდენად სერიოზული იყო, რომ მეთერთმეტე არმიის მეთაურმა თითქმის უკანასკნელი ძალები გადაისროლა ხაშურისაკენ. როგორც რევაზ გაბაშვილი იხსენებს, ბოლშევიკები თბილისის ევაკუაციას აპირებდნენო.[36] გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ პერიოდში სომხებმა ერევანი გაათავისუფლეს და მეთერთმეტე არმიას იქაც უხდებოდა ბრძოლების გამართვა. თბილისის აღების შემდეგ რუსებმა რამდენიმე ბრიგადა სომხეთში გადაისროლეს, ასევე ბრძოლები მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, არეულობა იყო აზერბაიჯანის მთელ რიგ რაიონებში. შესაბამისად, ოსიაურთან მარცხის შემთხვევაში რუსები ცუდ მდგომარეობაში ვარდებოდნენ.

დაღამებისას ქართული არმიის შტაბში ვალიკო ჯუღელი მივიდა მსუბუქად დაჭრილი. მისმა დაჭრამ გვარდიის ნაწილებში არევ-დარევა გამოიწვია. მისივე თქმით, მან შეძლო ნაწილების დამშვიდება. როგორც კვინიტაძე იხსენებს, გენშტაბის მაღალჩინოსნები მოწინააღმდეგის მოსალოდნელი გა-

[35] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. წ. 2. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები, გვ. 103.

[36] რევაზ გაბაშვილი. რაც მახსოვს. დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. ტ. III. თბ. 1992, გვ. 334.

ნადგურების გამო, სიხარულით ხელებს იფშვნეტდნენ, ხაშურს უახლოვდებოდა ბორჯომის მხრიდან მე-11 პოლკი, მაგრამ ამ სასიხარულო განწყობას 5 მარტის ღამის პირველ საათზე გენ. კონიაშვილის შეტყობინებამ ცივი წყალი გადაასხა. გენერალმა მთავარსარდალს უპატაკა, რომ გვარდიამ თვითნებურად, ბრძოლის გარეშე მიატოვა პოზიციები და სურამისაკენ დაიხია.[37] გენშტაბის პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე, იხსენებს ამ ამბის გაგების შემდეგ მთავარსარდლის რეაქციას: „მთავარსარდალი მეტად ღელავდა. აბა თევზაძევ, თავის მოკვლა და დამრჩენია, არა? – მომმართა სევდიანი ხმით“.[38]

გვარდიელთა უკანდახევა მტერმა შენიშნა და თავისი ნაწილები ჩრდილოეთისაკენ დაძრა, 5 მარტის ღამეს 154-ე მსროლელმა პოლკმა დაიკავა ნაბახტევი.[39] მოწინააღმდეგე უკვე თვითონ უვლიდა ქართველთა ფლანგს და ახლა ქართული ჯარი ექცეოდა ალყაში. ამიტომ მთავარსარდალი იძულებული გახდა სამხედრო ნაწილები უკან, ლიხის ქედისაკენ დაეხია. არმიის ნაწილებმა დაიკავეს პოზიციები სოფ. ქვიშხეთიდან – სოფ. ტეზერამდე, ხოლო მის მარცხნივ უღელტეხილამდე პოზიციები გვარდიას უნდა დაეკავებინა. მთავარსარდლის შტაბი განთავსდა სადგურ წიფაში. გიორგი მაზნიაშვილს, ამგვარი განლაგება არასწორად მიაჩნდა, რადგანაც, მოწინააღმდეგე პირველ რიგში უღელტეხილისა და სოფელი ფონას ხელში ჩაგდებას შეეცდებოდა და ამით გვერდს აუქცევდა რკინიგზის გვირაბს, სწორედ ამ ადგილზე უნდა ყოფილიყო განლაგებული არმიის და არა გვარდიის ნაწილები, რომლებიც ნაკლებად ბრძოლისუნარიანნი იყვნენ.[40] რუსულმა ნაწილებმა რომლებიც 5 მარტს გაძლიერდნენ 26-ე

[37] გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. წ. 2. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები, გვ. 104-105.

[38] ვალერიან თევზაძე განსვლილი გზა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. თბ. 1990. №2, გვ. 98.

[39] А. Б. Кадышев. Интервенция и гражданская война в Закавказье, გვ. 402.

[40] მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 185.

მსროლელი ბრიგადით და მე-12 ცხენოსანი დივიზიით, ხოლო 6 მარტის დილიდან 52-ე ბრიგადის 155-ე პოლკით (დაახლოებით 6000 მებრძოლი – დ. ს.) მართლაც უმთავრესი შეტევა სწორედ უღელტეხილის მხარეს მიიტანეს და 6 მარტის დამდეგს აიღეს იგი. ამავე დილით ერთმა ქვეითმა და საკავალერიო პოლკმა სცადა სადგურ წიფის აღება, მაგრამ ქართულმა ნაწილებმა გაბატონებული სიმაღლეებიდან ცეცხლი გახსნეს.

6 მარტს ქართულმა სარდლობამ გადაწყვიტა ქუთაისისაკენ დაეხია. ხაშურთან წარუმატებლობას სხვა ცუდი ამბებიც დაერთო თან – 4 მარტს ბოლშევიკების 31-ე დივიზიამ სოხუმი აიღო, ხოლო ხუთ მარტს ოსმა პარტიზანებმა დაიკავეს ცხინვალი. მოძრაობას აგრძელებდა რაჭის მხრიდან მოქმედი მტრის ძალები. 6 მარტს ხაშურამდე მოაღწია რუსების მე-18 ცხენოსანმა დივიზიამ და 96-ე მსროლელმა ბრიგადამ. ამ ჯგუფს ორი მარტიდან მეთაურობდა ცნობილი წითელი მეთაური დიმიტრი ულობა. მის ჯგუფს გოდერძის უღელტეხილის გავლით უნდა დაეკავებინა ბათუმი. ასეთ ვითარებაში, როდესაც არმიას აღარ გააჩნდა საკმარისი ძალა უღელტეხილის უკან დასაბრუნებლად და თვითონ ექცეოდა ალყაში. გადაწყდა უკანდახევა ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგში საჯავახოს ხაზზე. თუმცა ოსიაურის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, რომელიც ქართულმა მხედრობამ დიდი იმედებით დაიწყო, ომის გასაგრძელებლად ვარგისი პოზიციები აღარ არსებობდა. მტერი უკვე ყველა მიმართულებიდან უვლიდა ქართული არმიის ნაწილებს, რაც არმიისა და მთავრობის ტყვედ ჩავარდნის საფრთხეს ქმნიდა. ოსიაურის ბრძოლაში დამარცხებამ ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა ქვეყნის დაცვა შემოსეული მტრისაგან და ქართული მთავრობის და სამხედრო მეთაურთა ემიგრაციაში წასვლა დააჩქარა.

Dimitri Silakadze

BATTLE OF OSIAURI (1921 RUSSIAN-GEORGIAN WAR)

Summary

The 1921 Russian-Georgian war is one of the most significant and interesting facts in the Modern history of Georgia. Military events of the war and especially the battles carried out after the Georgian army's departure from Tbilisi have not been deliberately studied in modern Georgian historiography. The most important encounter occurred on the Osiauri field east of Khashuri during March 4-6. The clash began with good-planned and successful Georgian assaults which brought the Russian army under the danger of siege and destruction. Although on the night of March 5, the National Guards of Georgia left its positions which made the units of the Georgian regular army retreat and the battle ended with failure and the loss of the Likhi range.

The sources of the article are as follows: the magazine of military activities of the 11th Russian Red Army units discovered by us in the Central Historical Archive of Georgia, two orders launched before the battle by the commander-in-chief of the Georgian army – Giorgi Kvinitadze published in the Georgian magazine "Warrior" (Mkhedari) in Paris in 1934 and information provided in the memories of Georgian military-political authorities.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

ნიკო ჯავახიშვილი

ქართულ-ბალტიური ურთიერთობა II მსოფლიო ომის დროს (1939-1945 წწ.)

ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორია სათავეს საუკუნეთა სიღრმიდან იღებს. აღნიშნული ურთიერთობის ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლას რამდენიმე სტატია მივუძღვენით.[1]

ამ სტატიაში შესწავლილი გვაქვს, თუ რა სახის ურთიერთობა არსებობდა ქართველ და ბალტიისპირელ ხალხებს შორის II მსოფლიო ომის პერიოდში.

II მსოფლიო ომის დაწყებას ქართული ემიგრაცია არაერთგვაროვნად შეხვდა. მისმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომელთა შორისაც ძირითადად სოციალ-დემოკრატები იყვნენ, გერმანიას უნდობლობა გამოუცხადა. ისინი თავიანთ მოკავ-

[1] ნ. ჯავახიშვილი. ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიიდან. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ტ. V. თბ. 2009; ნ. ჯავახიშვილი. ოთხი ეტიუდი ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ტ. VI. თბ. 2009; ნ. ჯავახიშვილი. ქართველთა კვალი ბალტიისპირეთში (XVII საუკუნის მიწურულიდან – XIX საუკუნის შუა ხანებამდე). „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ტ. VII. თბ. 2010; ნ. ჯავახიშვილი. ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან (XIX საუკუნის დასაწყისიდან – XX საუკუნის დასაწყისამდე), „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ტ. VIII. თბ. 2010; ნ. ჯავახიშვილი. ქართულ-ბალტიური ურთიერთობა ემიგრაციაში. ბალტიის ქვეყნები ქართველ ემიგრანტთა თვალსაწიერში (1921-1991 წწ.). „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ტ. VIII. თბ. 2010.

შირედ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს მიიჩნევდნენ.

ქართველ ემიგრანტთა რადიკალურად განწყობილი ნაწილი, რომელიც მოქმედებდა პრინციპით „ჩემი მტრის მტერი – ჩემი მეგობარია“, თვლიდა, რომ II მსოფლიო ომში გამარჯვებული გერმანია ისევე დაეხმარებოდა საქართველოს დამოუკიდებლობია აღდგენაში, როგორც ეს I მსოფლიო ომის დროს მოხდა.

იმ ქართველთა საქმიანობის შესახებ, რომლებიც II მსოფლიო ომში გერმანელთა მხარდამხარ იბრძოდნენ, აზრთა სხვადასხვაობა დღემდე არსებობს. მათ საქციელს ზოგნი მართებულად, ხოლო ზოგნი გაუმართლებლად თვლიან, თუმცა ფაქტი ერთია: იმ პერიოდში გერმანია იყო ის ერთადერთი ძალა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დამასამარებელი ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა და ქართველთა (ძირითადად პოლიტიკურ ემიგრანტთა) გარკვეული ნაწილის მიერ გერმანიის მოკავშირედ დასახვა სწორედ ამით აიხსნება.

აღნიშნული მოვლენა ასეა ახსნილი ემიგრანტ მიხეილ ქავთარაძის (1906-2008 წწ.) მოგონებებში: „გერმანია დაეჯახა იმ ძალას, რომლის წაქცევაც აუცილებელი წინასწარი პირობა იყო ჩვენი თავისუფლებიასთვის. იყვნენ ემიგრანტები, რომელთაც ოცი წელიწადი თითქოს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს. ამ ოცი წლის განმავლობაში ვერცერთი ნამდვილი მოკავშირე ვერ იპოვეს და როდესაც იმ ქვეყანამ, რომელიც სინამდვილეში ერთადერთი შესაძლებელი მოკავშირე იყო ჩვენთვის..., რუსეთს შეუტია, ზემოხსენებული ქართველები შეძრწუნდნენ და ეს მოვლენა ჩვენთვის უარყოფით საქმედ ჩათვალეს.

მიზეზი ის იყო, რომ მაშინდელ გერმანიას განაგებდა არასიმპათიური რეჟიმი და ამავე დროს, ეს გერმანია, რუსეთის გარდა, ჩვენთვის სიმპათიურ დემოკრატიულ ქვეყნებსაც

ეომებოდა“.[2]

გერმანიის მხარეზე მებრძოლ ქართველთა საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ემიგრანტ გიორგი გაბლიანის (1914-2001 წწ.) ორტომიანი ნაშრომი „ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი)“.[3]

გ. გაბლიანი წერს, რომ გერმანელთა მხარდამხარ მებრძოლი ქართველი ემიგრანტები „იმედოვნებდნენ, საჭიროების შემთხვევაში გერმანელებზე სასიკეთო ზეგავლენა მოეხდინათ. იმ ხანებში გავრცელებული აზრის მიხედვით, გერმანია კავკასიის მიმართ I მსოფლიო ომის დროინდელ პოლიტიკას გაატარებდა... დამოუკიდებლობის იმედი კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც გერმანელებმა II მსოფლიო ომის დროს დაიკავეს ჩრდილო კავკასია. აქ გერმანია განსხვავებულ პოლიტიკას ატარებდა, ვიდრე მის მიერ ოკუპირებულ აღმოსავლეთ ტერიტორიებზე, სადაც მკვიდრი მოსახლეობა ჰიტლერის ანტიჰუმანური კანონების გამო საშინელ ტანჯვას განიცდიდა“.[4]

დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის ქართველმა ოფიცერმა მერაბ კვიტაშვილმა (1902-1991 წწ.), რომელიც თან ახლდა თეირანის კონფერენციაზე (1943) ჩასულ ბრიტანულ სამთავრობო დელეგაციას, იმ პერიოდში მისთვის დასმულ ოფიციალურ შეკითხვას, თუ რატომ იბრძვის ქართველთა გარკვეული ნაწილი გერმანელთა მხარდამხარ, შემდეგი პასუხი გასცა:

– „სრულიად მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქართველები, რომლებიც ახლა გერმანიის ჯარში იბრძვიან, იმიტომ სჩადიან ამას, რომ ისინი შეგნებულად გერმანული ან ნაცის-

[2] მ. ქავთარაძე. ცხოვრების 100 წელი (მოგონებები, წერილები, თარგმანები, ლექსები). თბ. 2007, გვ. 111-112.

[3] გ. გაბლიანი. ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი). ტ. I. ქუთაისი. 1998; გ. გაბლიანი. ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი). ტ. II. ქუთაისი. 2000.

[4] გ. გაბლიანი. ჩემი მოგონებანი. ტ. I. გვ. 9.

ტური ორიენტაციისანი არიან. არა, მათ პირველ ყოვლისა ანტირუსული და ანტისაბჭოთა განწყობა ამოძრავებდათ და ირჩიეს ებრძოლათ მათთვის, ვინც კი დაეხმარებოდა მათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენაში. თუმცა, მათ სჯეროდათ, რომ გერმანია დაამარცხებდა და დაშლიდა რუსეთს, მაგრამ ისიც სჯეროდათ, რომ საბოლოოდ თვით გერმანიაც დამარცხებული იქნებოდა დასავლეთის მოკავშირეების მიერ და ამიტომ, თუკი მათ თავიანთი ნაციონალური უფლებებისა და დამოუკიდებლობის გარანტია მიეცემოდათ, ისინი მოისურვებდნენ მოკავშირეებთან ეთანამშრომლათ".[5]

გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ჯერ კიდევ 1941 წლის მიწურულს ჩამოყალიბდა ემიგრანტთაგან დაკომპლექტებული კავკასიური შენაერთები. მათ შორის იყო განსაკუთრებული დანიშნულების კავკასიური შენაერთი „ბერგმანი" (მთიელი) და ქართული ქვედანაყოფები: „თამარ I" და „თამარ II".[6]

უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ტყვეთა ბანაკებში თავმოყრილ ათეულ ათასობით ქართველ ტყვეთა (სსრკ-ის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა) ფიზიკურად გადარჩენა, რაც გერმანიის სამსახურში მდგარმა ქართველებმა გერმანელ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა დახმარებით მოახერხეს.

1942 წლის თებერვალში დაიწყო კავკასიური ლეგიონების ფორმირება. მასში გაერთიანდნენ როგორც ემიგრანტები, ასევე სამხედრო ტყვეები. კერძოდ, ჩამოყალიბებულ იქნა 13 აზერბაიჯანული, 12 სომხური, 12 ქართული და 8 ჩრდილოკავკასიური ბატალიონი. საერთო ჯამში, გერმანიის შეიარა-

[5] მ. კვიტაშვილი. თეირანის კონფერენცია, ფიქრები საქართველოს მომავალზე. წინასიტყვა და კომენტარები გ. გაჩეჩილაძისა. ინგლისურიდან თარგმანი დოდონა კიზირიასი. თბ. 1991, გვ. 28.

[6] Н. Джавахишвили. Борьба за свободу Кавказа (Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX века). Тб. 2005, გვ. 102.

ღებულ ძალებში მომსახურე კავკასიელთა რიცხვი 100 ათას ადამიანს აღემატებოდა.[7]

გერმანელთა მხარდამხარ მებრძოლ ქართველ სამხედრო პირთა შორის გამოირჩეოდა შალვა მაღლაკელიძე, რომელიც II მსოფლიო ომის დაწყებამდე დაინიშნა გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო მრჩეველად (მილიტერბერატერად), ობერსტის (პოლკოვნიკის) წოდებით, ხოლო 1944 წლის მაისში მას ვერმახტის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

1939 წლის შემოდგომაზე გერმანიამ და სსრ კავშირმა დაიპყრეს პოლონეთის სახელმწიფო და მისი ტერიტორია გაინაწილეს.

საგულისხმოა, რომ მათ შორის საზღვრების გამიჯვნის ხელშეკრულებას, სხვებთან ერთად ხელი მოაწერა შ. მაღლაკელიძემაც, ოღონდ – ლატვიური გვარით – „Ozols" (ოზოლს), რაც ამ ენაზე მუხას ნიშნავს.

შ. მაღლაკელიძე იგონებდა: „ომი უკვე დამთავრებულია და ვარ ვარშავაში... ერთ მშვენიერ დილას, რიცხვი არ მახსოვს, სასწრაფოდ მიბარებენ შტაბში და მთხოვენ, როგორც რუსულის მცოდნეს, მივყვე გერმანელ ოფიცრებს იმ ხიდთან – თურმე რუსული არმია შემოვიდა იქ და ხიდთან დგას. მივედით იქ და ვხედავთ ახალგაზრდა რუსი მაიორი რუკით ხელში და ორი ჯარისკაცის თანხლებით შუა ხიდზე დგანან და ჩვენ გველოდებიან. მე ცივილური ტანისამოსი მაცვია და რუსს გერმანელი ვგონივარ.

– „ბუტენ ტაგ!" – მომესალმა.

პატარა ხანში შევატყვე, რომ გერმანული არ იცის კარგად და ისედაც ღელავს. ამიტომ რუსულად მივმართე.

გამოირკვა, რომ ესენი შემოსულან „პო დოგოვორუ", რომ სტალინსა და ჰიტლერს შორის მოლაპარაკება ყოფილა

[7] Г. Мамулиа. Грузинский легион в борьбе за свободу и независимость Грузии в годы второй мировой войны. Тб. 2003, გვ. 161-167.

პოლონეთის გაყოფაზე და ახლა მეკითხება, რომ ჩვენ, ე. ი. რუსული არმია სად გავჩერდეთო, ვარშავის ეს ნაწილი ჩვენიაო და სხვა... მე ვუთხარი, რომ ამის შესახებ უნდა ვაცნობოთ ვარშავის სამხედრო კომენდანტს, თუ არ ვცდები, კიზინგერს. მართლაც იქ წავიდნენ გერმანელი ოფიცრები... დაბრუნდნენ და თქვეს:

– ფიურერის ბრძანებაა, რომ რუსებმა უკან უნდა დაიხიონო!

ამ დროს მთელ ვარშავაში სადღესასწაულო განწყობაა გერმანულ ჯარებში, მღერიან ლილი მარლენის სიმღერებს, მღერიან ჰოლივუდის ფილმებიდან და ერთი სიტყვით საბრძოლო სულისკვეთება მაღალ დონეზეა... ჰიტლერმა იცის ეს და გერმანელების შეტევა რუსებზე ადვილად განხორციელდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იცოდა სტალინმაც და ამიტომ რუსის ჯარმა უყოყმანოდ დაიწყო უკან დახევა. ეს დიდი სიბრძნე იყო სტალინის მხრიდან, რადგან არ მეგულება ჯარი, რომელიც ასე თავლაფდასხმული დაიხევდა იქ უკან...

დაიწყო ამ ჯარმა ზედ ამ ხიდიდან უკან დახევა. ჩვენ მივყვებით მათ ფეხდაფეხ (მე ცხენით). ერთი სიტყვით, სულ დატოვეს პოლონეთი და მივადექით სასაზღვრო ტყეს, რომლის განაპირას რაღაცა „ბუდკა“ იდგა. შევედით შიგ და რუსის გენერლებია...

იმ „ბუდკაში“ ხელი მოვაწერეთ ამ ახალ სასაზღვრო ხელშეკრულებას – მე ლატვიურად... ვითომც ლატვიელი ვარ“.[8]

ვინაიდან XX საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებში შ. მაღლაკელიძე ლატვიაში ცხოვრობდა, იგი სრულყოფილად ფლობდა ლატვიურ ენას, რაც მას დასავლეთ ევროპაში გა-

[8] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი. წგნ.: „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში“. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ე. რცხილაძემ. თბ. 1994, გვ. 157-158.

დასახლების შემდეგაც არაერთხელ გამოადგა.

1940 წლის ივნისში სსრკ-ის შეიარაღებული ძალები ომის გამოუცხადებლად შეიჭრნენ ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე და მოახდინეს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ოკუპაცია და იძულებითი გასაბჭოება. ამით კრემლის საბჭოთა ხელისუფლებამ დაარღვია მის მიერვე ხელმოწერილი ხელშეკრულებები თავდაუსხმელობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ბალტიისპირეთის თავისუფლებისმოყვარე მოსახლეობამ ოკუპაციის საშინელება სულ ხუთიოდე (1940-1945) წლის განმავლობაში სამჯერ გამოსცადა, კერძოდ, იგი მონაცვლეობით გახდა ჯერ სსრ კავშირის, შემდეგ – ნაცისტური გერმანიის, ხოლო ბოლოს – კვლავ სსრკ-ის არმიების მსხვერპლი.

ლატვიის და საერთოდ ბალტიის ქვეყნების ოკუპაციის შედეგები ასეა შეფასებული თანამედროვე ლატვიურ ისტორიოგრაფიაში: „В истории Латвии начался третий период оккупации, который в общей сложности продолжался более пятидесяти лет и стал для народа Латвии и ее исторической судьбы трагическим и опасным поворотом. Осуществляемая и нацистской Германией, и Советским Союзом репрессивная политика (Холокост, сталинские депортации и пр.) углубили интеллектуальный вакуум в Латвии, который возник с репатриацией балтийских немцев.

Советская оккупационная власть, хозяйничавшая в Латвии 47 лет, истощила ее природу, разрушила экономику, втянула население в социалистический эксперимент, разместила на ее территории непомерно большой контингент вооруженных сил, наводнила страну сотнями тысяч людей других национальностей, превратив латышей чуть ли в национальное меньшинство на своей собственной земле. Ситуацию усугубляла неуклонно проводимая политика русификации, недоступность объективной информации, а также запрет на свободное передвижение. Целых два поколения в Латвии утрати-

ли связи с западной культурой и возможность получить всестороннее образование. В первое время были затруднены контакты и связи латышей с соотечесвенниками, которые в конце Второй мировой войны эмигрировали и оказались по ту сторону „железного занавеса".

С международной точки зрения, аннексия и инкорпорация Латвии, Литвы и Эстонии летов 1940 года была незаконной".[9]

ლატვიელი მკვლევარის იანის სტრაუმეს მართებული შეფასებით: „Латыши не теряли надежды на свободу. Нередко они брались за оружие, иногда боролись диссидентскими методами, иногда – сопротивлялись пассивно. Одноко во все времена рели латышские песни, во все времена рассказывали анекдоты об угнетателях и при первой возможности старались сбросить чужеземное иго".[10]

ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოყვანილი შეფასებები სრულიად შესაძლებელია განვავრცოთ ლატვიელთა მეზობელ – ლიტველ და ესტონელ ხალხებზეც.

II მსოფლიო ომის პერიოდში, ბალტიის რესპუბლიკებში შეჭრილ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში, სხვებთან ერთად იყვნენ საქოველთაო მობილიზაციის წესით გაწვეული ქართველებიც. მათი სიდად მოაზროვნე ნაწილი თანაგრძნობას ამჟღავნებდა ბალტიისპირეთის მოსახლეობის მიმართ.

ბალტიისპირეთში მებრძოლი საბჭოთა არმიის შემადგენლობაში უმცროსი ოფიცრის წოდებით მსახურობდა მომავალში ცნობილი ფილოსოფოსი, აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი (1910-1994). თავის მემუარებში მან დაუნდობლად ამხილა ბოლშევიკური რეჟიმი, რომლის მსხვერპლთა შორის სხვებთან ერთად აღმოჩნდნენ ჯერ დამოუკიდებელი საქართველო, ხოლო ოცდაოდე წლის შემდეგ ბალტიის რესპუბლიკებიც.

მოგონებებში აღნიშნულია, რომ 1921 წლის დასაწყისი-

[9] Д. Блейере, И. Бутулис, А. Зунда, А. Странга, И. Фелдманис. История Латвии. XX век. Рига. 2005, გვ. 462.

[10] Я. Страуме. Забытая война. Сопротивление латышей русской и немецкой оккупации. Рига. 2007, გვ. 2.

სათვის „საქართველო ბედნიერ კუნძულად დარჩა გარშემო მდებარე „გაწითლებულ“ რესპუბლიკათა შორის, მაგრამ მარ-ყუჟი სულ უფრო და უფრო იკეროდა. გასაბჭოებულია ჩრდი-ლო კავკასიაც, აზერბაიჯანიც, სომხეთიც. ამიტომ იყო, რომ რუსულმა ჯარებმა ყოველი მხრიდან შემოუტიეს ჩემს ქვეყა-ნას – კავკასიონის უღელტეხილებიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან...

წარსულს ბარდება ხანმოკლე, მაგრამ დიდი ეროვნული ბედნიერების დღეებიც, დიდი სიხარულიც და საყოველთაო აღფრთოვანებაც...

იწყება ფაქტებისა და მოვლენების შეგნებული, გეგმა-ზომიერი გაყალბება: „საქართველოს დაპყრობა კი არ მოხდა, შინაგანი გადატრიალება მოხდა; „ბურჟუაზიული მთავრობა“ აჯანყებულებმა დაამხეს და ახალი მუშურ-გლეხური ხელი-სუფლება დაამყარეს. XI არმია მხოლოდ დაეხმარა, დახმარე-ბის ხელი გამოუწოდა ქართველ მშრომელებს“.

ასე „დაეხმარნენ და ხელი გაუწოდეს“ აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელებს, ჩრდილო კავკასიას. ასე „დაეხ-მარნენ“ მალე შუა აზიას, ცოტა მოგვიანებით – ბესარაბიას (მოლდავეთს), პოლონეთსა და ფინეთის სამხრეთ მოსახლეო-ბას, კიდევ ერთი წლის შემდეგ – ლიტვას, ლატვიას, ესტო-ნეთს. ამ დროს გავრცელდა ანეგდოტი: ესტონეთის ხალხმა საბჭოთა მთავრობას გამოუგზავნა დეპეშა: „Спасибо за то, что протянули нам братскую руку, а ноги мы сами протянем!“.[11]

შ. ხიდაშელის მართებული შეფასებით: „ნათელი იყო, რომ მოქმედების მეთოდების მიხედვით, ბოლშევიზმი – ფაში-ზმისაგან არ განსხვავდებოდა და, თუ განსხვავდებოდა, არა პირველის სასარგებლოდ. სავსებით კანონზომიერად ჟღერდა ჰიტლერისა და სტალინის შეთანხმება პოლონეთის შუაზე გაგლეჯის (მერამდენედ!), ბალტიისპირეთის სამი რესპუბლი-

[11] შ. ხიდაშელი. უსათაურო მოგონებები. თბ. 1994, გვ. 56-59.

კის (ლატვია, ლიტვა, ესტონეთი) საბჭოთა ოკუპაციის და სხვ. შესახებ".[12]

1940 წელს ბალტიისპირეთში იმყოფებოდა ზემოხსენებული გივი გაბლიანი, რომელიც 1941 წლის შემოდგომამდე საბჭოთა არმიის 55-ე დივიზიაში სამხედრო ექიმად მსახურობდა. ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, იგი საკუთარი ნებით ჩაირიცხა გერმანიის შეიარაღებულ ძალებში, სადაც ომის დასრულებამდე მსახურობდა. ამის შემდეგ, იგი გადასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი გახდა. საინტერესოა მისი, როგორც ქართველი პატრიოტის, თვალით დანახული ოკუპირებული ბალტიისპირეთი.

გ. გაბლიანის მემუარებში ვკითხულობთ: „55-ე დივიზია რამდენიმე მატარებლით ლიტვაში გადაგზავნეს. ბალტიისპირეთის ეს პატარა ქვეყანა ჩვენ 1940 წლის ივნისში დავიპყარით, როგორც მაშინ გვარწმუნებდნენ, „განათავისუფლეთ კაპიტალიზმის უღლისაგან". იგივე განმეორდა ერთდროულად ლატვიასა და ესტონეთში, სადაც წითელი არმიის სხვა ნაწილები შევიდნენ. ეს დაუვიწყარი შტაბეჭდილება იყო ჩვენთვის. ბევრ რამეზე აგვეხილა თვალი. ლიტვა – ლამაზი, მშვიდობიანი, უჩვეულოდ აყვავებული, თავისუფალი ქვეყანა იყო. მაღაზიები აევსოთ სამრეწველო საქონლითა და საკვებით. ასეთი რამ უჩვეულო იყო „ჩვენი" სტანდარტებით და მთელ საბჭოეთში სხვაგან არსად არსებობდა. წითელი არმიის ოფიცრები კალიასავით შეესივნენ ამ მაღაზიებს. ლიტველი გამყიდველები გაოცებით უყურებდნენ, თუ როგორ ყიდულობდნენ ისინი ერთდროულად რამდენიმე საათს ან აურაცხელი რაოდენობის სხვა სამომხმარებლო ნივთებს.

თავში ერთი კითხვა მიტრიალებდა: რას მოუხერხებდნენ მომავალში მთელ ამ საბჭოთა ფულს მაღაზიის მფლობელე-

[12] შ. ხიდაშელი. უსათაურო მოგონებები, გვ. 207.

ბი?

გარეგნულად ლიტველები მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. კარგად იკვებებოდნენ, კარგად იცვამდნენ და, საერთოდ, ბევრად უფრო ბედნიერად და ნაკლებ დათრგუნულად გრძნობდნენ თავს, როგორც მტრის მიერ ოკუპირებულნი, ვიდრე „თავისუფალი“ საბჭოთა მოქალაქენი“.

იგივეს თქმა შეიძლებოდა ფერმერებზეც, რომლებიც საბჭოთა კოლექტიურ მეურნეობებში გაწევრიანების სანაცვლოდ, კარგად ორგანიზებული კოოპერატიული და კერძო საკუთრების მფლობელები იყვნენ და ჭირნახულით მთელ ქვეყანას ამარაგებდნენ. ფერმებში ცხოველებს კარგი მოვლა ეტყობოდათ. ევალებოდა დივიზიისათვის ლიტვური ფერმებიდან მოწოდებული საკვების შემოწმებაც. საკვები უმაღლესი ხარისხისა უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც. ისღა დაგვრჩენოდა, ალფრთოვანებით გვეცქირა ღირსეულად მოსეირნე ლიტველი ოფიცრებისათვის, რომლებიც შეხვედრისას თავაზიანი უესტით გვესალმებოდნენ (თავიდან მათ თავისუფალი მისვლა-მოსვლა არ ეკრძალებოდათ).

ქალაქ უკმერგესთან ახლოს, დიდებული ტყით დაფარულ ფერდობზე „სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი“ იყო განლაგებული. იქიდან მდინარე ვილლა მოსჩანდა, რომელზედაც ნავები დასეირნობდნენ. ერთხე, ტყეში სეირნობისას ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა რელიგიურმა მსვლელობამ, რომელიც ერთი წმინდა ადგილიდან მეორისაკენ მიემართებოდა. პროცესიას ლოცვითა და გალობით წინ მღვდლები მიუძღოდნენ. მსვლელობის მონაწილეთა მშვიდობიან სახეებს ღრმა ექსტაზი ამშვენებდა.

რას ვაკეთებდით აქ? რატომ ვიჭრებოდით ლიტველთა ბედნიერ ცხოვრებაში? „ვათავისუფლებდით“? „კი მაგრამ რისგან ან ვისგან“? ყოველივე ამას მხოლოდ ერთი მიზეზი ჰქონდა: საბჭოთა ლიდერთა გაუმაძღარი, იმპერიალისტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მე მოწმე ვიყავი ქალაქ უკ-

მერგეში ასიოდე ადამიანის მონაწილეობით ქალბი, ე.წ. „სპონტანური“ ხასიათის დემონსტრაციის მოწყობისა. დემონსტრაცია ორი ლიტვური წარმოშობის საბჭოთა აგიტატორის მიერ იყო ინსცენირებული. მათი „ექსპორტირება“ (55-ე დივიზიის მატარებლით) ლიტვაში საგანგებო დავალების შესასრულებლად „ჩვენს“ მიერ იქნა უზრუნველყოფილი.

დემონსტრანტებს წარწერიანი ტრანსპარანტები მოჰქონდათ: „ლიტველ ხალხს სურს მათი ქვეყანა საბჭოთა კავშირის ნაწილი გახდეს“. რასაკვირველია, ყოველივე ეს მოსკოვის გეგმებს ეთანხმებოდა. მალე, წითელ არმიას შინსახკომის სპეცდანიშნულების ჯარი (საბჭოთა კავშირის საიდუმლო პოლიცია) მოჰყვა. მათი მისია პოლიტიკურად „საშიში“ ხალხისაგან ქვეყნის გაწმენდა იყო. თუ რატომ მიიჩნიეს ისინი ასეთებად, ყველასათვის საიდუმლოდ რჩებოდა. დაკვირვების შედეგად, მალევე შევნიშნე ყოველდღიურად შინსახკომის ჯარების თანხლებით აღმოსავლეთისაკენ მიმავალი, ლიტველებით გაესებული მატარებლები. მათი საბოლოო განთავსების ადგილი აშკარად იძულებითი სამუშაო ბანაკები ან „გულაგები“ იყო. მე მხოლოდ მატარებლის ფანჯრის გისოსებზე პატიმართა ჩაბღაუჭებული ხელების დანახვა შემეძლო.

ბალტიისპირეთის ორ სხვა ქვეყანასაც იგივე ბედი ეწია. სცენარი იქაც მსგავსად ვითარდებოდა. ამ ადამიანთა ტრაგედიამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა...

სამი ლამაზი, მშვიდობისმოყვარე ქვეყნის ბედნიერება ყოველგვარი პროვოცირების გარეშე შეეწირა აგრესიულ ტირანიას. ჭეშმარიტად, დედამიწაზე უნდა არსებულიყო ძალა, რომელიც წინ აღუდგებოდა ამ ბოროტებას. მაშინ გერმანელებს საბჭოელებთან „მეგობრობის შეთანხმება“ ჰქონდათ დადებული. მაგრამ მომავალში ალბათ ინგლისსა და მის მოკავშირეებს შეეძლოთ რაიმე ეღონათ. ასე ფიქრობდა ლიტვაში ყოფნისას ერთი გამოუცდელი და ცხოვრებისაგან გულგატეხილი ახალგაზრდა ექიმი...

ბალტიის ქვეყნებში დემონსტრირებულმა სისასტიკემ ყველას დაგვანახა „კაპიტალისტური სისტემის“ (თავისუფალი საწარმოებითა და დასავლური დემოკრატიით) უპირატესობა რეალურად ქცეულ საბჭოთა „სამოთხესთან“ შედარებით. ყოველივემ ყველაზე თავდადებულ კომუნისტებსაც აუხილა თვალი და 1941 წელს გერმანია-რუსეთის ომის საწყის ეტაპზე საბჭოთა ჯარისკაცების ქცევაზეც იქონია გარკვეული ზეგავლენა“.[13]

თავის მემუარებში გ. გაბლიანი არაერთხელ აღნიშნავს, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალების რიგებში ჩადგომის შემდეგ, იგი დაუახლოვდა თავის ბალტიისპირელ თანამებრძოლებს – „მამაც, გაბედულ ადამიანებს“, რომლებიც ქართველების ერთგული მეგობრები გახდნენ.[14] იგი მიუთითებს, რომ „ბალტიისპირეთიდან გამოსულმა გერმანელმა ოფიცრებმა ხელი შეუშალეს ავადსახსენებელ დაჰაუს საკონცენტრაციო ბანაკში ჩემს დატყვევებას“.[15]

სსრ კავშირთან ომის დაწყებისთანავე, ვერმახტის ობერსტი შ. მაღლაკელიძე აღმოსავლეთის ფრონტზე გაგზავნეს.

1942 წლის ზაფხულში გერმანულმა არმიამ, რომელსაც სარდლობდა გენერალ-ფელდმარშალი პაულ ლუდვიგ ევალდ ფონ კლაისტი (1881-1954 წწ.), კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დაიკავა. მის შემადგენლობაში შედიოდა კავკასიელ მოხალისეთა სამხედრო შენაერთებიც – ლეგიონები, რომელიც ემიგრანტებისა და საბჭოთა არმიის ყოფილი მოსამსახურეთაგან შედგებოდა. მას სათავეში ედგა შ. მაღლაკელიძე, რომელიც იმავდროულად კლაისტის სამხედრო კონსულტანტი იყო.

იმავე წლის ნოემბერში „ქართული ლეგიონის“ 795-ე ბატალიონმა ბრძოლით მოაღწია საქართველოსა და ჩრდილო-

[13] გ. გაბლიანი. ჩემი მოგონებანი. ტ. I, გვ. 28-32.
[14] გ. გაბლიანი. ჩემი მოგონებანი. ტ. I, გვ. 111-123.
[15] გ. გაბლიანი. ჩემი მოგონებანი. ტ. II, გვ. 25.

ეთ ოსეთის საზღვრამდე და რაჭის ჩრდილოეთით, ურუხის ხეობაში (ამჟამად – ჩრდილოეთ ოსეთი) დაბანაკდა. მათთან ერთად იყვნენ სხვადასხვა ეროვნების მეომართაგან და მათ შორის ბალტიისპირელებისაგან დაკომპლექტებული სამხედრო შენაერთებიც, რომლებიც ასევე გერმანული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედიოდნენ.

შ. მაღლაკელიძე იგონებდა: „არის 1942 წლის აგვისტო. მივყვებით გერმანულ ასიათასიან არმიას. თუ არ გაგვიჭირდა, ჩვენ ბრძოლაში არ ვებმებით და იცის ეს გერმანულმა სარდლობამ, ჩვენ საგანგებო დავალება გვაქვს, საკომენდანტო ბატალიონია. ასე ჩავედით ტაგანროგამდის... ამასობაში შემოგვიერთდნენ ლატვია-ლიტვა-ესტონეთის ასეულები, აზერბაიჯანელები... მოვდივართ ნალჩიკის მიმართულებით. იქ მდინარე ბაქსანია... ჩემი ბატალიონი დამოუკიდებელი სამხედრო ერთეულია, საარტილერიო ნაწილიც მაქვს – ერთი ბატარეა... თურმე ჩვენს გაღმა ქართული საბჭოთა დივიზიაა № 392, გენერალ ყურაშვილის მეთაურობით... ასე შემოვედით ოსეთში, გზაზე უმნიშვნელო წინააღმდეგობას ვაწყდებოდით. შემოვედით ურუხის ხეობაში. იქ ოსური სოფლებია – ქვედა, შუა და ზედა ურუხი. აი, ეს ზედა ურუხი უკვე რაჭის საზღვარზეა. შუა ურუხში გავმართე მე ჩემი შტაბი... აქ ირგვლივ ცოტაა გერმანელები, ძირითადად რუმინული დივიზიებია განლაგებული. აქვეა ეს ლატვიელებიც...

1942 წლის დეკემბრისათვის სტალინგრადის საქმე ცუდად იყო... უცებ დატოვა ჩვენი ფრონტი ორმა გერმანულმა დივიზიამ სტალინგრადის დასახმარებლად. მათ რუმინელებიც ზედ მიყვნენ... ამრიგად, მე ჩემს ხალხთან ერთად დავრჩი მოჭრილი. ვინ არიან ახლა ჩემთან: I ქართული ბატალიონი, ლიტვა-ლატვია-ესტონური ასეულები, აზერბაიჯანელები და ერთი „ვზვოდიც“ არ იქნებოდა, დაახლოებით 20 კაცამდე, ჩემი ერთგული გერმანელები, სულ დაახლოებით 2000 კაცი.

გვყავს ცხენები და გვაქვს ქვემეხებიც“.[16]

ქართული ბატალიონი, გერმანული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალ სხვა სამხედრო შენაერთებთან ერთად, საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის საზღვართან 1943 წლის იანვრის დასაწყისამდე იმყოფებოდა.

სტალინგრადთან განცდილი მარცხის შემდეგ, გერმანული სარდლობა იძულებული გახდა, რომ საკუთარი შეიარაღებული ძალები ჩრდილო კავკასიიდან გაეყვანა. კავკასიაში დაბანაკებულმა გერმანულმა არმიამ, მის შემადგენლობაში შემავალ არაგერმანულ სამხედრო შენაერთებთან ერთად, დასავლეთის მიმართულებით უკან დაიხია.

შ. მაღლაკელიძის მოგონებებში ვკითხულობთ: „1943 წლის 3 იანვარია. ჩავამწკრივე ჩემი ბატალიონი და გამოვუცხადე: – ჩვენ ალმოვჩნდით კუბოში, ჩვენი დანებება არ შეიძლება, დაგვხვრეტენ. ამიტომ, უმჯობესია, ბრძოლის ველზე მოვკვდეთ, ან გზა გავიკაფოთ აზოვის ზღვისაკენ, რომ მერე ყირიმში გადავიდეთ!

ყირიმი მაშინ გერმანელების ხელში იყო. დავიძარით სრული სამხედრო წესით – მივყვებით მდინარეს ორივე მხარეს. ადვილად მივაღწიეთ ნალჩიკს, გავიარეთ ნოვოგიორგიევსკი, პიატიგორსკი...

პიატიგორსკში შემემთხვა ასეთი ამბავი: ჩვენი შესვლა იყო იქ და შემატყობინეს – გერმანელთა სამხედრო-საველე სასამართლო კინოთეატრის შენობაში ასამართლებს ტყვე საბჭოთა ოფიცრებს, რომლებიც ქართველები არიანო. მაშინვე გავეშურე იქით. შევედი და მესმის:

– „ფერურტაილე ცუმ ტოდე!“ (ე. ი. სიკვდილით დაისაჯოს).

ამ თეატრის სცენაზე ზის სამი გერმანელი პოლკოვნიკი და ასამართლებენ 9 ოფიცერს, ცხრავე ქართველს! რომ გა-

[16] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი, გვ. 178-188.

მოაცხადეს განაჩენი, ერთი ქართველი წაიქცა, ეტყობა კი იცოდა იმდენი გერმანული. მე მივედი, მეორე აყენებს ფეხზე. წაქცეულის გვარი აღმოჩნდა გაჩეჩილაძე, შავთმიანი ბიჭი იყო. ახლა მე შემრცხვა – რაღა მაინცდამაინც ამ ქართველებს ასამართლებენ. ამასობაში, ის პოლკოვნიკი, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარეობდა, უეცრად წამოდგა და მოვიდა ჩემთან.

– „ენტშულდიგენ ზი ბიტტე!“ – ბოდიში მომიხადა. თურმე ეს არის ლატვიელი გერმანელი, რომელსაც მე რიგიდან ვახსოვარ.

ახლა მე მივმართავ მას ლატვიურად:

– "მე მილიტერბერატერი ვარ, ოკე-ს წევრი და გადმომეცით ეს პატიმრები თავიანთი საქმეებიანად-მეთქი".

– „ესენი მზვერავებად იყვნენ აქ შემოგზავნილიო – მიპასუხა, მაგრამ საბოლოოდ დამთანხმდა. დააბრუნეს ისინი ციხეში. კარგად ეპყრობოდნენ, ე. ი. ისინი უკვე მე დამაწერეს“.[17]

ხსენებულმა ქართველებმა პიატიგორსკი მაღლაკელიძესთან ერთად დატოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანულმა არმიამ კავკასიის ტერიტორია დატოვა, გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ქართული სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბების პროცესი კვლავ გაგრძელდა.

1943 წლისათვის გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფ ქართველთა საერთო რაოდენობამ – 35 ათასს მიაღწია.[18]

II მსოფლიო ომის პერიოდში, გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი „ქართული ლეგიონის“ ერთი ასეული ლატვიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობებს ვხვდებით იმდრო-

[17] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი, გვ. 188.
[18] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი, გვ. 191.

ინდელ ქართულ ემიგრანტულ პრესაში.

1942 წლის ივნისიდან – 1945 წლის მარტის ჩათვლით ბერლინში ქართულ ენაზე გამოდიოდა გაზეთი „საქართველო“. იგი წარმოადგენდა ჯერ „ქართული ლეგიონის“, ხოლო 1944 წლის 31 ივლისიდან – „ქართველ მოხალისეთა“ ყოველკვირეულ გაზეთს. მისი მთავარი რედაქტორი იყო ვერმახტის ოფიცერი გაიოზ შალვას ძე მაღლაკელიძე (1920-1989), რომელიც რიგაში გაიზარდა და ლატვიურ ენას სრულყოფილად ფლობდა.

1944 წლის 18 სექტემბერს, „საქართველოში“ გამოქვეყნდა ამ გაზეთის საკუთარი კორესპონდენტის, მოხალისე კ. დძის სტატია „ჩვენი ასეული ლატვიაში“.

წერილში ვკითხულობთ: „ჩვენი ასეული დიდი ხნის განმავლობაში ლატვიაში იყო დაბანაკებული. ამ პატარა ქვეყანაში ცხოვრება, რომელიც მრავალმხრივ ჩვენს სამშობლოს მოგვაგონებს, მეტ ხალისსა და ენერგიას გვმატებდა. ჩვენი მებრძოლები იშვიათი თანაგრძნობითა და პატივისცემით იყვნენ გარემოცული ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ლატვიელი გლეხები ჩვენ, ისევე როგორც გერმანელ ჯარისკაცებს, განსაკუთრებით კარგად გვექცეოდნენ. მათ უკვე გამოსცადეს რუს ბოლშევიკთა ბატონობის საშინელება, ხელშესახებად იგრძნეს, რას ნიშნავს ბოლშევიკური მონობის უღელი, ტერორი და გადასახლება.

ისინი ჩვენ გვიყურებდნენ, როგორც მხსნელებს, რომლებიც ვიცავთ მათ სამშობლოს მოზღვავებული მტრის ურდოებისაგან.

ლატვიაში კარგად იცნობენ საქართველოს, იციან ჩვენი წარსული, მოსწონთ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის გმირული ისტორია, მისი ბრძოლები ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ...

რა შეიძლება აკავშირებდეს ლატვიასა და საქართველოს? ცხადია, პირველ რიგში მებრძოლი სულის ერთიანობა

რუსული ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომელმაც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ფეხქვეშ გასთელა საქართველოს თავისუფლება და თავისი სისხლიანი ხელით ლატვიასაც გადასწვდა“.[19]

ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის თავმჯდომარის, აკადემიკოს იანის სტრადინშის (დაბად. 1933 წ.) ცნობით, II მსოფლიო ომის პერიოდში, მან იურმალაში ნახა ქართველი ლეგიონერები, რომლებსაც მარჯვენა ხელზე ჰქონდათ სიმბოლოები ქართული სამფეროვანი დროშის გამოსახულებითა და წარწერით: „Georgien“.

გ. მაღლაკელიძის ინიციატივით, ბავარიის სოფელ რუპოლდინგში, საგანგებოდ ქართველი მოხალისეებისათვის შეიქმნა სამხედრო-სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელსაც მისი მეუღლე, ბალტიისპირელი გერმანელი გრეტა მაღლაკელიძე ხელმძღვანელობდა. ომში დაჭრილ და დახეიბრებულ ქართველთა გამოჯანსაღებაში ამ ცენტრმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.[20]

საგულისხმოა, რომ II მსოფლიო ომისა და მის მომდევნო პერიოდში გერმანიაში არაერთი ქართულ-ბალტიური ოჯახი შეიქმნა.

გ. გაბლიანი თავის მოგონებებში წერს: „გრეტამ გვითხრა, სამმა გერმანელმა გოგონამ ბალტიისპირეთიდან, ახლო მეგობრებმა, გადაწყვიტეს მხოლოდ ქართველ კაცებს გაჰყოლოდნენ ცოლადო...

ქართველ კაცებზე გათხოვილი ბალტიისპირელი ახალგაზრდა გოგონების „კლუბს“ მეოთხე „წევრიც“ მიემატა. ეს იყო ილზე ბარათელი, რომელიც ჩემს კარგ მეგობარს, სანდრო ბარათელს გაჰყვა ცოლად მიუნხენში, ომის შემდეგ. ისი-

[19] „საქართველო“. ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი. ბერლინი. 1944. № 37.

[20] „საქართველო“. ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი. ბერლინი. 1945. № 2.

ნი ემიგრაციაში წავიდნენ ნიუ-იორკში და მრავალი წლის მანძილზე, სანდრო იყო აშშ-ში ქართველთა კოლონიის ერთერთი პოპულარული, პატიოსანი და შრომისმოყვარე პრეზიდენტი. იგი თავისი ხალხისათვის თავგადადებული პიროვნება იყო და, ამავე დროს, წარმატებული ბიზნესმენიც გახდა. საბედნიეროდ, მას მხარში ედგა მოყვარული, მშვიდი და ნიჭიერი ცოლი ილზე, რომელიც ასევე ჩვენი მეგობარი გახდა...

ჩემი პიროვნული გამოცდილება დაკავშირებულია ოთხ ბალტიურ-გერმანულ-ქართულ ქორწინებასთან, რაც ხშირად მანცვიფრებდა: „ნუთუ შესაძლებელია, რომ ამ ორ ეთნიკურ ჯგუფს ერთმანეთისადმი განსაკუთრებული ლტოლვა ჰქონდეს“?[21]

ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე მებრძოლი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედიოდნენ შენაერთები, რომლებსაც ქართველი გენერლები და ოფიცრები მეთაურობდნენ. მათ შორის იყვნენ: II გვარდიული არმიის სარდალი, სსრკ-ის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი პორფილე ჩანჩიბაძე (1901-1950 წწ.); ვიცე-ადმირალი გიორგი აბაშვილი (1910-1982 წწ.), რომელიც 1955-1961 წლებში ბალტიის ფლოტის სარდლის პირველ მოადგილედ მსახურობდა; გენერალ-მაიორი პანტელეიმონ შიოშვილი (1906-2001 წწ.); ავიაციის გენერალ-მაიორი ლავრენტი გოლიაძე (1909-1973 წწ.); 406-ე მძიმე ბომბდამშენი საავიაციო პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი ბ. ზუმბულიძე, პოლკოვნიკები: ა. ბარბაქაძე, ა. ჯაფარიძე და ი. ძამაშვილი, მსროლელი ბატალიონის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ა. შიშინაშვილი, საავიაციო რგოლის მეთაური, გვარდიის ლეიტენანტი კ. მებაღიშვილი და სხვები.[22]

1945 წლის გაზაფხულზე ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე მებრძოლი საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში იმყოფებოდა ზემოხსენებული შ. ხიდაშელი, რომელ-

[21] გ. გაბლიანი. ჩემი მოგონებანი. ტ. II, გვ. 25.

[22] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VIII. თბ. 1980, გვ. 188-189.

მაც თავის მემუარებში იმდროინდელ ლატვიაში არსებული ვითარების საყურადღებო აღწერილობა შემოგვინახა.

შ. ხიდაშელი იგონებდა, რომ ის სამხედრო შენაერთი, რომელშიც თვითონ ოფიცრად მსახურობდა, განლაგებული იყო „კურლანდიაში, ფრონტის ერთ-ერთ უბანზე, გერმანელების მიტოვებული უზარმაზარი ტერიტორიის ერთ-ერთ „კუნძულზე“, რომელიც ისეა გამაგრებული, რომ აგერ ბრძოლა ბერლინის მისადგომებთან წარმოებს და აქ კი გერმანული დივიზიები თუ არმიები ურყევად დგანან... შენაერთი ამ „კუნძულის“ ლიკვიდირებისათვის ემზადება...

კურლანდია – პატარა მთა-გორაკებით დასერილი ადგილია. ამანაც შეუწყო ხელი მის გამაგრებას. დივიზიის სათვალთვალო პუნქტი მოთავსებულია ტყით დაფარული ბორცვის თავზე, ყოფილი ბელლის გულმოდგინედ ნაგებ შენობაში, საიდანაც გერმანელების განლაგებანი ხელის გულივით მოჩანს...

კურლანდიის წინააღმდეგ ბრძოლების წარმოება მხოლოდ ჩვენ არმიას არ აქვს დავალებული, მაგრამ წინასწარი ტაქტიკური მზადება ჩვენთან მიმდინარეობს. პოლიგონიც (ველზე მოთავსებული რელიეფური რუკა მომავალი ბრძოლებისა) ჩვენთანაა, მკაცრად დაცული და გასაიდუმლოებული. სამხედრო მეცადინეობა და ვარჯიშიც აქ წარმოებს, ფრონტის სარდლის, მარშალ გოვოროვის ხელმძღვანელობით...

8 მაისს ფრონტის შტაბში დანიშნული იყო უკანასკნელი სამხედრო თათბირი კურლანდიაზე შეტევის დაწყების და განხორციელების მიზნით. შტაბი მეიჯიკაში (ლიტვაში) იდგა და ჩვენგან დაშორებული იყო 120 კილომეტრით...

დაახლოებით დილის 3-4 საათზე, რადიორეპროდუქტორის ხმა გაისმა, ხმა, რომელსაც მთელი კაცობრიობა ელოდა მრავალი წლის მანძილზე... დასრულდა ოთხი წელი, გაუთავებელი, საოცრად გახანგრძლივებული და დაუბოლოებელი...

ეს იყო მკვდრეთით აღდგომის სილუეტი ჩვენი ფრონტის

ჯარების უმრავლესობისათვის, ჩვენი ფრონტის, რომელიც ხვალ დიდ, სისხლისმღვრელ შეტევას დაიწყებდა, ეს ხმა რომ არ ახმაურებულიყო რადიორეპროდუქტორში.

საოცარია გერმანული ორგანიზებულობა. კურლანდიის გერმანულმა სარდლობამ მაშინვე იარაღი დაჭყარა და დაიწყო იარაღის ჩაბარება. ველზე დგანან გაწმენდილი ტანკები და ქვემეხები, ერთ სწორ ხაზზე, თანაბარი მანძილით ერთმანეთს შორის; ყველას ლულა ზევით აქვთ აწეული, ერთნაირ გრადუსზე და ერთნაირი კუთხით. გვერდიდან რომ შეხედო – ერთი ტანკი გეგონება. ასევე გაწმენდილია და დალაგებული მთელი საომარი ტექნიკა, ავტომატები, „სტერეოტრუბები“, ბინოკლები და სხვ...

მივედი დივიზიის შტაბში. იქ დატყვევებული გერმანელი გენერალი ზის და დივიზიის სარდლობას ესაუბრება. გერმანელი გენერლის თარჯიმანი წარმოშობით ესტონელია, რომელიც მობილიზაციამდე არქიტექტორი ყოფილა, მაღალი, პირხმელი კაცი...

დაიწყო დეზერტირობა ბალტიისპირეთიდან გაწვეული ჯარისკაცებისა და ტყეში გასვლა ადგილობრივი მოსახლეობისა, რომლებიც „ჯერ კიდევ არ იყვნენ განთავისუფლებული ბურჟუაზიული მთავრობისა და კერძოდ, ულმანისის გავლენისაგან“. მაგრამ მათი დატყვევება არ გაძნელებულა. ამ მიზნით ჩატარებულ ოპერაციას „проческа“ ეწოდება. ეს სიტყვა ერთსა და იმავე დროს დაჩხრეკასაც ნიშნავს, ჩხრეკით გაწმენდას და დავარცხნასაც, ხოლო ამ სიტყვით აღნიშნული სამხედრო ოპერაცია ორივე შინაარსს შეიცავს.

ტყეს მთელი ნაპირის გასწვრივ, თუნდაც ის ათეულ და ასეულ კილომეტრზე გრძელდებოდეს, ეკვრის ავტომატებით შეიარაღებული, ერთმანეთისაგან 1-2 მეტრით დაცილებული ჯარისკაცებისაგან შემდგარი ჯაჭვი, რომელიც ნელი ნაბიჯით გაივლის ტყეს. ამგვარი წესით გავლილ ჯაჭვს ვერავინ გამოეპარება!..

ქ. რიგის რკინიგზის სადგური გაჭედილია ბრეზენტგადაფარებული „სტუდბეკერებით“. ბრეზენტი წვიმისაგან ფარავს სამხედრო ნადავლს და ადამიანის თვალისაგანაც. მანქანები დატვირთულია, რა თქმა უნდა, არა პერანგებით და გერმანელი ჯარისკაცების მუნდირებით, რის გამოც მე ჩემს ჯარისკაცებს ვუყვიროდი და შენიშვნას ვაძლევდი; დატვირთულია ძვირფასი ავეჯით, ფარდაგებით, კედლის საათებით, ფაიფურის ჭურჭლით, რომლის მსგავსიც ნადავლის მფლობელებს თავის სიცოცხლეში თვალით არ უნახავთ. ნადავლის მფლობელებიც რიგითი ჯარისკაცები არ არიან, არამედ მაღალი რანგის მეთაურები, გენერლები, სარდლები“.[23]

შ. ხიდაშელის მემუარებიდან ნათლად ჩანს, რომ ის, როგორც ქართველი პატრიოტი, თანაგრძნობით ეკიდებოდა ლატვიელებს და არც მათთან კონტაქტს ერიდებოდა.

აღნიშნულ მოგონებებში ვკითხულობთ: „ჩვენ ვცხოვრობთ ორსართულიან პატარა კოტეჯში, რომელიც ეკუთვნის ყოფილ მრეწველს, დაპატიმრებულს და ამჟამად კვალგამქრალს. კოტეჯი, ჩანს, სააგარაკო ნაგებობას წარმოადგენდა, სადაც ოჯახი ზაფხულს ატარებდა. კოტეჯს შედარებით კარგად აქვს შენარჩუნებული გარეგანი თუ შინაგანი იერი, თუმცა ჩვენამდე აქ სხვა სამხედრო პირებიც ცხოვრობდნენ და ყველა რაღაცას აკლებდა – ფარდებს, ჭურჭელს, ავეჯს, ფარდაგებს, თუ პატარა ზომის ახალთახალ „ფორდს“, რომელიც თივის დიდ ზვინში იყო დამალული.

რამდენჯერმე კოტეჯის შორიახლო ახალგაზრდა ქალი დავინახე... იდგა, ცალი თვალით იყურებოდა შენობისაკენ... და მიდიოდა.

ერთხელ, ეს ქალი (სახელად რასმა) ჭუჭაში შემხვდა და გამოველაპარაკე:

– იმ სახლთან გხედავთ ხშირად, რომელშიც მე ვცხოვ-

[23] შ. ხიდაშელი. უსათაურო მოგონებები, გვ. 273-280.

რობ.

– ჰოო, სახეზე მორიდებულმა ღიმილმა გადაუარა, – იცით, ის ჩვენი სახლია.

– ახლა სად ცხოვრობთ?

– სადა?! თუ გინდა გაჩვენებთ.

რასმა, დედა, და და უმცროსი ძმა, 7-8 წლის ბიჭი ცხოვრობდნენ ერთი გლეხის შენობაში, რომელიც მკვიდრად ნაგებ საბძელს წარმოადგენდა.

დედა, სოლიდური, სიმპათიური ქალი და მომდევნო და რაღაც მარცვლეულ მცენარეს არჩევდნენ თუ ფშვეტდნენ. რიგაში ქარხანასთან ერთად, ყველაფერი ჩამოართვეს, სულ 5 წლის წინ, და ოჯახი ამ სოფლის ერთმა გლეხმა შეიფარა. რასმა სადღაც მახლობელ ქალაქში (თუ დაბაში), რომელიც 15-ოდე კილომეტრით იყო დაცილებული, მუშაობდა. ესენი სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში ეხმარებოდნენ მასპინძლებს და ასე ირჩენდნენ თავს.

– არ გიძნელდებათ ამ სამუშაოს შესრულება?

– არა, – პასუხს მაძლევს დედა. – იცით, ჩვენ, ულმანისის დროს, რომელიც ჩვენ ქვეყანას მართავდა 1940 წლამდე (გასაბჭოებამდე), ძალიან კარგი წესი გვქონდა, ნამდვილი დემოკრატიული წესი. ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაკლებობას განიცდიდა, მუშა-ხელი არ იყო საკმარისი. ამიტომ, ყოველი მოსწავლე ვალდებული იყო საზაფხულო არდადეგების დროს მეურნეობაში ემუშავა. სწავლის დაწყების დროს სკოლაში არ შეუშვებდნენ, თუ სათანადო მოწმობას არ წარადგენდა. ასე რომ, ამგვარი სამუშაო ჩვენთვის უცხო არაა!

– თქვენ ალბათ აქ საკუთარი მეურნეობაც გექნებოდათ და თქვენი შვილები თქვენთანვე მუშაობდნენ.

– არა, ეს დაუშვებელი იყო კანონით. ჩემი შვილები სხვების მეურნეობაში მუშაობდნენ და აუცილებლად სხვასთან უნდა ემუშავათ.

– ვინ იყო ულმანისი?

– არ ვიცი, მე პოლიტიკოსი არა ვარ და არც ვერევი პოლიტიკაში. ვიცი, რომ მის დროს ჩვენი ხალხი ბევრად, შეუდარებლად უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე... – და ქალმა ეს ფრაზა აღარ დაამთავრა.

– ვიდრე?

– ვიდრე – არ ვიცი. მე რუსული ლაპარაკი მიჭირს, შესაფერისი სიტყვა ვერ მოვძებნე!

ჩემმა მოსაუბრემ ძალიან კარგად შეარჩია სიტყვა და ისიც გასაგები იყო, რაც უნდა ეთქვა, მაგრამ ვეღარ თქვა უცხო სამხედრო პირთან.

ულმანისი ცოცხალი იყო ლატვიელების მეხსიერებაში და ყველა სიხარულითა და სიამოვნებით იგონებდა მის სახელს, ოღონდ ხმადაბლა და სანდო პირთა შორის".[24]

II მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებისა და კაპიტულაციის მომენტში, შ. მაღლაკელიძე რუპოლდინგის ზემოხსენებულ სარეაბილიტაციო ცენტრში იმყოფებოდა. იგი იგონებდა: „ქალაქ ტრაუნშტაინში, ამ რაიონის ცენტრში, მე წარვუდექი ამერიკელ გენერალს, რომელიც გუბერნატორის როლს ასრულებდა, რეგისტრაციაში გასატარებლად – ყველა ოფიცერი ვალდებული იყო, რომ გაევლო რეგისტრაცია... მე გენერალს ვუთხარი, რომ გადმოსული ვარ ფრანგული ზონიდან და ახლა მასთან ვტარდები რეგისტრაციაში. ამ გენერალს ადიუტანტი ლატვიელი ჰყავდა და ძალზე გაუხარდა, რომ ლატვიური ვიცოდი. ძალზე კარგად შემხვდნენ და მეც კარგად ვიყავი რუპოლდინგში".[25]

აქვე დავსძენთ, რომ 1945 წლის ნოემბერამდე შ. მაღლაკელიძემ რუპოლდინგში დაჰყო, რის შემდეგაც იგი, თავისი ვაჟის – გაიოზის დახმარებით, იტალიაში გადავიდა. აქვე დავსძენთ, რომ შემდგომ პერიოდში შ. მაღლაკელიძე მრჩევ-

[24] შ. ხიდაშელი. უსათაურო მოგონებები, გვ. 275-276.
[25] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი, გვ. 208.

ლად მსახურობდა ჯერ პაკისტანის მომავალ პრეზიდენტ აიუბ-ხანთან, ხოლო შემდეგ გერმანიის კანცლერ კონრად ადენაუერთან. 1954 წელს იგი დასავლეთ ბერლინში დააპატიმრეს საბჭოთა უშიშროების ოფიცრებმა და სსრკ-ში გადაიყვანეს. ვინაიდან იმხანად სტალინი და ბერია უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ, შ. მაღლაკელიძე დახვრეტას გადაურჩა. ერთხანს შინაპატიმრობაში ჰყავდათ, ხოლო შემდეგ მას მუშაობის უფლება დართეს. თბილისში მუშაობდა ადვოკატად, იურისკონსულტად, სადაც 1976 წელს გარდაიცვალა.

ბალტიელი და ქართველი მამულიშვილების გარკვეულმა ნაწილმა ერთად გამოსცადა სსრ კავშირის რეპრესიული რეჟიმის საშინელება.

ქართველმა დისიდენტმა, თავისი შეუპოვრობით ცნობილმა ლიზიკო ქავთარაძემ (1905-1988) საბჭოურ ბანაკებში 28 წელი გაატარა, მაგრამ უტეხი სული ბოლომდე შეინარჩუნა. მის მემუარებში ვკითხულობთ: „ნამუსახდილი ქალი ძნელად თუ გამოიხედავს. თავს იკლავს და ხშირად, რაც თითქოს პარადოქსალურია, კახპად იქცევა. ასეთია ერის ბედიც. თუ მოძალადეს არ უმკლავდება, იგი კატასტროფული სისწრაფით იხრწნება. უნდა მოერიო! მორჩა და გათავდა! თუ არადა – „ვაი დამარცხებულს!“ მონობა არის განცდა არა ბატონის ძლიერებისა, არამედ საკუთარი უძლურობისა. ამაშია მონობის ფსიქოლოგიის, საერთოდ მონობის ერთ-ერთი და ძლიერი წანამძღვართაგანი. მონა იმიტომაც არის მონა, რომ შინაგანად არის პატივაყრილი და მუხლზე დაჩოქილი“.[26]

ლ. ქავთარაძემ მოგონებებში პატივისცემით მოიხსენია თავისი მეგობარი ესტონელი პოლიტიკური პატიმარი სანდრა მეენდორფი. ქართველი დისიდენტის შეფასებით, სანდრა იყო „უაღრესად ინტელიგენტი ესტონელი მხატვარი ქალი, რომლის სულიერი სიფაქიზე და სისუფთავე თავისთავად აკეთილ-

26 ლ. ქავთარაძე. 28 წელი გულაგში. თბ. 2008, გვ. 389.

შობილებდა ყველას, ვინც მის ატმოსფეროში მოექცეოდა“.[27]

ამრიგად, ქართულ-ბალტიური ურთიერთობები II მსოფლიო ომის პერიოდშიც არსებობდა. იმხანად, ქართველ სამხედრო პირთა გარკვეული რაოდენობა (რამდენიმე ათასი ადამიანი) იბრძოდა ბალტიის ქვეყნების: ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ტერიტორიაზე. მათი ერთი ნაწილი ირიცხებოდა სსრკ-ის არმიაში, ხოლო მეორე ნაწილი – გერმანიის შეიარაღებულ ძალებში.

ფრონტის ორივე მხარეს მებრძოლ ქართველთა პროგრესული ნაწილი თანაგრძნობით ეკიდებოდა ადგილობრივ, თავისუფლებისმოყვარე ბალტიელ მოსახლეობას, რომელიც, ისევე როგორც თავის დროზე (1921 წ.) ქართველი ხალხი, ოკუპაციის მსხვერპლი გახდა. ქართველი და ბალტიელი მამულიშვილების გარკვეულმა ნაწილმა ერთად გამოსცადა სსრ კავშირის რეპრესიული რეჟიმის საშინელება.

27 ლ. ქავთარაძე. 28 წელი გულაგში, გვ. 368.

Niko Javakhishvili

GEORGIAN-BALTIC RELATIONS DURING WORLD WAR II

Summary

In the article we have studied, what kind of relationship existed between Georgian and Baltic nations during the World War II.

It is well known, that in those times, certain number of the Georgian militaries (several thousand) fought on territories of Baltic States: Latvia, Lithuania and Estonia. Part of them were serving in the Soviet Army, and another part – in the German Army.

The progressive part of the Georgian militaries, fighting on both sides of the front, treated freedom-loving Baltic local population with compassion. Indeed, they, like Georgians (in 1921), had become victims of military occupation.

Some Georgian and Baltic patriots experienced the terror of Soviet repressive regime together.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

ქეთევან გოჩიტაშვილი
გიული შაბაშვილი

ქართული სოციალური რეკლამა

რეკლამას მინუს პოლიტიკა, მინუს კომერცია
ტოლია სოციალური რეკლამისა

„რეკლამა არ უნდა განვიხილოთ, როგორც უბრალო სარეკლამო განცხადება, ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენი ცხოვრების სტილზე და, თავის მხრივ, დამოკიდებულია მასზე“ (რაიმონდ ბაუერი, სტეფან გრეიზერი).

საზოგადოდ, არსებობს რეკლამის სამი სახე – პოლიტიკური, კომერციული და სოციალური. ჩვენი სტატიის მიზანია, განვიხილოთ ქართული სოციალური რეკლამა, მისი ისტორია, მისი შინაარსობრივი და ენობრივი ასპექტები.

სოციალური რეკლამა შეიძლება განისაზღვროს, როგორც კომუნიკაციის სახეობა, რომლის მიზანია, მკითხველის ყურადღება მიმართოს საზოგადოების ყველაზე უფრო აქტუალური პრობლემებისა და მორალური ფასეულობებისადმი. ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდივიდისა და საზოგადოების მორალურ-ეთიკური ფასეულობების ჩამოყალიბებასა და ფართო საზოგადოებამდე მიტანაში. ხშირად ის ერთგვარად მარკერის როლშიც კი გამოდის, რადგან, განსაკუთრებით ამ ტიპის რეკლამაში, თითქმის შეულამაზებლად აისახება საზოგადოების ღირებულებები.[1]

ქართული რეკლამა და, მათ შორის, სოციალური რეკ-

[1] http://mediascope.ru/node/152.

ლამა, შეიძლება ითქვას, არასაკმარისადაა შესწავლილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულ სინამდვილეში მას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, ალბათ, ღირს ყურადღების გამახვილება კომუნიკაციური ქმედების ამ მეტად პროდუქტიულ და თავისებურ სახეობაზე. რეკლამა საინტერესო ვითარებას ასახავს როგორც ენის ისტორიის, მისი ფუნქციონირების ერთი მეტად საინტერესო ასპექტის თვალსაზრისით, ასევე, ის საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ სოციალური, პოლიტიკური, კულტურული პროცესების განვითარების ხაზს.

დრო და პოლიტიკური წყობილება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შეხედულებებისა და მოვლენების ინტერპრეტაციაზე. საბჭოთა ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა სარეკლამო საქმიანობას მთელ ქვეყანაში. საქართველო, როგორც საბჭოეთის ორგანული ნაწილი, ზუსტად იმგვარ სარეკლამო პოლიტიკას ატარებდა, რასაც ცენტრი სთავაზობდა.

მაგალითად, სოციალისტურ საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, სოციალური რეკლამა რეკლამის წამყვანი სახე იყო.

საზოგადოდ, შესაძლებელია, გამოიყოს სოციალისტური სოციალური რეკლამის შემდეგი საკითხები:[2]

• ომის თემატიკასთან დაკავშირებული სოციალური რეკლამები:

„მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს!“ – გალაკტიონის ცნობილი ლექსის ეს ტაეპი კომუნისტური იდეოლოგიის პირობებში საბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში პირდაპირ ებმოდა სამამულო ომის გმირებს. მძლავრ საბჭოთა პროპაგანდასთან ერთად ამის მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ ხშირად ეს სლოგანად ქცეული ტაეპი წარმოდგენილი იყო ომის გმირების მონუმენტებსა და მემორიალებზე.

[2] http://www.davno.ru/articles/soc-reklama.html.

დიდება გმირებს! – მართალია, არც ამ შემთხვევაში კონკრეტდებოდა, თუ რომელ გმირებზე იყო საუბარი, მაგრამ ავტომატურად იგულისხმებოდა არა, დავუშვათ, დიდგორის ბრძოლაში დაღუპული გმირები, არამედ სამამულო ომის გმირები. საინტერესოა, რომ საბჭოთა სააგიტაციო მანქანამ მოახერხა ისტორიული მეხსიერებისა და ისტორიის განვითარების ბუნებრივი ხაზის გაწყვეტა. ამის ინსტრუმენტად კი გამოიყენეს შემდეგი ფაქტორები:

- საქართველოს ისტორიის შესწავლის თითქმის სრული იგნორირება საგანმანათლებლო სკოლებში;
- პროპაგანდა (კინოფილმები, ტელეგადაცემები, წიგნები), რომელიც გმირის იდეალად სწორედ მეორე მსოფლიო ომის გმირებს წარმოადგენდა, რომელთა აქტივიზაციის ფონზეც ხდებოდა ისტორიული გმირების გადაჩრდილვა.
- გარდა ამისა, მეორე მსოფლიო ომმა ძალიან ბევრ ადამიანზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ჯერ ისევ ცოცხლები იყვნენ, მნიშვნელოვანი მოახდინა გავლენა. პიროვნული და ემოციური განცდა ცოცხალი იყო, ამდენად, ამ პირადი და სამამულო ტრაგედიით მანიპულირება იოლი აღმოჩნდა საბჭოთა პროპაგანდისათვის.
- ბრძოლა განსხვავებულ მოაზროვნეებთან (განსხვავებული რელიგიური, პოლიტიკური, მორალური შეხედულებების გამო: მაგალითად, ***რელიგია – ხალხის ოპიუმია***).
- სოციალური სენის წინააღმდეგ ბრძოლა – ***მძღოლო ნუ სვამ, ნუ დააობლებ შვილებს***. პროპაგანდა – ***მთას უბრუნდება მთიელი.***
- გარემოს დაცვა – მოწოდება –***ტყე შეუნახე შვილებსა.***

საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში სოციალისტური პროპაგანდა იყენებს ქართულ ხალხურ სიბრძნეს. სოციალისტურმა იდეოლოგიამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა ნეიტრალური შინაარსის მქონე მოწოდება (რომელსაც,

თავად ჰუმანური მიზანი აქვს). ჩვენი აზრით, ეს იყო ერთგვარი სარეკლამო ხრიკი – საბჭოთა იდეოლოგიამ სწორედ ამ ნეიტრალური შინაარსის მქონე მოწოდებით ხაზი გაუსვა, რომ ის არ ემიჯნება წარსულს, იღებს იმას, რაც მისაღებია. ამის პარალელურად კი რეჟიმი პერმანენტულად ახდენს ადამიანებზე იდეოლოგიურ ზეგავლენას.

- კომუნისტური იდეალების დანერგვა.

საბჭოთა ხელისუფლება პლუს ელექტრიფიკაცია უდრის კომუნიზმს.

ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს.

სინდისი საუკეთესო კონტროლიორია.

ვფიქრობთ, რომ რომ ეს ცნობილი საბჭოური ლოზუნგი, რომელიც სამუშაო ადგილებთან იყო გამოკრული, კარგად წარმოაჩენს საბჭოთა რეჟიმის ავტორიტარულ ბუნებას: კონტროლის მექანიზმი ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროზე ვრცელდება. მორალი და სინდისი შინაგანი ხმაა. საბჭოთა პროპაგანდის შემთხვევაში ეს იყო ადამიანზე ზეგავლენის მოხდენის საუკეთესო საშუალება, მასობრივი აზროვნების შექმნის მექანიზმი.

ამავე ჯგუფში ერთიანდება სოციალურად დაუცველთა და ავადმყოფების დახმარების მოწოდებები, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დაცვა.

ზემოთ ჩამოთვლილ თემებად დაყოფა გარკვეულად პირობითია, რადგან ხოგჯერ ერთ რეკლამაში რამდენიმე მათგანზე იყო მოწოდება:

მშვიდობა მსოფლიოს!

ეს სოციალური და მაღალჰუმანური შინაარსის მქონე რეკლამა პოლიტიზებულია. ცივი ომის პერიოდში იმპლიციტურად იგულისხმებოდა, რომ სოციალისტური ქვეყნების ბანაკს ემუქრებოდა კაპიტალისტური აგრესია და საბჭოთა კავშირი იყო მშვიდობის მოსურნე, ხოლო მისი მხრიდან აგრესია მოსალოდნელი არ იყო. ანუ, ქვეტექსტურად იგულისხმე-

ბოდა დაპირისპირება ორ პოლიტიკურ ბანაკს შორის, დომინანტობის სურვილი, ზედაპირულად კი ქადაგებდა მშვიდობას და შეიცავდა ხალხზე მზრუნველობის ელემენტებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალური რეკლამა იმ ეპოქის ანარეკლია, რომელშიც იგი იქმნება და ერთგვარი ისტორიული მატიანეცაა, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და იდეოლოგიის გამომხატველი. თანამედროვე საქართველოში „სარეკლამო ვითარება“ რამდენადმე შეცვლილია, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის დაშლითა და დასავლური ორიენტაციისა და ღირებულებების დამკვიდრებით.

ბუნებრივია, სოციალისტურ სოციალურ რეკლამასთან შედარებით, თანამედროვე რეკლამაში ბევრი რამ შეიცვალა. შეიცვალა პრობლემატიკა, საზოგადოებრიობის წინაშე მდგარი პრობლემების ხასიათი, საზოგადოების დამოკიდებულება პრობლემებისადმი, რაც დაუყოვნებლივ აისახა ქართულ სოციალურ რეკლამაზე. მაგალითად, გაჩნდა ისეთი მოწოდება-რეკლამები, რომლებიც საბჭოთა კავშირში არ გვხდებოდა:

ოჯახური ძალადობა – **შევაჩეროთ ოჯახური ძალადობა!**

ანტინიკოტინური – ***მოწევა კლავს! მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას!***

ტრეფიკინგი – ***ნუ გახდები ტრეფიკინგის მსხვერპლი!***

ბუნებრივია, ეს ცნება პოსტსაბჭოთა მოქალაქეებისათვის ახალია. რკინის ფარდის მიღმა დარჩენილი ქვეყნები ამ სოციალური უბედურებისაგან სრულიად დაცულები იყვნენ, ამდენად, მისი საჭიროებაც არ არსებობდა.

- არჩევნები – ***შენ მიდიხარ არჩევნებზე?***

არჩევნების რეკლამირება საბჭოთა კავშირის დროს არაქტუალური იყო, რადგან ეს პროცესი იყო ფიქცია და ალტერნატივო კანდიდატების დროს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ადამიანების აქტიურობას.

- სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები – ***დაიცავი შენი ხმა!***

• მოქალაქეების პირადი უსაფრთხოების პროფილაქტიკა – ***შეიკარი ღვედი სიყვარულისთვის!***
ჩვენ ვზრუნავთ ერთმანეთის უსაფრთხოებისათვის. თქვენ?

• დასაქმება – ***უკმაყოფილო ხარ სამსახურით?***

• ქველმოქმედება – **3030, იავნანა.**

• ღირებულებების დამკვიდრება – ***ამერიკის ხმა – უბრალოდ ნახევარი საუკუნე.***

• კარიერა და დასაქმება – ***უკმაყოფილო ხარ სამსახურით? HR.COM.GE ყველაზე დიდი ვაკანსიების ჩამონათვალი საქართველოში.*** ამ ტიპის რეკლამა საბჭოთა კავშირის დროს არ იყო აქტუალური, ვინაიდან არ იყო ამის საჭიროება, უმუშევრობა არ იყო. თანამედროვე საზოგადოებისთვის დასაქმება ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემაა, ამდენად ამ ტიპის სოციალური რეკლამის მახასიათებლები ხშირ შემთხვევაში გახდა საფუძველი პოლიტიკური რეკლამისა: ***მილიონი სამუშაო ადგილი! გასაკეთებელი კიდევ ბევრია!*** – ეს სლოგანი საინტერესოა, ქვეტექსტუალურად იგი გულისხმობს გამკეთებელ სუბიექტს, პირს, რომელმაც ესა თუ ის სამუშაო უნდა შეასრულოს, ვინაიდან სლოგანი თავის თავში მოიცავს აქტიურ საქმიანობასა და, შესაბამისად, დასაქმების რეალურ შანსს.

• გარემოს დაბინძურება – ***აჭამე ნაგვისყუთს; მიგვენაგვე მოენაგვე!***

ამ სარეკლამო სლოგანის ავტორი ცნობილია. ტექსტი ეკუთვნის კოტე ყუბანეიშვილს. საინტერესოა, რომ ენობრივი თვალსაზრისით, იგი შინაარსს მოკლებულია, გამოყენებულია ქართული ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათქმნადობის ელემენტები და ემოციურ ეფექტს ახდენს ბგერწერა, ექსპრესია, სხვადასხვა გრამატიკული მაწარმოებლებით გაფორმებული სიტყვები, ალიტერაცია.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ სოციალური რეკლამის განხილვისას საგანგებო ყურადღება უნდა გავამახვილოთ რეკლამის ნარევ სახეობებზე. ეს არის სარეკლამო ტექსტის გან-

საკუთრებული სახეობა, როდესაც სოციალური რეკლამას კომერციული მიზნებითაც იყენებენ. განსაკუთრებით ხშირია ***საგანმანათლებლო*** შინაარსის შემცველ რეკლამებში კომერციული ქვეტექსტის გაერთიანება. ამ შემთხვევაში კომერციული რეკლამა იყენებს სოციალური რეკლამის ელემენტებს საზოგადოებაზე მეტი გავლენის მოხდენისა და მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში არ არის მითითებული ტექსტში ფასები, რადგან ეს სოციალური რეკლამის ბუნებასთან მოვა წინააღმდეგობაში:

შეისწავლეთ სასაუბრო ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ჩვეულებრივი მეთოდით. ლიტერატურა და აუდიომასალა უფასოდ.

ისწავლე CAC–ში, მოიპოვე დაფინანსება და გაემგზავრე დიდ ბრიტანეთში სასწავლებლად.

საატესტატო მინიმუმი: CENTER.GE.

- სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესი:

უყურე სპორტს პირდაპირ ეთერში!
სპორტი ძაან მაგარია!

- ავადმყოფების მორალური მხარდაჭერა:

შიდსი სიყვარულით არ გადადის – მე შენ მიყვარხარ!
მიეცი უფლება, იცხოვროს...
შიდსი სასიკვდილო განაჩენი არ არის!

- ეკლესიების მშენებლობა:

ერის ნათელი მომავალი ეკლესიის მშენებლობაშია. ბედნიერი ადამიანი მორწმუნე ადამიანია. დარეკე მაგთიზე ან ჯეოსელზე. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

საინტერესოდ გვეჩვენება ქართული და დასავლეთევროპული, აშშ სოციალური რეკლამის შედარება. ცხრილი შექმნილია ნ. პარშანცევას მიერ შემოთავაზებული სქემის მიხედვით:[3]

[3] www.gumer.info/bibliotel_buks/psihol/article/parsh_soc.php.

შესადარებელი კრიტერიუმები	ქართული გამოცდილება	საერთაშორისო გამოცდილება
სოციალური რეკლამის ბაზრის ძირითადი მონაწილეები	• არასამთავრობო ორგანიზაციები (USAID, გარემოს დაცვის ორგანიზაცია). • საქველმოქმედო ორგანიზაცია. • სახელმწიფო.	• სახელმწიფო. • ბიზნესი. • არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციები.
ძირითადი მიზნები	• ბიძგი კონკრეტული ქმედებისაკენ (ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართული სარეკლამო კამპანია და აქციები, შიდსის წინააღმდეგ...). • მაღალი ღირებულებები, ქველმოქმედება. • მოსახლეობის ჩართვა კონკრეტულ ღონისძიებებში.	• კონკრეტული ქმედების განხორციელების მოტივაცია. • ახალი ღირებულებების შექმნა. • ბიზნესი – საკუთარი ნაწარმის გასაღება სოციალური რეკლამის, სოციალური ქმედებების განხორციელების გზით. • სახოგადოებრივი პრობლემებისადმი მოსახლეობის ყურადღების მიპყრობა.
ფორმა	• ინფორმატიულობა. • მოწოდება.	• შედარებით აგრესიული.
ძირითადი თემები	• ქველმოქმედება. • ნარკომანია. • დაავადებები: შიდსი. • მოქალაქეების უსაფრთხოება. გარემოს დაცვა. • პოლიტიკა.	• გარემოს დაცვა. • სამოქალაქო უსაფრთხოება. • დაავადებები.
გავრცელების ძირითადი საშუალებები	• ტელევიზია. • ინტერნეტი და სოციალური ქსელები. • სხვადასხვა აქცია.	• ტელევიზია. გარეკლამა. პრესა. რადიო. • ინტერნეტი და სოციალური ქსელები.

ეფექტურობა	• საქველმოქმედო ორგანიზაციებში ირიცხება მილიონობით ლარი (აქცია „იავნანას“ ფარგლებში ერთი საათის განმავლობაში შეგროვდა 100000 ლარი). • შენდება ეკლესიები.	• სიგარეტის მოწევა • (კალიფორნიის შტატში სარეკლამო კამპანიის შედეგად მოწევას თაეი დაანება სამჯერ მეტმა ადამიანმა, ვიდრე მთლიანად აშშ–ში).
დაფინანსება	• არასამთავრობო ორგანიზაციები. • საქველმოქმედო ორგანიზაციები. • სახელმწიფო. • კერძო პირები.	• სახელმწიფო. • სამინისტროები. • ბიზნესი. • საქველმოქმედო ორგანიზაციები და ფონდები.
სოციალური რეკლამისადმი დამოკიდებულება	• ნეიტრალური. • დადებითი.	• დამოკიდებულია საკუთრივ რეკლამაზე. • დადებითი. • მაღალი შეფასება • **რუსეთი:** აგრესიულიდან დაწყებული რეალური ქმედებით დასრულებული

სოციალური რეკლამის დაჯგუფება შემდეგი საკლასიფიკაციო ნიშნებითაცაა შესაძლებელი:

1. რეკლამები, რომლებიც წარსულში მთელ საბჭოთა კავშირში ვრცელდებოდა, ახლა კი საერთაშორისო მიმოქცევაშია:

ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს;
ნუ გახდები ტრეფიკინგის მსხვერპლი.

2. რეკლამები, რომლებიც მხოლოდ რეგიონული დანიშნულებისაა და ადგილობრივი ეთნოკულტურული რეალიების

მიხედვითაა შექმნილი:

მთას უბრუნდება მთიელი;
სამშობლოს არვის წავართმევთ.

3. რეკლამები, რომლებშიც გამოყენებულია რომელიმე მწერლის, პოლიტიკური ლიდერის საყოველთაოდ ცნობილი გამონათქვამის ციტირება:

სწავლა, სწავლა და სწავლა (ლენინი).

4. რეკლამები, რომლებიც ხოგჯერ საგანგებოდ არის შექმნილი:

შეიკარი ღვედი შენი სიცოცხლისათვის!
შეიკარი ღვედი, დაიზღვიე ბედი!

5. ერთპლანიანი, გამჭვირვალე რეკლამები, რომლებსაც, არავითარი ქვეტექსტი არა აქვთ და მას მხოლოდ სოციალური აქტივობისკენ მოწოდებისათვის იყენებენ:

უფასო მამოლოგიური გამოკვლევები 40 წელს გადაცილებული ქალბატონებისათვის.

6. რეკლამები, რომელთა ქვეტექსტი არასოციალურ შინაარსსაც შეიცავს:

თქვენ მიერ გადახდილი ყოველი ლარიდან 1 თეთრი გადაირიცხება უდედმამო ბავშვთა ფონდში.

რეკლამის დამკვეთებისა და შემქმნელების მიზანია ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე. ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა პიარტექნოლოგიურ ხერხთან ერთად მნიშვნელოვანია ზუსტი ენობრივი საშუალებებისა და ლინგვისტური რეპერტუარის შეთავაზება მსმენელისთვის (მკითხველისათვის).

ცნობილია, რომ სოციალური რეკლამა მიმართულია საზოგადოების ყველა ფენისა და ასაკობრივი ჯგუფისკენ, ამიტომაც მისი ენა მაქსიმალურად მარტივია, სადა, ხშირად მოკლებულია მრავალსიტყვაობას, რაც რეკლამის შემქმნელებსა და გამავრცელებლებს საშუალებას აძლევს, აიცილონ კულტურულ-ენობრივი ბარიერები, რომლებიც ნებისმიერი ტექსტის აღქმას ახლავს თან.

ქართულში სოციალური რეკლამის გადმოსაცემად გამოიყენება:

- თხრობითი წინადადება:

იურიდიული დახმარების სამსახური მოქალაქეებს უფასო სამართლებრივი კონსულტაციის მიღებას ონლაინრეჟიმით სთავაზობს.

არსებობს შემთხვევებში, როდესაც საჭიროა კვალიფიციური იურისტის დახმარება.

- რეკლამის ბუნებიდან გამომდინარე, ამ ტიპის რეკლამაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ძახილის წინადადებას, რომელიც შეიცავს მოწოდებას, წახალისებას, მხარდაჭერას:

ნუ გახდებით ტრეფიკინგის მსხვერპლი!

- ეფექტური ჩანს კითხვითი წინადადების გამოყენება სოციალური რეკლამისათვის:

შენ მოდიხარ არჩევნებზე?

- სარეკლამო ტექსტში ხშირად გამოიყენება ე. წ. ჰიბრიდული სახეობა, როდესაც ერთადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის წინადადება:

10 წლის N-ს ესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა საზღვარგარეთ. ნუ იქნები გულგრილი, გადარიცხე ანგარიშზე თანხა!

სარეკლამო ტექსტში ხშირად არის გამოყენებული უშემასმენლო წინადადებები. რეკლამა „იტანს“ ჟარგონისა და არასალიტერატურო ერთეულების გამოყენებასაც.

შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ მოყვანილი ყველა ფაქტორი განსაზღვრავს ქართული სოციალური რეკლამის ფუნქციურ-სემანტიკურ მახასიათებლებს და ქმნის მის სახესა და ფორმას. ქართულ სოციალურ რეკლამაში ეფექტურად აისახება თანამედროვე მიმდინარე პროცესები. იგი ასრულებს თავის ფუნქციას და, გარკვეულწილად, ეტაპობრივად ახდენს ზეგავლენას მოსახლეობაზე.

Ketevan Gochitashvili
Giuli Shabashvili

THE GEORGIAN SOCIAL ADVERTISMENT

Summary

This paper explores the Georgian social advertisements, as a powerful weapon for the impact on the society. The main aim of the social advertisement is to motivate people to make some actions. We are discussing historical, political and cultural aspects in the process of using of social advertisement. There are presented some data from the Soviet social reality and foreign experience and they are also compared with modern Georgian items.

The different classification signs are shown as well:

- Content based.
- Areas of spread.
- Linguistic features.

All of the issues are divided into some subgroups.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2010

Teimuraz Papaskiri

Russian-Georgian August War: Causes, Results, Consequences*

In August 2008 Georgia once against, for the fourth time since 1801,[1] became a victim of the Russian aggression. Unlike previous three occasions, this time the Russian attack on Georgia clearly became one of the most significant events of the political life. From the very beginning it drew attention of the whole world and overshadowed all other events, including the Summer Olympic Games in Beijing. While the leaders of the democratic countries, NATO and European Union were expressing their condemnation of the Russian actions, the French President, Nicolas Sarkozy, who was presiding the European Union at that time, volunteered to mediate the conflict and used the "shuttle diplomacy" to stop the hostilities. He succeeded in terminating the military actions, and the six-point agreement was reached, but as it is evident today, the French President failed in restoration of the pre-war status-quo, which is the main part of the above-mentioned agreement. This is not strange, since the so-called "Old Europe" is not eager to confront Russia because of the small country in Caucasus.

* This paper was presented at the conference: "Conflicts in Southern Caucasus: Past, Present, Future", held in Poznan, on May 15-16, 2009.

[1] The previous occasions were the annexation of Georgian kingdoms and princedoms, which began in 1801 and continued till 1864, military aggression and occupation of Georgian Democratic Republic in 1921, and the undeclared war in Abkhazia in 1992-1993.

When we are talking about the Russian-Georgian war, the first question is what happened. Of course, Russian governing circles are denying even the fact of aggression. Formally, the Russian side called its actions "Operation for the Peace Enforcement", which allegedly "stopped the genocide of the Ossetians" and "defended the Russian citizens living in South Ossetia", but practically no one, except the Kremlin Tops themselves, believes to these statements. It is clear for everyone that the Russian aggression against Georgia had nothing in common with the "saving of the Ossetians" from the "genocide", which never threatened to them from the Georgians. I would like also to comment the statements made by the leaders of democratic countries regarding "Russia's disproportionate use of force". Those statements, though supporting Georgia, were not correct in their sense. Russia had no right to use any kind of force in Georgia, regardless of fact would it be proportionate or disproportionate. Therefore, the open aggression and invasion of Russian troops into Georgia had to be called its name. Despite this, till today we hear from politicians that Russia's usage of forces was just "disproportionate". This reminds us 1930's and the attitude, which was shown by the League of Nations regarding Italian attack on Ethiopia or Soviet aggression against Finland. Although, there is a difference. At least, in those cases the League of Nations considered them as Italian-Ethiopian and Russian-Finnish wars.

The second question which usually rises, is who started the war. To my surprise, there still are people who blame Georgia for "starting the war". I would just ask them: against whom started Georgia the war? Since we have the Russian-Georgian war, definitely, the answer in this case has to be that Georgia started the war against Russia. Of course, we have never heard such statement from the serious experts, because the stupidity of that is clear for everyone. Despite this, some of them still consider it possible that it was Georgia, who started the hostilities against the so-called South Ossetia, which is *de jure* part of Georgia. This statement is also not true, since even on August 7, when the warfare started, it

were the Ossetian separatists, who opened the fire first and shelled Georgian villages, Vanati and Prisi. At the same time, the more time goes, the more Russian sources confirm that the Russian troops had already entered Georgian territory before August 7, the day of the beginning of hostilities. But the war did not begin on August 7. The Russian government was making the preparations for the military operation against Georgia since April, the railway was repaired in Abkhazia and tens of thousands Russian troops sent there. Looked like, it would be Abkhazia, where the conflict would start, but the Georgian government was able to parry that threat with the help from international community. There can also be considered that maybe the Abkhazs themselves did not want to start a warfare against Georgia. Then the Russian government began to explore the plan "B" (or even "E", considering all their efforts before starting the hostilities). The so-called South Ossetian leader Eduard Kokoity, which is called "bandit" even by his former associates, agreed to play his part in the provocations against the Georgian government. Those provocations, which began with the new strength in July 2008 (there always were provocations in Tskhinvali Region since 1989), reached its zenith at the beginning of August. The conditions in the Georgian villages in Tskhinvali Region became simply unbearable, but even on August 7 the Georgian government was trying to find the peaceful solution. Despite this, Kokoity and the Russians sabotaged the negotiations (The Russian emissary Popov left Tbilisi to Tskhinvali for the negotiations on August 6, but never made it, because of the "flat tires".), and when the Georgian government declared one-sided moratorium in the evening of August 7, began a full-scale shelling of the Georgian villages. Only after it, and upon receiving the information about the Russian armoured units crossing the Russian-Georgian border, the Georgian President Mikheil Saakashvili ordered to return fire and launch offensive on Tskhinvali. Therefore, it can be stated freely that it was Russia who began the war and the Ossetian separatists, with the help from the Russian troops, who started the hostilities.

What were the causes of the Russian aggression? As it was mentioned above, the Russian government justified its actions by the "genocide of the Ossetians" and the need "to defend the Russian citizens", although it was just a pretext. The Russian aggression had completely different causes: 1. Georgian intentions to join NATO and European Union; 2. Economic factor, since Georgia is considered as the main transit route for oil or gas pipelines; 3. The desire to restore the Soviet Empire; 4. The desire to punish country and its leadership, which dared to object to the Russian interests in Caucasia; 5. The inefficiency of all other means used to change the government in Georgia; 6. Personal distaste of Georgians and Georgian leadership (the last but not the least in this case). All these political, economic and personal factors, which are closely connected to each other, caused the Russian aggression against Georgia and made Georgia a perfect target for the military aggression.

ისტორიული მეცნიერების უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს დარგის განვლილი გზის შეჯამება, რადგან საისტორიო აზროვნების განვითარების დონის წარმოჩენა სწორედ ისტორიოგრაფიული გამოკვლევების შედეგად ხდება შესაძლებელი. ამის გათვალისწინებით, კრებულში წარმოდგენილია *ქ. მანიას* ნაშრომი „ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების წყაროთმცოდნეობითი შესწავლის ისტორია XX ს-ის 60-იანი წლებიდან თანამედროვეობამდე“. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოტანილია დასკვნები: ჰაგიოგრაფიული ძეგლების კვლევა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს XX ს-

ის 60-იანი წლებიდან მოყოლებული; თუმცა ამ მიმართებით მუშაობა 80-იანი წლებიდან ინტენსიურ ხასიათს ღებულობს, რაც განპირობებული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით – კვლევას ხელს აღარ უშლიდა ათეისტური პროპაგანდა.

ნ. ნიკოლოზიშვილის სტატიაში „ანძიანძორის ლოკალიზაცია და მისი მნიშვნელობა ქართლის სამეფოს ისტორიისათვის“ გაანალიზებულია „ქართველ მეფეთა ცხოვრებასა“ და „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ დაცული ტოპონიმის ლოკალიზაციის საკითხი. მკვლევარი დაწვრილებით მიმოიხილავს აღნიშნული ტოპონიმის შესწავლასთან დაკავშირებულ თვალსაზრისებს და სვამს მიღებული შედეგების გადააზრების საკითხს. ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზით იგი არკვევს, რომ ქართულ საისტორიო წყაროთა „ანძიანძორას“ არავითარი კავშირი არა აქვს „მოქცევაი ქართლისაჲ“-ში მოხსენიებულ ტოპონიმ „არიან-ქართლთან“, ასევე სომხურ სიტყვასთან „ძორ“ – ხევი. ნ. ნიკოლოზიშვილის დაკვირვებით, „ანძიანძორა“ ლოკალიზდება მცირე აზიაში, ეს არის კაპადოკიის ქალაქი ნაზიანზი.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გამოკვლევების მიუხედავად, კრებულში გამოქვეყნებული რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის *ლ. პატარიძის* სტატია „მეფობის იდეა „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“, ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემები ჯერ კიდევ დიდ ყურადღებას საჭიროებს სპეციალისტებისაგან. ნაშრომი ქართლის სამეფოში მეფობის იდეის განვითარების შესწავლას ეძღვნება. გამოკვლევაში აღნიშნული საკითხის ანალიზი ლ. პატარიძის მიერ წარმოდგენილია „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ მიხედვით. ავტორი თხზულების ამ კუთხით განხილვის შედეგად ასკვნის, რომ ვახტანგ გორგასლის მეფობის ლეგიტიმაციას საფუძვლად დაედო

შემდეგი იდეები: (1) ვახტანგის მეფობის არქეტიპი და ანალოგი ბიბლიური დავითის მეფობაა; (2) ვახტანგის მეფობა ბიზანტიის იმპერატორის („კეისრის“) ხელდასხმულია და, შესაბამისად, ბიზანტიური თეოკრატიის პრინციპებს ეთანხმება; (3) ვახტანგი, როგორც მირიანის შთამომავალი, სპარსთა სამეფო დინასტიის ნათესავია და სასანიანთა იმპერიის იდეოლოგიურ დაკვეთას აკმაყოფილებს. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორის მეთოდოლოგიაზე. მითითებულია, რომ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორმა ვახტანგისდროინდელი რთული პოლიტიკური და კულტურული სიტუაციის შესაფერისი სიმბოლურ-იგავური ენით გადმოცემული, ქართლის სამეფოსა და მისი ხელისუფლების ლეგიტიმურობის იდეოლოგია შექმნა.

გ. ჟუჟუნაშვილის წერილი „მონღოლების დროინდელი საქართველოს ისტორიიდან“ შეეხება საქართველოში მონღოლთა ასწლოვანი ბატონობის ამსახველ მოვლენებს, რომლის შესახებაც ქართულ წყაროებში არასაკმარისი ინფორმაცია მოგვეპოვება. ამიტომაც მკვლევარი მონღოლური გადასახადის, გასაწევეთა თუ ზოგადად მაშინდელი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დასადგენად იყენებს საყაენოში შემავალი ქვეყნების სისტემის ანალოგიით განხილვას, რის საფუძველზეც თვლის, რომ მონღოლთა მიერ შემოღებული იქნა „ლიბერალური“, ადგილობრივ ტრადიციებთან შეთანხმებული, საგადასახადო სისტემა. სწორედ მისი „ლიბერალობის“ გამო მოხელეთა თავნებობა ზღვარს სცილდებოდა და იწვევდა საერთო სახალხო გულისწყრომას.

სპეციალურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ინტერესი შეინიშნება ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების კვლევის მიმართ, მხოლოდ ერთგვარად, მეცნიერთა ინტერესის მიღმა რჩებოდა საფორტიფიკაციო ნაგებობები. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს კრებულში გამოქვეყნებული *ჯ. სამუშიას* სტატია „სვეტის ციხის ლოკალიზაციისათვის“. სტატიაში ყუ-

რადღება გამახვილებულია ისტორიული მესხეთის ციხე-სიმაგრეების შესწავლაზე, ვინაიდან ქართველ მკვლევართათვის უცნობია რამდენიმე ათეული ციხის ლოკალიზაცია. კრებულში წარმოდგენილია სვეტის ციხის ადგილ-მდებარეობის განსაზღვრის მცდელობა. მკვლევარი ნარატიულ ძეგლებში დაცული ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობების შეჯერებით და სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობის შედეგების გათვალისწინებით გვთავაზობს ვარაუდს, რომ სვეტის ციხე მდებარეობდა ციხისძირში და აგებულია XI საუკუნეში.

თავის გამოკვლევაში „ქართული ერთობა რელიგიური მოქცევის ეპოქაში (ჰიეროტოპიული პროექტი ’მცხეთა – ახალი იერუსალიმი’)“ *მ. ჩხარტიშვილი* წარმოგვიდგენს ქართული ერთობის ისტორიის ახლებურად გააზრებას უძველესი ქრისტიანული ჰიეროტოპიული პროექტის რეკონსტრუქციის საფუძველზე. მეცნიერი აღნიშნულ ჰიეროტოპიულ პროექტს პირობითად „მცხეთა – ახალ იერუსალიმს“ უწოდებს იმის გათვალისწინებით, რომ მის საფუძველზე ხდებოდა მცხეთის საქალაქო ტერიტორიის და მისი შემოგარენის გააზრება „ახალი იერუსალიმის“ სივრცულ-ლანდშაფტურ ხატად; ორგვარი – სულიერი და ფიზიკური მარკერები გამოიყოფოდა: სამეფო ბაღი ზეციური „ახალი იერუსალიმის“ ხატად, ხოლო მისი შემოგარენი და ქალაქის დანარჩენი ნაწილი – მიწიერი „ახალი იერუსალიმის“ სახედ გაიაზრებოდა. ნაშრომში აღნიშნული პროექტის რეკონსტრუქცია წარმოდგენილია ჰაგიოგრაფიული თხზულების „წმ. ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქციის (IVს.) მიხედვით.

ტექსტოლოგიური ანალიზით ქურაშის მინაწერი საბუთის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში მანამდე დამკვიდრებულისაგან განსხვავებულ შეხედულებას წარმოგვიდგენს *თ. ჯოჯუას* წერილი „მანდატურთუხუცეს ხაჟიგ დადიანის მინაწერი საბუთი (XIII ს. II ნახევარი – XIV ს.) ქურაშის I ოთხთავის (X-XI სს) დაკარგულად მიჩნეული ფრაგმენტიდან

(H_1886)“. იგი არ იზიარებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ქურაშის მთავარმოწამისადმი ხაუიგ დადიანის დაწერილის დაკარგულად მიჩნევის თვალსაზრისს. მისი შეხედულებით, საბუთის დაკარგულად გამოცხადება განაპირობა. ე. მეტრეველისეულ აღწერილობაში უსუსტობის გაპარვამ – ტექსტში იკითხება არა „ქერაბინსა“, არამედ – „ქურაშის“. მკვლევარიმა გაარკვია, რომ X-XIსს. დაუდგენელ ადგილას გადაწერილ ქურაშის I ოთხთავის აშიებზე იყო დაცული *დაწერილი*, რომლის მიხედვითაც ხელნაწერი XIII ს-ის II ნახევარსა და XIV საუკუნისათვის ქურაშის წმ. გიორგის ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდა, რის გამოც შეასრულებინა ხაუიგ დადიანმა ქურაშის ეკლესიისათვის მიცემული საბუთი ამ ოთხთავის აშიებზე.

კრებულის წყაროთა პუბლიკაციის განყოფილებაში გამოქვეყნებულია საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები. სოხუმის ციხის ისტორიისათვის საინტერესო წყაროს პუბლიკაცია შემოგვთავაზეს *გ. ანჩაბაძემ და ნ. შენგელიამ* წერილში „XVIII საუკუნის ორი ოსმალური დოკუმენტი სოხუმის ციხის შესახებ“. აღნიშნული მასალის ანალიზით მკვლევრები ასკვნიან, რომ ოსმალო ადმინისტრატორების მცდელობის მიუხედავად, მათი რეალური ძალაუფლება ამ ციხის კედლებს არ სცილდებოდა.

ამავე განყოფილებაში გამოქვეყნებულია გიიომ ტიროსელის ქრონიკაში ქართველებთან დაკავშირებით დაცული საყურადღებო ცნობა. წერილში „იბერები გიიომ ტიროსელის ქრონიკაში“ ავტორი *ა. თვარაძე* მიუთითებს, რომ ტიროსელის მონაცემები მნიშვნელოვანია ტერმინ „აფხაზეთის“ შუა საუკუნეობრივი გაგების დასადგენად – მისი თანამედროვე ბიზანტიელი და აღმოსავლელი ავტორების მსგავსად აღნიშნულ წყაროში „აფხაზეთით“ აღნიშნავს გაერთიანებულ ქართულ სახელმწიფოს.

მ. შაორშაძის წერილი „წმ. იოანე მანგლელის ცხოვრე-

ბისა და მოღვაწეობის ზოგიერთი ადგილის დაზუსტებისათვის“ ოსეთის სასულიერო კომისიის (რომელთა მისია კავკასიელ მთიელებს შორის ქრისტიანობის გავრცელება და ქადაგება იყო) საქმიანობის ამსახველი დოკუმენტის პუბლიკაციას ეძღვნება. ავტორი მის მიერ გამოვლენილი ახალი დოკუმენტის გამოქვეყნებით ამ კომისიის შექმნის ინიციატორის – წმინდა იოანე მანგლელის ბიოგრაფიის და, საერთოდ, კომისიის გაწეულ საქმიანობის ისტორიას ავსებს საინტერესო დეტალებით.

პოლემიკის განყოფილებაში ქვეყნდება *მ. ჩხარტიშვილის* წერილი „პასუხის პასუხი აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს: XXI საუკუნის საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარების პრობლემები VI-VII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის თაობაზე დებატების ფონზე“. ავტორი მიზნად ისახავს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში არსებული პრობლემების ნაწილის იდენტიფიკაციას და ამისათვის ანალიზის ობიექტად ირჩევს დ. მუსხელიშვილის სტატიას „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის თარიღი და VI-VII საუკუნეების ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი“. მ. ჩხარტიშვილი ანვენებს, რომ დ. მუსხელიშვილის დასახელებული სტატია, რომელიც მასთან ადრე დაწყებული პოლემიკის გაგრძელებაა, „სანიმუშოა“ იმის საჩვენებლად თუ როგორი არ უნდა იყოს სამეცნიერო პოლემიკა: ტიტულოვანი მეცნიერის დასახელებული სტატია დაწერილია აკადემიური წერის მოთხოვნების, მეცნიერული დასაბუთების ლოგიკური პრინციპების და, რაც ყველაზე მეტად მოუთმენელია, ეთიკური ნორმების სრული უგულვებელყოფით, აგრეთვე, მისწრაფებით მოახდინოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეების მონოპოლიზაცია და საკუთარი გამოკვლევები დააყენოს ყოველგვარ კრიტიკაზე მაღლა. დ. მუსხელიშვილის ამგვარ დამოკიდებულებას მ. ჩხარტიშვილი ნაწილობრივ ობიექტური ვითარების

და საბჭოთა ეპოქაში გავრცელებული იმ პრაქტიკის გამოძახილად მიიჩნევს, როცა იდეოლოგიური მონიზმის ვითარებაში ყოველგვარი პლურალიზმი უარყოფილი იყო. რაც შეეხება, კონკრეტულად VI-VII საუკუნების საქართველოს ისტორიის საკითხებს, ამ წერილში ავტორი მათ არ ეხება, რადგან ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში ვრცლად აქვს წარმოდგენილი საკუთარი თვალსაზრისი როგორც პოზიტიურად, ასევე სხვა კოლეგების, და, მათ შორის, დ. მუსხელიშვილის მტკიცებულებების კრიტიკული განხილვის გზით. აღნიშნულ საკითხებზე პოლემიკა კი გამოიწვია მ. ჩხარტიშვილის მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართლის პოლიტიკური ისტორიის ქრონოლოგიაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის ცდამ. კერძოდ, „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ დაწერის ახალმა თარიღმა – VII საუკუნეების 30-იანი წლები, აგრეთვე, ქართლში საერო ხელისუფლების არარსებობის ხანის შესახებ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თვალსაზრისის (VI ს-ის I ნახევარი, რომელსაც იზიარებს დ. მუსხელიშვილი) უარყოფამ და ამ ფაქტის დათარიღებამ VI ს-ის მიწურულითა და VII ს-ის პირველი ათწლეულით .

წიგნების მიმოხილვის განყოფილებაში დაბეჭდილია *ე. კვაჭანტირაძის* წერილი „ჯავახეთი თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში“, რომელიც წარმოადგენს რეცენზიას სომეხი ისტორიკოსის აშოტ მელქონიანის ნაშრომზე „ჯავახეთი (ისტორიული ნარკვევი).“ როგორც ირკვევა, სარეცენზიო ნაშრომი განსაკუთრებული ტენდენციურობით გამოირჩევა და ჯავახეთს ოდითგანვე სომხეთის შემადგენელ ნაწილად წარმოსახავს. რეცენზენტი მიუთითებს, რომ სომეხი კოლეგა თავის ისტორიოგრაფიულ ძიებებს პოლიტიკურ მიზნებს უსახავს და მისი ტენდენციურობა მის მიერ „არასასურველი“ ფაქტების იგნორირებისა თუ წყაროთა არაადეკვატური ინტერპრეტაციის შედეგია.

ამავე განყოფილებაში ქვეყნდება 2004 წელს მოსკოვში

გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე სამეცნიერო განხილვის საგნად ქცეული ჰიეროტოპიის კონცეფციისადმი მიძღვნილი კრებულის მიმოხილვა, რომლის ავტორია *მ. ქადაგიძე*. როგორც განხილვიდან ჩანს კრებულში გამოქვეყნებული სტატიები საკრალური სივრცეების შექმნის სხვადასხვა ასპექტს ეძღვნება. ხაზგასმულია სასწაულთმოქმედი ხატების და რელიკვიების განსაკუთრებული როლი კონკრეტული საკრალური სივრცეების ჩამოყალიბებაში. გაანალიზებულია ჰიეროტოპიის მრავალი ფაქტი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ქრისტიანობის დასაწყისიდან გვიან შუასაუკუნეებამდე ბიზანტიური კულტურის გავრცელების არეალში. განსახილველ კრებულში გამოქვეყნებული ნაშრომები ცხადყოფს, რომ ჰიეროტოპიული მიდგომა საშუალებას იძლევა ახლებურად გავიაზროთ კულტურის აქამდე შეუმჩნეველი პლასტები.

განყოფილებაში „საერთაშორისო პრეზენტაცია“ ინგლისურ ენაზე ქვეყნდება მ. ჩხარტიშვილის სამი მოხსენება წაკითხული 2002-2007 წლებში საერთაშორისო კონფერენციებზე, კერძოდ, ესენია „კათოლიციზმი და იდენტობა: ქართული მაგალითი“, „ქართული იდენტობის რელიგიური მარკერის შესახებ“, „ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე X დუკა ქართველი ბერის მოგონებაში“. აღნიშნულ ნაშრომებში შუქდება ქართული იდენტობის ისტორიის სხვადასხვა ასპექტი, აგრეთვე, წარმოდგენილია კონკრეტული ისტორიული რეკონსტრუქცია.

ასეთია ძირითადი ფაქტები „საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხების“ IX ტომის შესახებ. აღნიშნული კრებული, ერთის მხრივ, მრავალწლიანი ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენს. მეორეს მხრივ, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თანამედროვე ეტაპის თვალსაჩინო ამსახველია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

რეცენზია

თედო დუნდუა

რეცენზია ნაშრომზე – ბიზანტია ქართულ წყაროებში. რედაქტორები: ნ. მახარაძე, ნ. ლომოური. თბ. 2010*

ბიზანტიური საისტორიო მწერლობა IV-XV სს. ბიზანტიელ ავტორთა ნაშრომების ერთობლიობა და დიალექტიკაა, ნელი და პერმანენტული დეკადანსი ბერძენი თუკიდიდედან (ძვ. წ. V ს.) მშრალ ქრონიკებამდე, რაც ეკონომიკური დეკადანსის ადეკვატურია. მხოლოდ ზოგიერთი ბიზანტიელი ავტორი თუ შეედრება ელინ კოლეგებს სკრუპულოზობით, დეტალურობით, თხრობის სიმძაფრით და რაციონალური ახსნა-განმარტებების მცდელობით. პროკოპი ქალაქ კესარიიდან თავის „პოლემიკაში“ (ბრძოლები) იმ ჰეროიკული ეპოქის სიდიადის ბრწყინვალე მხატვარია, რომის იმპერიის რესტავრაციის მცდელობა რომ ერქვა კეისარ იუსტინიანეს მეთაურობით. ელინური საისტორიო აზროვნების შორეული ეპიგონი ანა კომნენა (XII ს.) თურქული მოდგმის კლანებსაც კი იმ სახელებს უწოდებს, რაც ოდესღაც მათ მხარეში მცხოვრებ ირანული წარმოშობის ხალხებს ერქვა. თვით იმპერიის აგონიის დროსაც კი XV ს. ლაონიკე ხალკოკონდილასი კვლავაც ელინურ არქაიზმებს იყენებს. ეს არის და ეს. მაინც, საერთო

* წაკითხულია წიგნის პრეზენტაციაზე, რომელიც ჩატარდა 26. 11. 10. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის შემოდგომის სემესტრის **მოხსენებების, სემინარების, პრეზენტაციების** ფარგლებში.

ჯამში, ბიზანტიური მწერლობა ისტორიული აზროვნების განვითარების ტიპოლოგიურად იგივე საფეხურია, რაც ელინებს ჰქონდათ და რასაც თანამედროვეთა ჩანაწერები ჰქვია, ოღონდ, აშკარად, უარესი ვარიანტი. განსხვავება ბევრია, მისი ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს: 1) საეკლესიო ისტორიები ბიზანტიური მწერლობის აუცილებელი შტრიხია – ევსევი კესარიელი (IV ს.), გელასი კესარიელი (IV ს.) და სხვ. იმ ქრისტიანულ რევოლუციაზეც ბევრს წერენ, ქართული კულტურის ჩარჩოებში რომ განხორციელდა; 2) ქრონიკების სიმრავლე ბიზანტიური საისტორიო მწერლობის სხვა მახასიათებელია, ქრონოლოგიურ თარგზე გაწყობილი მოკლე ჩანაწერები ვრცელი გაბმული თხრობის მაგივრად – იოანე მალალა (VI ს.) და გეორგიოს სინკელოსი (IX ს.) ასეთი თხრობის ბრწყინვალე წარმომადგენელნი არიან; 3) პროვიდენციალიზმის ხარისხიც აშკარად და სამწუხაროდ მომატებულია.

განუზომელია ბიზანტიური საისტორიო მწერლობის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით. განათლებულმა ბიზანტიელმა სადღაც XI ს. ბევრად უკეთ იცოდა ლაზიკის ისტორია, ვიდრე საკუთრივ ქართველმა. ამ მხარის ქართიზაციას ხომ მეგრულენოვანი საისტორიო ინფორმაციის სრული იგნორირება მოჰყვა შედეგად. რომ არა ბიზანტიური საისტორიო მწერლობა, ჩვენ ძალზედ ცოტა რამ გვეცოდინებოდა IV-VIII სს. დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ, ისიც, უმთავრესად, ეკონომიკის შესახებ არქეოლოგიური მასალების შუქზე. რაც შეეხება უკვე საქართველოს, ბიზანტიური ინფორმაცია მასზე ჭოროხის სხვა მხრიდან დანახული რეალობაა, ის ქართულ ინფორმაციას, ძირითადად, უახლოვდება.

ასეთია ბიზანტიური საისტორიო მწერლობა. სწორედ ამიტომ, როგორც საკუთრივ რომეების სამეფოს ისტორიისათვის, ასევე, მისი ურთიერთობების რეკონსტრუქციისათვის გარე სამყაროსთან, დასავლელი ბიზანტინისტები ამ საისტო-

რიო მწერლობას ეყრდნობიან, როგორც წყაროს.

წარმოდგენილი ნაშრომი იმას ადასტურებს, რომ არამარტო ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობებისთვის, არამედ, საკუთრივ, ბიზანტიის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის ზოგი ქართული წყაროს გამოყენება რენტაბელურია; აქვე ეს წყაროები ინგლისურად არის ნათარგმნი. ასეთი წყაროების შეკრება და რუსულად თარგმნა ჯერ კიდევ ს. ყაუხჩიშვილმა განიზრახა. განსახილველი ნაშრომი კონკრეტული ჩანაფიქრის რეალიზაციაა. აქ თავმოყრილია ქართული ნარატიული, ეპიგრაფიკული, დოკუმენტური მასალა, ყველაფერი, რაც კი ბიზანტიას ეხება; ბერძნული წარმომავლობის ტოპონიმები, ბერძნულიდან ნასესხები ლექსიკა, ონომასტიკონი; და ეს ინგლისურად არის ნათარგმნი.

I ნაწილი. ქართული საისტორიო თხზულებები როგორც წყარო ბიზანტიის ისტორიისა (ნ. ლომოური). „ქართლის ცხოვრების“ ადრეული თხზულებები, ანუ ის, რაც, პირობითად, ლეონტის (გარდა „მეფეთა ცხოვრებისა“) და ჯუანშერს მიეწერება, კონკრეტული კუთხით გამოუსადეგარია – სწორედ ამაზეა აქ საუბარი. მაგ. ვახტანგ გორგასლის შესვლა საბერძნეთში მონაგონია, იმიტომ, რომ V ს. II ნახ. არავითარი ომი ბიზანტიასა და სასანიდებს შორის არ ყოფილა. არც მურვან ყრუ მდგარა კონსტანტინოპოლთან, და აშ. სამაგიეროდ, თითქმის სრული თანხმობაა ქართულ და ბიზანტიურ წყაროებს შორის ქართლის გაქრისტიანების ამბავთან დაკავშირებით; მეტ-ნაკლები სიზუსტით არის გადმოცემული ჰერაკლე კეისრის ამბავი და VIII ს. II ნახ. აფხაზთა საერისთავოს გამოსვლა ბიზანტიის დაქვემდებარებიდან.

„მატიანე ქართლისაჲში“ სიზუსტის ხარისხი მატულობს – აქ, სხვა ამბებთან ერთად, საუბარია დავით III კურაპალატის, ბაგრატ III-ის და გიორგი I-ის ურთიერთობებზე იმპერიასთან.

სუმბატ დავითის ძის თხზულებაში ბევრი რამ ემთხვე-

ვა „მატიანე ქართლისადს“.

„ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი“ – აქ ცნობაა კარნუ-ქალაქის გიორგი II-თვის გადაცემაზე, და სულთნის მიერ ბერძენთა მეფის დახარკვაზე.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ – ბასილ ეზოს-მოძღვართან ჩამოთვლილია ის პუნქტები, რომლებიც ქართველებმა დაიკავეს პონტოსა და პაფლაგონიაში 1204 წ. ლაშქრობის დროს. საუბარია ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაზე.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე კი მოგვითხრობს, თუ როგორ უჭერდა მხარს ფინანსურად თამარი იმპერიაში არსებულ ქართულ მონასტრებს.

უამთააღმწერელთან, ხანდახან, იხსენიება პონტო, სადაც არის ბერძენთა მეფე კომნიანოსი. მცირე აზიას ქართველები კვლავ საბერძნეთს ეძახიან. აქვე საუბარია ბექა ათაბაგზე, რომელსაც მთელი ჭანეთი მიუღია. მსგავსი ცნობა სხვაგან არ გვხვდება.

„ახალ ქართლის ცხოვრებაში“ რაღაც აღრეული ამბებია გადმოცემული. ვახუშტის კი, აშკარად, არაქართულ წყაროებზე დაყრდნობით შექმნილი ისტორიოგრაფიული ნაშრომი გამოუყენებია, ბაიაზითის გენეალოგიაზე რომ საუბრობს.

როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრებაში“ არაფერია განსაკუთრებული, რაც ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში არ არის.

ბევრად უფრო საინტერესოა ქართული აგიოგრაფიული თხზულებები, როგორც წყარო ბიზანტიის ისტორიისა. ეს არც არის გასაკვირი. ისინი ხომ მომხდარი მოვლენებიდან ძალზედ მალე იქმნებოდა.

„აბოს წამებაში“ „ბერძენთა მეფე“ „იონთა მეფეა“, რაც ძალზედ საინტერესო ტერმინია. „ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესი“ – აქ ისეთი დეტალებია დავით III კურაპალატთან, და ივერიკონის გარშემო ატეხილ ქართულ-ბერძნულ დავასთან დაკავშირებით, რაც სხვაგან არ გვხვდება. ტიპოლოგიურად

იდენტურ თხზულებაში – „ცხოვრებად გიორგი მთაწმინდელისად“ – საუბარია დინასტიურ ქორწინებასა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიაზე.

ძირითადად სწორედ ეს ორი „ცხოვრება“ არის შესანიშნავი დანამატი ბიზანტიური წყაროებისა.

II ნაწილი. ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ წყაროებში (ვ. გოილაძე). აქ მსჯელობაა ეპიგრაფიკაზე, სამონეტო ლეგენდებზე და ხელნაწერების მინაწერებზე. ატენის სიონის და სამშვილდის სიონის წარწერებში იმპერატორები იხსენიება. ოშკის წარწერა მოგვითხრობს, თუ როგორ დაეხმარნენ იმპერატორები ბასილი და კონტანტინე მის „განსრულებას“; ზარზმის ეკლესიის წარწერა კი – როგორ გააქციეს ქართველებმა სკლეროსი.

ბითვინიის ოლიმპოს ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერზე ცხოვლად არის აღწერილი სკლეროსის აჯანყება, „ჭირი დიდი საბერძნეთისა“. ერთ-ერთი ანდერძ-მინაწერი თვით იოანე-თორნიკეს მიერ არის გაკეთებული.

ავტორის დასკვნა ასეთია – სამშვილდის სიონის, ატენის სიონის, აბასთუმნის ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკის, სამწევრისის, ზარზმის ეკლესიის და ოშკის ტაძრის კედლებზე არსებული წარწერები დოკუმენტური ხასიათისაა და ისინი, VII-XI სს-ში ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის ამსახველ ქართული ნარატიული წყაროების მონაცემებთან ერთად, ძვირფასი წყაროა არამარტო ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესასწავლად, არამედ თვით ბიზანტიის ისტორიის უკეთ წარმოსაჩენად. ბიზანტინისტები დასავლეთში ამ მონაცემებს არ იყენებდნენ. ახლა, ალბათ, გამოიყენებენ. ქველაფერი ხომ უკვე ინგლისურად არის ნათარგმნი.

კონკრეტული ნაწილი სრულდება ორი გამოკვლევით: ერთი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას ეხება, მეორე – საიმპერიო ტიტულატურას პერიფერიებზე. ვიპატოსი და პატრიკიოსი, მაგისტროსი და კურაპა-

ლატი, ნოველისიმოსი და კესაროსი, სევასტოსი და პანიპერსევასტოსი – ეს ქართველ მეფე-მთავართა ტიტულებია. ავტორს მხოლოდ მივანიშნებთ იმაზე, რომ ბაგრატ IV მონეტაზე სევასტოსადაც იწოდება (შეად. გვ. 128).

III ნაწილი. ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის ქართული წყაროები (ე. ჟორდანია). აქ კიდევ ერთხელ ხაზგასმულია ის მასალა, რომელსაც უნდა იყენებდნენ, მაგრამ არ იყენებენ დასავლელი ბიზანტინისტები, კერძოდ: ა) ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ბ) ქართული დოკუმენტური მასალა, გ) ეპიგრაფიკული ძეგლები. კიდევ ერთხელ კომენტირებულია ბასილ ეზოსმოძღვარი და უამთააღმწერელი. აქვე საუბარია ტრაპიზონის დედოფლის რუსუდანის სახელით მოჭრილ ფულებზე, უნდა იყოს თეოდორას სახელით მოჭრილი მონეტები.

IV ნაწილი. ბერძნული ელემენტი ატენის ხეობის ტოპონიმიკაში და ატენის სიონი (თ. მესხი). ქართულ-ბერძნული ურთიერთობები, მათ შორის მიგრაციები, ტოპონიმიკაშიც აისახა. სწორედ ამ საკითხს ეხება კონკრეტული ნაწილი. მასალა უხვად არის წარმოდგენილი, თუმცა ძნელი დასაჯერებელია ტანას ხეობის ნომინალის კავშირი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ტანაისთან.

V ნაწილი. ძველ ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები და მათი მნიშვნელობა ბერძნული ენის ისტორიისათვის (ნ. მახარაძე). ავტორი ყურადღებას აქცევს ორიგინალურ და ნათარგმნ წერილობით წყაროებში დაცული ბერძნული ცნება-ტერმინების, საკუთარი სახელების, ტოპონიმების ქართულანბანური გადმოცემის თავისებურებებს, და ასე ცდილობს ბიზანტიური პერიოდის ბერძნული წარმოთქმის რეკონსტრუქციას. უდავოდ, საინტერესო მეთოდია.

ასეთია, სარეცენზიოდ წარმოდგენილი ნაშრომი. მისი მნიშვნელობა დიდია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

ლერი თავაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია

2010 წლის 28-29 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის თემატიკა მოიცავდა არაერთ მნიშვნელოვან საკითხს უძველესი დროიდან თანამედროვე პრობლემატიკის ჩათვლით. თავისი შინაარსითა და წარმომადგენლობით კონფერენცია იყო ინტერდისციპლინური და ინსტიტუტთაშორისი: საქართველოს ისტორის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისა და დოქტორანტების გარდა, მასში მონაწილეობა მიიღეს არქეოლოგებმა, ეთნოლოგებმა, ფილოლოგებმა, სამართლის ისტორიკოსებმა და სხვ. მოხსენებები იყო ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, კულტურულ-ანთროპოლოგიური. მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, ყველა მოხსენებას საქართველოს ისტორიის პრობლემატიკა აერთიანებდა.

კონფერენციამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მას ესწრებოდა დაინტერესებულ პირთა ფართო სპექტრი. ყოველი მოხსენება აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგანი ხდებოდა.

კონფერენცია გაიხსნა 28 ოქტომბერს. შესავალი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს ისტორიის მიმართულების სრულმა პროფესორებმა თედო დუნდუამ და მარიამ ჩხარტიშვილმა.

პროფ. თ. დუნდუამ ისაუბრა სამეცნიერო კვლევის განვითარებაში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის როლის შესახებ. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ აღნიშნული ინსტიტუტი არის სამართალმემკვიდრე საქართველოს ისტორიის კათედრისა, რომელიც უნივერსიტეტის დაარსების პირველივე დღეებიდან ფუნქციონირებდა და სადაც არაერთი გამოჩენილი მეცნიერი მოღვაწეობდა. მანვე მიუთითა იმის შესახებ, რომ აღნიშნული კონფერენცია უნდა გახდეს ერთგვარი დასაწყისი გარკვეული სამეცნიერო გამოცოცხლებისა.

მ. ჩხარტიშვილმა მოკლედ დაახასიათა განვლილ წლებში საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის მუშაობა სამეცნიერო სფეროში. კერძოდ, იგი შეეხო ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს ისტორიის ინსტიტუტს საუნივერსიტეტო ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში 2008 წლიდან გაფორმებული აქვს რომის ლა საპიენზას უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტთან. აღნიშნულ დაწესებულებასთან თანამშრომლობის შედეგი იყო მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია „ვია ეგნატია“ – კულტურული, პოლიტიკური, რეგიონალური იდენტობანი; ხალხები და სახელმწიფოები წარსულში და დღეს.“ რომელიც საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით 2009 წლის ნოემბერში თბილისში ჩატარდა. ამ კონტექსტში აღინიშნა საინსტიტუტო კონფერენციის მნიშვნელობის შესახებ და ითქვა ინსტიტუტის თანამშრომელთა იმ ენთუზიაზმსა და მხარდაჭერაზე, რომელიც პროფესორ თ. დუნდუას მხრიდან კონფერენციის ჩატარების იდეას მოჰყვა. მ. ჩხარტიშვილმა ისაუბრა იმ ფინანსური მხარდაჭერის აუცილებ-

ლობაზე, რომელიც საქართველოს ისტორიის ინსტიტუტსა და ზოგადად ქართველოლოგიას ესაჭიროება დღევანდელ ეტაპზე იმისთვის, რომ მისი განვითარება არ შეფერხდეს. ხაზი გაესვა ქართველოლოგიის სტრატეგიულ მნიშვნელობას ქვეყნის განვითარებაში და მისი მხარდაჭერის აუცილებლობას.

კონფერენციას მიესალმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი პროფესორი დარეჯან თვალთვაძე. მანაც ყურადღება გაამახვილა საინსტიტუტო კონფერენციის დიდ მნიშვნელობაზე: მართალია, ფაკულტეტზე ტარდება ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია, რომელიც, ზოგადად, ჰუმანიტარული პროფილის ყველა სპეციალისტს აერთიანებს, მაგრამ საქართველოს ისტორიის დარგში აღნიშნული კონფერენცია უეჭველად ძალიან აუცილებელია დარგის განვითარებისთვის.

სულ ჩატარდა ოთხი სხდომა. პირველი სხდომის თავმჯდომარე იყო აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, რომელმაც მიულოცა ყველა დამსწრესა და მონაწილეს კონფერენციის გახსნა და აღნიშნა იმ განსაკუთრებულ წელილზე, რაც საქართველოს ისტორიის მიმართულებით კვლევამ შესძინა ქართულ მეცნიერებას. მანვე ისაუბრა უნივერსიტეტისა და სახელმწიფოს მხრიდან იმ მხარდაჭერის აუცილებლობაზე, რაც სჭირდება საქართველოს ისტორიის სფეროს.

პირველი სხდომა ძირითადად შეეხო საქართველოს ისტორიის უძველესი და ძველი პერიოდის პრობლემატიკას, ასევე იდენტობის პრობლემებს. აღნიშნული პროფილით მოხსენებები წაიკითხეს: ნიკოლოზ სილაგაძემ – *ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის საკითხისათვის*; ანდრო გოგოლაძემ (თანამომხსენებელი თემურ თოდუა) – *ალექსანდრე მაკედონელი და კავკასია (ბერძნულ-ქართული წყაროების შედარებითი ანალიზი)*; მარიამ ჩხარტიშვილმა – *ქართული იდენტობის საკრალური ასპექტი*. სამივე მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, დასმული იყო არაერთი შეკითხვა, ქართველი ხალ-

ხის წარმომავლობის, მათი განსახლებისა და საცხოვრისის შესახებ, ასევე მათი ჰომოგენურობის შესახებ. ინტერესი გამოიწვია ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში მოსვლის შესახებ არსებული წყაროების წარმომავლობამ, მისი ლაშქრობის რეალურობამ საქართველოსა თუ კავკასიის ტერიტორიაზე. კითხვები დაისვა ქართული იდენტობის პრობლემატიკის ირგვლივც, თუ როგორია იდენტობა დღეს და როგორი იყო ადრე, რა მეთოდიკა უნდა იყოს გამოყენებული ქართული იდენტობის კვლევისას და აშ.

მეორე სხდომა გახსნა პროფ. დიმიტრი შველიძემ. აღნიშნულ სხდომაზე განხილული პრობლემატიკა შეეხო შუა საუკუნეების საკითხებს. მოხსენებები წარმოადგინეს: დარეჯან თვალთვაძემ – *სად და როდის ჩამოყალიბდა ქართული ოთხთავის ათონური რედაქცია*; ლერი თავაძემ – *საქართველოს სამეფო ოჯახის სოციალური სტატუსი XI-XVI სს-ის ფრესკული მხატვრობის მიხედვით*; თედო დუნდუამ – *მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება. გიორგი მესამის ფული*; ელენე გოგიაშვილმა – *ფანტასტიკური არსების („ვაც-კაცი“) გამოსახულება XII ს-ის ერთ ქართულ ხელნაწერში*; გიორგი ოთხმეზურმა – *ნიაბის წარწერა (XIII ს.)*; ირინა გველესიანმა – *„ანდერძისმიერი მემკვიდრეობის“ ევოლუციური გზა ქართული საისტორიო წყაროებისა და სამართლის ძეგლების მიხედვით*. ამავე სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ნიკოლოზ ჯავახიშვილი – *ქართულ-ბალტიური ურთიერთობა მეორე მსოფლიო ომის დროს*.

მოხსენებათა თემატიკამ დიდი ინტერესი გამოიწვია, კითხვები დასმულ იქნა, არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ, მათ შორის: ქართული ოთხთავის რედაქციების შედგენისა და ტიპოლოგიის შესახებ, ბიზანტიური და ქართული სამეფო ფრესკების ურთიერთმიმართების, მონეტათა კლასიფიკაციის, ქართული ხელნაწერებისა და ეპიგრაფიკული წარწერების ტექსტების წაკითხვის, ტრადიციული ქარ-

თული ანდერძის შედგენის წესისა და სხვა საკითხების ირგვლივ.

მესამე სხდომა ჩატარდა 29 ოქტომბერს და მას თავმჯდომარეობდა პროფ. მარიამ ჩხარტიშვილი. სხდომაზე წარმოდგენილ იქნა საქართველოს გვიანი ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. ისინი წამოადგინეს შემდეგმა მომხსენებლებმა: ალექსანდრე ბოშიშვილი – *გორულის წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხისათვის*; ჯაბა სამუშია – *XVIII ს-ის თბილისის მოსახლეობა და ფართობი*; აპოლონ თაბუაშვილი – *კრწანისის ბრძოლაში მონაწილე ქართული ჯარის შემადგენლობის საკითხისათვის*; გიორგი ჟუჟუნაშვილი – *ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების საკითხისათვის*; ბონდო კუპატაძე – *გენდერული თანასწორობის საკითხები „თერგდალეულთა“ პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში*. ამავე სხდომაზე გამოვიდა პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი – *სად მოხდა ალან-ოსთა ეთნოგენეზი?* აღნიშნული მოხსენებების მისამართით დაისვა მრავალი საინტერესო შეკითხვა: თუ რა მეთოდით ხდება შუა საუკუნეების თბილისისა და სხვა მეზობელ რეგიონებში მდებარე ქალაქების მოსახლეობის დადგენა, რამდენად არის აღნიშნული მეთოდი სარწმუნო, ასევე რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ „გორულის“ წარწერაში მოხსენიებული პირები საქართველოს ისტორიაში, რა რაოდენობის იყო ქართული არმია ერეკლე მეორეს დროს, მოხდებოდა თუ არა ქართლ-კახეთის ანექსია, რუსეთის „აღმოსავლური პოლიტიკის“ ვექტორი რომ არ შეცვლილიყო, რამდენად მწვავედ იდგა გენდერის პრობლემა XIX ს-ის II ნახევარში დღევანდელთან შედარებით, საიდან მოხდა ალან-ოსების მიგრაცია კავკასიაში და ა.შ.

მეოთხე სხდომა გაიმართა იმავე დღეს. მას თავმჯდომარეობდა პროფ. თედო დუნდუა. სხდომაზე ძირითადად წარმოდგენილ იქნა მოხსენებები საქართველოს XX ს-ის შესა-

ხებ. მათ შორის: დიმიტრი შველიძე – *გიორგი დეკანოზიშვილი და იაპონიის კონტრდაზვერვა 1904-1905 წლებში*, მიხეილ ბახტაძე – *საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წ. თავდაცვითი ხელშეკრულება*; თეა ქამუშაძე – *რეფლექსია სოციალისტურ მემკვიდრეობაზე (საქართველო-პოლონეთის მაგალითი)*; ქეთევან გოჩიტაშვილი (თანამომხსენებელი გიული შაბაშვილი) – *ქართული სოციალური რეკლამა*; ამავე სხდომაზე გამოვიდნენ: ქეთევან ქუთათელაძე – *ჩრდილოეთ სომხეთი თუ სამხრეთ ქართლი?*; ნათია ფიფია – *ევსევი კესარიელისა და იპოლიტე რომაელის ცნობები I-II საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ეთნოპოლიტიკური ისტორიის შესახებ*. სხდომის წევრთა, როგორც პროფილი, ასევე ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ფართო იყო, ამდენად სესია ფრიად საინტერესო გამოდგა, ადეკვატური შეკითხვებით და პასუხებით. კითხვების ძირითადი ნაწილი შემდეგი შინაარსის იყო: რა როლი შეასრულა იაპონიის კონტრდაზვერვამ რუსეთის იმპერიის დესტაბილიზაციაში XX ს-ის დასაწყისში, რა როლს თამაშობდა გიორგი დეკანოზიშვილი ანტიიმპერიულ მოძრაობაში, რას ითვალისწინებდა საქართველო-აზერბაიჯანის თავდაცვითი ხელშეკრულება 1919 წელს, რატომ არ დაეხმარა საქართველო აზერბაიჯანს 1920 წელს საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის პირობებში, რა მსგავსებები და განსხვავებებია ქალაქ რუსთავსა და ნოვა ჰუტას სამრეწველო რაიონს (კრაკოვი) შორის, რა სახის თანხვედრა და სხვაობებია ქართულ სოციალურ რეკლამასა და დასავლურს შორის, როგორი შინაარსის იყო საბჭოთა სოციალური რეკლამა, როგორია სომხური წყაროების მოწმობა ქვემო ქართლის შესახებ შუა საუკუნეებში, რა სახის წყაროები მოგვეპოვება დასავლეთ საქართველოს ეთნიკური ისტორიის შესწავლის კუთხით ანტიკურ ეპოქაში და აშ.

კონფერენციამ ჩაიარა მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში. დაისვა არაერთი მნიშვნელოვანი კითხვა, გამოითქვა მრავა-

ლი შენიშვნა და სურვილი. გადაწყდა, რომ კონფერენციაზე წაკითხული მასალები სხვა მეცნიერულად ღირებულ ნაშრომებთან ერთად დაიბეჭდოს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომებში.

კონფერენცია უდავოდ იყო იმ კარგი ტრადიციების გაგრძელება, რასაც საქართველოს ისტორიის კათედრა და შემდგომში საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი აკეთებდა წლების განმავლობაში, ანუ როცა საერთაშორისო, ეროვნულ და საუნივერსიტეტო კონფერენციებს აწყობდა საკუთარი ეგიდით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

ლაშა მურადაშვილი

მონოგრაფია ქართველი პატრიოტის შესახებ

ერთ-ერთი ბოროტება, რაც რუსულმა სოციალისტურმა იმპერიამ საკუთარი და დაპყრობილი ხალხების წინაშე ჩაიდინა, იყო ნამდვილი ისტორიის გაყალბება და შერჩეული ისტორიული პიროვნებებისა და მათი ნამოღვაწარის ამოგდება ფაქტობრივად ისტორიული მეხსიერებიდან. საქართველოს ისტორიიდან, ამოღებული აღმოჩნდა იმ პერიოდის ისტორია და იმ მოღვაწეთა სახელები, რომელნიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლასთან, ეროვნული იდენტობისათვის მოძრაობასთან. განსაკუთრებით დაზარალდა XX საუკუნის პირველი მეოთხედის ისტორია. ამ პერიოდის რეალობიდან საბჭოთა ისტორიოგრაფიამ წინ წამოწევის ღირსად სცნო მხოლოდ რუსეთის და, შესაბამისად, საქართველოს ბოლშევიკური პარტიისა და მასთან დაკავშირებული პიროვნებების ისტორია. სხვა დანარჩენი ან უარყოფილ იქნა, ან, საერთოდ, მიჩქმალულა და ცალმხრივი კრიტიკის ობიექტად იქცა.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდი ისე გავიდა, რომ იმ უზარმაზარ პოლიტიკურ სპექტრზე და პიროვნებათა პლეადაზე, რომელნიც აღნიშნულ პერიოდში მოღვაწეობდნენ, არაფერი არ იწერებოდა, არაფერი არ შეისწავლებოდა, არაფერი არ ქვეყნდებოდა და მათ არ ეკარებოდნენ ისტორიკოსები, როგორც კეთროვანებს.

ამიტომ იყო, რომ როგორც კი საბჭოთა იმპერიას და

ქვეყანაზე მახინჯ ე. წ. რეალურ სოციალიზმს რღვევის ნიშნები შეეპარა, ქართული ჟურნალ-გაზეთები და მაღაზიები გაივსო XX საუკუნის პოლიტიკური პარტიებისა და მოღვაწეების საქმიანობის ამსახველი სტატიებით, წერილებით, ბიოგრაფიებით, ბროშურებით, ცოტა მოგვიანებით კი ნაშრომებიც გამოჩნდა მათს შესახებ. შეიქმნა მონოგრაფიები საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების შესახებ; გამოქვეყნდა პოლიტიკური ბიოგრაფიები ნოე ჟორდანიას, ვარლამ ჩერქეზიშვილის, სპირიდონ კედიას, კოტე აფხაზისა და სხვათა შესახებ; ხელახლა გამოიცა მათი მემუარები, მოგონებები და სხვ.

აღნიშნული პერიოდი დღემდე რჩება ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ აქტუალურ და შესასწავლ უბნად. ამიტომაა, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი და მიმართულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს XX საუკუნის საქართველოს ისტორიის როგორც შესწავლას, ისე სწავლებას. ცალკე სასწავლო კურსად შეისწავლება XX საუკუნის საქართველოს ისტორია, ხოლო მაგისტრატურაში მიმდინარეობს არაერთი სპეციალური საგნის სწავლება XX საუკუნის ისტორიის ცალკეული პერიოდებისა და პრობლემების მიხედვით.

XX საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამოხატულება გახლდათ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ინიციატივით მოწყობილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ დიმიტრი შველიძისა და ისტორიის მაგისტრის გიორგი გაფრინდაშვილის ნაშრომის, „გიორგი დეკანოზიშვილი – მამულიშვილის დაბრუნება“ პრეზენტაცია, რომელიც შედგა 2010 წლის 18 ნოემბერს, თსუ უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსში. სხდომა გახსნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკა-

ნის მოადგილემ, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორმა თედო დუნდუამ.

გიორგი დეკანოზიშვილი იყო 900-იანი წლების ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. იგი გახლდათ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი არჩილ ჯორჯაძესთან და გიორგი ლასხიშვილთან ერთად. მისი დიდი ენერგიის წყალობით, 1903 წელს პარიზში გამოვიდა ქართული ეროვნულ-რევოლუციური გაზეთი „საქართველო“, რომელმაც პირველად დააყენა ევროპული საზოგადოების წინაშე საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის საკითხი.

1905 წელს რუსეთ-იაპონიის ომის დროს გიორგი დეკანოზიშვილი დაუკავშირდა იაპონიის კონტრდაზვერვას, ფრანგ და ჰოლანდიელ პოლიტიკურ მოღვაწეებს და მათი დახმარებით გემი „სირიუსით“ საქართველოში ფარულად შემოიტანა რამდენიმე ათასი თოფი. ამ სამხედრო-რევოლუციურ ოპერაციაში მონაწილეობდნენ ცნობილი ევროპელი ლიდერები: ქრისტიან კორნელისენი, ჰიუსმანსი და სხვანი. ეს და სხვა საკითხები იქნა შესწავლილი წარმოდგენილ წიგნში, რომლის შესახებ ისაუბრა თავად ნაშრომის ავტორმა პროფესორმა დიმიტრი შველიძემ. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სწორედ პრეზენტაციის დღეს შესრულდა ასი წელი გიორგი დეკანოზიშვილის გარდაცვალებიდან. მისი სახელის ხსენება ჯერ კიდევ რუსეთის იმპერატორის ხელისუფლებამ აკრძალა. როცა 1910 წელს გარდაცვლილი დეკანოზიშვილის ნეშტი საფრანგეთიდან მალულად ჩამოასვენეს საქართველოში და კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს, მისმა ახლო მეგობრებმაც კი გვიან გაიგეს ამის შესახებ. სამწუხაროდ, დღესაც ქართველმა საზოგადოებამ ბევრი არაფერი იცის გიორგი დეკანოზიშვილის შესახებ, მაშინ როცა მის შესახებ მეცნიერები დაინტერესებულნი არიან რუსეთში და იაპონიაში.

პრეზენტაციაზე ახალი მონოგრაფიის შესახებ ისაუბრა

ნაშრომის ერთ-ერთმა რეცენზენტმა დავით აბაშიძემ. მან აღნიშნა, რომ გიორგი დეკანოზიშვილის დაწყებული საქმე გააგრძელეს შემდგომი თაობების ქართველმა პატრიოტებმა, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ გერმანიის და იაპონიის პოლიტიკურ წრეებთან გასული საუკუნის 30-40-იან წლებში. დეკანოზიშვილის შესახებ ნაშრომის შექმნას მიესალმა პროფესორი გელა საითიძე. პროფესორმა ოთარ ჯანელიძემ ხაზი გაუსვა რომ გიორგი დეკანოზიშვილის მიერ განხორციელებული იარაღის შემოტანა, თავისთავად, სახიფათო სამხედრო-რევოლუციური ოპერაცია იყო და შეიძლება მასზე ფილმის გადაღებაც კი განხორციელდეს, რაც პოპულარიზაციას გაუწევს არა მარტო თავად დეკანოზიშვილის პიროვნებას, არამედ ეროვნულ-პოლიტიკურ თემატიკასაც.

საინტერესო დეტალები გაიხსენა პროფესორმა შუქია აფრიდონიძემ, რომელიც გახლავთ ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას შვილიშვილი. თედო სახოკია გახლდათ გიორგი დეკანოზიშვილის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი. ქალბატონმა შუქია აფრიდონიძემ დიმიტრი შველიძეს გადასცა მოგონება თედო სახოკიას შესახებ. პროფესორმა ვაჟა შუბითიძემ წამოაყენა წინადადება, რომ გიორგი დეკანოზიშვილის პიროვნება, მისი პატრიოტული მოღვაწეობა საგანგებოდ იმსახურებს, რომ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი. პრეზენტაციაზე ნაშრომის ავტორებისა და დამსწრეების მიმართ დიდი მადლიერება გამოხატა გიორგი დეკანოზიშვილის შთამომავალთა სახელით ქალბატონმა თამარ ბიწაძემ.

პრეზენტაციას ლექტორ-მასწავლებლებთან ერთად მრავლად ესწრებოდნენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიკოსი სტუდენტები და მაგისტრანტები. ეს ბუნებრივიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ისინი სწავლობენ, იცნობენ და პატივს სცემენ გიორგი დეკანოზიშვილის პიროვნებას და ღვაწლს. ამ პატივისცემისა და

დაინტერესების დამადასტურებელია ისიც, რომ პროფესორ დიმიტრი შველიძის თანაავტორი გახლავთ მისი ყოფილი სტუდენტი, მაგისტრანტი და ამჟამად ისტორიის მაგისტრი გიორგი გაფრინდაშვილი.

იმედია, რომ ქართველი მკითხველი საზოგადოება ინტერესით გაეცნობა შესანიშნავი ქართველი პატრიოტისა და პოლიტიკური მოღვაწის გიორგი დეკანოზიშვილის ბიოგრაფიას, ხოლო მისი სახელი სამუდამოდ დაუბრუნდება გიორგი დეკანოზიშვილის სამშობლოს ისტორიულ მეხსიერებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I
თბილისი. 2011

მილოცვა

მარიამ ლორთქიფანიძე

გივი ჯამბურია
დაბადებიდან 85 წლის იუბილეს აღსანიშნავად

გივი ჯამბურია დაიბადა 1924 წლის 24 აგვისტოს ქ. სამტრედიაში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1941-1946 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სპეციალობით, შემდეგ კი (1949 წლამდე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. მისი ხელმძღვანელი იყო ნიკო ბერძენიშვილი.

სტუდენტობის დროს მას ჰქონდა ბედნიერება მოესმინა დიდი ქართველი მეცნიერების: სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი ჩიტაიას, გიორგი ნიორაძის, შალვა ამირანაშვილის, კოტე ბაქრაძის – ლექციები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მისი, როგორც მოქალაქის, პიროვნების, მეცნიერის ჩამოყალიბების საქმეში.

1951 წელს დისერტაცია დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად (თემაზე „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან“), 1975 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია („საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება XVII ს-ის პირველ ნახევარში“).

გივი ჯამბურია მუშაობდა ჯერ ისტორიის ინსტიტუტში, შემდეგ კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრაზე. იგი კითხულობდა საქართველოს ისტორიის ზოგად კურსს ისტორიის, ფილოლოგიის,

ჟურნალისტიკისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზე; ისტორიის ფაკულტეტზე ატარებდა სპეცკურსს ქართული ისტორიოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობაში.

მან მოამზადა შვიდი ასპირანტი, რომლებმაც დაიცვეს საკანდიდატო დისერტაციები (ორმა მათგანმა კი – უკვე სადოქტორო დისერტაციაც). მისი რედაქტორობით რამდენიმე მონოგრაფიაც გამოვიდა.

გივი ჯამბურია 60 სამეცნიერო ნაშრომისა და 100-მდე საენციკლოპედიო სტატიის ავტორია. მის ნაშრომთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ შრომებს:

1. ***საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება XVII ს-ის პირველ ნახევარში*** (სადოქტორო დისერტაცია. დაბეჭდილია ცალკეული ნაწილები);

2. ***ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სომხით-საბარათიანოს სათავადოები*** (თბ. 1955);

3. ***გიორგი სააკაძე*** (თბ. 1964);

4. ***სამთავრო-სენიორალური სისტემა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში*** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 227. თბ. 1982);

5. ***„მოქალაქეთა“ საკითხისათვის გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. ტერმინ „მოქალაქის“ მნიშვნელობა საქართველოში (XVII-XVIII სს-ში).*** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 246. თბ. 1984);

6. ***იმუნიტეტი საქართველოში (VI-XIV სს.)*** (ნოდარ შოშიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული „ანამკი“. თბ. 2002);

7. ***ბატონყმობის საკითხისათვის*** (ჟურნ. „მაცნე“. № 4. თბ. 1979);

8. ***ბატონყმობისაგან გათავისუფლების ფაქტები საქართველოში (XII-XIII სს.)*** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბი-

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 349. თბ. 2003); და სხვ.

მისი ნაშრომების ნაწილი 2007 წელს კრებულის სახითაც გამოიცა. ***(გივი ჯამბურია. ქართული ფეოდალიზმის საკითხები. თბ. 2007).***

ამ სტატიებში, ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებათა გათვალისწინებით, ნაჩვენებია, რომ ქართული და დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმის მსგავსება სავსებით აშკარაა. ასეთი ვითარება იყო საქართველოში მონღოლთა შემოსევამდე. შემდეგ ვითარება შეიცვალა.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ (რვატომეული) IV ტომში (თბ. 1973) დაბეჭდილია ნარკვევები: „სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVII სს“; „ქართველი ხალხის ბრძოლა არსებობის შესანარჩუნებლად XVII ს-ის პირველ მესამედში;“ „საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს-ის 30-90-იან წლებში“.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ ავტორთა ჯგუფთან ერთად 1982 წელს გ. ჯამბურიას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. არის ღირსების ორდენის კავალერიც.

გივი ჯამბურია „თბილისის ისტორიის“ I ტომის (თბ. 1990) ერთ-ერთი თანაავტორიცაა. ამ გამოცემაში დაბეჭდილია მისი ნაკვეთები:

1. ***ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ XVII ს-ის პირველ მესამედში,***

2. ***ცვლილებები თბილისის პოლიტიკურ ცხოვრებაში XVII ს-ის 30-90-იან წლებში,***

3. ***ცვლილებები თბილისის სამოხელეო წყობილებაში XVI-XVII სს-ში,***

4. ***სოციალური ურთიერთობანი თბილისში;***

უაღრესად საინტერესოდ მიგვაჩნია ქართული ისტორიოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილი გივი ჯამბურიას შრომები:

1. ***საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში*** (კრებ. „ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში“. თბ. 1986);

2. ***ფეოდალური საქართველოს კლასებისა და კლასთა ბრძოლის საკითხები ქართულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში*** (ჟურნ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი). ნაკვეთი 35. თბ. 1963);

3. ***ივანე ჯავახიშვილი*** (ჟურნ. „საბჭოთა ქალი“. თბ. 1966);

4. ***ნიკო ბრძენიშვილის წვლილი გვიანსაშუალო საუკუნეების ისტორიის შესწავლის საქმეში*** (კრებ. „ნიკო ბერძენიშვილი“ თბ. 1996);

5. ***ზოგი რამ დავით გურამიშვილის საისტორიო პოემის შესახებ*** (კრებ. dedicatio, თბ. 2001);

6. ***ლევან მუსხელიშვილი*** (კრებ. „ლევან მუსხელიშვილი“. თბ. 2001).

გივი ჯამბურიას გამორჩეული წვლილი მიუძღვის გიორგი სააკაძის ღვაწლის შესწავლისა და შეფასების საკითხში. მან მრავალი ბუნდოვანი საკითხი ახსნა ქართულ თუ უცხოურ ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობითა და სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით; დაადგინა სააკაძის ბიოგრაფიის მრავალი ახალი გარემოება, რომ საქართველოში შაჰ-აბას I-მა ილაშქრა არა ორჯერ, არამედ ოთხჯერ; ახსნა დიდი მოურავის შესახებ არსებული ორი დაპირისპირებული შეხედულების წარმოშობის მიზეზები და მეცნიერულადაც დაასაბუთა გიორგი სააკაძის ფასდაუდებელი დამსახურება სამშობლოს წინაშე. მისმა მონოგრაფიამ და ცალკეულმა წერილებმა გაფანტა ეჭვი და გაუგებრობა დიდი ისტორიული პიროვნების მიმართ და დამსახურებული ადგილი მიუჩინა გიორგი სააკაძეს საქართველოს ისტორიაში.

საქართველოს ახალ ისტორიას მიუძღვნა გივი ჯამბუ-

რიამ ნაშრომი *„გლეხთა რევოლუციური კომიტეტები საქართველოში 1905-1907 წწ.“* (თბ. 1957).

გივი ჯამბურია ერთ-ერთი თანაავტორია X კლასის საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოსიც (თბ. 2001) და საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს II ტომისაც (თბ. 2008).

საგანგებო აღნიშვნის ღირსად მიმაჩნია ისიც, რომ გივი ჯამბურიას სამეცნიერო სამუშაოსა და მის წარმატებებს ხელს უწყობდა მისი აწ განსვენებული მეუღლე ლია ლეჟავა – გამოჩენილი ენათმეცნიერი და თავადაც არაერთი სოლიდური სამეცნიერო გამოკვლევის ავტორი.

გივი ჯამბურია დიდი ოჯახის უფროსია: მას სამი შვილი, შვიდი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი ჰყავს. იგი ბრწყინვალე მეგობარი, პრინციპული პიროვნება და სანიმუშო მოქალაქეა.

ვუსურვებთ დიდ წარმატებებს მეცნიერებასა და პირად ცხოვრებაში, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.